DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.03>

აბსტრაქტი. ჩატარებულია სტანდარტული ტექნოლოგიით გამომცხვარი პურის და შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული პურის ფიზიკურ ქიმიური პარამეტრების კვლევა და ორგანოლექტიკური მაჩვენებლების შესწავლა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შავი ქლიავის ჩირის გამოყენება გავლენას ახდენს პურის გულის მჟავიანობაზე, ტენიანობასა და ფორიანობაზე, ასევე ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შემცველობაზე. მზა პროდუქტის ენერგეტიკულმა ღირებულებამ შეადგინა 237,65 კკალ. პური გამდიდრებული შავი ქლიავის ჩირით გამოირჩევა არა მარტო საგემოვნო თვისებებით და პიკანტურობით, არამედ სხვადასხვა ბუნებრივი ინგრედიენტებისგან მომზადებულ პროდუქტში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ერთად განაპირობებს საბოლოო პროდუქტის მაღალ კვებით ღირებულებას და შესაბამისად, ფუნქციურ დანიშნულებას სამკურნალო-პროფილაქტიკური და პრევენციული თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: პური, შავი ქლიავის ჩირი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ენერგეტიკული ღირებულება.

საკვების ხარისხს ყველა ეპოქაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეული ადგილი უკავია. სწორედ, საკვების საშუალებით ხდება ადამიანის ორგანიზმში ყველა საჭირო საკვები ნივთიერების თუ სხვა ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტის მიწოდება. დაბალანსებული კვების თეორიის თანახმად, ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ ჩარჩოებში ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭიროა არა მხოლოდ ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების მიღება, არამედ აუცილებელია ისეთი ნივთიერებებიც, როგორცაა შეუცვლელი ამინომჟავები, ვიტამინები, მინერალები და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ბუნებრივი ნივთიერებების მთელი არსენალი, რომლებიც სულ რაღაც მიკროგრამების ოდენობითაა საჭირო, მაგრამ ამ ნუტრიენტების გარეშე, ჯანმრთელობის შენარჩუნება შეუძლებელია. ამ ყველაფერთან ერთად, ვფიქრობ ძალიან მნიშვნელოვანია გემოების აღქმა და მისი გავლენა ჩვენს

სენსორულ სისტემაზე და რაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩვენს ემოციებზე - მსოფლიოში ცნობილმა შეფ-მზარეულმა თქვა ასეთი ფრაზა - არც ერთი საკვები არ არის სრულყოფილი, თუ არ არის შეზავებული ლამაზი მითით (Elanidze, Khositashvili, 2023).

თანამედროვე ეპოქაში, მთელი მსოფლიოს მეცნიერების და მეწარმეების წინაშე დადგა გლობალური ამოცანა - ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება უმაღლესი ხარისხის, ბიოლოგიურად სრულფასოვანი და უსაფრთხო კვების პროდუქტებით. სწორედ ამის საფუძველზე დაიბადა ახალი კონცეფცია - ფუნქციური კვების მიმართულება. როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცხადებს - მსოფლიოში სიკვდილიანობის დაახლოებით 75% და პირველ ადგილს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და კიბო იკავებს. ასეთი ვერაგი დაავადებების პრევენციის აუცილებლობის გათვალისწინებით, კვების მრეწველობაში უნდა დაინერგოს ბიოლოგიურად ღირებული საკვები პროდუქტების ახალი წყაროების იდენტიფიცირება.

ახალი COVID -19 ინფექციის პრობლემამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ 21-ე საუკუნის ფაქტობრივი მიმართულებას ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების გამოყენება და, მათ საფუძველზე, კვების პროდუქტების წარმოების უახლესი ტექნოლოგიის შემუშავება თერაპიული და პროფილაქტიკური მოქმედებით (Elanidze, Khositashvili, 2023).

ჩვენს წინაპრებს უთქვამს - პური ქართლისა, ღვინო კახისა, ყველი თუმისა, ერბო ფშავისაო. ყველა ეს პროდუქტი ქართველებისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო როგორც საკვები, არამედ საკრალური მნიშვნელობაც კი აქვს. ამ პროდუქტებიდან მაინც გამორჩეული პური ჩვენი არსობისაა, რადგან პური წარმოადგენს ადამიანის კვების რაციონის ძირითად პროდუქტს და სწორედ ამიტომ, პურის შემადგენლობის დაბალანსების უზრუნველყოფა და კვებითი ღირებულების გაზრდა მეტად აქტუალური, მნიშვნელოვანი და პერსპექტიული საკითხია კვების მრეწველობაში. პურპროდუქტებში სხვადასხვა ბუნებრივი ინგრედიენტების დამატების ხარჯზე შესაძლებელია პურის შენახვის ვადის გახანგრძლივება, ტექსტურის გაუმჯობესება, დიეტური და სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტის მიღება და ასევე, რაციონში არასაკმარისი საკვები ნივთიერებების დეფიციტის შევსება (Cacak-Pietrzak, et al. 2023). როგორც წესი, პურს აქვს ფართო დიაპაზონის გემო, რაც იძლევა ბევრი ვარიაციის საშუალებას, რაც შესაბამისად, არის შესაძლებლობა იყოს მიმღები სხვადასხვა ბუნებრივი, ჯანსაღი კომპონენტების და გახდეს ფუნქციური დანიშნულების საკვები პროდუქტი.

ასევე მნიშვნელოვანია, ბუნებრივი დანამატის შერჩევისას გავითვალისწინოთ არა მხოლოდ მასში არსებული ფუნქციური ინგრედიენტების შემცველობა, არამედ სამომხმარებლო ფაქტორი - მიღებული პროდუქტის ცნობადობა, ფუნქციური და ორგანოლექტიკური თვისებები. ასეთ ბუნებრივ დანამატებს მიეკუთვნება შავი ქლიავის ჩირი.

პური უნიკალური საკვები პროდუქტია, რომელიც შეიცავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის აუცილებელ თითქმის ყველა კომპონენტს: ცილებს, რთულ ნახშირწყლებს, კალციუმს, რკინას, ფოსფორს, B ჯგუფის ვიტამინებს, მათ შორის თიამინს, ნიაცინს და რიბოფლავინს.

პურის ორგანოლექტიკური ღირებულება დამოკიდებულია მის გარეგნობაზე, ნატეხის მდგომარეობაზე, გემოზე, არომატზე და დიდწილად განსაზღვრავს მის კვებით ღირებულებას. პურში გემური და არომატული ნივთიერებების რაოდენობა ძირითადად დამოკიდებულია ფქვილის სახეობასა და ტიპზე, რეცეპტურაზე, ცომის

მომზადების თავისებურებებზე, მასში სხვადასხვა ბუნებრივი დანამატების დამატებასა და გამოცხობის ხანგრძლივობაზე. ყველაზე პოპულარულია ბიოლოგიურად აქტიური ბუნებრივი დანამატები, რომლის გამოყენება ხელს უწყობს პურ-პროდუქტების წარმოებას გაუმჯობესებული ხარისხის მაჩვენებლებით და გაზრდილი კვებითი ღირებულებით (Cacak-Pietrzak, et al. 2023; Chang R.-Ch., et al. 2015). ერთ-ერთი კომპონენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია პურის გამდიდრება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, არის შავი ქლიავის ჩირი. შავი ქლიავი ის იშვიათი ხილია, რომელიც, გამომშრალიც სრულად ინარჩუნებს სასარგებლო თვისებებს და ქიმიურ შემადგენლობას (ცხრილი 1) იგი მდიდარია A, K, B₂, B₃, B₆, C ვიტამინებით, კალიუმით, მაგნიუმით, ფოსფორით რკინით (Acipa, A., et al, 2013; Agbede JO, Ibitoye AA, 2007; Vunchi MA, et al., 2011). შავი ქლიავის ჩირი აძლიერებს იმუნიტეტს, შესანიშნავი საშუალებაა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოსაწესრიგებლად, აქვს ანტიბაქტერიული და ანტიათეროსკლეროზული მოქმედება, აუმჯობესებს გულის კუნთის მუშაობას, სისხლის მიმოქცევას, ნივთიერებათა ცვლას. დადებით გავლენას ახდენს თავის ტვინის, ნერვული სისტემისა და კუნთების მუშაობაზე. მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია შავი ქლიავის ჩირის მნიშვნელობა ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკითვის (M. Stacewicz-Sapuntzakis, 2013), აქვს ანტიოქსიდანტური მოქმედება (Soro KH, et al. 2018; Ajenifujah-Solebo SO and JO Aina 2011; Koba Fatou Traore, et al., 2022).

ცხრილი 1. შავი ქლიავის ჩირის კვებითი ღირებულება 100 გ პროდუქტში (საქართველოში წარმოებული ჩირი „ჩემი მარაგი“, უკურკო)

პროდუქტი	ცილები გ	ცხიმები გ	ნახშირწყლები გ	საკვები ბოჭკოები	ენერგეტიკული ღირებულება კკალ
შავი ქლიავის ჩირი	2,3	0,7	57,5	3,1	246

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პურის წარმოების დროს აქტუალური და მნიშვნელოვანია შავი ქლიავის ჩირის გამოყენება. ამის საფუძველზე, სამუშაოს კვლევის მიზანს წარმოადგენდა, შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული პურის ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლექტიკური მაჩვენებლების შესწავლა.

კვლევის ობიექტები და მეთოდები. კვლევის ობიექტებად გამოყენებული იყო:

- სტანდარტული ტექნოლოგიით გამომცხვარი პური;
- შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული პური.

კვლევის საგანი იყო შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული პური. განისაზღვრა სტანდარტული ტექნოლოგიით გამომცხვარი პურისა და შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული პურის გულის ტენიანობა გოსტ 21094-75 მიხედვით, პურის გულის მჟავიანობა გოსტ 56-70-96 მიხედვით, ხოლო პურის გულის ფორიანობა გოსტ 5670-96 მიხედვით (ცხრილი 4).

შეფასდა სტანდარტული ტექნოლოგიით გამომცხვარი პურისა და შავი ქლიავით გამდიდრებული პურის გარეგნული სახე, ფორმა, ზედაპირი, პურის გულის მდგომარეობა, სუნი და გემო. კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილი 3.

საკვლევი ნიმუშები მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სოფლის მეურნეობის

ლაბორატორიაში. ყველა ნიმუში - საკონტროლო და საკვლევი ნიმუშები, დამზადდა სტანდარტით დადგენილი ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობისა და შესრულების რეჟიმის დაცვის პირობებში.

ცხრილი 2. სტანდარტული ტექნოლოგიით გამომცხვარ პურში შემავალი ინგრედიენტები

ინგრედიენტი	საკონტროლო ნიმუში	საკონტროლო ნიმუში	საკონტროლო ნიმუში
ფქვილი, გ	600	600	600
წყალი, მლ	340	400	420
წყლის ტემპ., °C	30°C	25°C	35°C
საფუარი, გ	10	12	8
მარილი, გ	8	10	9

გამომცხვარი პურის ნიმუშებიდან, ორგანოლექტიკური პარამეტრების შეფასების შემდეგ, შეირჩა ნიმუში I (ცხრილი 2). შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული პურის პეცეპტურა: 600 გ ფქვილი, 340 მლ წყალი, 10 გ საფუარი, 8 გ მარილი, 60 გ ჩირი. შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული პურის ტექნოლოგიური სქემა: ცომის მოზელა, გაფუება, გადაზელა, დაფორმება, დაყოვნება, პურის ცხოზა, გაგრილება და დეგუსტაცია.

ცხრილი 3. სტანდარტული პურის და შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული პურის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები

ხარისხის მაჩვენებლები	კვლევის შედეგები	
	საკვლევი ნიმუში	
	სტანდარტული ტექნოლოგიით გამომცხვარი პური	შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული პური
ფორმა, ფერი	შეესაბამება პურის ფორმას, სადაც გამოცხვა პური. პრიალა ზედაპირი, ღია ყავისფერი შეფერილობით.	შეესაბამება პურის ფორმას, სადაც გამოცხვა პური. ღია ყავისფერი შეფერილობით.
ზედაპირი	თანაბარი, ნაპრალებისა და ნახეთქების გარეშე. ზედა კანი ოდნავ ამობურცულია.	უმნიშვნელო უთანაბრობით, ზედაპირზე შავი ქლიავის ჩირის ჩანართებით.
პურის გულის მდგომარეობა	კარგად გამომცხვარი, ელასტიური, თითის მსუბუქად დაჭერის შემდეგ იღებს საწყის ფორმას. ხელით შეხებისას წებოვნებისა და ტენიანობის შეგრძნების გარეშე. არ აღინიშნება სიცარიელები და გამაგრებული ნაწილები, თხელკედლიანი ფორიანობით.	გამომცხვარი, სათანადოდ გამომშრალი, სიცარიელების და გამაგრებული ადგილების გარეშე, შავი ქლიავის ჩირის ნაჭრების ჩანართებით

სუნი და გემო	პურისთვის დამახასიათებელი სუნით და არომატით, უცხო სუნისა და გემოს გარეშე.	პურისთვის დამახასიათებელი სუნით, შავი ქლიავის ჩირის ტკბილ-მომჟაო დელიკატური არომატით და ხილის მცირედი კარამელიზაციის ტონებით.
--------------	---	---

ცხრილი 4. სტანდარტული პურის და შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული პურის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები

მაჩვენებლები	შედეგები	
	სტანდარტული ტექნოლოგიით გამომცხვარი პური	შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული პური
პურის გულის ტენიანობა, %	36,2	40,0
პურის გულის მჟავიანობა, გრადუსი	2,5	3,2
ფორიანობა, %	60	65
ცილები, გ	9,95	9,97
ცხიმები, გ	1,51	1,53
ნახშირწყლები, გ	41	46
ენერგეტიკული ღირებულება, კკალ	217,39	237,65

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სტანდარტული ტექნოლოგიით გამომცხვარი პური შეესაბამებოდა პურის ფორმას, სადაც გამოცხვა, უმნიშვნელო უთანაბროებებით, დამწვარი ქერქის გარეშე, იყო კარგად გამომცხვარი, ელასტიური, თითის მსუბუქად დაჭერის შემდეგ იღებდა საწყის ფორმას, ხელით შეხებისას წებოვნებისა და ტენიანობის შეგრძნების გარეშე. არ აღინიშნებოდა სიცარიელები და გამაგრებული ნაწილები, თხელკედლიანი ფორიანობით, პურისთვის დამახასიათებელი სუნით და არომატით, უცხო სუნისა და გემოს გარეშე. შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული პურის გარე სახე იყო ზედაპირზე შავი ქლიავის ჩირის ჩანართებით, სათანადოდ გამომშრალი, სიცარიელების და გამაგრებული ადგილების გარეშე. პურის გულში, ასევე, შავი ქლიავის ჩირის ნაჭრების ჩანართებით, პურისთვის დამახასიათებელი სუნით და შავი ქლიავის ჩირის ტკბილ-მომჟაო გემოთი, მსუბუქი, დაბალანსებული ხილის კარამელიზაციის ტონებით, უცხო სუნის და გემოს გარეშე.

სტანდარტული პურის და შავი ქლიავის ჩირით გამდიდრებული ნიმუშების ქიმიური შემადგენლობის შესწავლის შედეგებმა აჩვენა, რომ ქლიავის გამოყენება გავლენას ახდენდა პურის გულის მჟავიანობაზე, ტენიანობასა და ფორიანობაზე, ასევე ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების შემცველობაზე და მზა პროდუქტის ენერგეტიკულ ღირებულებაზე.

ამრიგად, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიზანშეწონილია შავი ქლიავის ჩირი გამოყენებული იქნას პურის კვებითი ღირებულების გასაზრდელად, მზა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, საგემოვნო თვისებების დასახვეწად და პურის ასორტიმენტის გასაფართოებლად. პური შავი ქლიავის ჩირით წარმოადგენს შესანიშნავ კომბინაციას, რომელიც ერთმანეთს ავსებს არა მარტო საგემოვნო თვისებებით, არამედ სხვადასხვა ბუნებრივი ინგრედიენტებისგან მომზადებულ პროდუქტში შემავალი სასარგებლო ნივთიერებები ერთად განაპირობებს საბოლოო პროდუქტის მაღალ კვებით ღირებულებას. შავი

ქლიავის ჩირით გამდიდრებული პურის კვების რაციონში დამატება იწვევს გუნება-განწყობის გაუმჯობესებას, ასევე, ხელს უწყობს ორგანიზმის გაჯანსაღებას და გაახალგაზრდავებას. შავი ქლიავის ჩირში და პურში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ტანდემი, განაპირობებს საბოლოო პროდუქტის მაღალ ბიოლოგიურ აქტივობას და შესაბამისად, ფუნქციურ დანიშნულებას სამკურნალო-პროფილაქტიკური და პრევენციული თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. Acipa, A., Kamatenesi-Mugish, M. and Oryem-Origa, H. (2013) Nutritional Profile of some Selected Food Plants of Otwaland Ngai Sub Counties, Oyam District, Northern Uganda. African Journal of Food, Agriculture and Nutritional Development, 13, 7428-7451.
2. Agbede JO, Ibitoye AA. (2007) Chemical composition of black plum (*Vitex doniana*): An under-utilized fruit. J Food, Agric Environ 2007; 5: 95-96
3. Ajenifujah-Solebo SO and JO Aina (2011) PHYSICO-CHEMICAL PROPERTIES AND SENSORY EVALUATION OF JAM MADE FROM BLACK-PLUM FRUIT (*Vitex doniana*) African Journal of food, Agriculture, Nutrition and Development (AJFAND), Volume 11No.3 May 2011
4. Cacak-Pietrzak, G.; Dziki, D.; Gawlik-Dziki, U.; Parol-Nadłonek, N.; Kalisz, S.; Krajewska, A.; St. epniewska, S. (2023) Wheat Bread Enriched with Black Chokeberry (*Aronia melanocarpa* L. Pomace: Physicochemical Properties and Sensory Evaluation. Appl. Sci. 2023, 13, 6936. <https://doi.org/10.3390/app13126936>
5. Chang R.-Ch., Li Ch.-Y., Shiao S.-Y. (2015): Physico-chemical and sensory properties of bread enriched with lemon pomace fiber. Czech J. Food Sci., 33: 180–185.
6. Elanidze Lali; Khositashvili Tea (2023) THE PERSPECTIVE OF THE USE OF BIOLOGICALLY ACTIVE SUBSTANCES OF GRAPES IN THE PRODUCTION OF BREAD PRODUCTS. Collection of materials of the international conference "Food and Feed Technologies", p. 25-27, Odesa, Ukraine, УДК 663/664
7. Koba Fatou Traore, Kisselmina Youssouf Kone, Amédée Pascal Ahi, Doudjo Soro, Nougou Emmanuel Assidjo and Marianne Sindic (2022) Nutritional and Antioxidant Values of the Black Plum (*Vitex doniana*) Prunus, Recent Advances, Edited by Ayzin Kuden, PUBLISHED: 06 JULY 2022
8. M. STACEWICZ-SAPUNTZAKIS (2013) Dried Plums and Their Products: Composition and Health Effects—An Updated Review. Critical Reviews in Food Science and Nutrition, 53:1277–1302 (2013) Copyright C©© Taylor and Francis Group, LLC ISSN: 1040-8398 / 1549-7852 online DOI: 10.1080/10408398.2011.563880
9. Soro KH, Youssouf KK, David AK, et al. (2018) Caractérisation Biochimique De La Pulpe des Fruits Du Prunier Noir (*Vitex Doniana*) De La Côte d'Ivoire. Eur Sci J 2018; 14: 252-270
10. Vunchi MA, Umar AN, King MA, et al. Proximate, Vitamins and Mineral Composition of *Vitex doniana* (black plum) Fruit Pulp. Niger J Basic Appl Sci 2011; 19: 97-101

Study of the Physical-Chemical and Organoleptic Characteristics of Bread Enriched with Dried Black Plum (Prune)

Elanidze Lali

Iakob Gogebashvili Telavi State University

Ira Shildeshvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

Mzia Ghagholishvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

A study was conducted to investigate the physicochemical parameters and organoleptic properties of standard bread and bread enriched with dried prunes. The results showed that the use of dried prunes affects the bread's crumb acidity, moisture, porosity, as well as the content of proteins, fats, and carbohydrates. The energy value of the finished product was 237.65 kcal. Bread enriched with dried prunes stands out not only for its taste and distinctiveness but also for the biologically active substances contained in the various natural ingredients. Together, these contribute to the high nutritional value of the final product, giving it functional significance from a therapeutic, preventive, and health-promoting perspective.

Keywords: bread, dried black plum, biologically active substances, energy value.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ინოვაციები
ქართული ღვინის ინდუსტრიაში

ვეფხიშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.04>

აბსტრაქტი. XXI საუკუნის დასაწყისიდან ქართულმა მეღვინეობამ არაერთი რყევა განიცადა. რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული ემბარგო ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი გახდა იმის, რომ ქართულ ღვინოს ევროპის, აზიის და ამერიკის ქვეყნებში ედია გასაღების ბაზრები. ახალი მომხმარებლისათვის განსხვავებული ხარისხის პროდუქციის მისაწოდებლად საჭირო გახდა ტრადიციული მეღვინეობის აღორძინება, ტექნოლოგიების მოდერნიზება და გარკვეული ინოვაციების შეტანა, ასევე, ქართული ღვინის ასორტიმენტის ახალი პროდუქციით გამრავალფეროვნება.

ამ გამოწვევების წინაშე დადგა ღვინის მწარმოებელი დიდი კომპანიები და ახლადდაარსებული საოჯახო მარნები. ცხადი გახდა, რომ ახალი, ერთობლივი სიტყვა უნდა ეთქვათ ამ დარგის მეცნიერ-მუშაკებს და პრაქტიკოს-სპეციალისტებს, ვინც ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და პროდუქტებს ქმნის.

ამ სტატიაში, სწორედ, იმ ერთობლივ საქმიანობებსა და ურთიერთობებზეა საუბარი, რომლებიც ბოლო ათწლეულში, ერთი მხრივ, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და, მეორე მხრივ, კახეთის ღვინის კომპანიებსა და საოჯახო მარნებს შორის ჩამოყალიბდა.

„შუმი“, „შუხმან-ვაინს-ჯორჯია“, „ეინმმარაული“, „ასკანელი ძმები“, „ბესინი“, „ბურა“, „ხარება“, „GWS“, „მილდა“, „ვეფხიშვილების საოჯახო მარანი“, „შაქარაშვილის საოჯახო მარანი“, „იუმი“, „გომურაშვილები“, შპს „გორგორა“,... - ეს იმ კომპანიებისა და ღვინის მარნების არასრული ჩამონათვალია, სადაც თესაუს სტუდენტებისა და პროფესორების თანამონაწილეობით მრავალი სიახლე დაინერგა, დაიხვეწა ღვინის წარმოების არსებული მეთოდები, ერთმანეთს შეერწყა უცხოური და ტრადიციული ქართული ტექნოლოგიები, შეიქმნა ახალი ბრენდები, რომელთაც მსოფლიოში არ მოეპოვება ანალოგი.

ერთობლივი საქმიანობის შედეგად გამრავალფეროვნდა ქართული ღვინო; შექმნისთანავე პოპულარული გახდა ალკოჰოლიანი სასმელები: „სიმონასელი“, „ზიგუ“, „შობილი“, „ბარბაღე“, „კაგორი“, „ილერკო“, „კავკასიონი“, „არომატიზირებული არყები“, „ქვევრის ეინმმარაული“, „თამარის ვაზი“, ლიქიორი „25/25“, „ყურძნის არაყი“, „მუხაზე დამველებული ყურძნის არაყი“, „იუმი“, „თელავური ლიქიორები“, „ქართული პეტ-ნატი“, „ამფორის უსახელოური“ და სხვა; ერთობლივად შემუშავებული ინოვაციური ტექნოლოგიით დამზადდა ჯანმრთელობისათვის სასარგებლო კახური ჩურჩხელა; გამოყვანილ იქნა ქართული კლასიკური ღვინოების ენდემური საკუთარი კულტურული საფუარები.

ზემოთხამოთვლილი ახალი ბრენდები არამარტო დამზადდა, არამედ შესწავლილ იქნა კიდევ მეცნიერული თვალსაზრისით: ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების, ანტიოქსიდანტური აქტივობისა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებების შემცველობის მიხედვით.

ამგვარად, სტატიაში ნაჩვენებია ქართული ღვინის ინდუსტრიაში ინოვაციების შექმნის

საკვანძო სიტყვები: თესაუ, ღვინო, ღვინის კომპანია, მეცნიერება, ბიზნესი.

მეცნიერება წარმოებას! - სწორი არჩევანი საერთო ქართული საქმისთვის

საქართველოს სახელმწიფო ეკონომიკა, რომლის ერთერთი მნიშვნელოვანი ექსპორტი მეღვინეობაზე გადის, მოითხოვს ამ დარგის კიდევ უფრო მეტ პროგრესსა და გაფართოებას, რისთვისაც საკმარისი არაა მხოლოდ ტრადიციების დაცვა, ან უცხოური ტექნოლოგიების კალკირებულად შემოტანა. ახლო და შორეულ მომავალში საჭიროა ქართული ვაზის (ზოგჯერ მივიწყებულის და გადაშენების საშიშროების წინაშე მდგარის) შესაძლებლობების სრულყოფილად გამოვლენა, იშვიათი ავტოქტონური ჯიშების საღვინე პოტენციალის შესწავლა, ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და ახალი ბრენდების შექმნა.

ამ მნიშვნელოვანი ზოგადსახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელების გზა მეცნიერებისა და წარმოების თანამშრომლობაზე გადის. რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ამ ორი სფეროს ტანდემმა საწარმოს, სამეცნიერო სფეროსა და ქვეყნისათვის? სტატიაში საუბარია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კახეთის ღვინის საწარმოების თანამშრომლობაზე, რომელსაც სიკეთე მოაქვს საერთო ქართული საქმისათვის.

ასეთ საწარმოთა შორის, თესაუსათვის, პირველ რიგში, „მეღვინეობა შუმი“ მოიაზრება, სადაც, ზემოთ ნახსენები თანამშრომლობის წყალობით, რაოდენობრივად, ღვინის ყველაზე მეტი ახალი ბრენდი იქმნება. ამ ეროვნულ ინიციატივას - უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან მეცნიერულ თანამშრომლობას - სხვა კომპანები და საოჯახო მარნებიც სიამოვნებით გამოეხმაურნენ.

ღვინო „სიმონასელი“ - თესაუ - „შუმი“ ტანდემის პირველი დიდი გამარჯვება

2000-იან წლებში, როცა საქართველოში კერძო საკუთრება ფეხს იკიდებდა, სახელმწიფოს მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, სოფ. წინანდალში, ახლადდაარსებულ „მეღვინეობა შუმი“, საფუძველი ჩაეყარა საკოლექციო ვენახს, რომელშიც მთელი საქართველოს მასშტაბით კარდაკარ მოძიებული, მივიწყებისპირას მყოფი ვაზის ჯიშები გაშენდა;

დღეს „შუმის“ საკოლექციო ვენახში 2000-მდე ყურძნის ჯიშია - ქართული-ავტოქტონური და 47 ქვეყნიდან იმპორტირებული - ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე მოძიებული, ჩამოტანილი და გახარებული. ეს ვენახი მსოფლიოში ყველაზე დიდ კერძო ამპელოგრაფიულ კოლექციას წარმოადგენს, გაეროსთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის - FAO-ს - საკუთარი კოდით: 036. ამავე დროს ის ამოუწურავი საკვლევი ბაზაა ქართველი და უცხოელი ამპელოგრაფებისა და ენოლოგებისათვის.

2006 წლიდან მოყოლებული დღემდე, აქ გადაშენების პირას მყოფი იშვიათი აბორიგენული ჯიშების გადარჩენა-აღორძინება მიმდინარეობს: ადგილზე შეისწავლება, ჯერ, მათი ტექნოლოგიური თვისებები, შემდგომ კი, ღვინის საუკეთესო პოტენციალის მიხედვით შერჩეული ავტოქტონური ჯიშები კოლექციიდან კომპანიის კუთვნილ ტერიტორიებზე, დიდ ფართობებზე ინაცვლებს, შენდება ვენახები, საიდანაც მოკრეფილი ყურძენი ღვინის წარმოებაში ნედლეულად გამოიყენება და იქმნება ახალი ბრენდები მანამდე უცნობი ჯიშებისაგან.

2013 წელს ეს კამპანია განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, რაც „შუმის“ ხელმძღვანელობამ გააჟღერა კომპანიის სტრატეგია და კეთილი ნება, რომ, ქართული ავტოქტონური ჯიშებისადმი მომავალ თაობაში ინტერესის გაღვივების მიზნით,

„მეღვინეობა შუმის“ კოლექციის საფუძველზე ჩატარებულ სამეცნიერო ექსპერიმენტებში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობა მოეზიდა და ჩაერთო.

ამას მოჰყვა მემორანდუმის გაფორმება თესაუ-სა და „შუმს“ შორის; დაიწყო „შუმის“ კუთვნილი ამპელოგრაფიული განძის ახალი ცხოვრება - ავტოქტონური ჯიშების ტექნოლოგიური შესაძლებლობების შესწავლა მეცნიერულ ჭრილში.

2013-2015 წლებში ასე, ერთობლივი თანამშრომლობით, „შუმის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით დაიწერა პირველი სამაგისტრო ნაშრომი თესაუ-ს სასურსათო ტექნოლოგიის სტუდენტის მიერ. ნაშრომი კახეთის ვაზის ჯიშის - სიმონასეულისაგან - დამზადებული წითელი მშრალი ღვინის მეცნიერულ კვლევას შეეხებოდა.

„სიმონასეულის“, როგორც საუკეთესო თვისებების მქონე იშვიათი ავტოქტონური ჯიშისგან დამზადებულ ღვინოში, სტანდარტულ ხარისხობრივ მაჩვენებლებთან ერთად, როგორცაა: ალკოჰოლი, ტიტრული მჟავიანობა, ესტრაქტი და სხვა, გამოკვლეულ იქნა ამ ღვინოში ჯანმრთელობისათვის სასარგებლო თვისებების მატარებელი ნივთიერებების შემცველობა. მათ შორის, ფენოლური ნაერთების კონცენტრაცია (3600 მგ/ლ-მდე) და ელექტრო-პარა-მაგნიტური რეზონანსის მეთოდით, ფრემის რადიკალის შებოჭვის მიხედვით, გაზომილი ანტიოქსიდანტური აქტივობა (მთელი რიგი ქრონიკული და სიმსივნური დაავადებების გამომწვევი თავისუფალი რადიკალების შებოჭვის უნარი), რომელიც ახალგაზრდა ღვინოში - 97.7%, დავარგებულში კი 96% აღმოჩნდა. ეს ძალიან მაღალი მაჩვენებლები ღვინის საუკეთესო ხარისხზე - მაღალ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღირებულებაზე - მიუთითებდა. უნდა აღინიშნოს, რომ სიმონასეულისაგან დამზადებულ ღვინოზე მსგავსი დონის მეცნიერული კვლევა მანამდე არსად არასოდეს ჩატარებულა (ხუცაიძე ვ. 2015).

სწორედ, თელავის უნივერსიტეტის სტუდენტის კვლევებით მიღებული ამ საუკეთესო შედეგების გამო, 2017 წელს „მეღვინეობა შუმმა“, საქართველოში პირველმა, ღვინო ქვევრის „სიმონასეული“ საწარმოო მასშტაბითაც დაამზადა ამ დროისათვის სოფ. ნაფარეულში, თავის კუთვნილ ტერიტორიებზე უკვე რამდენიმე წლის გაშენებულ სიმონასეულის ვენახში მოკრეფილი ყურძნისაგან. დღეს „შუმის“ „სიმონასეული“ წარმატებით იყიდება როგორც ქართულ, ისე უცხოურ ღვინის ბაზრებზე.

აქ არ შეჩერებულა „შუმისა“ და თესაუს თანამშრომლობა ღვინო „სიმონასეულის“ კვლევისათვის - „შუმის“ ხელმძღვანელობისა და თესაუს მეცნიერთა დაკვეთით, ცნობილი ქართველი მეცნიერ-მიკრობიოლოგების მიერ ნაფარეულის მიკროზონაში მოკრეფილი და ბუნებრივ საფუარზე ფერმენტირებული ღვინო „სიმონასეულის“ ლექიდან გამოყოფილ და გასუფთავებულ იქნა საფუარის წმინდა შტამები, ანუ მიღებულია სიმონასეულის საკუთარი კულტურული საფუარი, რომელზედაც ამჯერად დუღდება ნაფარეულში, კომპანიის საკუთარ სამრეწველო ვენახ „დიდყურეში“, მოკრეფილი სიმონასეულის ყურძენი (ნაცვლად უცხოეთიდან შემოტანილი კომერციული კულტურული საფუარებისა, რომლებიც ყველა ღვინოს ძვირს და ერფეროვანს ხდის). ეს კი ერთერთი მნიშვნელოვანი წინაპირობააა ღვინის ინდივიდუალური თავისებურებების სრულყოფილად წარმოსაჩენად.

ახალი ქართული ბრენდების დაბადება

„მელვინეობა შუმის“ ამპელოგრაფიულ საკოლექციო ბაზაზე, თელავის უნივერსიტეტის მეცნიერებთან თანამშრომლობით შეიქმნა ისეთი ბრენდები, როგორცაა: შემაგრებული ღვინოები: ზიგუ, კაგორი (დევდარიძე მ., 2022); ცქრიალა ღვინო „შობილი“ (ვეფხიშვილი ნ., 2021), აისვანი „ბარბალე“ (ვეფხიშვილი ნ., 2022); ყველა მათგანში უცხოურ ტექნოლოგიებთან შერწყმულია ქართული ტრადიციული ქვევრის ტექნოლოგია.

„ზიგუ“ პორტუგალიური (პორტუგეზის) ტექნოლოგიის მიხედვით დამზადებული შემაგრებული ღვინოა, რომელშიც 300-ზე მეტი ყურძნის ჯიშია გამოყენებული „შუმის“ საკოლექციო ვენახიდან; სადოქტორო დისერტაციის ექსპერიმენტით (ვეფხიშვილი ნ., 2012) კი დამზადდა „ზიგუ+“-იც, რომლის ტექნოლოგიაში ჩართულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული, ნახევრად ტკბილად გადამუშავებული საფერავის ღვინის მოხსნის შემდეგ დარჩენილ ჭაჭაზე დაყოფნებული ღვინის სპირტი. ამ უკანასკნელში დიდი რაოდენობითაა ნარჩენებიდან გამოწვლილული სასარგებლო ნივთიერებები, რომლებიც, საბოლოოდ, „ზიგუში“ ხვდება და მას ორგანოლექტიკურად და ჯანმრთელობისათვის ღირებული კომპონენტებით ამდიდრებს. გარდა ამისა, ღვინო დადუღებული და დაყოფნებულია ქვევრში, რითაც კიდევ უფრო გამრავალფეროვნებულია სასმელის გემოვნური პროფილი. ეს ტექნოლოგია ამჟამად „შუმს“ დაპატენტებული აქვს.

აისვანი „ბარბალე“ დამზადებული 102 ჯიშის ყურძნისაგან, ამავე ვენახიდან. ამ ბრენდში „ყინულოვანი ღვინის“ დამზადების გერმანული ტექნოლოგია ქართულ ტრადიციულ ქვევრის ტექნოლოგიასთან ორიგინალურადაა შერწყმული - ზამთრის ყინვებში (არაუმეტეს, -7 გრადუსისა) ვაზებზე შეყინული მტევნებისგან გამოწეხილი ტკბილი ქვევრშია დადუღებული და წარმოებულია ტკბილი ღვინო.

ცქრიალა ღვინო „შობილის“ საწარმოებლად სატირაჟედ გამოყენებულია ქვევრში დადუღებული ღვინო, ხოლო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გასამდიდრებლად - რქაწითელის წიპწაზე გარკვეული დროით დაყოფნებული სპირტისგან დამზადებული სატირაჟე და საექსპედიციო ლიქიორები. ეს ღვინო აერთიანებს 8000 წელზე მეტი ხნის ქართული მელვინეობისა და 400 წლის ფრანგული შამპანურის ღვინის ისტორიებს (ვეფხიშვილი ნ., 2021). „შობილიც“ დაპატენტებულია საქპატენტის მიერ. „შობილი“ მსოფლიოში პირველი ცქრიალა ღვინოა, რომლის წარმოებაში ტრადიციული ქართული ქვევრია ჩართული. ამ სასმელის შესახებ საერთაშორისო კონფერენციაზედაც გაკეთდა მოხსენება, როგორც ახალ საინტერესო ქართულ სასმელზე (ვეფხიშვილი ნ., 2022)

„ზიგუ“, „ბარბალე“ და „შობილი“, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებების შემცველობის მიხედვით, შესწავლილია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ და შედეგები გატანილია სტუდენტთა და მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციებზე.

2017 წელს „მელვინეობა შუმში“ თესაუს მაგისტრანტის უშუალო მონაწილეობით ექსკლუზიური ტექნოლოგიით, ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით კახეთში მოკრეფილი ხილის საფუძველზე, დამზადდა უნიკალური ლიქიორული სასმელი „საქართველოს თაიგული“. სასმელების ორმა კატეგორიამ - მუხის კასრში დავარგებულმა და დავარგების გარეშე დამზადებულმა - საოცარი რეზონანსი გამოიწვია დეგუსტატორებში. სწორედ, ამ სასმელზე დაიწერა სამაგისტრო შრომა (სუჯაშვილი მ., 2017).

2017 წელსვე, თესაუს კიდევ ერთმა სტუდენტმა დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი მუკუზონის მიკროზონაში, „შუმის“ კუთვნილ, „ნადარბაზევის“ ტერიტორიებზე მოკრეფილი საფერავისაგან ექსკლუზიური ტექნოლოგიით დამზადებულ ღვინო „ილერკოზე“, რომელსაც სახელწოდება ამ ადგილებში ნაპოვნი ვერცხლის სასმისის, ილერკოს, მიხედვით ეწოდა. ლონდონის, International Wine Challenge საერთაშორისო კონკურსიდან მან დიდი წარმატება ჩამოიტანა საქართველოში - „ილერკო“ ერთადერთი ქართული ღვინო აღმოჩნდა, რომელმაც ორი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა - ოქროს მედალი და კიდევ უფრო ღირებული მედალი “Trophy” (სულხანიშვილი გ.,2017).

„მეღვინეობა შუმის“ მეღვინეთა და თესაუს მეცნიერთა მიერ შემუშავდა ტექნოლოგია, რომლის მიხედვითაც ნაფარეულის მიკროზონაში, ვენახ „დიდყურეში“ მოკრეფილი საფერავისაგან დამზადდა ღვინო „სალომე“, რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა „შუმს“ - მსოფლიოს ცნობილი რესტორნების მიერ 50 საუკეთესო ღვინოს შორის დასახელდა (ვეფხიშვილი ნ. და სხვ. 2017).

„მეღვინეობა შუმის“ საკოლექციო ვენახის საფუძველზე თესაუ-ს სტუდენტების მიერ დამზადდა და გამოკვლეულ იქნა ღვინოები იშვიათი ვაზის ჯიშებისაგან: „თამარის ვაზი“, „ვარდისფერი რქაწითელი“, „წითელი რქაწითელი“, „ჩიტისთვალა აჭარული“, „მარგული საფერე“, „იმერული შავი“, „ახმეტის წითელი“ (ბაჩიაშვილი ა., 2015, პაპუნაშვილი თ., 2016)

აქვე უნდა აღინიშნოს თესაუს მეცნიერთა მიერ „შუმში“ განხორციელებული საინტერესო ინოვაციის შესახებ - კახური ჩურჩხელის დამზადების ტექნოლოგიაში ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ჩართვის თაობაზე, რითაც კიდევ უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო საკვები პროდუქტი გახდა ტრადიციული ქართული ჩურჩხელა (ვეფხიშვილი ნ. და სხვ., 2021). ნატურალური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები კი ისეთი მცენარეებისაგან გადადის მასში, როგორცაა ფენოლური ნაერთებით მდიდარი წიპწა და ვიტამინებით მდიდარი კავკასიური ცაცხვის ყვავილი. ეს მცენარეები დაფუძვლილი სახით ეფრქვევა თათარას, მასში ჩურჩხელის ამოვლების წინ, და არა დუღილში, რათა წიპწამ და ცაცხვის ყვავილმა არ დაკარგოს თავისი თვისებები.

ეს ინოვაციური ტექნოლოგიაც სახელმწიფოს მიერაა დაპატენტებული.

...არა მხოლოდ „შუმი“

კომპანია „შილდაში“ ორი ახალი ქართული პროდუქტის - „ყურძნის არაყი“ და „ყურძნის არაყი მუხაზე დამველებული“ - დამზადებასა და კვლევაზე სამაგისტრო ნაშრომი იქნა დაცული თესაუში. მაგისტრის უშუალო მონაწილეობითა და გერმანული ლაბორატორია „ინტერტეკის“ ჩართულობით დადგინდა ამ პროდუქტების ხარისხობრივი მაჩვენებლები. თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისობრივი მახასიათებლებითა და ორგანოლექტივით გამორჩეულ ამ ახალ პროდუქტებს დღეს ამზადებენ და დიდი წარმატებით ყიდიან კომპანიები „კახური ღვინის მარანი“ და შპს „ქინძმარაული“. ამ უკანასკნელში მათ „ყურძნის არაყი ვერცხლი“ და „ყურძნის არაყი ოქრო“ უწოდეს. ისინი განსხვავებულია ბაზარზე არსებული ამავე კატეგორიის პროდუქტებისგან და დიდ კონკურენციას უწევს სხვა მაღალალკოჰოლიან სასმელებს (არაბიძე ლ.,2018).

თელავში პოპულარულია თესაუს სტუდენტის მიერ საქართველოში გავრცელებული მცენარეების: ბარამბოსა და ალუბლის ლიქიორი, სუბტროპიკული ხილის: ფორთოხლის, გრეიფრუტის ლიქიორი „ტროპიკი“, ასევე, ღვინო საფერავის, კაკაოსა და ყავის გამოყენებით საოჯახო პირობებში („გომურაშვილებში“)

დამზადებული „თელავური ლიქიორები“, რომელთა რეცეპტები ხალხშია მოძიებული (გომურაშვილი ა., 2020).

თესაუს მაგისტრებმა და ბაკალავრებმა შეიმუშავეს ტექნოლოგია, ხოლო საოჯახო მარნებში დაინერგა არომატიზირებული ღვინის, არომატიზირებული არყის, არომატიზირებული ძმრის დამზადება.

ექსპერიმენტი არომატული ღვინოების დამზადების შესახებ ჩატარდა თესაუს მაგისტრის მიერ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. მატნის ერთ-ერთ საოჯახო მარანში, ხოლო კვლევები - შპს „ღვინტესტისა“ და შპს „ღვინის კომპანია შუმის“ ლაბორატორიებში არსებული მაღალმგრძობიარე ანალიტიკური ხელსაწყოებით. დღეისათვის შესწავლის სტადიაზეა ამ ღვინოებში ხილიდან გადასული, მნიშვნელოვანი არომატული და სასარგებლო ნივთიერებების შემცველობა. ასე შეიქმნა არომატიზირებული ღვინის რამდენიმე ახალი რეცეპტი: ქაცვის, ფორთოხლის კანის, კივის, კომშის, ჟოლოს, მარწყვის, შინდის, მაცვლის ნაყენებით (ქეთიაშვილი ქ., 2019).

დეგუსტატორების მხრიდან მაღალი შეფასება მიეცა არყებს, რომლებიც თესაუს სტუდენტის მიერ საოჯახო მარან „მირზიკაშვილებში“ შეიქმნა. არყები დამზადდა სხვადასხვა მცენარეული ნაყენით, რისთვისაც გამოყენებულ იქნა ფორთოხლისა და ლიმონის კანი, მთის ქონდარი, დეკა, ტარხუნა (მირზიკაშვილი ს., 2019).

კულინართათვის არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა არომატიზირებული ძმრები, რომლებიც უნივერსიტეტის მაგისტრის მიერ საოჯახო მარანში დამზადდა. უნდა აღინიშნოს, რომ არომატული ძმრები, დამზადებული: წიწაკის, პიტნის, მიხაკის, ორეგანოს, ქონდრის, ტარხუნის, ვარდის ყვავილებისა და ფოთლებისაგან, გამოირჩევა ჯანმრთელობისათვის სასარგებლო მაკრო-, მიკროელემენტების, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისა და ანტიოქსიდანტების სიმრავლით. ისინი წარმოადგენს საკვები პროდუქტების შესაკაზმად საუკეთესო კომპლექსურ კვებით და გემოვნურ დანამატებს (ზაქაიძე ქ., 2019, ვეფხიშვილი ნ. და სხვ. 2019).

გასულ წელს ქართული მეღვინეობისათვის უცხო სასმელის, წინაპრების ცქრიალა ღვინის - ფრანგული Pet-Nat-ის - სხვადასხვა ვარიანტით დამზადება მოსინჯა თესაუს მაგისტრმა შპს „მეღვინეობა ხარებაში“; შეისწავლა მისი ქიმიური და ორგანოლექტიკური მახასიათებლები, კლასიკურ ცქრიალა ღვინოსთან მიმართებაში (ზირაქაშვილი ნ., 2023).

საოჯახო მარან „იუმში“ თელავის უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ საკუთარ საოჯახო მარანში ევროპული ვაზის ჯიშისაგან ქართული ტრადიციული ქვევრის ტექნოლოგიით შეიქმნა ღვინის ახალი ბრენდი „იუმი“ (მიქელაშვილი ი., 2019).

კომპანია „ასკანელ ძმებში“ ახალი ტექნოლოგიით დამზადდა „ამფორის უსახელოური“ (სუხიტაშვილი ქ., 2023), თესაუს-ს მაგისტრის უშუალო მონაწილეობით შეირჩა ტექნოლოგიები საფერავისაგან სხვადასხვა ხასიათის ვარდისფერი ღვინოების საწარმოებლად (მიქელაშვილი ი. და სხვ. 2021).

თელავის უნივერსიტეტის მაგისტრის ჩართულობით კომპანია „ბესინში“ ქვევრის გამოყენებით დამზადდა ნახევრად ტკბილი ღვინო „ქინძმარაული“, რაც, საკმაოდ, რთულად განსახორციელებელ ტექნოლოგიურ ოპერაციებს მოიცავს (გოგიჩაიშვილი თ., 2022)

მომხმარებლის მზარდი მოთხოვნილების გამო, შემაგრებული ღვინის დამზადების შესაძლებლობა გამოიცადა მცირე საოჯახო მარანში „ვეფხიშვილები“, რომელიც სოფ. წინანდალში მდებარეობს. დამზადდა თეთრი, წითელი და ვარდისფერი შემაგრებული ღვინოები (პორტვეინები), რომელთა ქიმიური

პარამეტრები და სენსორული მახასიათებლები - ფერი, არომატი, გემო - ძლიერ მოსწონს მომხმარებელს, ამასთან წითელი შემაგრებული ღვინო გამორჩეულია ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებების შემცველობით (ვეფხიშვილი ვ., 2021). ამავე მარანში თესაუ-ს მაგისტრის მიერ მეცნიერულადაა შესწავლილი ბიოქიმიური ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობს ქვევრის საფერავის დამზადებისას (ვეფხიშვილი ნ. და სხვ., 2019).

წიპწის მდიდარი ქიმიური შემადგენლობა უძველეს საფუძვლად კომპანია „შუხმან-ვაინს-ჯორჯიაში“ სადესერტო-ლიქიორული ტიპის ღვინის „კავკასიონის“ დამზადებასაც, რომლის შექმნის თაობაზე სადოქტორო დისერტაცია დაიწერა თესაუში (ბურდიაშვილი რ., 2019).

ქართული ღვინოებისათვის ინდივიდუალობის დაბრუნებისა და თვითღირებულების შემცირების მიზნით, „შუმში“ საკუთარი კულტურული საფუარის გამოყვანის შემდეგ, 2022 წელს, თესაუ-ს მეცნიერთა მიერ შეიქმნა ფუნდამენტური კვლევითი პროექტი „საქართველოს ტერიტორიაზე საფერავის ვაზის ჯიშისგან წარმოებული დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებისთვის *Saccharomyces cerevisiae*-ს საფუარის სუფთა კულტურების გამოყოფა და მათი სპეციფიკური თვისებების შესწავლა სამრეწველო გამოყენების მიზნით“, რომელმაც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამწლიანი დაფინანსება მოიპოვა.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა, აგრეთვე, სამაგისტრო პროექტი, „მშობლიური“ კულტურული საფუარის როლი ღვინის ხარისხობრივი მაჩვენებლების ჩამოყალიბებაში“, რომელიც „მეღვინეობა შუმში“ საკუთარ საფუარზე, შპს „გორგორაში“ დამზადებული ღვინოების კვლევას ეხება (სიდონაშვილი ს., 2024, Vepkhishvili and other, 2024).

ამ პროექტებისაგან მიღებული შედეგები იმის გარანტიას იძლევა, რომ საქართველოში ადგილობრივი კულტურული საფუარები შეიქმნება და ქართული ჯიშის ყურძნები შესაბამის ქართულ საფუარებზე დადულდება, რითაც მათ ინდივიდუალობა და განსაკუთრებულობა დაუბრუნდება.

ამჯერადაც არაერთი ერთობლივი კვლევა მიმდინარეობს, ერთი მხრივ, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებისა და მეცნიერ-მუშაკებისა და, მეორე მხრივ, ღვინის სხვადასხვა საწარმოთა თანამშრომლობით.

ამრიგად, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე, საუკეთესოდ ჩანს, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მეცნიერთა იდეები წარმატებით შეიძლება დაინერგოს პრაქტიკულ მეღვინეობაში, შეიქმნას ახალი ბრენდები და ტექნოლოგიები.

მეორე მხრივ, წარმოებაში შექმნილი ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციური პროდუქტები საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერთა და სტუდენტთათვის.

ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობა კი ქართული მეღვინეობის დარგს დიდად წაადგება განვითარების ახალ საფეხურზე გადასაყვანად.

ლიტერატურა

1. არაბიძე ლ., (2018), ახალი ქართული ალკოჰოლური სასმელების “ყურძნის არაყი” და “ყურძნის არაყი მუხაზე დაძველებულის” წარმოება, სამაგისტრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
2. ბაჩიაშვილი ა., (2015), იშვიათი ქართული ჯიშების - ვარდისფერი რქაწითელისა და წითელი რქაწითელისაგან დამზადებული სუფრის მშრალი ღვინოების ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლექტიკური თვისებების შესწავლა, საბაკალავრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
3. ბურდიაშვილი რ., (2019) ნაფარეულში მოყვანილი შარდონეს ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობები, სადოქტორო დისერტაცია, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი

4. გოგიჩაიშვილი თ. (2022) ქვევრის გამოყენებით დამზადებული “ქინძმარაული” თავისებურებების შესწავლა, სამაგისტრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
5. გომურაშვილი ა. (2020), ქართული ლიქიორების დამზადება საოჯახო პირობებში, საბაკალავრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
6. დევდარიძე მ. (ივნიცი, 2022) კაგორი - ქართული და ფრანგული ტექნოლოგიების იშვიათი ტანდემი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ ბაკალავრთა და მაგისტრანტთა XXVI (81-ე) სამეცნიერო კონფერენცია, ქ.თელავი
7. ვეფხიშვილი ნ. (თებერვალი, 2012) ბიოლოგიურად აქტიური ზოგიერთი სტილბენის გამოკვლევა ქართულ წითელ ღვინოებში და მათი ტექნოლოგიური გამოყენება სადოქტორო დისერტაცია, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
8. ვეფხიშვილი ნ., ხატიაშვილი გ., ჯავახიშვილი მ. (2017) სპეციალური ღვინო „სალომეს“ დამზადება და მისი თვისებების კვლევა ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ქ. თელავი
9. ვეფხიშვილი ნ., ვეფხიშვილი ვ., შიუკაშვილი ვ., კალანდია ა., ზუროშვილი ლ. (2019) ქვევრის საფერავის დამზადებისას ღვინოში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურათმშობის დიალოგები“ მასალები, ქ. თელავი
10. ვეფხიშვილი ნ., შიუკაშვილი ვ. (2019) ღვინის არომატიზირებული ძმარი - მდიდარი საკვები დანამატი, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ახალი ინიციატივები“ შრომები, ქ. ქუთაისი
11. ვეფხიშვილი ნ. (ივლისი, 2021) ქვევრში შობილი ცქრიალა ღვინო “შობილი”, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის XXIII (79-ე) სამეცნიერო კონფერენცია, ქ.თელავი
12. ვეფხიშვილი ნ., კველიშვილი მ., დადოლიშვილი მ. (2021) ინოვაცია ტრადიციული ქართული ჩურჩხელის დამზადების ტექნოლოგიაში, აგრარული ცვლილებების ჟურნალი გამომცემლობა შპს „ვილი ბლეკელი“ Impactfactor 2,391 (2018)
13. ვეფხიშვილი ვ., ჭანტურია ი., ვეფხიშვილი ნ., (2021) შემაგრებული ღვინის წარმოება საოჯახო მარნის პირობებში, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურათმშობის დიალოგები“ მასალები, ქ. თელავი
14. ვეფხიშვილი ნ. (ივლისი, 2022), აისვანი “ზარბაღე”, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის XXIV (მე-80) სამეცნიერო კონფერენცია, ქ.თელავი
15. ვეფხიშვილი ნ. (ნოემბერი, 2022), ქართულად „მეკმაზული“ პოპულარული უცხოური ღვინოები და ინოვაციური ტექნოლოგიით დამზადებული კახური ჩურჩხელა, მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ახალი ინიციატივები“, ქ. ქუთაისი
16. ზაქაძე ქ. (2019), ღვინის არომატიზირებული ძმრების დამზადება და მათი თვისებების შესწავლა, საბაკალავრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
17. ზირაქაშვილი ნ., (2023) ქართული Pet-Nat-ის დამზადება და მისი თვისებების კვლევა, სამაგისტრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
18. მიქელაშვილი ი. (2019), ბურგუნდიული პინო ტრადიციული ქართული ელემენტებით, საბაკალავრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
19. მიქელაშვილი ი., შიუკაშვილი ვ., ვეფხიშვილი ნ., (2021), საფერავისაგან როზეს დამზადების სხვადასხვა საწარმოო მეთოდი, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურათმშობის დიალოგები“ მასალები, ქ. თელავი
20. მირზიკაშვილი ს. (2019), ღვინის არომატიზირებული არყების დამზადება ქართულ მცენარეულ ნედლეულზე და მათი თვისებების შესწავლა, საბაკალავრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
21. პაპუნაშვილი თ., (2016) სუფრის მშრალი ღვინოების დამზადება იშვიათი ქართული წითელყურძნისა და ჯიშებისგან, საბაკალავრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
22. სულხანიშვილი გ. (2017) წითელი მშრალი ღვინო „ილერკოს“ დამზადება სპეციალური ტექნოლოგიით და მისი თვისებების კვლევა, სამაგისტრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
23. სუჯაშვილი მ. (2017) ლიქიორის ახალი ბრენდის დამზადება და მისი თვისებების კვლევა, სამაგისტრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი

24. სუხიტაშვილი ქ. (2023) უსახელოურისაგან კახური წესით დამზადებული ღვინოების კვლევა, სამაგისტრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
25. უჯმაჯურიძე ლ., კაკაბაძე გ., მამასახლისაშვილი ლ., (2018) ქართული ვაზის ჯიშები, ქ. თბილისი, გამომცემლობა “პეგასი”
26. ქეთიაშვილი ქ. (2019) ქართული ხილის ბაზაზე დამზადებული არომატიზირებული ღვინოების თვისებების შესწავლა, სამაგისტრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
27. ხუცაიძე ვ. (2015) სუფრის მშრალი ღვინოების დამზადება ზოგიერთი იშვიათი ქართული ჯიშის ყურძნისაგან და მათი თვისებების კვლევა, სამაგისტრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
28. სიდონაშვილი ს. (2024) ”მშობლიური” კულტურული საფუარის როლი ღვინის ხარისხობრივი მაჩვენებლების ჩამოყალიბებაში, სამაგისტრო ნაშრომი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თელავი
29. Vepkhishvili N., Sidonashvili S., Buishvili G., Shavadze L., Shildelashvili I. (2024) The role of „native“ cultured yeas in the formation of quality indicators of wine. Proceedings of 6th International Scientific Conference „Foundations and Trends in Modern Learning“, Berlin, Germany
30. info@wine.gov.ge

Abstract

Since the beginning of XXI century, Georgian winemaking has experienced many fluctuations. The embargo implemented by Russia on Georgia became the most important reason why Georgian wine sought key markets in European, Asian and American countries. In order to provide different quality products to new customers, it was necessary to revive traditional winemaking, modernize technologies and introduce certain innovations, as well as to diversify the Georgian wine assortment with new products.

Large wine companies and newly established family wineries faced these challenges. It became obvious that a new joint word should be mentioned by the scientists and workers as well as the practitioners and specialists of this field who create innovative technologies and products.

In this Article, we are talking just about the joint activities and relations that have been formed in the last decade between Iakob Gogebashvili Telavi State University on the one hand and Kakheti wine companies and family wineries on the other hand.

"Shumi", "Schuchmann-Wines-Georgia", "Kindzmarauli", "Askaneli Brothers", "Besini", "Buera", "Khareba", "GWS", "Shilda", "Vepkhishvili Family Winery", "Shakarashvili Family Winery", "Iumi", "Gomurashvilebi" LTD "Gorgora"... - this is an incomplete list of the companies and wine cellars where number of innovations were introduced, the existing technologies of wine production were improved, foreign and traditional methods were combined, new brands with no analogies were created with the participation of Telavi State University students and professors.

Georgian wine has diversified as a result of joint activities; Immediately after its creation, alcoholic beverages became popular: "Simonaseuli", "Zigu", "Shobili", "Barbale", "Kagor", "Ilerco", "Kavkasioni", "Aromatized Vodkas", "Kvevri Kindzmarauli", "Tamaris Vazi", Liqueur "25/25", "Grape Vodka" "Oak-aged Grape Vodka" "Yumi", "Telavi Liqueurs", "Georgian Pet-Nat", "Amphor Usakhelouri" and others; Kakhuri Churchkhela (Kakhetian candy), useful for health, was produced with the jointly developed innovative technology; own cultural yeasts endemic to Georgian classical wines were bred.

The new brands listed above were not only manufactured, but also studied from a scientific point of view: according to the organoleptic and physico-chemical properties, antioxidant activity and the content of health-beneficial substances.

Thus, the article shows one of the effective ways of creating innovations in the Georgian wine industry - the close relationship between science and business.

Key words: TeSaU, wine, wine company, science, business.

ნიადაგის ჰიდრომელიორაციული პრობლემები კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე

კველიშვილი მანანა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
<https://orcid.org/0009-0005-0785-3553>

შავაძე ლევან

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
<https://orcid.org/0000-0002-6521-2747>

სულხანიშვილი ნიკოლოზ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნადირაძე თამარ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.05>

აბსტრაქტი. წყალი ნიადაგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საკმაოდ მობილური შემადგენელი ნაწილია. წყლის მონაწილეობით ხორციელდება გამოფიტვის, ორგანული ნარჩენების ჰუმინფიკაციის და მინერალიზაციის პროცესები. წყალი ნიადაგში წარმოდგენილია ნიადაგური ტენის რამდენიმე სახით, რომელიც წარმოადენს მიკროორგანიზმების და უმაღლესი მცენარეების სიცოცხლის საფუძველს. მცენარეების და ნიადაგური მიკროორგანიზმების ნორმალური განვითარება შეუძლებელია ტენის საკმარის რაოდენობის გარეშე. 1 გრამი მშრალი ნივთიერების შესაქმნელად მცენარე ხარჯავს 200-დან 1000-გრამამდე წყალს.

ნიადაგში ტენის დინამიკა დამოკიდებულია ნიადაგურ ტიპსა და ნიადაგთწარმოქმნის პროცესზე. ალუვიური ნიადაგები ყოველთვის გამოირჩეოდა ტენის განსაკუთრებული შემცველობით, რაც განაპირობებდა ამ ნიადაგზე მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანას.

კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ გარკვეული კითხვის ნიშნები გააჩინა ნიადაგის ტენის დინამიკის მიმართ, ტენის არარაციონალური რაოდენობის და არათანაბარი გადანაწილების შედეგად მივიღეთ ზოგიერთ ნიადაგში ტენის მნიშვნელოვანი დეფიციტი, ხოლო ზოგიერთში კი- სიჭარბე.

სამეცნიერო კვლევის მიზანია ალუვიურ ნიადაგზე ტენის რაოდენობის განისაზღვრა. ტენის რაოდენობის მიხედვით კი განისაზღვრა ნიადაგში ტენის მარაგი და

ფორმები. ამის შედეგად კი დადგინდა ნიადაგში როგორც ფაქტიური ტენის რაოდენობა, ასევე მაქსიმალურ მოლეკულური და მაქსიმალურ ჰიგროსკოპიული წყლის რაოდენობა.

ტენის აღნიშნული ფორმების და მარაგის განსაზღვრის შედეგად განისაზღვრა თუ რა რაოდენობის ტენია საჭირო ალუვიური ნიადაგის ტენით სრული უზრუნველყოფისათვის. ალუვიურ ნიადაგზე შესწავლილ იქნა ერთწლიანი (ხორბალი, სიმინდი) და მრავალწლიანი (ვაზი ზრდასრული და ნერგი) კულტურების მოთხოვნილება ტენზე, განისაზღვრა ამ კულტურების ჯენობის ტენი და ბოლოს საირიგაციოდ საჭირო ტენის რაოდენობა.

ნიადაგის წყლის ნორმების განსაზღვრამდე აღწერილ იქნა ალუვიური ნიადაგის ჭრილი განსხვავებული მდებარეების მიხედვით, შესწავლილ იქნა აღნიშნული ნიადაგების ფიზიკო-ქიმიური მონაცემები. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია საირიგაციო წყლის ნორმები და ირიგაციის განხორციელების ვადები მარცვლეულ და ვაზის კულტურისათვის. ეს მონაცემი შეიცვალა კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე.

საკვანძო სიტყვები: ირიგაცია, ნიადაგი, ტენი, მცენარე, მოსავალი

წყალი ნიადაგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საკმაოდ მობილური შემადგენელი ნაწილია. წყლის მონაწილეობით ხორციელდება გამოფიტვის, ორგანული ნარჩენების ჰუმფიკაციის და მინერალიზაციის პროცესები. ნიადაგური ტენი წარმოადენს მიკროორგანიზმების და უმაღლესი მცენარეების სიცოცხლის საფუძველს. მცენარეების და ნიადაგური მიკროორგანიზმების ნორმალური განვითარება

შეუძლებელია ტენის საკმარის რაოდენობის გარეშე. 1 გრამი მშრალი ნივთიერების შესაქმნელად მცენარე ხრჯავს 200-დან 1000-გრამამდე წყალს. ნიადაგში ტენის დინამიკა დამოკიდებულია ნიადაგურ ტიპსა და ნიადაგთწარმოქმნის პროცესზე. ალუვიური ნიადაგები ყოველთვის გამოირჩეოდა ტენის განსაკუთრებული შემცველობით, რაც განაპირობებდა ამ ნიადაგზე მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანას. ნიადაგთწარმოქმნაში წყლის მნიშვნელობა იმდენად არსებითია, რომ მეცნიერები მას ორგანიზმის სისხლს ადარებენ. მცენარეები მგრძობიარენი არიან ნიადაგში წყლის უკმარისობისადმი ან მისი სიჭარბისადმი. წყლის ნაკლებობის დროს დაბლა ეცემა უჯრედის ტურგორული წნევა, უჯრედები კარგავენ ელასტიურობას, მკვეთრად ეცემა ყველა ბიოქიმიური პროცესის დინამიკა, ფოთლების ბაგეების მიერ მცირდება ნახშირორჟანგის შეთვისება, მცენარის ბიომასაში გროვდებიან ინჰიბიტორები. ეს იწვევს მცენარეთა სიცოცხლისუნარიანობის მკვეთრ შემცირებას. წყლის სიჭარბის დროს მცენარეებში ირღვევა ჟანგბადის გაცვლის რეჟიმი და ნიადაგში გროვდებიან ტოქსიკური აღდგენილი ნივთიერებები.

კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ გარკვეული კითხვის ნიშნები გააჩინა ნიადაგის ტენის დინამიკის მიმართ, ტენის არარაციონალური რაოდენობის და არათანაბარი გადანაწილების შედეგად მივიღეთ ზოგიერთ ნიადაგში ტენის მნიშვნელოვანი დეფიციტი, ხოლო ზოგიერთში კი- სიჭარბე. თელავის მუნიციპალიტეტში მოსულმა უხვმა ნალექმა, რომელიც წლის სეზონების მიხედვით საკმაოდ არათანაბრად გადანაწილდა, გარკვეული გამოწვევის წინაშე დააყენა ფერმერული მეურნეობები. შესაძლებელია შეიცვალოს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროტექნოლოგიური რუკები, ამავე დროს დარგი დგება ახალი აუცილებლობის წინაშე რათა შეიცვალოს ირიგაციის ვადები ახალი სქემის მიხედვით. კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე არ არის შესწავლილი ალუვიური ნიადაგების ტენის დინამიკა, მაშინ ტენის გადანაცვლების სახეები, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსავლის მისაღებად.

კვლევის მიზანია ალუვიურ ნიადაგზე განისაზღვროს ტენის რაოდენობა. ტენის რაოდენობის მიხედვით განისაზღვროს ნიადაგში ტენის მარაგი და ფორმები. ამის მიხედვით დადგინდეს ნიადაგში როგორც ფაქტიური ტენის რაოდენობა, ასევე მაქსიმალურ მოლეკულური და მაქსიმალურ ჰიგროსკოპიული წყლის რაოდენობა. ტენის აღნიშნული ფორმების და მარაგის განსაზღვრის შედეგად განისაზღვრება თუ რა რაოდენობის ტენია საჭირო ალუვიური ნიადაგის ტენით სრული უზრუნველყოფისათვის. ალუვიურ ნიადაგზე შესწავლილ იქნა ერთწლიანი (ხორბალი, სიმინდი) და მრავალწლიანი (ვაზი ზრდასრული და ნერგი) კულტურების

მოთხოვნილება ტენზე, განისაზღვრა ამ კულტურების ჭკნობის ტენი და ბოლოს საირიგაციოდ საჭირო ტენის რაოდენობა. პროექტის განხორციელების პერიოდში განისაზღვრა მცენარის (ერთწლიანი და მტრავალწლიანი) მიერ შეთვისებული ტენის რაოდენობა მისი განვითარების სხვადასხვა ფაზებში. ასევე განისაზღვრა მოსავალში შეთვისებული ტენის რაოდენობა, რომელზეც დამოკიდებულია მოსავლის უსაფრთხო შენახვა.

კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ნიადაგის ფიზიკურ და ქიმიურ შედგენილობაზე (შეიცვალა ზოგირთი ნიადაგის ტიპი), რამაც თავისი ასახვა ჰპოვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. დღეის მონაცემებით შემოდგომა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა უხვი ნალექით და დაბალი ტემპერატურით, ხასიათდება გვალვით და შეუსაბამოდ მაღალი ტემპერატურით, რაც უარყოფითად აისახება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა აგროტექნოლოგიაზე, შემცირებულია მცენარის ვეგეტაცია და შესაბამისად მოსავალიც.

N1 ცხრილში წარმოდგენილია თელავის მუნიციპალიტეტის მეტეოროლოგიური მონაცემები ბოლო 4 წლის განმავლობაში, ცხრილში მოცემულია კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე როგორ ხასიათდება ნიადაგი თავის ტენის შემადგენლობის მიხედვით.

თელავის მუნიციპალიტეტის მეტეოროლოგიური მონაცემები
(საშუალო მნიშვნელობები)

2021 წელი													
თვეები	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	საშუალო წლიური მონაცემები
ტემპერატურა °	2.0	0.4	3.7	9.9	17.4	20.5	21.9	23.5	18.6	12.9	6.7	6.0	12.0
ტენი მმ	21.7	71.6	43.7	120.1	38.9	79.2	75.1	24.5	24.7	75.6	34.6	60.9	670.6
2022 წელი													
თვეები	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	
ტემპერატურა °	1.2	2.6	4.2	12.3	18.0	23.4	25.0	23.5	18.6	12.9	6.7	6.0	12.9
ტენი მმ	60.3	77.9	85.0	36.0	42.7	83.0	19.9	87.6	50.0	102.8	62.9	34.4	642.5
2023 წელი													
თვეები	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	
ტემპერატურა °	3.8	2.6	6.4	15.1	16.4	23.2	33.9	35.0	29.3	14.0	9.1	5.2	16.2
ტენი მმ	0	17.3	209.3	385.3	265.8	97.3	47.5	21.4	14.5	17.6	0	9.3	1087.3
2024 წელი													
თვეები	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	
ტემპერატურა °	10.6	3.3	9.8	16.0	19.9	21.1	26.3	25.8	20.3	10.6	4.8		14.04
ტენი მმ	0.0	23.0	0.0	205.0	221.0	116.0	11.8	6.4	72.7	30.8	83.0		769.7

ნიადაგი ადგილმდებარეობა	სიღრმე სმ-ით	დიამტრი მმ-ობით					
		1-0,25	0,25- 0,05	0,05- 0,001	0,01- 0,005	0,005- 0,001	0,001
ს. გულგულა	0-20	0,21	1,70	31,92	10,85	18,24	40,08
	20-45	0,15	5,28	29,11	22,45	15,30	27,75
	45- 60	0,30	2,08	14,76	17,33	22,30	53,23
	60-80	0,17	0,05	14,10	10,12	22,50	53,06

N1 ცხრილის მონაცემების მიხედვით 2023 და 2024 წლის გაზაფხული წარმოდგენილია უხვი ნალექით, რომელიც განაწილებულია არათანაბრად, კერძოდ ყველაზე მეტი ნალექი 2023 წელს შეინიშნება მარტში, აპრილსა და მაისის თვეში. აღნიშნულ თვეებში მოსული ნალექების ჯამი წარმოადგენს წლის ნალექის 79%-ს.

2024 წლის მონაცემების მიხედვით კი ყველაზე მეტი ნალექი შეინიშნებოდა

აპრილში, მაისსა და ივნისის თვეში. აღნიშნულ თვეებში მოსული ნალექების ჯამი წარმოადგენს წლის ნალექის 71%-ს.

რაც შეეხება ზაფხული თვეების ნალექებს შეინიშნება მკვეთრი შემცირება, 2023 წლის ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვეების ნალექების ჯამი წლის ნალექების 15.3%-ია. 2024 წლის ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვეების ნალექების ჯამი წლის ნალექების 17%-ია. მიღებული შედეგი წარმოდგენას გვაძლევს რამდენად აუცილებელია წარმოდგენილ ალუვიურ ნიადაგზე ირიგაციის ჩატარება.

ატმოსფერული ნალექების არათანაბარმა განაწილებამ პრობლემა შეუქმნა განსაკუთრებით საშემოდგომო ხორბალს და ვაზის კულტურას. საშემოდგომო ხორბალი გაღვივებისა და აღმოცენებისათვის საჭიროებს მთლიანი ტენის 70-90 %-ს რაც წარმოდგენილი ნალექების ხარჯზე შეუძლებელია. 2023 წლის შემოდგომის თვეების (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი) განმავლობაში მოსული ატმოსფერული ნალექები მთლიანი წლის ნალექების 3%-ია, ხოლო 2024 წლის შემოდგომის თვეების (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი) განმავლობაში მოსული ატმოსფერული ნალექები მთლიანი წლის ნალექების 24%-ია.

ნიადაგის ტენით უზრუნველყოფას განსაზღვრის მისი მექანიკური და ქიმიური შედგენილობა, ამიტომ განისაზღვრა საკვლევი ალუვიური ნიადაგის მექანიკური და ქიმიური შედგენილობა.

ალუვიური ნიადაგის მექანიკური შედგენილობა. ცხრილი N2

ნიადაგი არის მსუბუქი მექანიკური შედგენილობის, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ტენის დინამიკაზე. ფორების სიდიდის და მსუბუქი ნაწილაკების მაღალი შედგენილობის გამო (0.001მმ ზომის ნაწილაკები სახნავ ფენაში 40.08) ერთბაშად მოსული უხვი ნალექი დიდხანს არ ჩერდება ნიადაგში.

ალუვიურ ნიადაგზე განისაზღვრა აგრეთვე ნიადაგის ქიმიური შედგენილობა, რომლის მონაცემებიც განთავსებულია N3 ცხრილში. ცხრილის მიხედვით ნათლად ჩანს წვრილმიწის SiO₂ -ის მაღალი შემცველობა სახნავ ფენაში.

ნიადაგის ქიმიური შედგენილობის მონაცემები ცხრილი N3

ნიადაგი ადგილმდებარეობა	სიღრმე სმ-ით	PH	SiO ₂	Fe ₂ O ₃	P ₂ O ₅	K ₂ O	CaO	MgO	Al ₂ O ₃
ს. გულგულა ალაზნის მარჯვენა სანაპირო	0-10	7,2	66,7	7,87	0,45	7,14	3,41	2,01	6,07
	30-40	7,4	67,7	6,93	0,38	7,08	3,86	1,74	6,15
	40-60	7,6	61,7,	7,35	0,38	8,2	6,03	3,29	10,41
	60-90	7,6	61,7	7,30	0,01	8,0	6,14	3,31	10,56

ნიადაგის ქიმიური შედგენილობა გარკვეულ გავლენას ახდენს ნიადაგის ტენის დინამიკაზე, განსაკუთრებით ნიადაგის ტენტევადობაზე და ტენგამტარობაზე.

ნიადაგში არსებობს შემდეგი სახის ტენი: მაქსიმალური ჰიგროსკოპული ტენი (მჰ), ჰკნობის ტენი (ჰტ), კაპილარული კავშირის წყვეტის ტენი (კწტ), უმცირესი ტენტევადობა (უტ) და სრული ტენტევადობა (სტ).

კვლევის დროს განვსაზღვრეთ ალუვიური ნიადაგის ტენის ფორმები საირიგაციო პერიოდისათვის, რათა დაგვედგინა რამდენად შეიცვალა საირიგაციო წყლის ნორმები სავეგეტაციო პერიოდის შესაბამისად.

გამოკვლეული ნიადაგის წყლოვან-ფიზიკური მდგომარეობა ცხრილი N 4

ნიადაგი ადგილმდებარეობა	სიღრმე სმ-ით	% ნიადაგის მოცულობიდან					წყალგამტარობა 5 საათში მმ
		მჰ	ჰტ	კწტ	უტ	სტ	
ს. გულგულა ვენახის ნიადაგი	0-20	9.20	13.80	23.6	36.9	55.4	122
	20-40	10.70	16.05	22.8	34.6	52.0	87
	40- 50	9.30	16.95	22.2	33.4	50.1	65
	50-70	9.00	13.50	23.6	32.3	48.4	47
	70-100	9.30	13.80	22.8	31.3	47.0	46
ს. გულგულა მარცხეულის ნიადაგი	0-20	4,6	6,9	4,2	6,3	53.2	152
	20-40	5,5	8,25	5,1	7,65	51.4	112
	40- 50	7,8	11,7	7,4	11,1	50.0	88
	50-70	9,6	14,4	9,2	13,8	48.1	50
	70-100	10.6	14.2	9.6	14.2	48.1	47

გულგულის ალუვიური ნიადაგის ირიგაციის საჭიროების დადგენა დაკავშირებულია ბუნებრივ პირობებთან და განსაკუთრებით, მის წყლის რეჟიმთან. წყლის რეჟიმის შეფასება მოხდა „ტერიტორიის წყლის ბალანსის კოეფიციენტი“, რომელიც განვსაზღვრეთ ფორმულით:

$$K = \frac{\mu P}{E}$$

სადაც: P - არის განსახილველ (საანგარიშო) პერიოდში მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, მმ;

μ - წყლის დაკავების კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი წყლის დაკავება შეუძლია ნიადაგს მოსული ნალექის დროს;

E - ამავე პერიოდში ნიადაგიდან აორთქლებული წყლის რაოდენობა, მმ.

2024 წლის განმავლობაში მოსული ნალექების რაოდენობა იყო 769.7 მმ, ხოლო საანგარიშო პერიოდში -134.2, შესაბამისად განისაზღვრა წყლის დაკავების კოეფიციენტი და მივიღეთ 0,54 (იმის გათვალისწინებით, რომ სექტემბერში შეინიშნებოდა თქეში ნალექი კოეფიციენტზე მივიღეთ დაბალი, თუმცა ნიადაგის კარგად იყო დამუშავებული).

ნიადაგის მიერ წყლის ხარჯვა დაახლოებით უდრის:

$$E = 100t \left(1 - \frac{r}{100} \right) \text{ მმ}$$

სადაც: t არის საანგარიშო პერიოდის საშუალო ტემპერატურა- 23.4°C

r - ამ პერიოდის დამახასიათებელი ფარდობითი ტენიანობა

მელიორაციული ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა განისაზღვრა შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$K = \frac{\sum P}{\sum t: 100}$$

სადაც: $\sum P$ არის- საანგარიშო პერიოდში ნალექების ჯამი, 134.2 მმ;

$\sum t$ - ამავე პერიოდის საშუალო დღე-ღამური ტემპერატურების ჯამი, 23.4 °C.

გამოთვლებმა აჩვენა, რომ $K = 0.06$, რაც გვამბობს საშუალებას, რომ ვთავაზობთ ნიადაგი არის განსაკუთრებით მშრალი და საჭიროებს რწყვას. რადგან გათვლილია, რომ მშრალი, განსაკუთრებით სარწყავი ზონისათვის $K < 0,6$

სარწყავი წყლის გამოყენების რეჟიმი ძირითადად დამოკიდებულია: სარწყავი წყლის წყაროს რეჟიმზე, სარწყავი ქსელის მდგომარეობაზე, მოსაყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჩამონათვალზე, თესლბრუნვაზე, აგროტექნიკაზე.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის რეჟიმი განისაზღვრება ჯამური წყალმოთხოვნილებით, მორწყვის, სარწყავი ნორმების დადგენით, მორწყვის ვადების დადგენით, რწყვათა რაოდენობის დადგენით.

მცენარის კომფორტული ზრდა-განვითარებისათვის არსებობს ნიადაგის ტენიანობის საკმაოდ შეზღუდული ინტერვალი - ზღვრული ტენიანობის 20-30 %, რომლის დაცვა აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დროს; ე.ი. თუ გვსურს მივიღოთ მაქსიმალური მოსავალი, ტენის რაოდენობა ნიადაგში მთელი ვეგეტაციის პერიოდში, უნდა მერყეობდეს ზღვრული წყალტევადობისა და მისი 70-80 %-ის ფარგლებში, ხოლო როდესაც ტენი ნიადაგში შემცირდება ზღვრული წყალტევადობის 70-80 %-მდე, ყოველთვის უნდა ჩატარდეს რწყვა. ჩვენს შემთხვევაში სავეგეტაციო პერიოდის ტენის პროცენტული მაჩვენებელი 2023 წელს მარცვლეულისათვის იყო 35.2%, ვაზის კულტურისათვის კი-95.8%, გამოიკვეთა, რომ ალუვიური ნიადაგი, სადაც გავრცელებულია მარცვლეული კულტურები საჭიროებს მორწყვას, ხოლო ვაზის კულტურის ალუვიური ნიადაგი არ საჭიროებს მორწყვას. 2024 წელს ტენის პროცენტული მაჩვენებელი მარცვლეულისათვის იყო 60.8%, რაც ნიშნავს, რომ უნდა განხორციელდეს ირიგაციის პროცესი. ვაზის კულტურისათვის პროცენტული მაჩვენებელი 2024 წლისთვის იყო- 15.4% რაც ნიშნავს, რომ უნდა

განხორციელდეს ირიგაციის პროცესი. სავეგეტაციო პერიოდის დასაწყისში უნდა შეფასდეს ნიადაგში არსებული გამოსაყენებელი წყლის მარაგი და განისაზღვროს დამატებითი წყლის მიწოდების აუცილებლობა და მოცულობა დამოკიდებულებებით. საშემოდგომო ხორბლის კულტურისათვის რთული მდგომარეობაა შემოდგომის თვეების ნალექების კუთხით, რადგან ამ დროს ხდება მცენარის თესლის გაჯირჯება და აღმოცენება, რომელსაც ესაჭიროება სავეგეტაციო ტენის 30%. 2023 წელს ხორბლის ნათესებისათვის შემოდგომის თვეების ნალექების პროცენტული რაოდენობა იყო 23.2%, ხოლო 2024 წლის ხორბლის ნათესებისათვის შემოდგომის თვეების ნალექების პროცენტული რაოდენობა კი -5.5%.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილება ბუნებრივ პირობებში შეიძლება დაკმაყოფილებული იქნას ნიადაგში არსებული ტენისა და ატმოსფერული ნალექების ხარჯზე, მაგრამ გვალვიან პერიოდებში ტენის ეს რაოდენობა ხშირად საკმარისი არ არის და ამიტომ საჭიროა რწყვის ჩატარება.

წყლის რაოდენობა, რომელიც უნდა მიეწოდოს 1 ჰა ფართობს მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში არის სარწყავი ნორმა, რომელიც განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$M=100H\alpha (r_{\text{ზღ}} - r_{\text{ზღ}} 80\%)\text{მ}^3 / \text{ჰა}$$

სადაც: H - არის ნიადაგის აქტიური ფენა, სადაც გავრცელებულია მცენარის ფესვთა სისტემის ძირითადი ნაწილი., მარცვლეული კულტურებისათვის ის ტოლია 0.8 მ;

$r_{\text{ზღ}}$ - ზღვრული ტენტევადობა, %; მარცვლეული კულტურებისათვის ის ტოლია 53.2 %

$r_{\text{ზღ}} 80\%$ - რწყვის წინ ნიადაგში დასაშვები ტენის რაოდენობა, %, მარცვლეული კულტურებისათვის ის ტოლია 28.3 %

ჩვენი კვლევის შემთხვევაში ნიადაგის ტენით უზრუნველყოფისათვის გრუნტის წყლის მოქმედება არ ფიქსირდება, იმისათვის, რომ მცენარემ გამოიყენოს გრუნტის წყალი, მისი დგომის მაქსიმალური სიმაღლე უნდა იყოს 3 მეტრი, რაც ჩვენი პირობებისათვის მიუღებელია.

მცენარის მიერ გრუნტის წყლის გამოყენება ცხრილი N5

გრუნტის წყლის დონე ნიადაგის ზედაპირიდან, მ	გამოყენებული წყალი, მ ³ /ჰა	
	მტკნარი სუსტად დამლაშებული	მტკნარი სუსტად დამლაშებული
1.0	2 500	900
1.5	1 500	800
2.0	800	600
2.5	400	300
3.0	100	0

გამოყენებული მონაცემების მიხედვით აღმოჩნდა, რომ 2024 წლის მარცვლეული კულტურებისათვის $M=100 \times 0.8 \times 1.03 (53.2 - 28.3) \text{მ}^3 / \text{ჰა}$

$$M= 2051.76 \text{მ}^3 / \text{ჰა}$$

აქედან გამოსაყენებელი წყლის 30% -615.53 მ³/ჰა გამოყენებულ უნდა იქნეს შემოდგომის ვეგეტაციის პირობებში.

რაც შეეხება ვენახის ალუვიური ნიადაგის სარწყავი ტენის რაოდენობას შეადგენს:

$$M=100 \times 0.8 \times 1.03 (55.4 - 39.8) \text{ მ}^3 / \text{ჰა}$$

$$M= 1285.44$$

კვლევის შედეგებმა აჩვენა თუ რამდენად აუცილებელია ირიგაციის ჩატარება მარცვლეული კულტურებით და ვენახით დაფარულ ალუვიურ ნიადაგზე. კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ გამოიწვია ირიგაციის ვადების ცვლილება. საქართველოში არც ერთ სავეგეტაციო წელს არ განხორცილებულა ირიგაცია შემოდგომის თვეების განმავლობაში, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ მარცვლეული კულტურების სრული მოსავლის მოსაღებად აუცილებელია ალუვიური ნიადაგის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეების განმავლობაში ირიგაციის საშუალებით ტენით უზრუნველყოფა. ამისათვის კი აუცილებელია ამ თვეების განმავლობაში ჰექტარზე გამოყენებულ იქნას 615.53 მ³/ჰა წყალი. ვაზის კულტურის შემთხვევაში კი ირიგაცია ძირითადად ზაფხულის თვეებში განხორციელდება 1285.44 მ³/ჰა რაოდენობის წყლით.

ლიტერატურა:

1. ხარაიშვილი,ო., მეზონია,ნ., ახვლედიანი,ლ., (2023). საქართველოს სარწყავი რეგიონების ირიგაციული მაჩვენებლების და რწყვის საჭიროების დადგენა მუნიციპალიტეტების მიხედვით. თბილისი, სტუ გამომცემლობა;
2. ურუშაძე,თ., ბაჯელიძე,ა., ლომინაზე, შ., (2011). ნიადაგთმცოდნეობა. ბათუმი, გამომცემლობა ბსუ;
3. ურუშაძე,თ., მაჭავარიანი, ლ., (2011). პრაქტიკული ნიადაგთმცოდნეობაში. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი;
4. ტყეშუჩავა, ზ., სამადაშვილი, ც., ცაგურიშვილი, გ., გათენაძე, ა. (2008). სოფლის მეურნეობის საფუძვლები I ნაწილი. თბილისი: გამომცემლობა საქართველოს სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტი,
5. მინდელი,კ., გუნთაიშვილი, ლ., მაჭავარიანი, ნ., კირვალიძე, დ., გამსახურდია,(2011) ნიადაგთმცოდნეობის პრაქტიკულ-ლაბორატორიული სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა საქართველოს სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტი.

Kevlishvili Manana

LEPL Iakob Gogebashvili Telavi State University

Shavadze Levan

LEPL Iakob Gogebashvili Telavi State University

Sulkhanishvili Nikoloz

LEPL Iakob Gogebashvili Telavi State University

Nadiradze Tamar

LeLP Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

Water is one of the most important and highly mobile components of soil. The processes of weathering, humification and mineralization of organic waste are carried out with the participation of water. Water is present in the soil in several forms of soil moisture, which is the basis for the life of microorganisms and higher plants. Normal development of plants and soil microorganisms is impossible without sufficient moisture. To produce 1 gram of dry matter, a plant uses from 200 to 1000 grams of water.

The dynamics of moisture in the soil depends on the soil type and the soil formation process. Alluvial soils have always been distinguished by their exceptional moisture content, which has led to the cultivation of many types of agricultural crops on this soil.

Global climate change has raised some questions about soil moisture dynamics, as a result of the irrational amount and uneven distribution of moisture, we have experienced a significant moisture deficit in some soils, and an excess in others.

The goal of the scientific research is to determine the amount of moisture in alluvial soil.

The amount of moisture in the soil was used to determine its moisture reserves and forms.

As a result, the actual moisture content, as well as the maximum molecular and maximum hygroscopic water content, was determined in the soil.

As a result of determining the above-mentioned forms and reserves of moisture, it was determined how much moisture is needed to fully provide alluvial soil with moisture. The moisture requirements of annual (wheat, corn) and perennial (adult and seedling grapevine) crops on alluvial soil were studied, the wilting moisture of these crops was determined, and finally the amount of moisture required for irrigation was determined.

Before determining the soil water standards, the alluvial soil profile was described according to different locations, and the physicochemical data of the mentioned soils were studied.

The scientific paper discusses irrigation water norms and irrigation implementation dates for grain and grape crops. This data has changed in light of global climate change.

Keywords: *irrigation, soil, moisture, plant, crop.*

საკუთარი კულტურული საფუარი - ქართული ღვინის
იდენტურობის მიღწევის ეფექტური საშუალება

სიდონაშვილი სოფიკო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბატიაშვილი შალვა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.06>

დაფინანსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ {გრანტის ნომერი - MR – 23- 306 }

აბსტრაქტი. მეღვინეობა ოდითგანვე წამყვანი ეკონომიკური დარგი იყო საქართველოში, საფერავი კი უძველესი სამეწარმეო ჯიშის ყურძენი, რომლისგანაც დამზადებულ ღვინოს მაღალი ღირებულების თვისებები გააჩნია: ტექნოლოგიური, კომერციული თუ სამედიცინო თვალსაზრისით.

როგორც წესი, ერთი ჯიშისგან დამზადებულ, სხვადასხვა ადგილწარმოშობის ღვინოებს განსხვავებული ინდივიდუალობა უნდა ჰქონდეს. ამ კანონზომიერებას არღვევს გასული საუკუნის ბოლოს ყურძნის დასადულებლად საქართველოში მასობრივად შემოტანილი და დღესაც აქტიურად გამოყენებადი უცხოური კომერციული მშრალი საფუარი, რომლის „წყალობით“, შთანთქმულია ღვინის ინდივიდუალობა და გაერთგვაროვნებულია სხვადასხვა ადგილწარმოშობის ღვინის თვისებები. გარდა ამისა, უცხოურ ვალუტაზე ძვირად შეძენილი საფუარების გამოყენების გამო, გაზრდილია ქართული ღვინოების თვითღირებულებაც, რაც ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის, კომერციული თვალსაზრისით.

პირველად ქართული მეღვინეობის ისტორიაში, პროდუქციის ხარისხზე ორიენტირებულ „მეღვინეობა შუმში“ მოსინჯულ იქნა ამ გამოწვევის გადაჭრის გზა: თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის მეცნიერთა თანადგომით, საფერავის სამი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისათვის - მუკუზანი, ქინძმარაული, ნაფარეული - ბუნებრივ საფუარზე დადულებული ღვინის ლექში არსებული ველური საფუარებისაგან გამოიყო და გასუფთავდა *Saccharomyces cerevisiae*-ს დომინანტი წმინდა შტამები, ანუ, დამზადდა საკუთარი კულტურული საფუარები. ამ საფუარებზე დღეს „შუმი“ ამზადებს განსაკუთრებულად მაღალი ხარისხის „მუკუზანს“, „ქინძმარაულს“, „ნაფარეულს“.

სამაგისტრო სამეცნიერო კვლევაში კი, რომლის შედეგები მოტანილია წინამდებარე სტატიაში, პირველად ჩატარდა ამ სამი მიკროზონის საფერავის ყურძნისაგან, თავისივე კულტურულ შტამებზე დაყენებული ღვინოების თვისებების ფუნდამენტური შესწავლა:

- 1) ბიოქიმიური ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით;
- 2) ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებებისა (ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ანტიოქსიდანტები)
- 3) ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების (რადიონუკლიდები) შემცველობის მიხედვით;
- 4) ორგანოლექტიკური მახასიათებლების მიხედვით;

ახლადგამოყვანილ საფუარებზე დამზადებული ღვინოები შედარდა იმავე ნედლეულისაგან კომერციული საფუარით დამზადებულ ღვინოებს. დადგინდა, რომ საკუთარ საფუარზე დამზადებული ღვინოების სხვადასხვა ხარისხობრივი მაჩვენებელი არ ჩამოუვარდება უცხოურ კომერციულ საფუარზე დამზადებული ღვინოების ანალოგიურ მაჩვენებლებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, უკეთესია მათზე.

მაღალი აქტუალობისა და ქართული მეღვინეობისათვის დიდი მნიშვნელობის გამო, კვლევა დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

საკვანძო სიტყვები: საფუარის წმინდა შტამი, ადგილწარმოშობა, საფერავი, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები, ანტიოქსიდანტობა

შესავალი. 80 საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს მეღვინეობას საქართველოს ტერიტორიებზე, რასაც აქ მოპოვებული უამრავი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს: უძველეს ნივთებს შორის ნაპოვნია თიხის საღვინე ჭურჭლის ნატეხები, მათზე შერჩენილი ღვინის ნაშთი - ღვინის ქვა - და კულტურული ყურძნის წიპწა. ამდენსაუკუნოვანი ისტორიის შედეგი კი არის ის, რომ დღეს საქართველოში 500-ზე მეტი ავტოქტონური ვაზის ჯიშია და რომ გვაქვს ღვინის დამზადების საკუთარი (ქვევრის) ტექნოლოგია, რომელიც IUNESCO-ს მიერ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლადაა აღიარებული.

ღვინო, თავისი მრავალფეროვანი შემადგენლობით, საფუარის ცხოველქმედების შედეგად მიიღება. საფუარის სხვადასხვა შტამი კი, სხვადასხვა ფერმენტული სისტემის მეშვეობით, დუღილის დროს სხვადასხვა ქიმიურ ნაერთს იძლევა და სხვადასხვა საგემოვნო და სამედიცინო თვისებებს აყალიბებს (მარინოვა და სხვ, 2004).

ქართული ენდემური ვაზის ჯიშებისაგან განსაკუთრებული ნიშნებით გამოირჩევა საფერავის ჯიშის ყურძენი და მისგან დამზადებული სუფრის წითელი ღვინოები - მდიდარნი მრავალფეროვანი ორგანოლექტივით, ჯიშური არომატებითა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებების შემცველობით. საფერავი საქართველოს, თითქმის, ყველა კუთხეშია გავრცელებული, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით კახეთში გვხვდება. გარდა მაღალი ტექნოლოგიური ღირსებისა, საფერავს აქვს კომერციული და სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულებაც, ანტიოქსიდანტების სიუხვის გამო..

ქართული მეღვინეობა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მასობრივად გადასული უცხოური მშრალი კულტურული საფუარების გამოყენებაზე (Alexandre, 2004)]. ეს განპირობებულია მათი მოხმარების სიმარტივით, თუმცა, ფაქტია, რომ ყველა ჯიშისა და ადგილწარმოშობის ყურძენთან ერთი და იმავე კულტურული საფუარის გამოყენებას მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგებიც მოაქვს. სახეზეა იმპორტირებულ საფუარზე დაყენებული სხვადასხვა ადგილწარმოშობის ღვინოების ერთფეროვანი ხასიათი და მაღალი თვითღირებულება.

პროდუქციის ხარისხზე ორიენტირებულმა კომპანიამ „მეღვინეობა შუმი“ 2020-2022 წლებში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა და ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის მიკრობიოლოგებთან თანამშრომლობით, საფერავისაგან წარმოებული სამი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისათვის, პირველად საქართველოში, *Saccharomyces cerevisiae*-ს ველური შტამებისაგან, შესაბამისი „მშობლიური“ წმინდა კულტურები გამოიყვანა: ღვინო „მუკუზნისათვის“ - საფუარი „მუკუზანი“, ღვინო „ნაფარეულისათვის (წითელი)“ - საფუარი „ნაფარეული“, ღვინო „ქინძმარაულისათვის“ - საფუარი „ქინძმარაული“.

იქვე, ბელგიელი კოლეგების მიერ ჩატარებული პჯრ-კვლევით (collection, 2010) დამტკიცდა, გამოყვანილი *Saccharomyces cerevisiae*-ს ამ სამი წმინდა შტამის აბსოლუტური განსხვავებულობა დნმ-ის მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა მიკროზონას სხვადასხვა საფუარის ბიოტა აქვს.

„შუმმა“ გასულ წელს უკვე სცადა საკუთარ კულტურულ საფუარზე ღვინოების წარმოება ტერუარის (წარმოშობის გარემოს, როგორც ამას ჰიუ ჯონსონი უწოდებს) მიხედვით. საქართველოში არ გვაქვს ტერიტორიების ტერუარული დაყოფა, არამედ აქ გვაქვს მევენახეობის ზონები, ქვეზონები, მიკროზონები.

ეს არის ინოვაცია ქართულ მეღვინეობაში - ადგილწარმოშობის ღვინისათვის საკუთარი საფუარის გამოყენება. საფუარი ტერუარის სრულფასოვანი წარმომადგენელია ყურძნის ჯიშთან, ვენახთან, კლიმატთან, ტრადიციებთან, მცენარეებთან ერთად. და ყველა ერთად ქმნის ე.წ. „ტერუარის (წარმოშობის გარემოს) ეფექტს“, ყველაფერი ეს კი - არომატულ პროფილს ღვინოში. შედეგი გასაოცარია - წარმოებული ღვინოები, მართლაც, გამოირჩევა განსაკუთრებულობით. ანუ, არსებობს დადებითი კორელაცია მიკრობულ ნათესაობასა და ღვინის არომატის პროფილს შორის. სხვანაირად, საფუარებს თავიანთი წვლილი შეაქვს ღვინის განსაკუთრებულ ორგანოლეპტიკაში, რაც საუკეთესო პირობაა მეღვინის მთავარი ამოცანის შესასრულებლად: ღვინოში ხაზი გაესვას ტერუარს (ტერუარები ქართულ მიკროზონებს შეიძლება გავუტოლოთ, თუმცა, ეს უკანასკნელნი უფრო დიდ ფართობებზეა გადაჭიმული).

თელავის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ კი გაგრძელდა ექსპერიმენტი - ახალ ქართულ საფუარებზე შესაბამისი ადგილწარმოშობის საფერავისაგან დამზადებული ღვინოების ხარისხობრივი მაჩვენებლების - ქიმიური შემადგენლობის - შესწავლა, რაც პირდაპირ კავშირშია საგემოვნო თვისებებთან. საფერავისგან, ყველა ტიპის წითელი, შესანიშნავი ღვინოების დაყენება შეიძლება - მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი - საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით კი, კახეთში - მისი სრულყოფილად განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში.

საფერავით დაინტერესების მიზეზია, აგრეთვე, საფერავის ღვინის სამედიცინო ღირებულება. ადამიანებში ბევრი დაავადება ასოცირდება თავისუფალი რადიკალების დაგროვებასთან. ანტიოქსიდანტებს შეუძლიათ გაანადგურონ თავისუფალი რადიკალები და შეამცირონ მათი გავლენა. ანტიოქსიდანტები არის ნივთიერებები, რომლებიც ხელს უშლის, წინ ეღობება თავისუფალი რადიკალების მიერ ელექტრონების წართმევით უჯრედებზე ზიანის მიყენებას. ამასთან, თავისუფალ რადიკალებს ნარჩენ პროდუქტებად აქცევს, რაც გამოიყოფა ორგანიზმიდან (ვეფხიშვილი, 2012).

საფერავი, სწორედ, მაღალი ანტიოქსიდანტური თვისებების მატარებელია.


კვლევის ობიექტები და მეთოდები. კვლევის ობიექტებად გამოყენებულ იქნა 2023 წელს სამ სხვადასხვა მიკროზონაში - ნაფარეული, მუკუზანი, ქინძმარაული - „შუმის“ კუთვნილ ვენახებში მოკრეფილი საფერავისაგან კლასიკური წითელი ტექნოლოგიით ოთხ სხვადასხვა საფუარზე - საკუთარ, ორი უცხოურ და ბუნებრივ (ველურ) საფუარზე - დამზადებული ღვინოები.

საფერავი ყველაზე პოპულარული ქართული სამეწარმეო ვაზის ჯიშია, ფართოდ გავრცელებული არამარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. შედის წითელყურძნიანი ვაზის მსოფლიო ასორტიმენტში, როგორც ერთერთი საუკეთესო, თავისი სამეწარმეო-ტექნოლოგიური თვისებებით.

ექსპერიმენტი ჩატარდა სოფ. იყალთოში მდებარე შპს „გორგორაში“, საექსპერიმენტო ღვინოების ლაბორატორიული კვლევები – „მეღვინეობა შუმში“, შპს „მულტიტესტი“, შპს „ღვინტესტი“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ქრომატოგრაფიულ ცენტრში. ღვინოების მახასიათებელი სიდიდეები განისაზღვრა მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის OIV-ის მიერ დაშვებული, მსოფლიოში აპრობირებული მეთოდებით (collection, 2010). გამოყენებულია ფოტოელექტროკოლორიმეტრული, გაზქრომატოგრაფიული და სპექტროსკოპული მეთოდები. ფენოლური ნაერთები გამოკვლეულ იქნა ფოლინ-ჩოკალტეუს მეთოდით, ანტიოქსიდანტობა - DPPH-მეთოდით; ორგანოლექტიკურად შეფასდა კომპეტენტური დეგუსტატორების მიერ. (Marinova, 2004)

ექსპერიმენტი, შედეგები. საფერავისაგან დღეს საქართველოში დაცული ადგილწარმოშობის დასახელების 12 ღვინო მზადდება. მათ შორის, 10 - კახეთის ზონაში - ქართული მეღვინეობის ცენტრში. კვლევისათვის შეირჩა ნაფარეულის, ქინძმარაულისა და მუკუზნის მიკროზონებში, „შუმის“ კუთვნილ ზვრებში 2023 წელს მოყვანილი საფერავი. მთელი წლის განმავლობაში ცუდი კლიმატური პირობების გამო, 2023 წლის მოსავალი კახეთის ზონაში მასობრივად დაბალი ხარისხის იყო. თუმცა, ექსპერიმენტისთვის, მაინც, დამაკმაყოფილებელი, რადგან ექსპერიმენტის მიზანი იყო არა საუკეთესო ხარისხის ღვინის დამზადება, არამედ ერთსა და იმავე ნედლეულზე სხვადასხვა საფუარით დამზადებული ღვინოების ხარისხობრივი შედარება.

თითოეული ეს მიკროზონა განსხვავებულია მდებარეობით, ექსპოზიციით, ნიადაგური შემადგენლობით. (<https://agrokvkavkaz.ge>)



სურ. 1 ნაფარეულის, მუკუზნისა და ქინძმარაულის მევენახეობის მიკროზონები

თითოეულ მათგანში მოყვანილი საფერავისაგან დამზადებულ ღვინოებსაც სხვადასხვა ნიშნული აქვს:

ცნობილია, რომ ნაფარეულის მიკროზონის საფერავი უმაღლესი ხარისხის მშრალ წითელ ღვინოს იძლევა, რომელსაც გამორჩეული ორგანოლექტიკა და ქიმიური მაჩვენებლები გააჩნია. „შუმის“ ზვრები, თავისი ადგილმდებარეობით ამის უპირობო გარანტიას იძლევა; მუკუზნის მიკროზონის საფერავით საუკეთესო საგემოვნო თვისებების წითელი ღვინო დგება, მითუმეტეს, თუ მუხის კასრშია დავარგებული. ხოლო ქინძმარაულის მიკროზონის თავისებურებაა მდინარეების მიერ ჩამოტანილი ფიქალი ქვებით გამდიდრებული ნიადაგები, რაც საშუალებას იძლევა, ყურძენმა მაღალი შაქრიანობა აიღოს და მაღალი ხარისხის ბუნებრივად ნახევრად ტკბილი წითელი ღვინო დამზადდეს.

ექსპერიმენტისათვის თითოეულ მიკროზონაში მოკრეფილი კლერტგაცილი ყურძენი თანაბარი რაოდენობით განაწილდა ოთხ-ოთხ ჭურჭელში და დადულდა სხვადასხვა საფუარით: (Ribéreau-Gayon and other, 2004)

ერთი - საკუთარი, „შუმში“ ახლადგამოყვანილი, *Saccharomyces cerevisiae*-ს წმინდა შტამებით., მეორე - სპონტანურად, ველურ საფუარზე, და კიდევ ორი - სხვადასხვა კომერციული საფუარით: XPURE და SO.FLAVOR. თითოეული მიკროზონისათვის 4 ვარიანტი, სულ 12 ვარიანტი.

ცხრილი 1. სხვადასხვა ადგილწარმოშობის საფერავის საწყისი კონდიციები:

საფერავის ადგილწარმოშობა	შაქარი გრ/100მლ	ტიტრული მჟავიანობა გ/ლ	pH
ნაფარეული	27,6	8,2	3,1
ქინძმარაული	22,1	7,8	3,2
მუკუზანი	19,1	6,8	3,3

12-ვე ვარიანტი დადულდა ბოლომდე, ერთნაირ გარემო პირობებში (პუტცი, 2018, ჯავახიშვილი, 2009). სადულარი ჭურჭლები, ადგილწარმოშობების მიხედვით, განთავსდა ერთმანეთისაგან იზოლირებულად.



სურ.2 შპს „გორგორას“ მარანში სხვადასხვა საფუარზე მადულარი ნაფარეულის ყურძენის დურდო

დურდოს დუღილზე დაკვირვებითა და ტემპერატურის კონტროლით ასეთი დასკვნა გაკეთდა:

ნაფარეულის ნიმუშებიდან დუღილი ყველაზე ადრე დაიწყო უცხოურ საფუარებზე დაყენებულმა დურდოებმა; მათ მიჰყვა საკუთარ საფუარზე დაყენებული ნიმუში და, ყველაზე ბოლოს, გათბობისა და მცირე რაოდენობა საფუარის საკვების დამატების შემდეგ - ველურ საფუარზე დაყენებული დურდო,.

დუღილის შემდგომ პერიოდშიც აქტიურად დულდა უცხოურ და საკუთარ წმინდა კულტურაზე დაყენებული ნიმუშები. უჭირდა ველურ საფუარზე მადულარ დურდოს. როგორც ჩანს, დუღილის დასაწყისში - შაქრების მაღალმა კონცენტრაციამ და, დუღილის ბოლოს - ალკოჰოლის მაღალმა კონცენტრაციამ, დათრგუნა ველური

საფუარი და შეაფერხა მისი გააქტიურების პროცესი.

სამივე კულტურული საფუარით აქტიურად და თანაბრად წარიმართა დუღილი, ტემპერატურის ნაკლები რყევით.

სამივე მიკროზონის ახალმა, საკუთარმა წმინდა კულტურებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დუღილი წარიმართა თანაბრად, 7-9 დღის განმავლობაში, ტემპერატურის ნაკლები ცვალებადობით, 22-25 °C შუალედში. იქ, სადაც გაუჭირდა ველურ საფუარს (ნაფარეულში), საკუთარი წმინდა შტამები, როგორც წმინდა კულტურები, „მშვენივრად“ გრძნობდნენ თავს.

ბოლომდე დადუღებული ღვინოები მოიხსნა ჭაჭიდან, შემდეგ - მძიმე ლექიდან და, ბოლოს, რამდენჯერმე - მსუბუქი ლექიდან. გოგირდოვანი ანჰიდრიდის მიცემის შემდეგ განისაზღვრა თითოეული ღვინის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები: ალკოჰოლი, ტიტრული მჟავიანობა, აქროლადი მჟავიანობა.

ცხრილი 2. დამზადებული ღვინოების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები


ნიმუშის დასახელება და გამოყენებული საფუარის მიხედვით	დასახელება	ალკოჰოლის შემცველობა, % მოც.	ტიტრული მჟავიანობა, გ/ლ	აქროლადი მჟავიანობა, გ/ლ
ქინძმარაული საფუარი XPURE		12,9	5,9	0,19
ქინძმარაული საფუარი SO.FLAVOUR		13,3	7,1	0,12
ქინძმარაული საფუარი „ქინძმარაული“		13,2	6,3	0,12
ქინძმარაული ველური საფუარი		11,7	6,9	0,19
მუკუზანი საფუარი XPURE		10,8	5,0	0,51
მუკუზანი საფუარი SO.FLAVOUR		10,4	5,6	0,31
მუკუზანი საფუარი „მუკუზანი“		11,0	6,4	0,25
მუკუზანი ველური საფუარი		9,4	4,6	0,29
ნაფარეული საფუარი XPURE		13,8	7,8	0,26
ნაფარეული საფუარი SO.FLAVOUR		12,9	8,4	0,33
ნაფარეული საფუარი „ნაფარეული“		13,9	7,6	0,38
ნაფარეული ველური საფუარი		13,2	7,9	0,44

სამივე შემთხვევაში საკუთარი წმინდა კულტურებით დამზადებული ღვინოების ალკოჰოლები არ ჩამოუვარდება სხვა კულტურული საფუარებით დამზადებული ღვინოების ალკოჰოლებს, ნაფარეულის შემთხვევაში კი მეტიცაა.

საკუთარი წმინდა კულტურებით დამზადებული ღვინოების ტიტრული მჟავიანობა ღვინისათვის საუკეთესო კონდიციებშია, განსაკუთრებით კარგი შედეგია საფუარი „ნაფარეულით“ დამზადებული ღვინო „ნაფარეულის“ შემთხვევაში. ამიტომ ეს ღვინო ძალიან რბილია სხვა ვარიანტებთან შედარებით.

დამზადებული ღვინოებიდან ყველას, მათ შორის, საკუთარი საფუარით დამზადებულ ღვინოებს, ნორმალური აქროლადი მჟავიანობა აქვს. რიგ შემთხვევაში, ზოგიერთ, უცხოური საფუარით დამზადებულ ღვინოს, უფრო მაღალი აღმოაჩნდა ეს მახასიათებელი, რაც საკუთარი საფუარის უპირატესობაზე მეტყველებს.

6 თვით დაყოვნებულ ღვინოებში, დამატებით, შესწავლილ იქნა სხვა ქიმიური კომპონენტების შემცველობებიც, როგორცაა: საერთო ფენოლები, საერთო ანტოციანინები, მონომერული ანტოციანინები, რადიონუკლიდები (ცეზიუმი -137 და სტრონციუმი -90).



დიაგრამები N1 ნაფარეულის, მუკუზნისა და ქინძმარაულის ღვინოების საერთო ფენოლური ნაერთების შემცველობა, გ/ლ-ში

როგორც დიაგრამებიდან ჩანს, საკუთარი საფურით დადუღებული ღვინოებიდან ყველაზე მეტი ფენოლური ნაერთი აღმოაჩნდა ნაფარეულის მიკროზონის საფერავს. ამიტომ ღვინო „ნაფარეული“, რომელსაც მაღალი ალკოჰოლური და ფენოლური ნაერთების შემცველობა აქვს, დაძველების დიდ პოტენციალს ფლობს.

ჯამური (საერთო) ანტოციანინების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საერთო ანტოციანინების რაოდენობა განსაკუთრებით შესამჩნევია

საკუთარ საფუარზე დამზადებულ „ნაფარეულში“. ამავე ღვინოში მაღალია მონომერული ანტოციანინების რაოდენობაც.




დიაგრამა N 2: მონომერული ანტოციანინების რაოდენობა „ნაფარეულის“ სხვადასხვა

ვარიანტით დამზადებულ ღვინოებში.

რადიონუკლიდების კვლევამ აჩვენა, რომ ყველა საფუარით, მათ შორის, საკუთარი საფუარით დამზადებულ ღვინოებში გარკვეული რაოდენობითაა რადიონუკლიდები: ცეზიუმი -137 და სტრონციუმი -90, თუმცა, ეს არის უმნიშვნელო რაოდენობა (11-12 ბკ/ლ), რადგან, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, მათი დასაშვები ზღვრებია: Cs-137 - 70 ბკ/ლ და Sr-90 - 100 ბკ/ლ

კარგადაა ცნობილი, რომ საფერავის ღვინოს გააჩნია თავისუფალი რადიკალების შეზღუდვის მაღალი უნარი, ამიტომ ჩატარდა დამზადებული ღვინოების ანტიოქსიდანტური თვისებების კვლევა საფუარზე დამოკიდებულების მიხედვით (Tauchen and other, 2015). განისაზღვრა ღვინის რაოდენობები, რომელიც საჭიროა 0,1mM DPPH-ის 50 %-იანი ინჰიბირებისათვის.



დიაგრამები N3 ნაფარეულის, მუკუზნისა და ქინძმარაულის ღვინოების ანტიოქსიდანტური აქტივობა, მლ.

დამზადებულ 12 ნიმუშს შორის, ანტიოქსიდანტური თვისებებითაც ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა ნაფარეულის ადგილობრივმა საფუარმა, რომელზედაც დამზადებული ღვინო ყველაზე მცირე რაოდენობაა საჭირო 0,1mM DPPH-ის თავისუფალი რადიკალების 50 %-ით ინჰიბირებისათვის.

დამზადებული ღვინოები გამოცდილი დეგუსტატორების დახმარებით შესწავლილ იქნა სენსორულადაც, რისთვისაც ჩატარდა ორგანოლეპტიკური დეგუსტაცია (Jackson, 2009).

სენსორული თვისებების შესწავლით კი დადგინდა, რომ ერთი მიკროზონის ფარგლებში, ერთი და იმავე ნედლეულისაგან, სხვადასხვა საფუარით დამზადებული ღვინოები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფერის ინტენსივობით, ხილის არომატთა კომპლექსით და გემოში ტანინების მეტ-ნაკლები შეგრძნებით.

რა თქმა უნდა, საკუთარი საფუარით დამზადებული ღვინოები, თავისი განსაკუთრებული ორგანოლეპტიკით, ყველაზე მეტადაა ახლოს ინდივიდუალურ, სხვა ადგილწარმოშობის საფერავებისაგან განსხვავებულ, თვისებებთან. კერძოდ:

საკუთარ საფუარზე დამზადებული „ნაფარეული“ (წითელი) არის ინტენსიური ალუბლისფერი, ალუბლისა და მოცვის სურნელით, საფერავის მკვეთრად გამოხატული ჯიშური არომატით. სხვა საფუარებზე დამზადებულ „ნაფარეულის“ ღვინოებს აქვს: ბროწეულისფერი, შავი თუთის, მაცვლის, შავი ქლიავის არომატი, ექსტრაქტულობა და ხავერდოვნება;

საკუთარ საფუარზე დამზადებულ „მუკუზანს“ აქვს მუქი ლალისფერი, მაცვლის, მწიფე კენკრის არომატი, დაბალანსებული გემო, ხოლო სხვა საფუარებზე დამზადებულ

„მუკუზნის“ ღვინოებს - მოწისფერი, შავი მოცხარის, კენკრის არომატი, შავი პილპილის, მრავალფეროვანი გემო;

საკუთარი საფუარით დამზადებულ „ქინძმარაულს“ აქვს მუქი შინდისფერი, ჟოლოსა და შავი ქლიავის არომატი, ხალისიანი, ცინცხალი გემო მაშინ, როცა სხვა საფუარებზე იმავე ნედლეულისაგან დაყენებულ ღვინოებს აქვს: ლალისფერი, ბროწეულისფერი, მწიფე მაცვლის, ხენდროს არომატი, ჰარმონიული, ხავერდოვანი გემო.

ეს განსხვავებულობა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ, როგორც სტატიიდანაც ჩანს, საფუარს ერთერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ღვინის სენსორული თვისებების ჩამოყალიბებაში.

ლიტერატურა:

1. პუტცი ჰ., (2018). *მელვინეობა*. გამომც:GIZ. თბილისი
2. ჯავახიშვილი მ.,(2009) ენოლოგია, გამომცემლობა „უნივერსალი“ 2009
3. გ.მარინოვა, ვ.ბაჩვაროვი, DPPH-ის მიერ თავისუფალი რადიკალების გამწმენდი აქტივობის განსაზღვრა. მიკრობიოლოგიისა და კვების ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, სოფია ბულგარეთი
4. ვეფხიშვილი ნ. (2012) ბიოლოგიურად აქტიური სტილბენური ნივთიერებების კვლევა ქართულ წითელ ღვინოებში და მათი ტექნოლოგიური გამოყენება, დისერტაცია, თესაუ, თელავი.
5. Alexandre, H., Costello, P. J., Remize, F., Guzzo, J., & Guilloux-Benatier, M. (2004). *Saccharomyces cerevisiae*–*Oenococcus oeni* interactions in wine: current knowledge and perspectives. *International journal of food microbiology*, 93(2), 141-154
6. Collection of methods international wine analysis. (2010). International office of vine and wine (OIV).
7. Jackson, R. S. (2009). *Wine tasting: A professional handbook*. San Diego, California, USA: Food Science and Technology. *International series*.
8. Ribéreau-Gayon, P., Dubourdieu, D., Donèche, B., & Lonvaud, A. (Eds.). (2006). *Handbook of enology, Volume 1: The microbiology of wine and vinifications* (Vol. 1). John Wiley & Sons.
9. Tauchen, J., Marsik, P., Kvasnicova, M., Maghradze, D., Kokoska, L., Vanek, T., & Landa, P. (2015). In vitro antioxidant activity and phenolic composition of Georgian, Central and West European wines. *Journal of Food Composition and Analysis*, 41, 113-121.
10. <https://agrokvkaz.ge/dargebi/mevenakheoba/qarthuli-vazis-jishebis-mimokhilva-sapheravi.html>

Own Cultural Yeast - an Effective Means of Achieving the Identity of Georgian Wines

Sidonashvili Sofiko

Iakob gogebashvili Telavi State University,

Batiashvili Shalva

Iakob Gogebashvili Telavi State University

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) {grant number- MR – 23- 306 }

Abstract

Winemaking has been the leading economic field in Georgia since time immemorial, and Saperavi is an ancient entrepreneurial grape variety, the wine made from which has high value properties: from a technological, commercial and medical point of view.

As a rule, wines made from one variety and from different places of origin should have different individuality. This regularity is violated by foreign commercial dry yeast, which was massively imported to Georgia for fermentation of grapes at the end of the last century and is still actively used today, with the help of which the individuality is absorbed and the characteristics of the wines of different origins are unified. In addition, due to the use of yeasts bought expensively with foreign currency, the cost of Georgian wines has also increased, which creates a significant problem for wine producing companies from a commercial point of view.

For the first time in the history of Georgian winemaking, a way to solve this challenge was tried in product quality-oriented "Shumi Winery": with the cooperation of scientists from Telavi State University and Free University of Brussels, for wines with three designations of origin of Saperavi - Mukuzani, Kindzmarauli, Napareuli - the dominant pure strains of *Saccharomyces cerevisiae* were isolated and purified from the wild yeasts present in the wine sediment fermented on natural yeast, in other words their own cultural yeasts were produced. Today, "Shumi" makes exceptionally high-quality "Mukuzani", "Kindzmarauli", "Napareuli" based on these yeasts.

In the master's scientific research, the results of which are presented in the present article, a fundamental study of the properties of wines made from the Saperavi grapes of these three microzones on their own cultural strains was conducted for the first time:

- 1) According to biochemical qualitative indicators;
- 2) According to the substances useful for health (biologically active substances, antioxidants)
- 3) According to the content of the substances harmful to health (radionuclides);
- 4) According to organoleptic characteristics;

Wines made with newly bred yeasts were compared with wines made with commercial yeasts from the same raw materials. It was established that the various qualitative indicators of wines made on own yeast are not inferior to similar indicators of wines made on foreign commercial yeast and, in some cases, are better than them.

Due to its high actuality and great importance for Georgian winemaking, the research was financed by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

Key words: pure yeast strain, origin, Saperavi, biologically active compounds, antioxidant.

საფუარის რასის გავლენა ცქრიალა ღვინის თვისებებზე

წიკლაური ლელა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.07>

აბსტრაქტი. ცქრიალა ღვინის ტიპური და განმასხვავებელი თვისებებია მათი ცქრიალი და ქაფის წარმოქმნა. ღვინის ზედაპირზე ქაფის წარმოქმნა ბევრადაა დამოკიდებული მასში ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე. ამ ნივთიერებების როლს ღვინოში ასრულებს კოლოიდური ბუნების ნივთიერებები და ნაერთები - ცილები, პოლიფენოლები, ლიპიდები და პოლისაქარიდები. ღვინოში მაღალმოლეკულური ნივთიერებების კონცენტრაცია დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, მათ შორის გამოყენებული საფურის რასის ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე. შამპანიზებული ღვინის ნიმუშებში განისაზღვრა ზედაპირულად აქტიური თვისებების განმასხვავებელი მაღალმოლეკულური ნივთიერებების მასური კონცენტრაციები. ასევე ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების ჯამი და ისეთი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, როგორცაა ნახშირორჟანგის გამოყოფის წინააღმდეგობის კოეფიციენტი, ქაფის წარმოქმნის უნარი და ნახშირორჟანგის წნევა, რაც განსაზღვრავს ღვინის ცქრიალსა და ქაფიანობას.

ქაფწარმომქმნელი უნარის ყველაზე მეტი მნიშვნელობა 18,7 წმ დადგინდა SP-39 რასით მიღებულ საცდელ ნიმუშში, რაც 2 წმ-ით აჭარბებს ამ მაჩვენებელს საკონტროლო ნიმუშში, რაც ასევე კორელირებს ამ ნიმუშში ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების ჯამურ რაოდენობის ყველაზე მაღალ მაჩვენებელთან.

შამპანიზაციის ძირითადი კრიტერიუმია ჭარბი წნევის შექმნა ღვინისა და ნახშირორჟანგის მიერ შექმნილ ორფაზიან სისტემაში. ყველაზე მაღალი წნევა (460მპა) მიღწეულ იქნა SP-39 რასის გამოყენებისას, რაც მიუთითებს მის მაღალ მადულარ აქტივობაზე, რაც ხელს უწყობს შაქრების სრულ დადუღებას. მას მოსდევს რასა IOS 18-2017, რომელმაც ბოთლში წარმოქმნა 420 მპა წნევა. ყველაზე მცირე ნახშირორჟანგის წნევის მაჩვენებელი დაფიქსირდა X-16 რასის გამოყენებისას, რამაც შეადგინა 340მპა.

ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა SP-39 რასის ტექნოლოგიური უპირატესობები მშრალი აქტიური საფურების სხვა საკვლევი რასების მიმართ. მოცემული რასით მიღებულმა ღვინომ აჩვენა ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების ყველაზე მაღალი ჯამური მაჩვენებელი (3260მგ/დმ3), რაც კორელირებდა ამ ნიმუშში ქაფწარმოქმნის უნარის ყველაზე მაღალ მაჩვენებელთან და ნახშირორჟანგის შეკავების მეტ უნართან. SP-39 რასის გამოყენებამ ასევე გამოიწვია ნახშირორჟანგის უფრო მაღალი წნევის განვითარება მეორადი დუღილის დამთავრებისას.

საკვანძო სიტყვები: აქტიური მშრალი საფურები, ცქრიალა ღვინო, ქაფწარმოქმნა, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, ნახშირორჟანგის წნევა.

კვლევის მიზანი იყო თეთრი ცქრიალა ღვინის წარმოებისათვის მშრალი საფურის მაღალეფექტური პრეპარატების შერჩევა და ტექნოლოგიური შეფასება

ფიზიკურ-ქიმიურ მაჩვენებლებზე მათი გავლენის შესწავლის საფუძველზე.

კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა ფრანგული წარმოების აქტიური მშრალი პრეპარატები, რომლებიც რეკომენდებულია ცქრიალა ღვინის წარმოებისთვის.

გამოკვლეულია აქტიური მშრალი პრეპარატების ახალი რასების გავლენა მაღალმოლეკულური ნივთიერებების - ლიპიდების, ცილების და ფენოლური ნაერთების შემცველობაზე, რომლებიც პასუხისმგებელია ცქრიალის და ქაფის თვისებების ფორმირებაზე. განსაზღვრულია ცქრიალა ღვინის ისეთი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, როგორცაა ნახშირორჟანგის გამოყოფის წინააღმდეგობის კოეფიციენტი, ქაფწარმომქმნელი უნარი და ნახშირორჟანგის წნევა.

ცქრიალა ღვინის ტიპური და განმასხვავებელი თვისებებია მათი ცქრიალი და ქაფის წარმოქმნა, ანუ ღვინის მიერ დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგის ბუშტუკების თანაბარი და ხანგრძლივი გამოყოფა და ღვინის ზედაპირზე ქაფის წვრილდისპერსიული მკვრივი შრის წარმოქმნა.

ღვინის ქაფიანობის ფორმირება უშუალოდაა დამოკიდებული შამპანიზაციისათვის გამოყენებული ღვინომასალის ქაფის წარმოქმნის უნარზე. ღვინის ზედაპირზე ქაფის წარმოქმნა ბევრადაა დამოკიდებული მასში ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე, რომლებსაც შეუძლია დამცავი ადსორბციული შრის წარმოქმნა მაღალი წებვად-პლასტიკური მახასიათებლებით, რის გამოც ზედაპირზე ამოტივტივებული ნახშირორჟანგის ბუშტუკები არ სკდება და წარმოქმნის ქაფს. ამ ნივთიერებების როლს ღვინოში ასრულებს კოლოიდური ბუნების ნივთიერებები და ნაერთები, რომლებიც წარმოქმნიან გელისმაგვარ სტრუქტურას ადსორბციულ შრეში და სითხეში. მათ მიეკუთვნება ცილები და მათი ნაწილობრივი ჰიდროლიზის პროდუქტები, პოლიფენოლები, ცილა-ფენოლური კომპლექსები, ლიპიდები და პოლისაქარიდები. (Мержаниан А.А., 1999).

ღვინოში მაღალმოლეკულური ნივთიერებების კონცენტრაცია დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, მათ შორის, გამოყენებული საფუარის რასის ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე.

ბოლო წლებში მეღვინეობაში გამოიყენება აქტიური მშრალი საფუარების პრეპარატები, რომლებიც გამოირჩევა საფუარის ნაზავის მომზადების სიმარტივით, ყველა დადებითი თვისების მაქსიმალური გამოვლენით, ახალი ფასეული თვისებებით, მათ შორის ფერმენტული აქტივობით.

ცქრიალა ღვინის ხარისხის გაუმჯობესება საფუარ საქარომიცეტების გამოყენების ტექნოლოგიის დახვეწის შედეგად დიდ როლს ასრულებს ძირითადი ბიოტექნოლოგიური პროცესების უზრუნველყოფაში, რაც დარგისათვის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

შამპანიზებული ღვინის ნიმუშებში განისაზღვრა ზედაპირულად აქტიური თვისებების განმსაზღვრელი მაღალმოლეკულური ნივთიერებების რაოდენობრივი შემადგენლობა - ლიპიდების, ცილების და ფენოლური ნივთიერებების მასური კონცენტრაციები. ასევე ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების ჯამი და ისეთი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, როგორცაა ნახშირორჟანგის გამოყოფის წინააღმდეგობის კოეფიციენტი, ქაფის წარმოქმნის უნარი და ნახშირორჟანგის წნევა, რაც განსაზღვრავს ღვინის ცქრიალსა და ქაფიანობას.

ღვინოში ლიპიდების პროდუცენტებია საფუარები. ამასთან, საფუარის მიერ ლიპიდების წარმოქმნა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათ სუნთქვით აქტივობაზე (Родопуло А.К., 1993). ლიპიდების შემადგენლობაში შედის: მონო-, დი-

და ტრიგლიცერიდები, ფოსფოგლიცერიდები, თავისუფალი ცხიმოვანი მჟავები და სტეროლები. ავაკიანცის (Авакянц С.П.,1986) მიხედვით ლიპიდებიდან საფუარებში პრევალირებს ფოსფოგლიცერიდები. თითქმის ასეთივეა ლიპიდების შედგენილობა ღვინოში.

ცნობილია, რომ ლიპიდები გავლენას ახდენს ღვინის ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებზე, მონაწილეობს ჟანგვა-აღდგენით პროცესებში, გააჩნია ანტიოქსიდანტური თვისებები (Кишковский З.Н., Скурихин И.М.,1988). წარმოადგენს-რა ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს, ლიპიდები მონაწილეობს ცქრიალა ღვინის ტიპური თვისებების ფორმირებაში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ლიპიდების მასური კონცენტრაცია საკონტროლო ნიმუშში იყო ყველაზე მეტი და შეადგინა 143მგ/დმ³, ხოლო საცდელ ნიმუშებში იყო ნაკლები და შეადგენდა 136მგ/დმ³ და 132 მგ/დმ³.

ცქრიალა ღვინის ტიპური თვისებების ფორმირებაში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი აქვს აზოტოვან ნივთიერებებს. ცილები ამდლებს ქაფის მდგრადობას ძლიერ სტრუქტურირებული დამცავი გარსის წარმოქმნით, რომელსაც მაღალი ადსორბციული, მექანიკური და პლასტიკური მაჩვენებლები აქვს(Мержаниан А.А. ,1999).

ცხრილი 1

მაღალმოლეკულური ნივთიერებების კონცენტრაცია

საფუარის რასა	მასური კონცენტრაცია, მგ/დმ ³				K	F,C	CO ₂ -ის წნევა
	ლიპიდები	ცილები	ფენოლური ნივთიერებები	ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები			
IOS 18-2017 (კონტროლი)	143	13,1	156	3210	1,42	16,7	4,2
SP-39	136	6,7	132	3250	1,44	18,7	4,6
X-16	132	6,7	128	3200	1,42	17,2	3,4

ცილის უფრო მაღალი შემცველობა გამოვლინდა საკონტროლო ნიმუშში და შეადგინა 13,1მგ/დმ³, ხოლო საცდელ ნიმუშებში გაცილებით დაბალი - 6,7მგ/დმ³ თითოეულში.

ცილის კლება საცდელ ნიმუშებში შესაძლოა უკავშირდებოდეს გამოსაცდელი რასების ფერმენტული სისტემების (კერძოდ, პეპტიდაზების და პროტეინაზების) უფრო მაღალ აქტივობას, რომლებიც იწვევს ცილების ტრანსფორმაციას უფრო დაბალმოლეკულურ, ადვილად შესათვისებელ, ზედაპირულად აქტიურ აზოტოვან ნივთიერებებად ან მოცემული რასების მეტი სორბციული უნარით.


საცდელ ნიმუშებში აღინიშნა ფენოლური ნაერთების კონცენტრაციის შემცირება 26 მგ/დმ³-ით SP-39 რასის გამოყენებისას და 30 მგ/დმ³-ით X-16 რასის გამოყენებისას. შესაძლოა, ეს მიუთითებდეს ამ რასების უჯრედების ზედაპირის უფრო მაღალ სორბციულ უნარზე პოლიფენოლების უარყოფითად დამუხტული ნაწილაკების მიმართ (Агеева Н.М. и др.,2014).

ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების ყველაზე მეტი რაოდენობა

(3250მგ/დმ³) აღინიშნა საცდელ ნიმუშში, რომელიც დადუღებული იქნა SP-39 რასის გამოყენებით, მიუხედავად იმისა, რომ ლიპიდების, ცილების და ფენოლური ნაერთების უფრო მაღალი კონცენტრაციები დადგენილ იქნა საკონტროლო ნიმუშში. მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები მიუთითებს საცდელ ნიმუშში ზედაპირულად აქტიური თვისების მქონე სხვა მაღალმოლეკულური ნივთიერებების მაღალ შემცველობაზე. ეს შეიძლება იყოს ცილა-პოლიფენოლური კომპლექსები, ასევე პოლისაქარიდების დიდი ჯგუფი.

ღვინის მიერ გახსნილი ნახშირორჟანგის შეკავების უნარი განისაზღვრება პირობითი ტექნოლოგიური მახასიათებლით - ნახშირმჟავას გამოყოფისადმი ღვინის წაინააღმდეგობით (K), რაზეც დამოკიდებულია ღვინის ცქრიალის თვისებები. ეს მაჩვენებელი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთაგან უმთავრესია ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების შემცველობა.


კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა ნიმუშში ამ მაჩვენებელს ჰქონდა თითქმის ერთნაირი მნიშვნელობები და იყო 1-ზე მეტი, რაც მიუთითებს ნახშირმჟავას შეკავების საკმაოდ მაღალ უნარზე. K-ს ყველაზე მაღალი მნიშვნელობა აღინიშნა SP-39 რასის გამოყენებისას, რაც კორელირებს ამ ნიმუშში ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების ყველაზე მაღალ შემცველობასთან.



ნახ.1 საფურების რასის გავლენა CO₂-სადმი ღვინის ხვედრით წაინააღმდეგობაზე(K) წარმოქმნილი ქაფის მდგრადობა და სიმტკიცე განისაზღვრება მისი არსებობის დროით. ქაფწარმოქმნის ერთეულად მიღებულია კოეფიციენტი F, რომლის არსია ქაფში ბუშტუკების არსებობის ხანგრძლივობა წამებში.

საკვლევ ნიმუშებში ქაფწარმოქმნის უნარის სიდიდე ვარირებდა 16,7წმ-დან 18,72წმ-მდე, რაც საკმაოდ დიდი დიაპაზონია გამოსავალი კუპაჟის ერთი და იგივე შედგენილობისთვის და მეტყველებს საკონტროლო და საცდელი ნიმუშების ქიმიური შედგენილობის არაერთგვაროვნებაზე, კერძოდ, ქაფის წარმოქმნაზე პასუხისმგებელ მაღალმოლეკულურ ფრაქციაზე.

ქაფწარმოქმნილი უნარის ყველაზე მეტი მნიშვნელობა 18,7 წმ დადგინდა SP-39 რასით მიღებულ საცდელ ნიმუშში, რაც 2 წმ-ითაჭარბებს ამ მაჩვენებელს საკონტროლო ნიმუშში, რაც ასევე კორელირებს ამ ნიმუშში ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების ჯამურ რაოდენობის ყველაზე მაღალ მაჩვენებელთან.



ნახ.2 საფუარის რასის გავლენა ქაფის წარმოქმნის უნარზე (F)

შამპანიზაციის ძირითადი კრიტერიუმია ჭარბი წნევის შექმნა ღვინისა და ნახშირორჟანგის მიერ შექმნილ ორფაზიან სისტემაში. ყველაზე მაღალი წნევა (460მპა) მიღწეულ იქნა SP-39 რასის გამოყენებისას, რაც მიუთითებს მის მაღალ მადულარ აქტივობაზე, რაც ხელს უწყობს შაქრების სრულ დადუღებას. მას მოსდევს რასა IOS 18-2017, რომელმაც ბოთლში წარმოქმნა 420 მპა წნევა. ყველაზე მცირე ნახშირორჟანგის წნევის მაჩვენებელი დაფიქსირდა X-16 რასის გამოყენებისას, რამაც შეადგინა 340მპა.

დასკვნა: ცქრიალა ღვინის წარმოებაში საფუარების რაციონალურად გამოყენების ერთერთი პრობლემა არის ღვინის ტიპური მაჩვენებლების ხარისხობრივი გაუმჯობესება. სწორად შერჩეული კულტურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შამპანიზაციის პროცესზე. მიღებული მონაცემების ანალიზი მოწმობს საფუარის შესასწავლი რასების თვისებებს შორის არსებით განსხვავებებს.

ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა SP-39 რასის ტექნოლოგიური უპირატესობები მშრალი აქტიური საფუარების სხვა საკვლევი რასების მიმართ. მოცემული რასით მიღებულმა ღვინომ აჩვენა ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების ყველაზე მაღალი ჯამური მაჩვენებელი (3260მგ/დმ3), რაც კორელირებდა ამ ნიმუშში ქაფწარმოქმნის უნარის ყველაზე მაღალ მაჩვენებელთან და ნახშირმჟავას შეკავების მეტ უნართან. SP-39 რასის გამოყენებამ ასევე გამოიწვია ნახშირორჟანგის უფრო მაღალი წნევის განვითარება მეორადი დუღილის დამთავრებისას.

ლიტერატურა:

1. Авакянц С.П. Игристые вина. Москва: Агропромиздат, 1986
2. Агеева Н.М. и др. Новые расы дрожжей для столовых вин. Виноделие и виноградарство, 2014
3. Кишковский З.Н., Скурихин И.М. Химия вина. Москва: Агропромиздат, 1988
4. Мерджаниан А.А. Физико-химия игристых вин. Москва: Пищевая пром-сть, 1999
5. Родопуло А.К. Основы биохимии виноделия. Москва: Легкая и пищевая пром-сть, 1993

The Influence of Yeast Race on the Characteristics of Sparkling wines

Tsiklauri Lela

Telavi Iakob Gogebashvili State University

Abstract

The typical and distinctive characteristics of sparkling wines are their sparkle and foam formation. The formation of foam on the surface of wine depends largely on the content of surfactants in it. The role of these agents in wine is played by colloidal substances and compounds – proteins, polyphenols, lipids and polysaccharides. The concentration of high-molecular substances in wine depends on a number of factors, including the physiological characteristics of the used yeast race. In champagne wine samples, the mass concentration of high-molecular substances determining surface-active properties were defined, as well as the sum of surfactants and such physicochemical indicators as the coefficient of resistance to carbon dioxide release, the ability of foam formation and the pressure of carbon dioxide, which determine the sparkle and foaminess of wine. The highest foaming ability value of 18.7 seconds was determined in the test sample obtained with the SP-39 race, which exceeds the indicator in the control sample by 2 seconds, and it also correlates with the highest indicator of the total amount of surfactants in this sample.

The main criterion of champagnization is the creation of excess pressure in the two-gas system created by wine and carbon dioxide. The highest pressure (460 MPa) was achieved while using SP-39 race, which indicates its high fermentation activity. It contributes to the complete fermentation of sugars. It is followed by the race IOS 18-2017, which created a pressure of 420 MPa in the bottle. The lowest carbon dioxide pressure was recorded while using X-16 race, which was 340 MPa.

The results of the study showed technological advantages of the race SP-39 over other research races of active yeasts. The wine obtained with the given race showed the highest total surfactant indicator (3260 mg/dm³), which correlated with the highest indicator of foaming ability and higher capacity of carbon dioxide retention in this sample. The use of SP-39 race also resulted in the development of a higher carbon dioxide pressure at the end of the secondary fermentation.

Keywords: active dry yeast, sparkling wine, high molecular complex, foaming ability, carbon dioxide release.

საფუარის რასის გავლენა სუფრის თეთრი ღვინის შედგენილობაზე

წიკლაური ლელა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.08>

აბსტრაქტი. მეღვინეობაში ღვინომასალების მაღალი ხარისხი არსებითადაა დამოკიდებული გამოყენებული საფუარის სახეზე. საფუარის რასა ახდენს გავლენას დუღილის დინამიკაზე, გემოსა და არომატის ფორმირებაზე, ასევე ღვინომასალის მდგრადობაზე. სწორად შერჩეული რასის საშუალებით შესაძლებელია პროგნოზირებადი ხარისხის და ქიმიური შედგენილობის ღვინომასალის წარმოება. კვლევის მიზანი იყო ფრანგული წარმოების საფუარების გავლენის შესწავლა ტკბილის დუღილის დროს წარმოქმნილი ორგანული მჟავების, ეთერების, უმაღლესი სპირტების რაოდენობაზე, რომლებიც განსაზღვრავს ღვინის ხარისხს, მის ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებს. მიღებული მონაცემების ანალიზი აჩვენებს საფუარის რასის მიხედვით დუღილის განსხვავებულ დინამიკას.

ლატენტური პერიოდი პრაქტიკულად იდენტური იყო ოთხივე საექსპერიმენტო რასისთვის. საკონტროლო ვარიანტში დადუღება უფრო ნელა მიმდინარეობდა, ხოლო ექსპონენციალური ფაზა დგებოდა უფრო სწრაფად.

შედარებით აქტიური შაქრების მოხმარება და ნახშირორჟანგის გამოყოფა შეინიშნებოდა *VitilevureCsmYseo* და *ExcellenceXP* რასების გამოყენებისას. ყველაზე ნაკლებაქტიური ნახშირორჟანგის გამოყოფა აღინიშნა საკონტროლო ნიმუშში. შაქრების დადუღება *ActifloreF33* რასით დამთავრდა მეექვსე დღეს, სხვა ექსპერიმენტული რასებით - მეცხრე დღეს, ხოლო საკონტროლოსი - მეთექვსე დღეს.

მიღებული შედეგები შეიძლება აიხსნას განსხვავებებით საფუარების სხვადასხვა რასების ფერმენტული სისტემების აქტივობაში, რაც, სავარაუდოდ, მათ გენეტიკურ თავისებურებას უკავშირდება. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო იყო მიღებული ღვინომასალების ქიმიური შედგენილობის კვლევა.

მიღებული ღვინომასალების დეგუსტაციამ გამოავლინა კორელაცია სადეგუსტაციო შეფასებასა და ტიტრული მჟავების კონცენტრაციას შორის, განსაკუთრებით ვაშლმჟავას და რძემჟავას და უმაღლეს სპირტებს შორის. ყველაზე მაღალი სადეგუსტაციო შეფასება მიიღო ღვინომასალამ, რომელიც მომზადებული იყო *ActifloreF33* რასის გამოყენებით. დანარჩენ ღვინომასალებს ჰქონდა თითქმის თანაბარი ორგანოლექტიკური შეფასებები.

საკვანძო სიტყვები: საფუარის რასა, ტკბილის დუღილი, ორგანული მჟავები, ეთერები, უმაღლესი სპირტები.

სუფრის თეთრი ღვინის წარმოების უმნიშვნელოვანესი ეტაპია ტკბილის დუღილი საფუარის სპეციალური რასის მეშვეობით. სხვადასხვა მეცნიერების მონაცემებით (Бурьян Н.И.1983, Агеева Н.М.,2007), სწორედ საფუარის რასა ახდენს გავლენას დუღილის დინამიკაზე, გემოსა და არომატის ფორმირებაზე და

ღვინომასალის მდგრადობაზეც კი. სწორად შერჩეული რასის საშუალებით შესაძლებელია პროგნოზირებადი ხარისხის და ქიმიური შედგენილობის ღვინომასალის წარმოება.

კვლევის მიზანი იყო ფრანგული წარმოების საფუარი რასების ActifloreF33, VitilevureCsmYseo, ExcellenceXR და ExcellenceXP გავლენა თეთრი ღვინის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

კვლევის ობიექტად გამოყენებული იყო შარდონეს თეთრი ჯიშის ყურძენი. ტკბილის დასადუღებლად გამოყენებულ იქნა აქტიური მშრალი საფუარის ახალი რასები:

ActifloreF33 - მწარმოებელი LAFFORT, სახე - *Saccharomyces cerevisiae*. საფუარი ხასიათდება 16%-მდე სპირტგამძლეობით და გოგირდგამძლეობით, გააჩნია მჟავიანობის დაქვეითების უნარი.

VitilevureCsmYseo - მწარმოებელი YSEO process, სპეციალურად სელექცირებული შტამი L 6885.

ხასიათდება სპირტგამძლეობით, ნაწილობრივ შლის ვაშლმჟავას, უზრუნველყოფს მქროლავი მჟავების და გოგირდწარმოებულების მცირე რაოდენობით დაგროვებას.

ExcellenceXR - მწარმოებელი LAMOTHEABIET, უნივერსალური რასა *Saccharomyces cerevisiae*-ს სახის, რომელიც ხასიათდება სპირტგამძლეობით და გოგირდგამძლეობით.

ExcellenceXP - მწარმოებელი LAMOTHEABIET, *Saccharomyces cerevisiae*-ს სახე, რეკომენდებულია მაღალხარისხიანი სუფრის ღვინის წარმოებისთვის, ადვილად ადუღებს და ბოლომდე მიყავს დუღილი.

ყურძნის ტკბილში ერთი და იგივე რაოდენობით (2მგ/დმ³) შეგვქონდა აღნიშნული რასების რეაქტივირებული საფუარი და საკონტროლო - შამპანსკაია 7-10C. დუღილის ტემპერატურა 23-25°C. გამოსავალ ტკბილში შაქრის კონცენტრაცია იყო 17გ/სმ³, ტიტრული მჟავიანობა 7,8გ/დმ³. დუღილი ტარდებოდა ჰერმეტიკულ პირობებში.

მიღებული მონაცემების ანალიზი აჩვენებს საფუარის რასის მიხედვით დუღილის განსხვავებულ დინამიკას.

ლატენტური პერიოდი პრაქტიკულად იდენტური იყო ოთხივე საექსპერიმენტო რასისთვის. საკონტროლო ვარიანტში დადუღება უფრო ნელა მიმდინარეობდა, ხოლო ექსპონენციალური ფაზა დგებოდა უფრო სწრაფად.

შედარებით აქტიური შაქრების მოხმარება და ნახშირორჟანგის გამოყოფა შეინიშნებოდა VitilevureCsmYseo და ExcellenceXP რასების გამოყენებისას. ყველაზე ნაკლებაქტიური ნახშირორჟანგის გამოყოფა - საკონტროლო ნიმუშში. შაქრების დადუღება ActifloreF33 რასით დამთავრდა მეექვსე დღეს, სხვა ექსპერიმენტული რასებით - მეცხრე დღეს, ხოლო საკონტროლოსი - მეთექვსე დღეს.

მიღებული შედეგები შეიძლება აიხსნას განსხვავებებით საფუარების სხვადასხვა რასების ფერმენტული სისტემების აქტივობაში, რაც, სავარაუდოდ, მათ გენეტიკურ თავისებურებას უკავშირდება. ამასთან დაკავშირებით საინტერესო იყო მიღებული ღვინომასალების ქიმიური შედგენილობის კვლევა.

დადგინდა, რომ ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენდა 11,4%-დან ActifloreF33, VitilevureCsmYseo რასებისთვის და საკონტროლოსთვის, 11,5%-მდე ExcellenceXP-სთვის და 11,6% ExcellenceXR-სთვის.

ორგანული მჟავები, რომლებიც გავლენას ახდენს ღვინის გემოსა და ბუკეტზე, განსაზღვრავენ ბიოქიმიური პროცესების მიმართულებას. ჩატარებული კვლევით

ტიტრული მჟავების კონცენტრაცია შემცირდა, განსაკუთრებით ExcellenceXP და ExcellenceXR რასების გამოყენებისას.

ღვინის მჟავას შემცველობა უმნიშვნელოდ ვარირებდა, მისი შემცირება აღინიშნა ExcellenceXP და VitilevureCsmYseo რასების შემთხვევაში. დუღილისას გამოვლინდა ვაშლმჟავას კონცენტრაციის შემცირება. მისი რაოდენობა ღვინომასალებში იცვლებოდა 1,68გ/დმ³ -დან (ActifloreF33) 1,93გ/დმ³-მდე საკონტროლოში. ვაშლმჟავას კონცენტრაციის შემცირება ყველაზე მეტად აღინიშნა ActifloreF33-ის შემთხვევაში. მიღებული შედეგებიდან ვასკვნიტ, რომ ყველა საექსპერიმენტო რასას აქვს მჟავიანობის შემცირების უნარი, რაც განსაკუთრებით აქტუალურია დღეისთვის, როცა ტიტრული მჟავიანობის შესამცირებლად საჭირო ხდება დამატებითი ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარება.

საკონტროლოსთან შედარებით, ექსპერიმენტულ ნიმუშებში აღინიშნა ქარვის მჟავას დაგროვება, განსაკუთრებით იმ ვარიანტებში, რომლებიც მივიღეთ ExcellenceXP და VitilevureCsmYseo რასების გამოყენებისას. (0,58 და 0,66გ/დმ³). ცნობილია (Родопуло А.К.,1983), რომ ქარვის მჟავას არსებობა ხელს უწყობს სუფრის თეთრი ღვინის ანტიოქსიდანტური უნარის და დაჟანგვისადმი მდგრადობის მომატებას. შესაბამისად, აღნიშნული რასების გამოყენებით მიღებული ნიმუშები უფრო მდგრადია დაჟანგვისადმი სხვა ღვინომასალებთან შედარებით.

ყველა ნიმუშში აღინიშნა რძემჟავას შემცველობის გაზრდა, განსაკუთრებით ExcellenceXP და VitilevureCsmYseo შტამების გამოყენებისას და, შესაბამისად, შეადგინა 0,47 და 0,88გ/დმ³ . საკონტროლო ნიმუშში რძემჟავა არ აღმოჩნდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ შამპანსკაია 7-10C არ შეიცავს ფერმენტულ სისტემას, რომელიც ვაშლმჟავას გადააქცევს რძემჟავად (Родопуло А.К., 1983).

დუღილის დასაწყისში სწრაფად წარმოიქმნება ძმარმჟავა, ხოლო დასასრულისკენ მისი შემცველობა შესაძლოა მკვეთრად შემცირდეს. კვლევები აჩვენებს (Риберо-Гайон Ж., Пейно Е.,1971), რომ საფუარების ეს თვისება გენეტიკურია და შეიძლება გაძლიერდეს ან შესუსტდეს ტკბილის ქიმიური შედგენილობის მიხედვით (Риберо-Гайон Ж., Пейно Е.,1971). ძმარმჟავას ყველაზე დაბალი კონცენტრაცია გამოვლინდა საკონტროლო და ExcellenceXP შტამის გამოყენებისას. ზოგიერთი კვლევის საფუძველზე (Саенко Н.Ф., Мальцева М.А.,1971) ეს რასები შესაძლებელია რეკომენდებულ იქნას ძმარმჟავას და აცეტალდეჰიდის მაღალი კონცენტრაციით დაზიანებული ღვინის გასაუმჯობესებლად.

ცხრილი 1

ორგანული მჟავების მასური კონცენტრაცია საფუარის რასის მიხედვით

მაჩვენებელი	ს ა ფ უ ა რ ი ს რ ა ს ა				
	საკონტროლო	ExellenceXR	ExellenceXP	VitilevureCsmYseo	Actiflore33
ორგანული მჟავების მასური კონცენტრაცია, მგ/დმ ³					
ღვინის	2,43	2,17	2,20	2,18	2,24

ვაშლის	1,93	1,76	1,78	1,85	1,68
ქარვის	0,32	0,28	0,58	0,66	0,45
ლიმონის	0,32	0,29	0,26	0,44	0,18
ძმრის	0,28	0,45	0,25	0,40	0,36
რძის	-	0,29	1,26	0,47	0,88
სადეგუსტაციო შეფასება, ბალები	7,6	7,8	7,8	7,7	8,1
ტიტრული მჟავების მასური კონცენტრაცია, მგ/დმ ³	7,2	6,8	6,8	7,0	6,7

მჟაუნმჟავა ასევე გამოვლინდა სამ ნიმუშში, რაც მიუთითებს კრებსის ციკლის ფერმენტული სისტემების განსხვავებულ აქტივობაზე. ეს ფაქტი დასტურდება იმითაც, რომ პიროყურძნის მჟავა, რომელსაც უკავშირდება ორგანული მჟავების გარდაქმნათა დიდი ნაწილი, გროვდება ძალზე განასხვავებული რაოდენობით.

ლიმონმჟავა ბუნებრივი გვერდითი პროდუქტია სპირტული დუღილისას (Подопуло А.К.,1983) და მონაწილეობს ღვინის გემოს ჩამოყალიბებაში, ჟანგვა-აღდგენით პროცესებში. იგი წარმოიქმნება კრებსის ციკლშიპიროყურძნის მჟავასგან აცეტილ-KoA-ს ზემოქმედებით ან მჟაუნძმარმჟავას დეკარბოქსილებით. ლიმონმჟავას წარმოქმნის მიხედვით მეტად გამოირჩევა VitilevureCsmYseo, შემდეგ შამპანსაკაია7-10C, ExcellenceXR, ExcellenceXP და ყველაზე ნაკლებ ActifloreF33.

ორგანული მჟავები მონაწილეობენ ეთერიფიკაციის რეაქციებში, რომლის პროდუქტებიცაა ღვინის არომატის განმსაზღვრელი სხვადასხვა მარტივი და რთული ეთერები. ეთერიფიკაციის აქტივობა განპირობებულია საფუარის უჯრედების ფერმენტული კომპლექსებით. კვლევის მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ უმნიშვნელოვანესი არომატწარმოქმნელი ნაერთები ფართო საზღვრებში ვარირებს საფუარის რასის მიხედვით. დადგინდა, რომ ტკბილის დადუღება ExcellenceXR და ExcellenceXP შტამებით იწვევს აცეტალდეჰიდის დაგოვების ზრდას, რაც სიმკვეთრეს და სიუხემეს აძლევს ღვინის გემოს და არომატს.

ცნობილია, (Подопуло А.К.,1983; Moreno-Arriba M.,2005) რომ აცეტალდეჰიდი სპირტული დუღილის მეორადი პროდუქტია და მისი კონცენტრაცია ბევრად განისაზღვრება საწყის ტკბილში გოგირდის დიოქსიდის შემცველობით. ექსპერიმენტში გოგირდის დიოქსიდის კონცენტრაცია საწყის ტკბილში შეადგენდა 70 მგ/დმ³-ს. აქედან გამომდინარე, აცეტალდეჰიდის განსხვავებული კონცენტრაციები ღვინომასალებში უკავშირდება სხვა ფაქტორებს, კერძოდ კი, საფუარის რასის სპეციფიკას. გარდა ამისა, დუღილისას მუდმივად აქვს ადგილი აცეტალდეჰიდის ახლად წარმოქმნას ამინმჟავების დეზამინირების ხარჯზე (Moreno-Arriba M.,2005) , რომელთა აქტივობა განისაზღვრება საფუარების შესაბამისი ფერმენტული სისტემების ბიოსინთეზური ფუნქციებით.

ღვინომასალებში, რომლებიც მომზადდა საფუარის ExcellenceXR და ExcellenceXP

რასების გამოყენებით, აღმოჩნდა იზოამილაცეტატის და 2,3-ბუთანდიოლის მნიშვნელოვანი დაგროვება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ღვინის გემოსა და არომატზე. რასებს შორის არსებითი განსხვავება აღინიშნა ტერპენული ნაერთების - ციტრალის, ტერპენიოლის, ლიმონენის და იონონის რაოდენობის მიხედვით. სავარაუდოდ, სწორედ მათი არსებობით უნდა აიხსნას იმ ღვინომასალების გამოკვეთილი ყვავილოვანი არომატი, რომლებიც მომზადდა ExcellenceXR, ExcellenceXP და ActifloreF33 შტამების გამოყენებით.

იმ ღვინომასალების ანალიზის შედეგებით, რომლებიც მომზადდა VitilevureCsmYseo და ActifloreF33 შტამების გამოყენებით, დადგინდა, რომ იზოამილის სპირტის კონცენტრაცია იყო ცოტა მაღალი და ეთილაცეტალის, პირიქით, უფრო დაბალი, ვიდრე საკონტროლო ნიმუშში. ეთილაცეტატის კონცენტრაციით საკონტროლოსგან განსხვავებული იყო ExcellenceXP, VitilevureCsmYseo და ActifloreF33 შტამების გამოყენებით მომზადებული ღვინომასალები.

ეთერებს შორის მნიშვნელოვანია მსუბუქი ხილის არომატის მქონე ეთილაცეტატი და სუფრის ღვინომასალის გემოს დამარბილებელი ეთილაცეტატი. კვლევით დადგინდა, რომ ეთილაცეტატის მეტი რაოდენობა გამოვლინდა ტკბილის VitilevureCsmYseo რასით დადუღებულ ღვინომასალაში, შედარებით ნაკლები - ActifloreF33 რასით დადუღებულში. დანარჩენ ვარიანტებში, საკონტროლოს ჩათვლით, ეთილაცეტატის შემცველობა თითქმის ერთნაირი იყო. ეთილაცეტატის დაგროვება შედარებით მეტი იყო ExcellenceXP, VitilevureCsmYseo და ActifloreF33 რასების გამოყენებით მომზადებულ ღვინომასალებში.

კონცენტრაციის მიხედვით ყვავილოვანი და ხილის ტონების მქონე იზოამილაცეტატის მასური კონცენტრაცია მეტი იყო ExcellenceXR, ExcellenceXP რასებით მომზადებულ და საკონტროლო ნიმუშში.

უმაღლესი სპირტები წარმოიქმნება შესაბამისი ამინმჟავების დეჰამინირების ან გადაამინირების გზით, კეტომჟავების შემდგომი დეკარბოქსილირებისას და ალდეჰიდების ალდგენისას სპირტული დუდილის პროცესში (Подопуло А.К.,1983). ზოგიერთი მეცნიერის მონაცემებით (Бурьян Н.И.,1983, Yranzo J.F.Ubeba, Perez A.Y.Briones, Canas P.M.Yzquierdo,1998), უმაღლესი სპირტები წარმოადგენს სპირტულიდუდილის პროდუქტებს, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება საფუარის რასით, ხოლო სინთეზი მიმდინარეობს საფუარის ნახშირბადოვანი და აზოტოვანი ცვლის ზღვარზე, ანუ მათი სინთეზი განპირობებულია საფუარის გენეტიკური თავისებურებებით.

მიღებული მონაცემების ანალიზი მოწმობს, რომ დუდილის ერთნაირ პირობებში 2-ბუთანოლი გამოვლინდა მხოლოდ ExcellenceXP და ActifloreF33 შტამების გამოყენებით მომზადებულ ღვინომასალებში. საფუარის როგორც ექსპერიმენტული, ისე საკონტროლო რასები ასინთეზებენ 1-პროპანოლის და 1-ბუთანოლის მცირე რაოდენობას, რაც წარმოადგენს დადებით ფაქტს.

არომატწარმოქმნელი კომპონენტების დაგროვება საფურის რასის მიხედვით,მგ/დმ³

მაჩვენებელი	ს ა ფ უ ა რ ი ს რ ა ს ა				
	კონტროლი	Exellence XR	Exellence XP	VitilevureCsm Yseo	Actiflore F33
აცეტალდეჰიდი	80,5	118,8	121,3	68,7	81,4
ეთილფორმატი	0,21	0,23	0,22	-	0,18
ეთილაცეტატი	23,45	20,56	19,78	44,8	36,5
იზოამილაცეტატი	0,46	0,52	0,51	0,19	0,32
ეთილლაქტატი	0,13	0,16	0,20	0,22	0,27
ეთილაცეტალი	-	0,05	0,04	-	0,01
მეთანოლი	20,0	23,7	24,1	18,6	21,9
2-ბუთანოლი	-	-	0,12	-	0,08
1-პროპანოლი	19,4	21,1	20,6	15,8	21,2
იზობუთანოლი	59,7	58,9	60,1	32,7	41,0
1-ბუთანოლი	1,12	1,41	1,32	-	-
იზომილის სპირტი	168	172	171	212	186
1-ამილის სპირტი	0,36	0,34	0,38	-	0,12
1-ჰექსანოლი	18,6	17,2	18,5	16,6	18,3
2-ფენილეთანოლი	21,6	35,8	38,9	32,5	31,2
2,3-ბუთანდიოლი	38,7	56,5	58,0	40,4	39,4
სადეგუსტაციო შეფასება	7,8	8,0	8,2	8,2	8,4

ყურძნის გადამუშავების პროდუქტებიდან ცნობილი უმაღლესი სპირტებიდან ყველაზე არასასიამოვნო არომატი გააჩნია იზოამილის სპირტს. მისი დაგროვება ყველაზე დიდი რაოდენობით გამოვლინდა VitilevureCsmYseo და ActifloreF33 რასების გამოყენებით მომზადებულ ღვინომასალებში, თუმცა ამან უარყოფითი გავლენა არ იქონია ღვინომასალის ხარისხზე.

მიღებული ღვინომასალების დეგუსტაციამ გამოავლინა კორელაცია სადეგუსტაციო შეფასებასა და ტიტრული მჟავების კონცენტრაციას შორის, განსაკუთრებით ვაშლმჟავას და რძემჟავას და უმაღლეს სპირტებს შორის. ყველაზე მაღალი სადეგუსტაციო შეფასება მიიღო ღვინომასალამ, რომელიც მომზადებული იყო ActifloreF33 რასის გამოყენებით. დანარჩენ ღვინომასალებს ჰქონდა თითქმის თანაბარი ორგანოლექტიკური შეფასებები.

ამრიგად, კვლევის წარმოდგენილი მასალები მოწმობს საფურის რასის გავლენას სუფრის თეთრი ღვინომასალების არომატულ კომპლექსზე.

ლიტერატურა:

1. Бурьян Н.И. Совершенствование технологических процессов производства столовых вин на основе регулирования обмена веществ у дрожжей. Ялта, 1983
2. Агеева Н.М. Стабилизация виноградных вин. Краснодар, 2007
3. Родопуло А.К. Основы биохимии виноделия. Москва, 1983
4. Рибери-Гайон Ж., Пейно Е. Виноделие (Возбудители брожения. Приготовление вин). Москва, 1971

5. Саенко Н.Ф., Мальцева М.А. Технологические требования к микрофлоре, применяемые в виноделии. Москва,1976
6. Moreno-Arriba M. Winemaking Biochemistry and Mikrobiology: Current Knowledge and future Trends 2005
7. Yranzo J.F.Ubeba, Perez A.Y.Briones, Canas P.M.Yzgierdo Stady of the onological characteristics and enzymaticactivites of wine yeasts Food Microbiol. 1998

The Influence of Race of Yeast on the Compound of the White Table Wines

Tsiklauri Lela

Telavi Iakob Gogebashvili State University

Abstract

In winemaking, the high quality of wine materials essentially depends on the type of yeast. Yeasts race affects fermentation dynamics, the formation of flavor and aroma, as well as the stability of wine materials. Properly selected yeast race can produce wine materials with predictable quality and chemical composition. The aim of the research was to study the influence of French-made yeasts on the amount of organic acids, esters and higher alcohols formed during the fermentation of grape must, which determines the quality of wine and its organoleptic characteristics.

The latent period was practically identical for all four experimental races. In the control variant, fermentation proceeded more slowly, and the exponential phase was established more quickly.

The consumption of relatively active sugars and the release of carbon dioxide were observed while using VitilevureCsmYseo and ExcellenceXP races. The least active carbon dioxide release was noted in the control sample. Sugar fermentation by ActifloreF33 race was completed on the sixth day, by other experimental races – on the ninth day, and the control sample – on the tenth day.

The obtained results can be differently explained in the activity of enzyme systems of different yeast races, which is likely related to their genetic characteristics. In this regard, it was interesting to study the chemical composition of the obtained wine materials.

Tasting of the obtained wine materials revealed a correlation between the tasting evaluation and the concentration of titratable acids, especially between the malic and lactic acids, and higher alcohols. The highest tasting evaluation got the wine material prepared using the ActifloreF33 race. The remaining wine materials had almost equal organoleptic evaluation.

Keywords: yeast race, fermentation of must, organic acids, esters, higher alcohols

ჩრდილო კავკასიელები, გენუელთა კოლონიები და ყირიმის სახანო
XV საუკუნეში

გუმაშვილი ზაურ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლურჯკაია თამარ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.09>

აბსტრაქტი. XV საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ტანასა (აზოვი) და სებასტოპოლისს (სოხუმი) შორის წარმოიშვა გენუელთა 39 კოლონია. გენუელთა კოლონიების ეთნიკური შემადგენლობა საკმაოდ ჭრელი იყო. სამაგიეროდ ამ სიჭრელეში გენუელთა რაოდენობა ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით გამოირჩეოდა.

იურიდიული თვალსაზრისით გენუელები წარმოადგენდნენ სრულიად პრივილეგირებულ მოქალაქეებს, რადგანაც უმცირესობაში მყოფი მოსახლეობის კოლონიებში თვითმმართველ ორგანოებში მათ იმდენივე ადგილი ეკავათ, რამდენიც სხვა დანარჩენ მაცხოვრებლებს ერთად, რომლებიც მოსახლეობის რაოდენობით ათჯერ მეტნი იყვნენ ვიდრე გენუელები.

აღნიშნული პერიოდისათვის ფართო გამოხმაურება მოჰყვა მონათვაჭრობას. მონების დიდი უმრავლესობა, რომლებიც შავი ზღვისპირეთიდან გაჰყავდათ სხვადასხვა ქვეყნებში ძირითადად შედგებოდა თათრებისაგან, ადიღეელთაგან, აფხაზებისგან და დაღესტნელებისა და სხვა კავკასიელებისაგან. განსაკუთრებით დიდი ბაზრობები იმართებოდა ქ. კაფაში, ტანაში, სებასტოპოლისში და კოპარიოში.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში თათრებმა დაიწყეს ყირიმში გამაგრება. დასაწყისისათვის მათ გადაწყვიტეს მომთაბარეობა და მხოლოდ გამოსაზამთრებლად რჩებოდნენ ყირიმში, გაზაფხულზე კი საქონლის ჯოგებთან ერთად ბრუნდებოდნენ დნეპრის სტეპებში. დროთა ვითარებაში მათ მიიტაცეს მიწები და თავიანთ ძალაუფლებას დაუმორჩილეს აქ მაცხოვრებელი ხალხები: ლაზები, სომხები, ბერძნები და სლავები.

უკვე XIV საუკუნის დასაწყისისათვის თათრები ყირიმში ფაქტობრივად მტკიცედ დამკვიდრდნენ და აქ ჩამოაყალიბეს ოქროს ურდოსთან ვასალურ მდგომარეობაში მყოფი ადგილუფროსობა, რომლის უფროსად ოქროს ურდოს მიერ დანიშნული „ტუმანჯი“ დიდი უფლებებით სარგებლობდა.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილო კავკასია, გენუელები, ვაჭრები, მონათვაჭრობა, ზედა ფენა, ყირიმის სახანო, ადგილუფროსობა.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ტანასა (აზოვი) და სებასტოპოლისს (სოხუმი) შორის წარმოიშვა გენუელთა 39 კოლონია, მათ შორის რამდენიმე დიდ დასახლებად. თუ არ ჩავთვლით ტანასა და სებასტოპოლისს, იყო მატრეგა, ტამანის ნახევარკუნძულზე (ყოფილი მატრახა, ტამტარხა, ტმუტარაკანი), მსხვილი სავაჭრო ცენტრი, რომელიც დაკავშირებული იყო მეზობელ ჩრდილო კავკასიელ ხალხებთან და ზღვის იქითა ქვეყნებთან, სადაც ჩერდებოდა ყველა სავაჭრო გემი, რომელთაც მცირეწელიანობის გამო არ შეეძლოთ გაეცურათ ტანამდე. XV საუკუნის დასაწყისამდე მატრეგა იმყოფებოდა ჩერქეთთა თავადის ხელისუფლების ქვეშ. 1419

წელს, მას შემდეგ რაც გენუელი გიზოლფი დაქორწინდა ჩერქეზი თავადის ქალიშვილზე ბიხა-ხანუმზე, მატრეგა გახდა გიზოლფების საფეოდალო.

გენუელთა კოლონიების ეთნიკური შემადგენლობა: კოპა (ლოკოპა, კოპარიო), განსახლებული იყო მდ. ყუბანის მარჯვენა სანაპიროზე; მაპა (ანაპა), ზახირი (უძვ. ბატა-სუნჯუკ-კალე), პეშე (მდ. ყუბანის სიახლოვეს) სანტა კრუჟე, პორტი სან-ჯორჯიო, პორტი ლოტარი და მრავალი სხვა, რომლებიც დასახლებული იყო საკმაოდ ჭრელი ეთნიკური შემადგენლობით, მათ შორის მნიშვნელოვან რაოდენობას წარმოადგენდნენ ჩერქეზები, აფხაზები და სხვა. შავიზღვისპირეთის სანაპიროს ყველა იტალიურ კოლონიაში გენუელთა რაოდენობა იყო უმნიშვნელო. სოლდაემი, ჩამბაკლოში, მატრეგაში და კოპარიოში მნიშვნელოვნად მაღალი იყო ბერძნული და ადიღური მოსახლეობის რაოდენობა. კაფაშიც (ფეოდოსია) კი, რომელიც გენუელთა კოლონიების ცენტრს წარმოადგენდა, ცხოვრობდნენ ბერძნები, სომხები, ებრაელები, ქართველები, რუსები და სხვა. იტალიელები კი იყვნენ უმცირესობაში. აქ, XV საუკუნის მონაცემებით, 70 ათასი მოსახლიდან მხოლოდ 10 ათასი აღმოჩნდა გენუელი (*Atti della societa di storia patria*, 1939).

სოციალური ურთიერთობის თვალსაზრისით გენუის კოლონიების მოსახლეობა შედგებოდა ვაჭრებისაგან, მსხვილი მწარმოებლებისაგან, წვრილი მოვაჭრეებისაგან და მომსახურე პერსონალისაგან. ამას გარდა, კოლონიებში იყვნენ ექიმები, იურისტები, ინჟინრები, მასწავლებლები. ე. კაფაში უნქციონირებდა სასწავლებლები, ბიბლიოთეკა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებები, რომლებშიც მოწოდებულები უნდა ყოფილიყვნენ, რათა გაეგრძელებინათ კათოლიკობა და კიდევ უფრო გაემლიერებინათ გენუელთა გავლენა კოლონიებსა და მიმდებარე მხარეებსა თუ რაიონებში. ზოგიერთ კოლონიაში ფუნქციონირებდა, ეპისკოპოსის და არქიეპისკოპოსის კათედრები. ასევე, კოპარიოში აშენდა ეკლესია. იტალიელთა მომსახურების გარდა მათ მოვალეობაში შედიოდა ადგილობრივ მოსახლეობაში კათოლიკობის გავრცელება. თუმცა კათედრებსა და ეკლესიას დიდხანს არ უარსებია, რადგან მათმა მისიონერულმა მოღვაწეობამ დიდი შედეგი არ გამოიღო.

აღსანიხნავია, რომ იურიდიული თვალსაზრისით გენუელები წარმოადგენდნენ სრულად პრივილეგირებულ ჯგუფს მოქალაქეებისას, ვინაიდან უმცირესობაში მყოფი მოსახლეობის კოლონიებში, თვითმმართველ ორგანოებში მათ იმდენივე ადგილი ჰქონდათ, რამდენიც სხვა დანარჩენ მაცხოვრებლებს ერთად, რომლებიც მოსახლეობის რაოდენობით ათჯერ უფრო მეტნი იყვნენ ვიდრე გენუელები. ამასთანავე, საკმაოდ მიღებული და გავრცელებული ფორმა იყო კანდიდატების არჩევა რადმენადმე კარგად მცხოვრები და გავლენის მქონე ე.წ. უკეთესი ხალხიდან. შედეგად ნიუბში ხელისუფლება აღმოცნდა ყველაზე მდიდარ გენუელთა და ადგილობრივი არისტოკრატიული წრეების ხელში, რომლებიც ერთობლივად უწევდნენ ექსპლუატაციას დაბალი ფენის მოსახლეობას.

ქალაქ კაფაში სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრში მოქმედებდა საკმაოდ კარგად ორგანიზებული ადმინისტრაცია თავისი კანონებით, გერბითა და ტარიფებით. უმაღლესი ხელისუფლება ეჭირა გენუის მიერ დანიშნულ კონსულს. სხვა დანარჩენი თანამდებობის პირების არჩევა ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის რიგებიდან. ესენი იყვნენ: ქალაქის მმართველი, მრჩევლები, სამხედრო მმართველი, კომენდანტი მმართველი და მრავალი სხვა.

გენუელთა კოლონიები მთელ ჩრდილო კავკასიაში ეწეოდნენ გაცხოველებულ ვაჭრობას ამ რეგიონის თითქმის ყველა ხალხთან.

როგორც ჩანს, სავაჭრო გზა ანაპიდან და გადიოდა დასახლებულ პუნქტ ხოლმსკიზე, სარატოვსკიზე, დიდ ზელენჩუკზე, მარუხტზე - ყარაჩაიში. აქედან ერთი განშტოება მიემართებოდა კავკასიოს მთავარი ქედის გაყოლებით წებელდაზე, ხოლო მეორე მიდიოდა მდ. თერგის გაყოლებით კასპიის ზღვისაკენ. იყო ასევე, კიდევ ერთი გზა, რომელიც გადიოდა ანაპა - გელენჯიკის მიმართულებით და გრძელდებოდა მდ. ყუბანის მარჯვენა სანაპიროზე - ჩრდილო კასპიისპირეთი - თურქესტანი - ირანი - ჩინეთი.

XV საუკუნეში გემები, რომლებიც ეკუთვნოდნენ გენუელ ვაჭრებს თავისუფლად გადაადგილდებოდნენ კასპიის ზღვაში. ერთ-ერთმა ვაჭარმა ჯიოვანი-დელა ბალემ დიდი თანადგომა გამოიჩინა სამხედრო გემის მშენებლობაში, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად მონაწილეობას იღებდა საზღვაო ბრძოლებში (Барнаро, Контарини, 1971). კლავისოს სიტყვების თანახმად, სულთან უვეისის (1356-1376 წწ.) დროს გენუელი ვაჭრები მიწის ნაკვეთებსაც ყიდულობდნენ სამხრეთ აზერბაიჯანში და თავრიზის (ამჟამად თებრიზი) მახლობლად ააშენეს ციხე-სიმაგრე (Клавихо, 1881). გენუელები ამასთანავე, ჩრდილო კავკასიის მთიან რაიონებში შეჭრა-შელწევასაც ცდილობდნენ. ამაზე მოწმობენ ზოგიერთი თქმულებები და ცალკეული კომპეებისა და ეკლესიების ნანგრევები და სხვა არქეოლოგიური ძეგლები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა უკავშირებს „გენეზ“, ან „ფერენკი“ ხალხს.

გენუელთა შეღწევა ცენტრალურ კავკასიაში განმტკიცებულია იმითაც, რომ ზემო ჯულათის (თათრტუპის) ეკლესია აღჭურვილია არა უფრო ადრეულ ხანაში.

დაახლოებით ამავე პერიოდისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი ნიშნები კულტებისათვის ნიშანდობლივი არქიტექტურისა, რომელიც კათოლიკური ევროპის ძეგლებისთვის იყო მეტად მახლობელი. და ამაში არ არის არაფერი მოულოდნელი, ვინაიდან იოანე შილტბერგერის თანახმად, XV საუკუნის დასაწყისში ზემო ჯულათში ფუნქციონირებდა კათოლიკური ეკლესია და ქალაქში ცხოვრობდნენ ბერები, რომლებიც კარმელოტთა ორდენის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი ეწეოდნენ მისიონერულ საქმიანობას და საეკლესიო საქმიანობას წარმართავდნენ თათართა ენაზე. ჯულათშივე მდებარეობდა იმავე პერიოდში კათოლიკე ეპისკოპოსის კათედრა. ჩრდილო კავკასიაში გენუელები ვაჭრობდნენ უმთავრესად იტალიური ძაფით, ასევე ხავერდის ძაფით, ფარჩით, ხალიჩებით. შექქონდათ, აგრეთვე, ვენეციური მინა, საპონი, მარილი, ბრინჯი, მდოგვი, ჯანჯაფილი და სხვა. გაჰქონდათ ძირითადად გამომშრალი და დამარილებული თევზი, სხვადასხვანაირი ბეწვეული, პური, თაფლი, ღვინო, ხიზილალა, ხილეული, ხე-მასალა, ტყავეული და მრავალი სხვა. ეს საქონელი მთელი ჩრდილო კავკასიიდან გენუელთა კოლონიებში ჩამოჰქონდათ. გარდა ამისა, საქონელი ამავე მიმართულებით მოემართებოდა რუსეთიდან და სხვა ადგილებიდანაც.

განსაკუთრებით ფართო გამოხმაურება მოჰყვა მონათვაჭრობას. მონების დიდი უმრავლესობა რომელიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან გაჰყავდათ სხვადასხვა ქვეყნებში, ძირითადად შედგებოდა თათრებისაგან, ადიღეელთაგან, აფხაზებისგან, დაღესტნელებისაგან და სხვა კავკასიელებისაგან. განსაკუთრებით დიდი ბაზრობები იმართებოდა ქ. კაფაში, ტანაში, სებასტოპოლისში, კოპარიოში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მცირე ნაწილის გარდა, მონები გაჰყავდათ ისლამურ სახელმწიფოებში. უმეტესწილად ეგვიპტეში, სადაც მამაკაცებისგან ხდებოდა მამლუქების სამხედრო გვარდიის ჩამოყალიბება, რომელიც სულთნის მთავარ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენდა. საკმაოდ დიდი რაოდენობია მონებისა შეჰყავდათ ევროპაშიც, კერძოდ კი, იტალიაში. XV საუკუნის მეორე ნახევარში

მონების რაოდენობამ იტალიაში იმდენად მოიმატა, რომ მათი აჯანყების შიშით იტალიელებმა სხვა ქვეყნებში დაიწყეს თავიანთი მონების გაყიდვა.

გენუელთა კოლონიებში მონებად გასაყიდად მოჰყავდათ არა მარტო თათრები, არამედ ჩრდილო კავკასიელები, ჩერქეზები, ალანები და სხვები. ყარაჩაელები და ბალყარელები, - წერდა იოანე დე გალონიფონტიუსი, „ზღვის სანაპიროზე ყიდიან მონებს მონათვაჭრებზე“ (Галонифонтыус, 1980). არც თუ იშვიათად ხდებოდა, რომ თვით გენუელები აწყობდნენ მეზობელ დასახლებებზე თავდასხმებს იმისათვის, რომ ხელთ ეგდოთ ტყვეები, რომლებსაც შემდგომ მონებად გაყიდიდნენ. როგორც არ უნდა ყოფილიყო, გენუელი კოლონიების ხელისუფალთა მიერ მოწონებული მონათვაჭრობა ყველაზე უარყოფით როლს თამაშობდა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში.

გენუელთა კოლონიებიდან გაზიდულ საქონელს შორის უაღრესად დიდი მნიშვნელობისა იყო პური. კოლონისტები ჩრდილო კავკასიელი მოსახლეობისაგან დიდი რაოდენობით იძენდნენ ხორბალს და შეჰქონდათ იგი ხმელთაშუაზღვის ქალაქებში. ამ შესყიდული ხორბლიდან ნაწილის რეალიზაციას ახდენდნენ ყირიმის ნახევარკუნძულზე და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. გენუელთა კოლონიებიდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ თევზი და თევზის პროდუქტები.

ჩრდილო კავკასიაში გენუელ კოლონისტებს სხვადასხვა პროდუქტებთან ერთად შეჰქონდათ პირველადი მოთხოვნილებისათვის საჭირო ნივთები; ასევე, ძვირფასეულობა, რომლის შეძენა შეეძლოთ ფეოდალებს და ძირითადი მასისაგან გამოყოფილ მდიდარ ფენას.

მიუხედავად იმისა, რომ გენუელებმა ეპროპული კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტები გაავრცელეს ჩრდილო კავკასიაში, მათმა მტაცებლურმა კოლონიალურმა პოლიტიკამ უაღრესად ნეგატიური ასახვა ჰპოვა ამ მხარის ისტორიულ ბედ-იღბალზე, და უპირველესად შავიზღვისპირეთის სანაპიროს მოსახლეობაზე. განსაკუთრებით დამღუპველი და მძიმე აღმოჩნდა მონათვაჭრობის შედეგები, რომლის შედეგად ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ამ რეგიონის სხვადასხვა ეთნოსის გამრავლების წინაპირობა და საფუძველი უნდა გამხდარიყო, მოწყვეტილ იქნა მშობლიური ადგილებიდან და სრულიად უცხო მხარეში, სხვათა ბატონობის უღელქვეშ აღმოჩნდა. ამასთანავე, ავითარებდნენ რა სავაჭრო პუნქტებს გენუელი კოლონისტები, საერთოდ არ ზრუნავდნენ მხარეში მწარმოებლური ეკონომიკის განვითარებაზე.

გენუელთა კოლონიების მმართველი ზედა ფენა ცდილობდა „შენარჩუნებინა მეგობრული ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან“ (Atti della societa di storia patria, 1939). ამ მიზნით გენუელები აკეთებდნენ ყველაფერს, რაც მათზე იყო დამოკიდებული, იმისათვის, რომ კმაყოფილი ჰყოლოდათ ჩერქეზთა და სხვათა მმართველობები. 1458 წელს გენუიდან მიღებულ ინსტრუქციაში შავიზღვისპირეთის კონსულებისადმი მითითებული იყო: „შავ ზღვაზე ოთხი მმართველია, კერძოდ კი: თათართა იმპერატორი, ტრპეზუდის იმპერატორი, თავადი თეოდორი (მანკუპის) ძმებთან ერთად და თავადი მანკასტრო (აკერმანი), რომელთა მესვეურები ახორციელებენ ფართო მასშტაბის (შემოსავლიან) ვაჭრობას კაფასა და სხვა დანარჩენ მოსახლეობასთან, რომლებიც შედიან ჩვენს მმართველობაში (შავ ზღვაზე - ზ.გ.), ამ მიზეზის გამო იყავით მათთან კარგ ურთიერთობაში. ჩვენ გისურვებთ და გავალებთ, რათა ყველანაირი ფორმით და საშუალებებით ეცადეთ იცხოვროთ მათთან მშვიდობიანად, რათა გამორიცხული იყოს ყველანაირი შეუთანხმებლობა და მიზეზი შეტაკებებისთვის.“ თუმცა, გენუელთა ურთიერთობები თავიანთ მეზობლებთან არ იყო მშვიდობიანი, ისინი ყველანაირი წინააღმდეგობის გადალახვით, ჩრდილო

კავკასიელთა საშინაო საქმეებში ერეოდნენ. ამისათვის ხშირად იყენებდნენ მოსყიდვას, ინტრიგებს, ღია სამხედრო ჩარევებსაც კი. გაძლიერებული ექსპლუატაცია მშრომელებისა, გამუდმებული ჩარევა ადგილობრივი მოსახლეობის საშინაო საქმეებში, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ტყვეებად ხელში და მათი მონებად გაყიდვა. ამ და სხვა უამრავ, გენუელთათვის დამახასიათებელ გაუმაძღრობასა და ფინანსების მოპოვების დაუოკებელ სწრაფვას, არ შეიძლებოდა უკმაყოფილება და ღია გამოვლინება არ გამოეწვია შავიზღვისპირეთის კოლონიების და მათი მიმდებარე რაიონების მოსახლეობაში.

XV საუკუნის მეორე ნახევარი - ეს არის პერიოდი გამუდმებული მღელვარებისა და პირდაპირი აჯანყებისა, რომელშიც ძირითად მასას წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობა „კაფას წინააღმდეგ“, ე.ი. აღმოსავლეთ ევროპის კოლონიური ცენტრის წინააღმდეგ.

ადილეთა და სხვა ჩრდილო კავკასიელი ხალხების ბრძოლა კოლონიებთან იმაშიც ვლინდებოდა, რომ ისინი უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე და თავს ესხმოდნენ გენუელ ვაჭრებს, მონაწილეობას იღებდნენ შეიარაღებულ შეტაკებებში. ისეთ კალაქებში, სადაც თავმოყრილი იყო დიდი რაოდენობის რიგითი ჯარისკაცი, მატროსები და სხვადასხვა ხალხის დაქირავებული მუშა-ხელი, ასეთი მღელვარება ხშირად ღია აჯანყებაში გადაიზრდებოდა ხოლმე. სხვები კი, რომელთაც სხვა გამოსავალი ვერა ნახეს, ტოვებდნენ თავიანთ საცოხვრებელ ადგილებს და გარბოდნენ კოლონიიდან, უფრო მეტად „ჩერქეზეთში ან კავკასიის მთიანეთში“ (Atti della societa di storia patria, 1939).

კოლონიებში, თუ მის შემოგარენში, მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობდა გამოეყენებინა ყველა შესაძლებლობა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ. 1457 წელს ადილეთა თავადმა კადიბელდიმ აილო მატრეგის მფლობელთა ციხე-სიმაგრე, რის შემდეგაც მატრეგის თავადი ზაქარია გიზოლფი წერდა: „ხალხი... აღსდგა კაფას წინააღმდეგ, ხელთ იგდო ციხეები, ზიხის თავადთან ერთად.“ - მაგრამ ეს აჯანყებაც, როგორც სხვები, ჩაქრობილ იქნა.

გენუელი კოლონისტების წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა ადგილობრივი ფეოდალების ორმაგი პოლიტიკის გამო. ისინი ერთის მხრივ, ისწრაფოდნენ რათა მიეღწიათ გენუელთა ხელისუფლებისგან სრული დამოუკიდებლობისათვის და გაეზარდათ თავიანთი სიმდიდრე გენუელთა ხარჯზე, ხოლო მეორეს მხრივ, ნაკლებად ზრუნავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დასაცავად, მათი კოლონიზატორული უღლისაგან გათავისუფლების თვალსაზრისით. ამასობაში გენუელთა მდგომარეობა შავი ზღვის სანაპიროზე უფრო და უფრო კრიტიკული ხდებოდა. XV საუკუნის შუა ხანებისათვის კაფა იძულებული გახდა ყირიმის ხანისათვის გადასახადი გადაეხადა. გენუა ისევ კატეგორიულად მოითხოვდა კაფასგან, რათა მშვიდობა უზრუნველყო და კარგი ურთიერთობები შეენარჩუნებინა მხარის მოსახლეობასთან. მეტროპოლიაში დიდ სიამოვნებას ანიჭებდათ იმ ამბების მოსმენა, რომ მოგვარებულია ყველანაირი კონფლიქტები კოლონიებში. და მაინც, მშვიდობიანი მოლაპარაკებები თავდაუსხმელობის შესახებ არ აღმოჩნდა მუდმივმოქმედი. თუმცა, გენუელთა კოლონიის ბედი გადაწყვიტა ოტომანის პორტამ. ოსმალებმა მიწასთან გაასწორეს კაფა და მასთან ერთად, მათი კოლონიალური სისტემა, რომელსაც იტალიელები დიდი ხნის განმავლობაში ახორციელებდნენ შავიზღვისპირეთის სანაპიროზე.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში თათრებმა დაიწყეს ყირიმში გამაგრება. დასაწყისისათვის მათ გადაწყვიტეს მომთაბარეობა და მხოლოდ ზამთრის

გასატარებლად რჩებოდნენ ყირიმში, გაზაფხულზე კი საქონლის ჯოგებთან ერთად ბრუნდებოდნენ დნეპრის სტეპებში. დროთა ვითარებაში მათ ძალით მიიტაცეს მიწები და თავიანთ ძალაუფლებას დაუმორჩილეს აქ მაცხოვრებელი ხალხები: ალანები, სომხები, ბერძნები და სლავები. ყირიმში დამკვიდრების შემდეგაც კი თათრები, ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსხვავებით, რომლებიც მიწათმოქმედებას მისდევდნენ, განაგრძობდნენ მეცხოველეობას თავიანთ საქმიანობაში. „უმეტესობა (თათრების - ზ.გ.) - ამბობს პოლონეთის მეფის სტეფანე ბატორის ელჩი ყირიმში მ. ბრონევსკი, - საერთოდ არ ამუშავებს და არ თესავენ, მათი სიმდიდრე მდგომარეობს ცხენებში, აქლემებში, ძროხებში, თხეებში და ცხვრებში; ისინი ამით ცხოვრობენ.“

XIV საუკუნის დასაწყისისათვის თათრები ყირიმში ფაქტობრივად მტკიცედ დამკვიდრდნენ. მათ ჩამოაყალიბეს ოქროს ურდოსთან ვასალურ მდგომარეობაში მყოფი ადგილუფროსობა. ამასთანავე, ოქროს ურდოს მიერ დანიშნული ადგილის უფროსი „ტუმანჯი“ ან კიდევ „ტუდუში“ დიდი უფლებებით სარგებლობდა ყირიმში: დამოუკიდებლად ეურთიერთებოდა საზღვარგარეთულ სახელმწიფოებს, დებდა სამშვიდობო ხელშეკრულებებს, უცხადებდა ომს, უშვებდა საკუთარ მონეტას და ა.შ. დროთა ვითარებაში ადგილის უფროსი და მისი საერო და სასულიერო გარემოცვა ისწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ. ყირიმელი ხანების დინასტიის - გირეების (ან გარაების) ფუძემდებელი იყო დავლეთი, რომელიც თათართა მურზებმა აღიარეს თავიანთ ლიდერად. 1433 წელს ჰაჯი-დავლეთ გირეი ოფიციალურად გახდა ყირიმის ხანი. ამ სახანოს ჩამოყალიბებას მოწონებით შეხვდნენ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რადგანაც შექმნილ საერთაშორისო სიტუაციაში რეგიონის სახელმწიფოები დაინტერესებულნი იყვნენ, რათა ოქროს ურდოს ძალაუფლება შესუსტებულიყო. მაგრამ ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობა დიდხანს არ გაგრძელდებულა. XV საუკუნის შუა ხანებისათვის სახანოს მდგომარეობა ბევრად უფრო გაართულდა. 1453 წელს ოსმალებმა დაიპყრეს კონსტანტინოპოლი და ისინი გახდნენ სამხრეთ შავიზღვისპირეთის მფლობელები. ცხადია, ისინი ოცნებობდნენ ჩრდილო შავიზღვისპირეთის დამორჩილებაზეც. უკვე 1454 წელს ოსმალთა პორტამ ზღვიდან ტყვიები დაუშინა მონკასტროს (აკერმანი) და სებასტოპოლისის (სოხუმი) დანგრევით გვაჩვენა, რომ იგი თავის მიზნად ისახავდა უახლოეს მომავალში მისთვის მნიშვნელოვანი ამოცანის, დასავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის დამორჩილების, შესრულებას. ყირიმის მმართველი წრეების შემფოთებამ დააჩქარა მათი სწრაფვა დაემყარებინათ მეგობრული ურთიერთობები სულთანთან. პორტასა და ყირიმის სახანოს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც სულთანმა პირობა მისცა ყირიმის ხანს, კაფადან განედევნა გენუელები.

კაფადან იტალიელების განდევნისათვის ხელსაყრელი დრო მალე დადგა. 1466 წელს ჰაჯი-დევლეთ გირეი სიკვდილის შემდეგ სახანოში მის შვილებს შორის დავა ატყდა. ამ საქმეში კაფას ჩარევამ შექმნა წინაპირობა იმისათვის, რომ თათარ ფეოდალებს მიემართათ დახმარებისათვის თურქეთის სულთნისათვის. 1475 წელს ოსმალებმა თათართა დახმარებით გაანადგურეს კაფა და სხვა გენუელთა კოლონიები. მაგრამ თათართა და ოსმალეთის სულთნის ინტერესები არც თუ ყოველთვის ემთხვეოდა ერთმანეთს. მათ შორის გაჩენილი უთანხმოებით ისარგებლა ოქროს ურდოს ხანმა ახმატმა. მისმა ჯარებმა „აიღეს ყირიმი და მთელი აზერგირეეების ურდო“ (II.C.PJI, M. 1965). ოსმალეთის სულთანის სრულებითაც არ აპირებდა ამ პროცესებისათვის შორიდან ეყურებინა. მან გარეკა ოქროს ურდოს ჯარები ყირიმის ნახევარკუნძულიდან და ეს ნახევარკუნძული თავის ხელისუფლებას ვასალური დამოკიდებულებით დაუქვემდებარა. ამ ვითარებამ საკმაოდ გაამყარა სახანოს

პოზიციები ოქროს ურდოსთან მიმართებაში. მან ძლიერი პატრონი იპოვა ოტომანის იმპერიის სახით. ყირიმის სახანოს სულთნის მიერ დამორჩილება, ცხადია, საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნიდა ჩრდილო კავკასიის ხალხებს და რუსეთსაც, რომელიც ნელ-ნელა ძალებს იკრებდა. ამას ემატებოდა ყირიმის ხანის დამოკიდებულება და ინტერესი ამ საკითხისადმი, რომელსაც მიაჩნდა, რომ იგი არის მემკვიდრე ოქროს ურდოს ხელისუფლებისა და მისდამი მორჩილებაში მყოფი ყველა ხალხი მას უნდა დამორჩილებოდა. ყირიმში და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში, ქერჩში, კაფაში, აზოვში, მატრეგში (ტამანი), ანაპაში და სხვა ქალაქებში გამოჩნდნენ ოსმალთა გარნიზონები. იტალიელთა ორასწლიანი ბატონობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შეიცვალა ოტომანის იმპერიისა და ყირიმის ხანის უმძიმესი უღლით. ძალზე მძიმე და დრამატული აღმოჩნდა ოსმალეთისა და ყირიმის სახანოს ბატონობის უღელი ჩრდილო კავკასიის ხალხებისათვის და პირველ რიგში ადიღეთა მოსახლეობისათვის. XV საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისათვის ყირიმის ხანი მენგლი-გირეიმ გადაწყვიტა ადიღეთა მოსახლეობის წინააღმდეგ გალაშქრება (Сн. РИО. СПб, 1884). ოსმალთა და თათართა წყაროების თანახმად მან ყირიმის სახანოს დაუმორჩილა ადიღეები. თუმცა, ადიღეები არ შეურიგდნენ ამ ვითარებას და თავგანწირული ბრძოლით უპასუხეს დამპყრობლებს, საკუთარი თავისუფლებისათვის.

ლიტერატურა:

1. Atti della societa di storia patria. Genova, 1939 T 7. F2, 168, 177, 266, 575-680
2. Барбаро и Контарини о России: К истории итало- - русских связей в XV в. Л., 1971. С.138
3. Клавихо. Путешествие по двору Тимура Спб., 1881. с. 167-168
4. Иоанн де-Галонифонтыбус. Сведения о народах Кавказа 1404/ пер. З. М. Буниятова. Баку. 1980 г. с.17.
5. П.С.РЛ, М.1965. т 12. С. 168
6. Сб. РИО. СПб, 1884 т. 41. С.111.

Northern Caucasians, Genoese Colonies and the Crimean Khanate in the 15th Century

Gumashvili Zaur
Gurchkaya Tamar

Jacob Gogebashvili Telavi State University

Abstract

In the 15th century, between Tana (Azov) and Sebastopol (Sukhumi), 39 colonies of the Genoese emerged in the northwestern Caucasus. The ethnic composition of the Genoese colonies was quite diverse. However, in this diversity, the number of Genoese was extremely small. From a legal perspective, the Genoese were completely privileged citizens, as in the self-governing bodies of the minority population in the colonies, they held as many seats as the other residents combined, who were ten times greater in number than the Genoese. During this period, there was a significant response to slave trading. The vast majority of slaves who were taken from the Black Sea coast to other countries primarily consisted of Tatars, Adyghe, Abkhazians, and Dagestanis, as well as other Caucasians. Particularly large markets were held in the cities of Caffa, Tana, Sebastopol, and Koper. In the second half of the 13th century, the Tatars began to gain a foothold in Crimea. Initially, they chose a nomadic lifestyle and only stayed in Crimea for wintering, returning to the steppes of the Dniester in the spring with their herds. Over time, they seized lands and subjugated the local populations living there: Laz, Armenians, Greeks, and Slavs. By the early 14th century, the Tatars had firmly established themselves in Crimea and set up a local lordship under the suzerainty of the Golden Horde, whose leader, the “tumanji,” appointed by the Golden Horde, enjoyed significant powers.

Keywords: *Northern Caucasia, Genoese, traders, slave trade, upper strata, Crimean Khanate, local lordship.*

ჩრდილო კავკასიელებისა და რუსების ურთიერთობა
XV საუკუნეში

გუმაშვილი ზაურ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლურჯაია თამარ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.10>

აბსტრაქტი. რუსული სათავადოებისა და ჩრდილო კავკასიელი ხალხების ურთიერთობაზე უაღრესად ნეგატიური ასახვა ჰპოვა თათარ-მონღოლთა დამპყრობლების შემოსევამ. გარკვეული დროის განმავლობაში ეს ურთიერთობები საერთოდ შეწყდა. ამ ურთიერთობის განახლების დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს ოქროს ურდოს დაქვემდებარებაში შემავალი რეგიონების ხელმძღვანელთა შეხვედრები მის დედაქალაქში. ამ დროის ისტორიული წყაროები გვამცნობენ მრავალ საინტერესო ინფორმაციას ამ ურთიერთობების შესახებ.

რუსი ისტორიკოსებისთვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ისინი თათარ-მონღოლთა წინაარმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლას აიგივებენ მონღოლთა მიერ დაპყრობილი ყველა ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლასთან და თვლიან, რომ სწორედ რუსეთმა დაუდო სათავე დამპყრობლის წინააღმდეგ ამ გამარჯვებას, რაც საკითხისადმი ტენდენციური მიდგომაა. თათარ-მონღოლთა უღელქვემ მგმინავი ყველა ხალხი იბრძოდა საკუთარი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და მოპოვებული თავისუფლება მათი დამსახურებად არის.

ჩრდილო კავკასიის ხალხებსა და რუსებს შორის ხორციელდებოდა სავაჭრო ურთიერთობებიც. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ამ კუთხით იყო მდინარე ვოლგის მეშვეობით კასპიის ზღვის ქალაქებში, დერბენტსა და ბაქოში წარმოებული სავაჭრო ურთიერთობები. ცხადია, სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას თან სდევდა პოლიტიკური ურთიერთობების წარმოშობაც.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილო კავკასია, რუსეთი, სავაჭრო ურთიერთობები, დერბენტი, თათარ-მონღოლები, ოქროს ურდო.

თათარ-მონღოლთა შემოსევამ უაღრესად ნეგატიური გავლენა იქონია ჩრდილო კავკასიელი ხალხებისა და რუსული სათავადოების ურთიერთობებზე. აღსანიშნავია, რომ რაღაც დროის მონაკვეთში ეს ურთიერთობები საერთოდ შეწყდა. მაგრამ დროთა ვითარებაში ჩრდილო კავკასიელებისა და რუსული სათავადოების მესვეურებს შორის კვლავ აღსდგა და თანდათანობით ამ ურთიერთობების დალაგება დაიწყო. დასაწყისისათვის ეს მოხდა ოქროს ურდოს დედაქალაქში შეხვედრებზე. როგორც ცნობილია, რუსი თავადები „დადიოდნენ ურდოში“, რათა დაედასტურებინათ ხანისთვის თავიანთი მორჩილება, მიეღოთ თანხმობა თავადის მოვალეობის შესასრულებლად, მიერთმიათ გადასახადი და სხვა, ოქროს ურდოს ცენტრში. ასევე,

მიემგზავრებოდნენ ჩრდილო კავკასიის მმართველებიც.

ურდოს დედაქალაქში თავისი შეხვედრების შესახებ მოგვითხრობს ამ დროის თანამედროვე გილომ რუბრუკი (Рубрук, Карпони, 1957). ოქროს ურდოს რეზიდენციაში, მისი თქმით, მოდიოდნენ რუსები, ბერძნები, ალანები და ამასთანავე ჩრდილო კავკასიის მმართველებიც. სარაიში ისინი აღმოჩნდნენ არც თუ სასურველ მდგომარეობაში, ვიდრე რუსების, ქართველების და სხვათა წარმომადგენლები. შესაძლოა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან რუსებს ურთიერთობებოს შესაძლებლობა უჩნდებოდათ ოქროს ურდოს წარმომადგენელთა ზაფხულის სამომთაბარო გადაადგილების დროს კასპიის ზღვიდან აზოვსა და შავ ზღვას შორის. ამ დროის ისტორიული წერილობითი წყაროები გვამცნობენ იმის თაობაზე, რომ ჩრდილო კავკასიის მთისწინა მხარეში (ასსების და ჩერქეზების მთებთან) მოკლული იქნა ბრწყინვალე სათავადოს ერთ-ერთი პრეცენდენტი მიხეილ იაროსლავის ძე. სიკვდილიდ წინ მისმა თანმხლებმა პირებმა-მეომრებმა თავადს წინადადებით მიმართეს, რათა მთებისკენ გაქცეულიყო სადაც თავშესაფრის მონახვა იყო შესაძლებელი. მაგრამ თავადმა რჩევა არ მიიღო, რისთვისაც სიკვდილით დაისაჯა.

ოქროს ურდოს დედაქალაქში ხშირად სტუმრობდნენ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები. პლანო კარპინი გვამცნობს იმ კერძო შეხვედრების შესახებ ოქროს ურდოს დედაქალაქში და თვით ყარა-ყორუმში რუს სასულიერო პირებთან. ასევე, საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გილომ რუბრუკიც, რომელიც აღნიშნავს, რომ ჩამოსულთა შორის „საკმაოდ დიდი იყო“ რუსი სასულიერო პირების რაოდენობა. ცხადია, რომ ეს ვითარება გასაგები გახდება თუ კი გავითვალისწინებთ, რომ ოქროს ურდოს ქალაქებში მართლმადიდებლური ეკლესიები საკმაოდ რაოდენობით იყო.

აღსანიშნავია, რომ ოქროს ურდოს შემადგენლობაში დიდი რაოდენობის მოსახლეობას წარმოადგენდნენ უბრალო რუსები, რომლებიც აღმოჩნდნენ თათრების ტყვეობაში. პლანო კარპინი, როდესაც მოგვითხრობს თათარ-მონღოლთა პოლიტიკაზე რუსეთში, აღნიშნავს, რომ თათრები დაიკავებდნენ თუ არა რომელიმე დასახლებულ პუნქტს, „კითხულობენ, ვინ არის მათში ხელოსანი და მათ ცოცხალს ტოვებენ, და სხვებს კი, მათ გარდა ვისაც ტყვეებად იტოვებდნენ, კლავდნენ ხელცულით“ (Рубрук, Карпони, 1957). რუსი მოსახლეობის დიდი ნაწილი გარეკეს ტყვეებად. „როდესაც რუსებს არ შეუძლიათ მეტი ოქროს ან ვერცხლის მიცემა - ამაბობს გ. რუბრუკი - თათრებს მიჰყავთ ისინი და მათი პატარები, როგორც ჯოგი, იმისათვის, რომ მათი საქონელი მწყემსონ“ (Рубрук, Карпони, 1957). სწორედ ასეთნაირად ექცეოდნენ თათრები ჩრდილო კავკასიელებსაც. მოგვითხრობს რა, იმის შესახებ, თუ როგორ უსწორდებოდნენ თათრები უზბეკის მმართველობის ხანაში ჩერქეზებს, ასსებს და რუსებს, ელომარი წერს: „რამდენჯერ ამოხოცა მან მათი მამაკაცები, მიჰყავდა ტყვეებად ქალები და ბავშვები“. მაგრამ მონებად გარეკილი რუსები, როგორც სხვა სახელმწიფოებიდან წაყვანილები (მათ შორის ჩრდილო კავკასიელებიც) იყვნენ ხელობის მცოდნე ადამიანები.

„სარაცინების მიწაზე და სხვებთანაც, -ამბობს პლანო კარპინი, - სადაც ისინი (თათრები -ზ.გ.) წარმოადგენენ ბატონებს, მათ მიჰყავთ ყველა, ვინც კი ხელოსანია და აკეთებინებენ ყველაფერს, რაც კი აქვთ გასაკეთებელი“ (Рубрук, Карпони, 1957). მონობისთვის განწირული ხელოსნები ოქროს ურდოში აშენებდნენ ქალაქებს, აშენებდნენ და ალამაზებდნენ სასახლეებს, ამზადებდნენ საბრძოლო და შრომის იარაღებს, ქმნიდნენ ბრწყინვალე საიუველირო საქონელს, ყველანაირ ცხოვრებისეულ მოთხოვნად საგნებს.

ოქროს ურდოში ყველა თავისუფლება აღკვეთილი იყო, მათი წარმომავლობის მიუხედავად, იმყოფებოდნენ ერთნაირად მძიმე მდგომარეობაში. პლანო კარპინის თანახმად, „ისინი ძალზე ცოტას ჭამენ, ცოტას სვამენ და ძალზე მოკრძალებულად იცვამენ. მათ, ოქროს საქმეების ხელოსნებს და სხვა კარგ ოსტატებს არ შეუძლიათ რაიმეს გამოიმუშავენა. ამასთან ერთად, ზოგიერთებს ჰყავთ ისეთი ცუდი ბატონები, რომლებიც მას არაფერს აძლევენ და მათ მრავალი საბატონო საქმეების გამო არ აქვთ დრო, რათა თავიანთთვის გამოიმუშაონ რამე. თუ კი ისინი არ მოიპარავენ დროს, როცა მათ უნდა დაესვენათ ან დაემძინათ. მაგრამ ამის გაკეთება შეეძლოთ მხოლოდ იმათ, რომელთაც უფლება ჰქონდათ ჰყოლოდათ ცოლი და საცხოვრებელი. სხვები კი, რომელთაც იყენებენ სახლში მონების სახით, ყველანაირ შებრალებას მოკლებულნი არიან.“ ბევრად უფრო მწვავედ გვისახავს ვითარებას ელომარი: „გვალვისა და შიმშილის დროს ისინი (რუსები და სხვები, დეშთი-ყივჩაღის მცხოვრებნი) ყიდიან თავიანთ შვილებს.“ ასეთი ადამიანების მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მებატონე მათ ექცეოდა თავისი შეხედულებისა და სურვილის შესაბამისად. ი.ბარბარო გვიყვება იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთმა ხან ედელლუგის ნათესავმა მას საჩუქრად მისცა რვა მონა, ეროვნებით რუსი, და უთხრა, რომ „ეს არის ჩემს მიერ მოპოვებული ნადავლის ნაწილი, რომელიც მოვიპოვე რუსეთში.“ როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, შავი ზღვის პირეთის მონათა ბაზარზე გასაყიდ მონათა შორის დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ მონები, რომლებიც კავკასიური წარმოშობის იყვნენ: აფხაზები, ჩერქეზები, ლეზგები და რუსები. ამის გარდა თათრები მონებს ჰყიდიდნენ ყირიმისა და კავკასიის ბაზრებზეც. განსაკუთრებით ფასობდნენ რუსი და ჩერქეზი ქალები. მონათა გარკვეული ნაწილი რჩებოდა შავიზღვისპირეთის ქალაქებში, ბევრად უფრო დიდი ნაწილი კი გაჰყავდათ სხვა სახელმწიფოებში.

ისტორიული წყაროების თანახმად, დადგენილია, რომ რუსები და ჩრდილო კავკასიელი ვაჭრები და ხელოსნები გამუდმებით სტუმრობდნენ ქალაქის ცენტრებსა და გაჩერებებს, რომლებიც ეკუთვნოდათ ოქროს ურდოს ხანებს. არაბი მოგზაური იბნ-ბატუტა, რომელიც ოქროს ურდოში ყოფილა XIV საუკუნის 30-იან წლებში ადასტურებს, რომ „სარაე-ვერკეში დიდი რაოდენობით იყვნენ რუსები. თითოეული ეთნოსის ხალხი ცხოვრობს თავის მიწის ნაწილზე ცალკე. იქვეა მათი ბაზარიც.“ რუსი ვაჭრები ხშირად იყვნენ მაჟარში და ჩრდილო კავკასიის სხვა ქალაქებში. ჩვეულებისამებრ, ურდოს ხანის მეთაურობით ან მისი მემკვიდრის ხელმძღვანელობით სადაც არ უნდა განლაგებულიყო, გაჩერებულიყო თავის საქონლის ჯოგთან ერთად, -ი. ბარბაროს თანახმად, -„უმალვე ხსნიდნენ ბაზარს.“ თათრების ჯარის შემადგენლობაში, - განაგრძობს ბარბარო, - „ყოველთვის მოიძებნებინ ვაჭრები: ერთნი სხვადასხვა საშუალებებით ეზიდებინ ადგილზე საქონელს, ხოლო სხვები მხოლოდ ურდოს გავლთ მიდიან იმ მიზნით, რომ მოხვდნენ სხვა ქვეყნებში,“ ამ ბაზრებში იყიდებოდა ყველანაირი სქონელი, მათ შორის რუსეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან ჩამოტანილი.

როგორც ცნობილია, ოქროს ურდოს ხანები ტყვეებად აყვანილ მამაკაცებს იყენებდნენ მეომრებად სხვადასხვა ლაშქრობის დროს. მათდამი დაქვემდებარებული ხალხებისგანაც „მოითხოვდნენ... რათა ისინი ომში მათთან ერთად წასულიყვნენ, მათი სურვილის შესაბამისად“ - ამბობს პლანო კარპინი.

თვითმხილველი გვიამბობს, რომ თათარ-მონღოლთა ხანს ტოხტის ჰყავს ჯარი, რომელიც შედგება „რუსებისგან, ჩერქეზებისგან, ყივჩაღებისგან, მაჟარის მეომრებისა და სხვა ხალხისგან.“ სისხლიანი ბრძოლების მსვლელობებისას ჩრდილო კავკასიაში თოხთამიშსა და თემურ ლენგს შორის ოქროს ურდოელებმა თემურის წინააღმდეგ

დაიხმარეს ჯარის ნაწილი, რომელიც შედგებოდა „რუსებისაგან, ჩერქეზებისაგან, ბულგარებისაგან, ყივჩაღებისაგან, ალანებისაგან.“

როგორც აღინიშნა, თავის მოწინააღმდეგესთან ბრძოლისას, თათრები ხშირად იყენებდნენ ტყვეებს. როგორც წესი, მათ ჩააყენებდნენ ხოლმე თათრების ჯარის წინ. ასე, რომ ბრძოლაში პირველები უნდა ჩაბმულიყვნენ. პლანო კარპინი აღნიშნავს, რომ „დაპყრობილი ქვეყნების მეომრებით ანადგურებდნენ მომდევნო მიწას.“

როგორც ცნობილია, რუსმა ხალხმა თავის თავზე იწვნია მონღოლ-თათრებთან ბრძოლის მთელი სიმძიმე. ამასთანავე, XIV საუკუნეში რუსეთის გათავისუფლებასთან ერთად მიმდინარეობდა მისი გაერთიანების პროცესებიც. და ეს გამაერთიანებელი ცენტრი, აღნიშნული პერიოდისათვის, როგორც აშკარად გამოიკვეთა, იყო ქ. მოსკოვი (Архив Маркса и Энгелса, 1946). ამ გამაერთიანებელ პროცესს საბოლოო წერტილი დაუსვა ივანე III-მ. XV საუკუნის დასასრულისათვის მთელი ევროპა გააკვირვა უცაბედად წარმოშობილმა უზარმაზარმა იმპერიამ, მის აღმოსავლეთ საზღვარზე.

როგორც რუსი ისტორიკოსებისთვის არის დამახასიათებელი, რუსულ განმანთავისუფლებელ ბრძოლას თათარ-მონღოლთა წინააღმდეგ, ისინი აიგივებ თათართა მიერ დაპყრობილი ყველა ხალხის განმანთავისუფლებელ ბრძოლასთან და დასკვნას აკეთებენ, რომ სწორედაც რუსეთმა დაუდო სათავე ამ გამარჯვებას, რაც საკითხისადმი მიკერძოებულ, ტენდენციურ მიდგომად მიგვაჩნია. თათარ-მონღოლთა უღელქვეშ მგმინავი ყველა ხალხი იბრძოდა საკუთარი დამოუკიდებლობისათვის თავის ტერიტორიაზე და მოპოვებული თავისუფლებაც მათი დამსახურებაა. თუმცა, ამ თვალსაზრისით რუსთა მიერ მოპოვებული წარმატება საკმაოდ დიდი იყო და ამ შემთხვევაში ხალხებს აერთიანებდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. კულიკოვის ველზე წარმართული ბრძოლის შემდეგ ოქროს ურდოს ძლიერება საკმაოდ საფუძვლიანად შეირყა. ოქროს ურდოს ძლიერების შესუსტებას შედეგად მოჰყვა სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების დაახლოება თათართა უღელქვეშ მყოფი ხალხებისა, მათ შორის ჩრდილო კავკასიის ხალხებსა და რუსებს შორის. ისტორიული წყაროების თანახმად 1404 წელს რუსი ვაჭრები ჩავიდნენ დერბენტში. ძირითადი სავაჭრო კავშირები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიასა და რუსეთს შორის ხორციელდებოდა მდ. ვოლგითა და კასპიის ზღვით.

1475-1476 წლებში, ქ. დერბენტში ზამთრის გატარებისას ა. კონტარინი წერდა, რომ ქალაქი გაშენებულია თითქმის ერთ მეექვსედზე (თავისი მოედნის), ხოლო ზღვის მხარეს ის მთლიანად დანგრეულია. „ამ ნანგრევებში უამრავი საფლავია. ქალაქი დიდად მარაგდება პროდუქტებით და ღვინით, ასევე, სხვადასხვანაირი ხილეულით“ (Барбаро, Коктарини, 1971). დაახლოებით ამ პერიოდში დერბენტში მყოფი ათანასე ნიკიტინი მოგვითხრობს, რომ ქალაქში მრავლადაა თურქულენოვანი მოსახლეობა და „ჩერქეზები“.[4, Академия наук СССР, 1958] ნიკიტინი გულისხმობს მთლიანი ჩრდ. კავკასიის მოსახლეობას. თუ კი ადრე, თვითმხილველთა აზრით, დერბენტში შემოდინდნენ გემები, რომელთაც შემოჰქონდათ 800 კასრი ტვირთი, ამჟამად შემოდინა გემები, რომლებსაც შემოაქვთ სულ 200 კასრი ტვირთი (СПБ., 1836). მიუხედავად ამისა, XV საუკუნის დერბენტი წარმოადგენდა არა მარტო ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის, არამედ მთლიანი ამიერკავკასიისთვისაც ძირითად საპორტო ქალაქს კასპიის ზღვაზე. დერბენტიდან ასტრახანში და აქედან კი სხვა მიმართულებით გაჰქონდათ ყველანაირი საქონელი. იგივე კონტარინის თანახმად, გემზე, რომლითაც ის მგზავრობდა, გემის გუნდის გარდა იყო 29 ვაჭარი. მათ „მიჰქონდათ რაღაც აბრეშუმის ნაწარმი და ბოკასინები (საღებავი) რუსეთში

გასაყიდად. მათ გარდა გემზე იყო რამდენიმე თათარი, რომლებიც მიემგზავრებოდნენ საქონლის ჩამოსატანად და დერბენტში გასასაღებლად“ (Барнаро, Коктарини, 1971). ამასთანავე, ხდებოდა შემოსული ჩრდილოკავკასიური საქონლის ნაწილის გაცვლა ასტრახანში რუსულ ან სხვა საქონელზე, ხოლო ნაწილი კი მიჰქონდათ მოსკოვში. გარდა ამისა, მოვაჭრე ადამიანებს ჩრდილო კავკასიიდან შეედლოთ ჩართულიყვნენ სავაჭრო ქარავნებში, რომლებიც ყოველწლიურად ხანის მიერ წარგზავნილ პიროვნებასთან ერთად, აბრეშუმის ძაფით ან სხვა საქონლით მიემართებოდნენ. ამ საქონელს ვაჭრები ცვლიდნენ ბეწვეულზე, ხანჯლებზე და სხვა ნივთებზე. თავის მხრივ, რუს ვაჭრებს შემოჰქონდათ ყველანაირი საქონელი დერბენტში და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის სხვა ქალაქებში.

ჩრდილო კავკასიის ხალხსა და რუსებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ხორციელდებოდა ე.წ. დონის მიმართულებითაც, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ვოლგის მიმართულებასთან: იმ ადგილას, სადაც ეს ორი მდინარე ერთმანეთს უახლოვდება, არსებობდა პატარა გადასასვლელი. ასე რომ, დონის მიმართულებით კავკასიაში ხვდებოდა საქონელი, რომლის შემოზიდვა ხდებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთიდან. არსებული მონაცემების თანახმად XV საუკუნის დასასრულისათვის დონის მიმართულების გავლით ინტენსიურად მოძრაობდა რუსი ვაჭრების ქარავანი აზოვსა და კაფიში. რუსეთიდან შემოჰქონდათ მრავალი სახის საქონელი. სავარაუდოდ, რუს ვაჭრებს საქონელი შეჰქონდათ გენუელთა ოცდაცხრამეტივე კოლონიაში და სხვა დასახლებებშიც. აქ რუსები ხვდებოდნენ და სავაჭრო ურთიერთობებს ამყარებდნენ ჩრდილო კავკასიელ მთიელ ვაჭრებთან, მათ შორის საკმაოდ დაცილებული ადგილებიდან ჩამოსულ ხალხთანაც (СПб., 1884).

ჩრდილო კავკასიასა და რუსეთს შორის საზღვაო გზების გარდა არსებობდა სახმელეთო გზებიც, რომლებიც გადიოდა ჩრდილო კავკასიის სტეპების გავლით. ამ სახმელეთო სავაჭრო ურთიერთობებზე, ჩრდილო კავკასიასა და რუსეთს შორის, მეტყველებს, ქალაქ მაჟარსა და მდ. მალკას რაიონში აღმოჩენილი მეტალის ჯვრები, კერამიკული ნაკეთობები, რომლებიც დამახასიათებელია რუსული წარმოებისათვის. აგრეთვე, ნაპოვნია სხვა მონეტებთან ერთად ე.წ. «Псковская деньга», რომელიც XV საუკუნით თარიღდება და ნაპოვნია ქ. ნალჩიკის მახლობლად. სპილენძის ჯვარი ორივე მხარეს გამოსახულებით, მოპოვებულია კისლოვოდსკის შემოგარენში. ჯვარი, რომელიც თარიღდება XV საუკუნით, აღმოჩენილია სოფ. მაირტუპის (ჩეჩნეთი) მახლობლად. ჩრდილო კავკასიასა და რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, რუსი ისტორიკოსების თანახმად, ხელი შეუწყო ივანე III-ის დამოკიდებულებამ და ხელშეწყობამ ვაჭრობისადმი (Архив Маркса и Энгелса, 1946).

ჩრდილო კავკასიასა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესებამ ცხადია, ხელი შეუწყო პოლიტიკური ურთიერთობების დათბობასაც. ცნობილია, რომ შირვანის, რომლის შემადგენლობაშიც ამ პერიოდისათვის შედიოდა სამხრეთ დაღესტნის ნაწილი, მმართველმა - შირვან შაჰმა ფარრუხ-იასარმა, რომელიც დერბენტის დინასტიიდან იყო, 1465 წელს ქ. მოსკოვში ივანე III - სთან გაგზავნა ელჩი ხასან ბეგი. სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეული ინფორმაცია არ იძლევა საშუალებას რათა გავაკეთოთ დასკვნები, თუ რა საკითხებზე მიმდინარეობდა მათ შორის საუბარი. მაგრამ, სავარაუდოდ, ეს საუბარი ეხებოდა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების განმტკიცებას. ამ შეხვედრის წარმატებულ შედეგებზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის განვითარებული მოვლენები. 1466 წელს ივანე III-მ გაგზავნა ფარრუხ-იასართან ელჩები ვასილი პანინის ხელმძღვანელობით. მასთან ერთად უკან

ბრუნდებოდა ჰასან ბეგი შირვან შაჰისთვის ძვირფასი საჩუქრებით დატვირთული, რომელთა შორის 90 მონადირე ჩიტიც იყო. ამ ელჩობას ტრადიციულად შემოუერთდნენ რუსი მოვაჭრეები, რომელთა შორისაც იყო ათანასე ნიკიტინიც. „და წავედით ჩვენ დერბენტისაკენ, - მოგვითხრობს იგი, - ორი გემით: ერთ გემში - ელჩი ხასან ბეგი, ირანელებთან ერთად და ჩვენ რუსები სულ 10 კაცი, ხოლო მეორე გემზე 6 მოსკოველი და 6 ტვერელი... ზღვაზე ჩვენ მოვყევით ქარიშხალში. შედარებით პატარა გემი დაიმსხვრა სანაპიროზე. აქვეა პატარა ქალაქი, გამოვედით სანაპიროზე და მოვიდნენ კაიტაგელები და ხალხი, რომლებიც გემზე ვიყავით ყველანი დაგვიჭირეს.“ მაგრამ სულ მალე კაიტაგის უცმიამ თავისი ცოლის ძმის ფარრუხ-იასარის თხოვნით გაათავისუფლა ისინი. „და ჰალილ-ბეგმა, ამთავრებს ათანასე ნიკიტინი, - იმ საათშივე გადაგზავნა მთლიანი შემადგენლობა დერბენტში.“

1475-1476 წლებში კონტარინი დერბენტში შეხვდა რუს ელჩს მარკ როსოს. 1492 წელს მოსკოვში ჩამოვიდა „იბერიელთა მიწიდან თავად ალექსანდრეს ელჩი, სახელით მურატი“. ამასთან ერთად, წარგზავნილ სიგელში კახეთის თვადი (მეფე) საკუთარ თავს მოიხსენიებდა, როგორც ივანე III-ის „უმცროს ძმას“. 1499 წელს მოსკოვში ჩავიდა ელჩი „შემახის მმართველისაგან, - მაჰმუდ სალტანისაგან, რომელიც იყო სალტან მახმეტის ძე, შირვანშაჰ შაებედინის შვილიშვილი, რომელიც სიყვარულით მართავდა საელჩოს“.

რუსეთს დახმარებისათვის მიმართეს ასევე, ჩრდილო კავკასიის (ტამანის) მმართველმა ზაქარიმ და სხვა. 1489 წელს დამყარდა რუსეთ-ნოღაელთა ურთიერთობა.

ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ მყარი საფუძველი ეყრებოდა რუსეთის ვერაგული მიზნის განხორციელებას, რომლის მიზანიც კავკასიის რეგიონის დამორჩილება-დაპყრობა იყო.

ლიტერატურა:

1. Барбаро и Коктарини о России: к истории и мало - русских связи в XVв. Л. 1971. С. 147-148-151
2. Путешествие в восточные страны Плано Карпони и Рубрука. 1957, с. 41, 48, 107, 54, 108.
3. Архив Маркса и Энгелса. М. 1946. т. 8 с. 149
4. Академия наук СССР, Хождение за три моря Афанасия Никитина в 1466-1472. г.г. 1958, с. 144.
5. Библиотека иностранных писателей о России. СПб., 1836. с. 79
6. СБ. РИО. СПб., 1884. т.41. с. 161-163, 269-280,361,410, 411, 433

Relations Between North Caucasians and Russians in the 15th Century

Gumashvili Zaur

Gurchkaya Tamar

Jacob Gogebashvili Telavi State University

Abstract

The relations between the Russian principalities and the Northern Caucasian people were extremely negatively affected by the invasions of the Tatar-Mongol conquerors. For a certain period, these relationships ceased altogether. The beginning of the renewal of these relations can be considered the meetings of the leaders of the regions under the Golden Horde in its capital. The historical sources of this time provide us with many interesting pieces of information about these relationships. It is characteristic of Russian historians that they equate the liberation struggle against the Tatar-Mongols with the liberation struggles of all peoples conquered by the Mongols, and they believe that it was Russia that initiated the victories against the conquerors, which is a biased approach to the issue. All peoples groaning under the Tatar-Mongols, fought for their independence, and the freedoms they attained are also their merit. There were also trade relations between the Northern Caucasian peoples and the Russians. One of the main directions in this regard was the trade relations conducted through the Volga River to the cities on the Caspian Sea, notably Derbent and Baku. Certainly, the development of trade relations was accompanied by the emergence of political relations.

Keywords: *Northern Caucasia, Russia, trade relations, Derbent, Tatar-Mongols, Golden Horde.*

დევნილობაში მყოფი საქართველოს პირველი პრეზიდენტის
მიმართულები აფხაზეთის მოსახლეობისადმი

მოსიაშვილი ალექსანდრე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.11>

აბსტრაქტი. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში თბილისში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად საქართველოს რესპუბლიკის კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იქცა დევნილად საკუთარი სამშობლოდან. მას ამის მიუხედავად არ შეუწყვეტია ზრუნვა საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ქართული პრესის ფურცლებზე შემონახულია მის მიერ გაკეთებული მიმართულები აფხაზეთის მოსახლეობისადმი, რომლებსაც ის ახორციელებდა აფხაზეთში მოსალოდნელი ან უკვე მიმდინარე სისხლისმღვრელი დაპირისპირების ფონზე. ამჟამად, როდესაც აღნიშნული მოვლენებიდან გასულია სამ ათეულ წელზე მეტი, უფრო მეტი და რაც მთავარია მართებული დასკვნების გამოტანის საშუალება გვეძლევა. საკითხი თავისთავად არ კარგავს აქტუალობას, რადგან დღესაც რელევანტურია ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის სწორად განსაზღვრა და რუსულ-იმპერიული ძალების მიერ საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა მათ მიერვე გამოგზავნილი რენეგატი ემისრების პირადი ინტერესებითა და აქტიური ხელშეწყობით მრავალგზის დაზარალებული საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, როცა დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, საკუთარი მიწა-წყლიდან დევნილია ასიათასობით მოქალაქე და დღემდე ვიძვით იმ შედეგებს, რომლებიც ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული ეროვნული ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით დამხობას მოჰყვა. არსებული ბეჭდური მასალების მოძიება, ანალიზი და მსჯელობა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ: ზვიად გამსახურდიას ცდა არ დაუკლია აფხაზეთში სისხლისმღვრელი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. გაჩაღებული ომის პირობებშიც მისი მცდელობა – შეჩერებინა სისხლისღვრა, მოეგვარებინა საკითხი დიპლომატიური მეთოდებით, ერთგვარად იმედის მომცემად გამოიყურებოდა, მაგრამ ედუარდ შევარდნაძის მუხანათურმა პოზიციამ ჩაშალა პრაქტიკულად წარმატებით დაწყებული მოლაპარაკების პროცესი. უფრო მეტიც, დღეს უკვე მისივე ხელისუფლების მაღალჩინოსნები თავიანთ ინტერვიუებში ამხელენ ე. შევარდნაძეს, როგორც ავანტიურისტს და ომის გამჩაღებელს, რომელმაც მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია და ვერ შეძლო მისი მართვა კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერთა საპროტესტო მუხტის იმ ფონზე, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზეც მკაფიოდ შეინიშნებოდა და ხელისუფლებაში საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად მიიღო ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილება, რომელიც ამავდროულად თანხვედრაში მოდიოდა კრემლის ინტერესებთან და რომლის ხელშეწყობიც იყო აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა. ამდენად, დღეს უკვე დადასტურებულად შეგვიძლია 1992-1993 წლებში საქართველოში და კერძოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებში მართალ-მტყუანის გარჩევა, რაც დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ პირებს და ფართე საზოგადოებას, როგორც სწორი დასკვნების გამოტანაში, ასევე ზოგიერთი მოვლენის შეფასება-გადაფასების საქმეშიც.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, კონსტიტუცია, ეთნოკონფლიქტი, ხუნტა, პრეზიდენტი, მოლაპარაკება.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში თბილისში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტი იქცა დევნილად საკუთარი სამშობლოდან. როგორც ცნობილია, მან დევნილობის პერიოდის დიდი ნაწილი ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში გაატარა. ზვიად გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის იძულებით დატოვების მიუხედავად არ შეუწყვეტია პოლიტიკური საქმიანობა. ის, როგორც კანონიერი პრეზიდენტი აწარმოებდა და გამოსცემდა სხვადასხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტაციას. მათ შორის გვხვდება მეტად საგულისხმო მიმართულებიც. როგორც ირკვევა, მიმართვები არ არის მხოლოდ ზოგადი ხასიათის, ან/და მხოლოდ საქართველოს მოსახლეობისადმი მომზადებული. ისინი თავისი შინაარსით მიმართულია საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ეთნიკურად ქართული და არაქართული მოსახლეობებისადმი და სხვა. აღნიშნული დოკუმენტების მოძიება, მათი ანალიზი და ლოგიკური მსჯელობა იძლევა იმის საშუალებას, რომ შევაფასოთ ან გადავაფასოთ მომხდარი ტრაგიკული მოვლენები და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. ასეთი საკითხების დამუშავება და გამოქვეყნება ხელს შეუწყობს, როგორც მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მოვლენების კვლევით დაინტერესებული პირების სათანადოდ ინფორმირებას, ასევე დაეხმარება ფართე საზოგადოებას აღნიშნულ პერიოდში განვითარებული პროცესების რეალურად აღქმაში.

პრესის ფურცლები ინახავს პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას 1992 წლის 14 მაისს გაკეთებულ მიმართვას აფხაზეთის მოსახლეობისადმი. მიმართვა შემდეგი სიტყვებით იწყება:

„ძვირფასო თანამემამულენო!
ძმანო და დანო!

მოგმართავთ როგორც ქართველებს, ისე აფხაზებს, ვინაიდან საფრთხეშია ჩვენი საუკუნოვანი ძმობა. იმპერიულმა ნეოკომუნისტურმა ხუნტამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ აფხაზეთში კვლავ გაღვივდეს ეთნოკონფლიქტი. მან მოსკოვის დავალებით „გააუქმა“ საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, რომელშიც ჩაწერილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი, რამაც საბაზი მისცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს გაემლიერებინა სეპარატისტული კურსი და ქართული ეროვნების კადრების დისკრიმინაცია, ვინაიდან მისი აზრით, საქართველოს ახალი კონსტიტუცია აღარ არსებობს, ძველში კი საერთოდ არ არის ნახსენები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. მის მიერ ანტიკონსტიტუციური აქტების მიღება უპასუხისმგებლო მოქმედებაა, რამაც შეიძლება ეთნოკონფლიქტამდე მიგვიყვანოს, რაც აწყობს როგორც თბილისის ხუნტას, ასევე მოსკოვის იმპერიას...“ („აღდგომა“, 1992: #3).

ამრიგად, მივყვით თანმიმდევრულად წარმოდგენილი მიმართვის პირველ ნაწილს: დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი, როგორც ვხედავთ მიმართვას ახორციელებს ქართველების და ამავე დროს აფხაზების მიმართ. ის ჯეროვნად აფასებს საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის გაუქმების საფუძველზე მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებს, საუბრობს უკვე გაძლიერებულ სეპარატიზმზე და მიღებული უკანონო გადაწყვეტილების პირველ უარყოფით გამოცხილზე. აქვე იგრძნობა მოვლენების შემდგომი განვითარების განჭვრეტა, რომ ასეთი ნაბიჯები ეთნოკონფლიქტამდე მიგვიყვანს და რომ ეს ყველაფერი აწყობს, როგორც საქართველოს უკანონო, არალეგიტიმურ მმართველებს, ასევე რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებას. პრეზიდენტი მიმოიხილავს და აანალიზებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციას. საუბრობს ე. წ. სამხედრო საბჭოს

მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით (შველიძე, 2021); და შესაბამისად, მისგან მოსალოდნელ შედეგებზე.

რამდენად რეალურად აფასებდა პირველი პრეზიდენტი აფხაზეთის ირგვლივ არსებულ სიტუაციას, ამას ქვემოთაც მივაქცევთ ყურადღებას. მანამდე კი დავაკვირდეთ მიმართვის მეორე, მოწოდებით ნაწილს: „...ამიტომ მოგიწოდებთ არ წამოეგოთ პროვოკაციას, არ აჰყვეთ ვნებათაღელვას, მხოლოდ მშვიდობიანი, პოლიტიკური მეთოდებით იბრძოლეთ სამართლიანობის აღდგენისათვის. პროვოკატორებს სურთ იარაღის ძალით გადაჭრა ამ პრობლემისა, რაც ყოვლად დაუშვებელია. მოგიწოდებთ მშვიდობისაკენ, მე მოვუწოდებ აფხაზ მოსახლეობას იმოქმედოს პარლამენტზე, რათა მან შეწყვიტოს ანტიქართული პოლიტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში აფხაზეთში გარდუვალი იქნება სისხლისღვრა.

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ერთადერთი გზაა საქართველოში კანონიერი ხელისუფლების, პარლამენტისა და კონსტიტუციის აღდგენა, რის შედეგადაც ყველაფერი თავის ადგილას დადგება“ („აღდგომა“, 1992: #3). როგორც ირკვევა ზ. გამსახურდია არ იმყოფება საინფორმაციო ვაკუუმში. ის ფლობს სათანადო ინფორმაციას და აფასებს სიტუაციას. შესაბამისად, ის რეაგირებს როგორც მომხდარ, ასევე მოსალოდნელ ნეგატიურ მოვლენებზე და ამიტომ მოუწოდებს აფხაზეთში მცხოვრებ ორივე მხარეს, როგორც ქართველებს ასევე აფხაზებს კეთილგონიერების გამოჩენისკენ და მშვიდობიანი გზებით სიტუაციის გაჯანსაღებისკენ. საინტერესოა, რომ ის ამ მიმართვით, რომელიც 14 მაისით თარიღდება, ამჟღავნებს შექმნილი სიტუაციიდან მოსალოდნელი შედეგების აბსოლუტური სიზუსტით განჭვრეტას.

მომდევნო მიმართვა შემდეგი შინაარსისაა“

„მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი

ძვირფასო თანამემამულენო! იმპერიის მიერ ინსპირირებულმა პუტჩმა და გადატრიალებამ საქართველო უფსკრულის პირას მიიყვანეს. შევარდნაძის ნეოსტალინისტური მაფიოზური ხუნტა ყოველნაირად ცდილობს ეროვნული და კუთხური შუღლის გაღვივებას, სისხლისღვრისა და დესტაბილიზაციის პროვოცირებას აფხაზეთში და მთელს საქართველოში. მხედრიონის კრიმინალური ბანდები აწიოკებენ და არბევენ მთელს საქართველოს, მაგრამ განსაკუთრებული ცინიზმითა და სისასტიკით მოქმედებენ დასავლეთ საქართველოში. აფხაზეთში მათი მიზანია კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა განადგურება, აფხაზთა და ქართველთა შორის კონფლიქტის პროვოცირება, რაც არასგზით არ უნდა დავუშვათ. ამისთვის აუცილებელია აფხაზეთის მთელი მოსახლეობის მობილიზება დამნაშავე ბანდებთან ბრძოლაში, მათი განიარაღება და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. მტრის მიზანია „მცოცავი“ გადატრიალების მოწყობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რათა აფხაზეთშიც იგივე დატრიალდეს, რაც საქართველოს სხვა რეგიონებში. აუცილებლად უნდა მოხდეს აფხაზი და ქართველი მოსახლეობის კონსოლიდაცია და დარაზმვა დამნაშავეობასთან ბრძოლაში, მილიციის ჯანსაღი ნაწილი მხარში უნდა ამოუდგეს მოსახლეობას. აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ არ უნდა გააღვიოს ეროვნული შუღლი, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს საბოლოო ეროვნულ შერიგებას და საზოგადოების კონსოლიდაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი განწირულია. უნდა დაჩქარდეს პოლიტიკური დიალოგი უზენაეს საბჭოსთან, აფხაზ ინტელიგენციასთან, უნდა დაიგმოს მონონაციონალური პრინციპი, რაც დიდ უბედურებას მოუტანს უწინარეს ყოვლისა აფხაზ მოსახლეობას! აფხაზთა და ქართველთა ერთიანობა იქნება გარანტი აფხაზეთში პოლიტიკური სტაბილიზაციისა და მშვიდობისა“ („აღდგომა“,

1992: #12). აღნიშნული მიმართვა დევნილობაში მყოფ ლეგიტიმურ პრეზიდენტს 12 ივლისით აქვს დათარიღებული, ანუ დაახლოებით ერთი თვით ადრე საომარი მოქმედებების დაწყებიდან და აქაც აბსოლუტური სიზუსტით მიანიშნებს მოსალოდნელ სცენარზე. ამავე დროს იგი კვლავ გამოდის მოწოდებით აფხაზეთის მოსახლეობისადმი, რომ დროულად გაერკვნენ შექმნილ სიტუაციაში და არ დაუშვან მოვლენების შემდგომი ესკალაცია. მიმართვის ავტორი ბრალს სდებს საქართველოში მოქმედ არალეგიტიმურ ხელისუფლებას რეგიონში ვითარების ხელოვნურად დაძაბვასა და კონფლიქტის პროვოცირების მცდელობაში. მას მიაჩნია, რომ ამ ყველაფრის უკან დგანან რუსეთის იმპერიული ძალები, რომლებმაც პუტჩის გზით მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში და გზა გაუხსნეს ეროვნული და კუთხური შუღლის გაღვივებას, კონფლიქტების და დესტაბილიზაციის განვითარებას ქვეყანაში და „მხედრონის“ კრიმინალური ბანდების თარეშს განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. რომელთა მიზანსაც პრეზიდენტის აზრით წარმოადგენდა კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა განადგურება. ამიტომ, ის მოუწოდებს მოსახლეობას დარაზმვისკენ და ყოველგვარი ანტიკონსტიტუციური ქმედებების აღკვეთისაკენ. იგი ასევე მოუწოდებს სამართალდამცავებს შესაბამისი რეაგირებისაკენ, აგრეთვე საუბრობს პოლიტიკური დიალოგის დაჩქარების აუცილებლობაზე და რაც მთავარია ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის მნიშვნელობაზე. ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ზ. გამსახურდია კვლავაც თავს მიიჩნევს ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ პრეზიდენტად, რომელსაც არ დაუკარგავს ლეგიტიმაცია, არ ეთიშება საქართველოში მიმდინარე პროცესებს და უფრო მეტიც, ცდილობს ამხილოს ყველა ის ძალა, რომელიც დაინტერესებულია მოვლენების ქვეყნის საზიანოდ განვითარებით. ის, როგორც ჩანს შესანიშნავად ფლობს სიტუაციას და ინტენსიურ რეჟიმში მუშაობს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის მოსაძებნად. შემდეგი მიმართვა კი, რომელიც უნდა წარმოვადგინოთ 1992 წლის 19 აგვისტოთი თარიღდება, რაც ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე უკვე დაწყებულია საომარი მოქმედებები. ამ შემთხვევაში პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ედუარდ შევარდნაძის ნეოკომუნისტურ კრიმინალურ ხუნტად იხსენიებს და კვლავ მასვე ადანაშაულებს რუსეთის იმპერიული ძალების ინსპირაციით აფხაზეთში სისხლიანი სადამსჯელო ექსპედიციის მოწყობის გზით, აფხაზთა და ქართველთა შორის ძმათაძველები ომის გაჩაღების მცდელობაში.

მიმართვაში ასევე ვკითხულობთ შემდეგს: „...წლების მანძილზე იმპერიული ძალები შეგნებულად დაბავდნენ ურთიერთობას ჩვენს ხალხებს შორის, რათა მიეღწიათ ეთნიკური კონფლიქტის პროვოცირებისათვის. მაგრამ მათ ვერ მიაღწიეს მიზანს, ვინაიდან საქართველოს ეროვნული მოძრაობა ყოველთვის ხედავდა ამგვარ საფრთხეს და ყველანაირად ცდილობდა მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით მოეგვარებინა სადავო პრობლემები. იგივე გზა აირჩია საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ 1990 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როცა მრავალგზის აიცილა თავიდან ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავება ამ ურთულეს რეგიონში...“ („ეროვნული ფრონტი“, 1992: #3).

ზ. გამსახურდია შექმნილ სიტუაციაში ადანაშაულებს აფხაზური მხარის ხელისუფალთაც: „...აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა შეცდომებს შეცდომებზე უშვებდა, ხელოვნურად ამწვავებდა ვითარებას. ბოლოს მან დაუშვა სახელმწიფო შეცდომა, აღადგინა ე.წ. 1925 წლის კონსტიტუცია, რითაც ფაქტობრივად აფხაზეთი საქართველოდან გამოყოფილად გამოაცხადა. ამასთან

დაკავშირებით მე გავაკეთე განცხადება ამ აქტის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ და მივუთითე აფხაზეთის პარლამენტს თავისი მოქმედების უკანონობაზე, ვინაიდან ამგვარ გადაწყვეტილებას, რომელიც პარლამენტმა მიიღო, ქვოტირების ანუ კვალიფიციური უმრავლესობის გარეშე, არ ჰქონდა არავითარი იურიდიული საფუძველი. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია არის იმის გარანტი, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები მხოლოდ ქალაქში დარჩება და ვერ მოუტანს რეალურ ზიანს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას...“ („ეროვნული ფრონტი“, 1992: #3).

ამავე მიმართვაში საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პრეზიდენტი აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას ადარებს შიდა ქართლის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის ხედავს ბევრ საერთოს და მიუთითებს კონფლიქტების გაღვივების მსურველი ძალების ერთსადაიმთხვე ხელწერაზე. მიმართვის

ბოლო ნაწილში კი ვკითხულობთ: „...აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარება შეიძლება მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური დიალოგით, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებით და არა იარაღის ჟღარუნით. მე მოვუწოდებ ქართველ და

აფხაზ ხალხებს, არ დაუშვან ძმათამკვლელი ომი, აღადგინონ თავისი საუკუნოვანი ძმობა და ერთობა, გამოუცხადონ ხუნტას საყოველთაო გაფიცვა, დაგმონ და ამხილონ ხუნტის კანონალური პოლიტიკა, რომელსაც საქართველო ეროვნული და პოლიტიკური კატასტროფისაკენ მიჰყავს და საფრთხეს უქმნის მშვიდობას და ეროვნულ თანხმობას კავკასიაში და მთელს მსოფლიოში...“ („ეროვნული ფრონტი“, 1992: #3).

მორიგი მიმართვა უკვე განკუთვნილია კონკრეტულად სამურზაყანოს მოსახლეობისადმი. პრეზიდენტი მათ შექმნილი სიტუაციის ფონზე განსაკუთრებულ როლს ანიჭებთ. იგი პრაქტიკულად მათ აქებს მიმართვის დასაწყისში და შეახსენებთ, რომ ისინი ყოველთვის იდგნენ, როგორც კანონიერი ხელისუფლების გვერდით და უჭერდნენ მას მხარს, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაშიც იჩენდნენ სიმტკიცეს. შემდეგ კი წერია: „...მას შემდეგ, რაც კრიმინალურმა ხუნტამ აფხაზეთში გააჩაღა დამლუპველი ძმათამკვლელი ომი, სამურზაყანოს როლი კიდევ უფრო გაიზარდა. თქვენს წინაშე არჩევანი: ან მხარი უნდა დაუჭიროთ ისევ იმ კურსს, რომლის ერთგულნიც იყავით დღემდის, ან ჩაებათ დამლუპველ ეთნოკონფლიქტში. დღეს შევარდნაძის ხუნტა და სეპარატისტები ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებენ, ყოველნაირად ხელს უშლიან ეროვნულ შერიგებას, რათა რაც შეიძლება მეტი ქართველი გაწყდეს აფხაზეთში და რაც მთავარია, აფხაზეთი დაიკალოს ქართველებისაგან. ჩვენი კურსი კი არის ეროვნული შერიგება, ყველა სადაო საკითხის გადაწყვეტა მოლაპარაკების გზით. მოგიწოდებთ, ჩაებათ ამ პროცესში, არ აჰყვეთ ხუნტის დემაგოგიას, დაგმეთ კრიმინალები, რომელნიც ცდილობენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას და სისხლიანი კონფლიქტის კიდევ უფრო გამწვავებას. ჩვენ და აფხაზებს საუკუნეების მანძილზე მშვიდობიანად გვიცხოვრია ამ მიწაზე და მომავალშიც ვიცხოვრებთ. მთავარია, აფხაზეთი ჩვენმა ძალებმა გააკონტროლონ და განახორციელონ მშვიდობიანი მისია. მჭიდრო კონტაქტი იქონიეთ ზუგდიდის დაუმორჩილებლობის კომიტეტთან, სრულიად საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობასთან. დავდგეთ მტკიცედ ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაპოვართა დასაცავად, ვიბრძოლოთ კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად, რის შედეგადაც დამარცხდება როგორც ხუნტა, ასევე სეპარატისტები. მომავალი ჩვენი“ („აღდგომა“, 1993: #3). წარმოდგენილი მიმართვა თარიღდება 1993 წლის 25 აპრილით, რაც მიაწინებს იმაზე, რომ ზ. გამსახურდია, მიუხედავად იმისა,

რომ ვერ მოხერხდა კონფლიქტის თავიდან აცილება და საომარი მდგომარეობა უმწვავეს ფაზაში იყო გადასული, არ წყვეტს მცდელობას, რათა როგორმე მიაღწიოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და ხელი შეუწყოს მშვიდობის აღდგენას რეგიონში.

ბოლო მიმართვა, რომელიც აქ უნდა განვიხილოთ უკვე უშუალოდ აფხაზი ხალხისადმია განკუთვნილი, რომელსაც სრული სახით წარმოვადგენთ:

„მიმართვა აფხაზი ხალხისადმი
ძვირფასო თანამემამულენო!

ქართველებსა და აფხაზებს შორის საომარი მოქმედების ესკალაციით გამოწვეულმა ღრმა განგაშმა მაიძულა თქვენთვის მომემართა. თქვენ ჩემთვის უცხოელებს, ანუ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს არ წარმოადგენთ, რამეთუ ჩვენი წინაპრები უხსოვარი დროიდან ერთად ცხოვრობდნენ ამ მიწაზე. ჩვენი ფესვები და ტრადიციები ერთია, როგორც ჩვენი ისტორია.

სისხლიანი სამხედრო გადატრიალება საქართველოში, უკანონო დანაშაულებრივი რეჟიმის დამყარება – აი მთავარი მიზეზი ამ ძმათამკვლელი ომისა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამას ხელი შეუწყო ზოგიერთმა შეცდომამ აფხაზეთის ხელმძღვანელობისა, კერძოდ, უმაღლესი საბჭოსი, რომელმაც შეცვალა მოქმედი კონსტიტუცია კვალიფიციური უმრავლესობის ნებართვის გარეშე.

მაგრამ ამჟამად კამათის დრო არაა. იღვრება ჩვენი ძმებისა და დების სისხლი, რაც დიდ საშიშროებას უქმნის არა მარტო ჩვენს სამშობლოს, არამედ მთელ კავკასიას. შთამომავლობა არ გვაპატიებს, თუკი ჩვენ ჩვენი ბრძენი წინაპრების მაგალითისამებრ არ მივუსხდებით მოლაპარაკების მაგიდას და ყველა სადავო საკითხს არ გადავწყვეტთ მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით.

ამჟამად მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესს ხელს უშლის ანარქია, რომელიც სუფევს საქართველოში სისხლიანი ხუნტის ხელისუფლებაში მოსვლით. მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა საქართველოში დაუყოვნებლივ დაუსვამს წერტილს კონფლიქტს და დასაბამს დაუდებს მშვიდობიან მოლაპარაკებებს. მე მწამს, რომ ჩვენ უნდა შევთანხმდეთ სახელმწიფო მოწყობის საკითხებში. აქ მთავარია ხალხის ნება და ოფიციალური განცხადება აფხაზური ხელმძღვანელობისა იმის თაობაზე, რომ მას სურს მოლაპარაკებები აწარმოოს საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასთან, სწორედ ამჯერად.

ამის გარეშე საომარი კონფლიქტები შესაძლოა კატასტროფით დამთავრდეს ჩვენი ხალხებისათვის.

დაე მშვიდობა ყოფილიყოს ჩვენს მიწაზე, ეზეიმოს გონიერებასა და კეთილ ნებას, აღმდგარიყოს საუკუნოვანი მეგობრობა და ერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია

გროზნო

4 მაისი, 1993 წელი“ („წალენჯიხის ზარები“, 1993: #5).

უნდა ითქვას, რომ ზემოთ მოტანილი მიმართვები, რომლების ავტორიც საქართველოს პირველი პრეზიდენტია წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს იმ მიმართვებისა და სხვა სახის დოკუმენტების, რომლებსაც მისივე ხემოწერა აქვს. მათი ნაწილი იგივე ტემატიკას ეხება და ზოგადია, ანუ მთლიანად საქართველოს მოსახლეობას ემდგნება, ზოგ შემთხვევაში საქართველოს მოძალადე ხელისუფლების

და მისი ხელმძღვანელის ე. შევარდნაძის მიმართაა წარმოდგენილი (ხოსიტაშვილი, 2013), ზოგი საერთაშორისო ორგანიზაციებს ან განვითარებული დემოკრატიული ხელისუფლებებისადმი განკუთვნილი და ა. შ. თუმცა, ერთი სამეცნიერო ნაშრომი ვერანაირად ვერ გაწვდება ყველა მათგანს და ამისთვის, მათ შესახებ, სხვაგან გვექნება საუბარი. ყოველი შემთხვევისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ის პათოსი რაც იგრძნობა წარმოდგენილ მიმართებებში ცხადყოფს, რომ დევნილობაში მყოფ პრეზიდენტს საკმაოდ ოპერატიული და აბსოლუტურად სწორი ინფორმაციები აქვს საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, აქვს დიდი ცოდნა (მათ შორის სამართლებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისი), გამოცდილება მსგავსი სიტუაციის დასარეგულირებლად. ამაში მას ეხმარება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმდინარეობისას თავიდან აცილებული მასშტაბური სისხლისღვრა აფხაზეთში, ასევე ეროვნული ხელისუფლების მმართველობის პირობებში აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიმართ შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებით და ქართველთა და აფხაზთა შორის არსებული (გამახარია, 2004) ისტორიული ურთიერთობების ღრმა ცოდნით. სამწუხაროდ, ამგვარ მცდელობებს შედეგი არ მოუტანია და უფრო მეტიც, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ქვეყნისთვის უმძიმეს მომენტში შეძლო სამშობლოში დაბრუნება, რათა როგორც კანონიერი და ჭეშმარიტი მთავარსარდალი ჩასდგომოდა სათავეში მოძალეებული მოწინააღმდეგის მოგერიების საქმეს და ენერგიულად შეუდგა კიდევ ამ საქმის ორგანიზებას. მაგრამ მისი ჩამოსვლიდან მესამე დღეს 1993 წლის 27 სექტემბერს ე. შევარდნაძის მორიგი მზაკვრული გარიგების შედეგად მოწინააღმდეგეს ჩაბარდა ქ. სოხუმიც და ამით პრაქტიკულად დაესვა წერტილი მის ავანტიურისტულ და მოღალატეობრივ მოქმედებებს აფხაზეთის ტერიტორიაზე. სამიოდე თვის შემდეგ გავრცელდა ცნობა ზ. გამსახურდიას გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების შესახებ. ქვეყანამ მას შემდეგ უმძიმესი წლები გამოიარა ყველა თვალსაზრისით, იყო ურთიერთბრალდებები აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით და სხვა. მაგრამ ბოლო პერიოდის ზოგიერთმა ინტერვიუმ (ძირითადად სატელევიზიო) ნათელი მოჰფინა მრავალ საკითხს და მათ შორის 1992-1993 წლებში აფხაზეთში მომხდარი საომარი დაპირისპირების ირგვლივ არსებულ პერიპეტეიებსაც. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალების სარდალი ვახტანგ (ლოთი) ქობალია იხსენებს ქართულ-ჩეჩნურ-აფხაზურ მოლაპარაკებას, <https://www.youtube.com/watch?v=6giPEI57ENA> _ (ნანახია 06.12.2024 წ. 15:00 საათზე) რომელიც პირველ ეტაპზე შედეგიანად დასრულდა, ხოლო მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ეტაპი იმავე მოლაპარაკებისა უკავშირდებოდა სხვადასხვა მხარეებს შორის შედგენილი შემთანხმებლური ხელშეკრულების გაფორმებას, რომელსაც აკლდა ე. შევარდნაძის, როგორც კონფლიქტში მონაწილე მხარის ოფიციალური წარმომადგენლის ხელმოწერა და მან თავისი უარით დოკუმენტზე ხელმოწერისა (ამავე ფაქტს ადასტურებს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი პოლკოვნიკი მერაბ პაპასკირი) <https://www.youtube.com/watch?v=vLTlaQiuhrM> _ (ნანახია 08.12.2024 წ. 12:00 საათზე) ფაქტობრივად დაადასტურა იმ ვარაუდების, მოლოდინების და ბრალდებების მართებულობა, რომელთა შესახებაც ზ. გამსახურდია ზემოთ წარმოდგენილ ოფიციალურ მიმართებებში საუბრობდა. აფხაზეთში კონფლიქტის გაჩაღების მიზეზებზე საუბრობს ნიკო ლევიშვილი იმ დროისათვის საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი. <https://www.youtube.com/watch?v=aAm1OjVCb4M> _ (ნანახია 06.12.2024 წ. 15:20 საათზე) ამავე საკითხზე საუბრობს და

მომხდარს ადასტურებს ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში იუსტიციის გენერალი ვახტანგ გვარამია (იმ დროისათვის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე), <https://www.youtube.com/watch?v=At3b0mjOnBI> _ (ნანახია 06.12.2024 წ. 14:20 საათზე) ის ასევე ახსენებს მამხილებელ ფაქტებს, რომელთა მიხედვითაც ნათელი ხდება, რომ ე. შევარდნაძის ინტერესში ნამდვილად არ შედიოდა დაწყებული სისხლისღვრის შეჩერება და ა. შ.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: ახლადმოძიებული მასალები ცხადყოფს, რომ აფხაზეთში 1992-1993 წლებში განვითარებული მოვლენები იყო კარგად დაგეგმილი და გათვლილი მოსკოვში, რომლის ასეთი სცენარით განვითარება აწყობდა საქართველოს ხელისუფლების უზურპატორ ე. შევარდნაძეს და არათუ ჰქონდა მას მცდელობა დაპირისპირების თავიდან აცილებისა, არამედ პირიქით, თვითონ იყო ორგანიზატორიც და ხელშემწყობიც მომხდარი ავანტიურის. ხოლო რაც შეეხება საქართველოდან განდევნილ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას, მან ცდა არ დააკლო, რომ როგორმე აეცილებინა თავიდან სისხლისღვრა, დაწყებული დაპირისპირების პირობებშიც ყოველ ღონეს ხმარობდა (მას საპრეზიდენტო ინაუგურაციაზე დადებული ფიციც ავალდებულებდა დაეცვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა) <https://www.youtube.com/watch?v=gNbXc1RC4e0> _ (ნანახია 08.12.2024წ. 11:10 საათზე) საომარი მდგომარეობის შესაჩერებლად და მშვიდობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ჯერ ე. წ. სამხედრო საბჭოს ანტიეროვნული გადაწყვეტილებების საფუძველზე, ხოლო შემდეგ ე. წ. სახელმწიფო საბჭოს მიერ გადადგმული ავანტიურისტული და ყოვლად დაუშვებელი ქმედებების შედეგად მივიღეთ კვლავაც დარღვეული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, უამრავი მსხვერპლი, მრავალი ათასი ადამიანი იქცა დევნილად საკუთარი მიწიდან, დასრულდა ყველაფერი კატასტროფული შედეგებით, რომელსაც დღემდე იშვიათად სრულიად საქართველო.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „აღდგომა“. (1992);
2. გაზეთი „აღდგომა“. (1993);
3. გაზეთი „ეროვნული ფრონტი“. (1992);
4. გაზეთი „წალენჯიხის ზარები“. (1993);
5. გამახარია, ჯ. (2004). ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში (1990-1993 წწ.). თბილისი. ი/მ „ლიკა“;
6. შველიძე, დ. (2021). საქართველოს უახლესი ისტორია (1917-2012). თბილისი, 2021, „მერიდიანი“;
7. ხოსიტაშვილი, მ. (2013). საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი III. ზვიად გამსახურდია. თბილისი: შპს „ირიდა“;
8. <https://www.youtube.com/watch?v=6giPEI57ENA> ;
9. <https://www.youtube.com/watch?v=vLTiaQjuhrM> ;
10. <https://www.youtube.com/watch?v=aAm1OjVCb4M> ;
11. <https://www.youtube.com/watch?v=At3b0mjOnBI> ;
12. <https://www.youtube.com/watch?v=gNbXc1RC4e0> .

Addresses of the First President of Georgia in Exile to the Population of Abkhazia

Mosiashvili Alexander

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

As a result of the tragic events that took place in Tbilisi in December-January of 1991-1992, the legitimately elected president of the Republic of Georgia, Zviad Gamsakhurdia, became a displaced person from his own homeland. Despite this, he did not cease his efforts for the well-being of his country. The Georgian press contains records of his addresses to the population of Abkhazia, which he made against the backdrop of the anticipated or already ongoing bloody conflict in Abkhazia. Currently, when more than three decades have passed since these events, we are provided with the opportunity to draw more and, most importantly, more accurate conclusions. The issue itself remains relevant, as it is still pertinent today to properly define the political orientation of the country and address the gross interference of Russian imperial forces in Georgia's internal affairs, driven by the personal interests and active support of renegade emissaries they sent. Considering the current state of Georgia, which has been repeatedly harmed by these actions, the country's territorial integrity has been violated, hundreds of thousands of citizens have been displaced from their lands, and we continue to bear the consequences of the violent overthrow of the democratically elected national government. The search, analysis, and discussion of existing printed materials provide us with the opportunity to conclude that Zviad Gamsakhurdia did not spare any effort in trying to prevent a bloody confrontation in Abkhazia. Even in the conditions of the war, his attempt to stop the bloodshed and resolve the issue through diplomatic means seemed somewhat hopeful. However, Eduard Shevardnadze's treacherous position effectively sabotaged the negotiations process that had started successfully. Moreover, today, high-ranking officials of his own government reveal in their interviews that E. Shevardnadze was an adventurer and the instigator of the war, who usurped power and failed to govern due to the protest movement from supporters of the legitimate government, which was clearly evident even in the territory of Abkhazia. To consolidate his positions in power, he made a decision harmful to the country, which simultaneously aligned with the Kremlin's interests and was supported by the separatist government of Abkhazia. Therefore, today we can conclusively distinguish between right and wrong in the events that unfolded in Georgia, specifically in the territory of Abkhazia, in 1992-1993. This will help those interested in the issue and the broader public, both in drawing correct conclusions and in the process of evaluating and re-evaluating certain events.

Keywords: *Abkhazia, Constitution, Ethnic Conflict, Junta, President, Negotiation.*

1924 წლის სექტემბერში სიღნაღის მაზრაში დახვრეტილები
(საარქივო მასალების მიხედვით)

სიმაშვილი თენგიზ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.12>

აბსტრაქტი. 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყებიდან 100 წელი გავიდა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მათ შორის კახეთში - თელავის და სიღნაღის მაზრებში, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივმა ძალისმიერმა სტურქტურებმა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით უამრავი ადამიანი დააპატიმრეს და მათი ნაწილი დახვრიტეს.

ჩვენ მიერ მოძიებული, 1924 წელს კახეთში დახვრეტილი ადამიანების საერთო სიების დეტალური ანალიზიდან ჩანს, რომ ისინი არასრულია. იმ მასალების მიხედვით, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში არის დაცული, 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით სულ 857 ადამიანი დაუხვრეტიათ. აღნიშნული საერთო სიები ორ ეგზემპლარადაა წარმოდგენილი და ორივეს თანდართული აქვს თუ რა რაოდენობის, რა წოდების და სოციალური ფენის წარმომადგენელი ადამიანი იქნა დახვრეტილი საქართველოში 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში.

საარქივო მასალების ანალიზიდან გამომდინარე, დახვრეტილი ადამიანების გვარ-სახელების ნაწილი, საქართველოს მაზრებში დახვრეტილების საერთო სიაში, სადაც გამოყვანილია დახვრეტილი პირების რაოდენობის ჯამი, საერთოდ არ არის ასახული. მაგალითად, ამ უკანასკნელში სიღნაღის მაზრაში დახვრეტილი პირების ჩამონათვალს აკლია: კორაშვილი ნიკოლოზ ნოდარის ძე; ხირსელი ალექსანდრე სოლომონის ძე; რცხილაძე გიორგი ნიკოლოზის ძე; ნანობაშვილი გიგა ნიკოლოზის ძე; ნაცვლიშვილი გიორგი პეტრეს ძე და სხვა პირები.

სიღნაღის მაზრაში დახვრეტილების სიებში სხვა სახის შეცდომებსაც ვხვდებით. მაგალითად, 1924 წლის სექტემბერში დახვრეტილი - „აბაშიძე ნიკოლოზ ილიას ძე, 35 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, სამუალო“, დაბადებული იყო 1869 წელს და დახვრეტის დროს ვერ იქნებოდა 35 წლის. ეს და სხვა მსგავსი შეცდომები, სიღნაღის მაზრაში დახვრეტილი პირების შესახებ არსებულ ყველა საარქივო მასალებშია გამოვლენილი.

საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებში, საქართველოს სსრ-ს „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის“ საარქივო მასალებში დაცულია, 1924 წლის ოქტომბერში თელავის და სიღნაღის მაზრის სოფლებში ჩატარებული სოფლის მოსახლეობის კრებების ოქმები. ისინი შეეხება, 1924 წლის სექტემბერში სოფლებიდან მოსახლეობის, ძირითადად თავადაზნაურობის, სამღვდელეოების და ინტელიგენციის განდევნის სასტიკ პროცესს. საარქივო მასალების შინაარსის მიხედვით, სიღნაღის მაზრაში სოფლებიდან საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი პირების გაძევებას, ზოგიერთ სოფელში თან ახლდა, ადამიანებზე ფიზიკური ანგარიშსწორება და ყოველგვარი სასამართლოს გარეშე მათი დახოცვა ბრბოს მიერ

სიღნაღის მაზრის ახაშენ-ჩუმლაყის სასოფლო საბჭოს, 1924 წლის 2 ოქტომბრის სხდომის

ოქმში სოფლიდან განდევნილი ადამიანების ჩამონათვალში დასახელებულია - „დახვრეტილი გიორგი წინამძღვრიშვილის ოჯახი“. აღსანიშნავია, რომ დახვრეტილი პირების შესახებ შექმნილ, ჩვენს მიერ გაანალიზებულ არც ერთ საარქივო მასალაში, სიღნაღის მაზრაში დახვრეტილების სიებში გიორგი წინამძღვრიშვილის სახელი და გვარი არ ფიგურირებს.

ამრიგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში სიღნაღის მაზრაში დახვრეტილი ადამიანების რაოდენობა იყო მეტი, ვიდრე ეს ოფიციალურადაა ცნობილი.

საკვანძო სიტყვები: 1924 წელი, შეიარაღებული აჯანყება, სიღნაღის მაზრა, დახვრეტილები

ტექსტი:

1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყებიდან 100 წელი გავიდა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მათ შორის კახეთში - თელავის და სიღნაღის მაზრებში, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივმა ძალისმიერმა სტურქტურებმა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით უამრავი ადამიანი დააპატიმრეს და მათი ნაწილი დახვრიტეს. (სიმაშვილი, თ. 2020)

ჩვენს მიერ მოძიებული სხვადასხვა მაზრაში, მათ შორის 1924 წელს კახეთში დახვრეტილი ადამიანების საერთო სიების დეტალური ანალიზიდან ჩანს, რომ ისინი არასრულია. როგორც ირკვევა დახვრეტილების რაოდენობა ბევრად მეტი იყო. თელავის მაზრაში დახვრეტილი პირების რაოდენობის შესახებ ჩვენს კვლევაში უკვე აისახა ეს ინფორმაცია. (სიმაშვილი, თ. 2020: 53)

რაც შეეხება სიღნაღის მაზრას, აქაც იგივე მდგმარეობაა - საერთო სიაში არსებული დახვრეტილების რაოდენობა არასწორადაა ასახული.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ იმ მასალების მიხედვით, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში არის დაცული, 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით სულ 857 ადამიანი დაუხვრეტიათ. (შსსა, 12.10: 58) საუბარი არის შსს არქივში დაცულ საქართველოს ტერიტორიაზე მაზრების მიხედვით შედგენილ დახვრეტილების საერთო სიაზე. აღნიშნული საერთო სიები ორ ეგზემპლარადაა წარმოდგენილი და ორივეს თანდართული აქვს თუ რა რაოდენობის, რა წოდების და სოციალური ფენის წარმომადგენელი ადამიანი იქნა დახვრეტილი საქართველოში 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში.

ამ საერთო პირველი სიის თანდართულ, დახვრეტილების შესახებ შემაჯამებელ ინფორმაციაში ვკითხულობთ: „კომუნისტი - 4, მენშევიკი - 372, ეროვნულ-დემოკრატი - 175, სოციალისტ-ფედერალისტი - 30, უპარტიო - 152, სხვა ანტისაბჭოთა ელემენტი - 124, ჯამში: 857“. აქვეა ასახული დახვრეტილების რაოდენობა სოციალური წარმოშობის და საქმიანობის მიხედვით: ინტელიგენტი - 333/ თავადი და აზნაური, მუშა - 23, გლეხი-კულაკი - 300, სასულიერო პირი - 45, კომერსანტი 25. სხვადასხვა - 115 / პირები, ვისაც არ აქვთ განსაზღვრული პროფესია, ბანდიტი - 16, ჯამში: 857“. (შსსა, 12.10: 263)

დახვრეტილების საერთო, მეორე სიას თანდართულ დახვრეტილების შესახებ ინფორმაციაში შეცდომით არის მითითებული ციფრები, თუმცა შემაჯამებელ რაოდენობაში სწორად წერია ციფრი - 857. (შსსა, 12.10: 280-282)

საბჭოთა პოლიტიკური პოლიციის - „ჩეკა“-ს მემკვიდრე ორგანიზაცია 1924 წელს მაზრებში ატარებდა „პოლიტიკური ბიუროს“ (პოლიტბიურო) სახელს. სიღნაღის მაზრის „პოლიტბიუროს“ მიერ, საქართველოს „ჩეკა“-ს სახელზე 1924 წლის 1 დეკემბერს, გაგზავნილ იქნა მაზრაში დახვრეტილების სია, რომელიც რუსულ ენაზეა შედგენილი. (შსსა, 12.10: 180)

* 1922 წელს „ჩეკა“-ს განყოფილებებს გადაერქვა სახელები და „პოლიტიკური ბიურო“, შემოკლებით კი - „პოლიტბიურო“ უწოდეს

ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ს.ს.ს.რ. პოლიტიკური ბიურო, კონტრევოლუციასთან, სპეკულაციასთან საბრძოლველად. თანახმად ვ/#13642/ც 21(7).11.24 მოწერილობისა, წარმოგიდგინებ დახვრეტილი პირების სიას, ვინც იღებდნენ მონაწილეობას მენშევიკების ავანტიურაში:

1. ყაზბეგი ნიკოლოზ დიმიტრის ძე, 36 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო,* პარიტეტული კომიტეტის წევრი*
2. სამადაშვილი ლევან გიორგის ძე, 44 წლის, მენშევიკი, გლეხი, საშუალო, პარიტეტული კომიტეტის ხელმძღვანელი
3. ბოლგაშვილი იოსებ ივანეს ძე, 40 წლის, სოციალისტ-ფედერალისტი, გლეხი, საშუალო, პარიტეტული კომიტეტის წევრი *
4. ვაჩნაძე ვიქტორ გიორგის ძე, 27 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო,
5. ვაჩნაძე კოტე დავითის ძე, 35 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი საშუალო
6. ტულაშვილი ვლადიმერ ვახტანგის ძე, 48 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, აზნაური, საშუალო
7. აბაშიძე ალექსანდრე იოსების ძე, 30 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
8. ვაჩნაძე კონსტანტინე მიხეილის ძე, 24 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
9. ვაჩნაძე იასე კონსტანტინეს ძე, 60 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო ყოფილი პოლკოვნიკი
10. ანდრონიკაშვილი დემენტი დიმიტრის ძე, 35 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო, ყოფილი ოფიცერი
11. ვახვახიშვილი შალვა გიორგის ძე, 37 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
12. ვაჩნაძე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, 68 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
13. აბაშიძე ლევან სიმონის ძე, 35 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
14. აბაშიძე ნიკოლოზ ილიას ძე, 35 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
15. ჯანდიერი არჩილ რაჟდენის ძე, 24 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო, ყოფილი ოფიცერი
16. ანდრონიკაშვილი ლადო აბელის ძე, 27 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
17. ჯანდიერი ევგენი ზაქროს ძე, 31 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო, ყოფილი ოფიცერი
18. ანდრონიკაშვილი გიორგი მიხეილის ძე, 22 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
19. ჭავჭავაძე მალხაზ ირაკლის ძე, 28 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო, ყოფილი ოფიცერი
20. ბაკურაძე გიორგი ალექსის ძე, 39 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, აზნაური, საშუალო, ყოფილი ოფიცერი

* საშუალო - სავარაუდოდ ნიშნავს ქონებრივად საშუალო შეძლების

* სავარაუდოდ საუბარია სიღნაღის მაზრის პარიტეტული კომიტეტის წევრობაზე. აღსანიშნავია, რომ თელავის მაზრის პარიტეტული კომიტეტის წევრებად არის დასახელებული 1924 წლის სექტემბერში თელავის მაზრაში დახვრეტილი რამოდენიმე პირი. შესაბამისად, თელავის და სიღნაღის მაზრებში პარიტეტული კომიტეტების არსებობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოსაძიებელი და გასაანალიზებელია.

* ზემონახსენები საქართველოს მაზრებში დახვრეტილების საერთო სია, როგორც ჩანს ამ დოკუმენტის მიხედვით იქნა შედგენილი, რადგან აღნიშნული გვარი - ბოლგაშვილი ორივე სიაში ერთნაირად წერია. განხვავებულად არის ეს გვარი დაწერილი, 1924 წლის 2 სექტემბრით დათარიღებულ ოქმს თანდართულ სიღნაღის მაზრაში დასახვრეტი პირების ჩამონათვალში, კერძოდ - ბოდგაშვილი

21. ვაჩნაძე ანდრეი კონსტანტინეს ძე, 34 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო, ყოფილი ოფიცერი
22. მეღვინეთუხუცესელი ივანე გიორგის ძე, 42 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
23. ჯანდიერი გიორგი ივანეს ძე, 38 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
24. ვაჩნაძე მიხეილ ზაქროს ძე, 52 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
25. ვაჩნაძე ნიკოლოზ დავითის ძე, 31 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
26. მაისურაძე არჩილ სიმონის ძე, 30 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, აზნაური, საშუალო, ყოფილი ოფიცერი
27. აბაშიძე შალვა დავითის ძე, 32 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, თავადი, საშუალო
28. რუაძე ზაქრო ისაკის ძე, ბანდიტი
29. კობაშვილი დათა სიმონის ძე, ბანდიტი
30. მაცაშვილი დათა სარდიონის ძე, ბანდიტი
31. ჭაჭუკიშვილი არჩილ სარდიონის ძე, ბანდიტი *
32. სესიაშვილი წყალობა ივანეს ძე, ბანდიტი
33. მთვარელიშვილი გიორგი აბრამის ძე, ბანდიტი
34. მთვარელიშვილი სანდრო, ბანდიტი
35. მთვარელიშვილი დათა, ბანდიტი
36. ოსმან-მამედ-რასულ-ოღლი, ბანდიტი
37. ბოლგაშვილი ზაქრო ივანეს ძე, 53 წლის, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტი, გლეხი, საშუალო, ყოფილი პოლკოვნიკი
38. ტავლალაშვილი სიკო თომას ძე, 23 წლის, მენშევიკი, გლეხი, საშუალო, გურჯაანის რაიონის მენშევიკების ორგანიზაცია *
39. ჯავშანაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე, 33 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, აზნაური, საშუალო, ყოფილი ოფიცერი
40. ჯარალოვი ნიკოლოზ ფირუზის ძე, 26 წლის, მენშევიკი, კულაკი
41. წიწილაშვილი გენადი ილარიონის ძე, 25 წლის, მენშევიკი, კულაკი, ბანდიტი
42. კაციაშვილი შაქრო დიმიტრის ძე, 25 წლის, მენშევიკი, გლეხი, საშუალო
43. გიუნაშვილი გიორგი დავითის ძე, 36 წლის, ფედერალისტი, გლეხი, საშუალო
44. ომსარაშვილი გიორგი იოსების ძე, 23 წლის, ახალგაზრდა მარქსისტი, გლეხი, საშუალო
45. ხატიაშვილი მიხეილი დიმიტრის ძე, 37 წლის, მემარჯვენე ფედერალისტი, კულაკი, ჰქონდა კავშირი ბანდიტებთან
46. ნაცვალიშვილი ივანე ლევანის ძე, 30 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, აზნაური, საშუალო
47. მენტემაშვილი შალვა ილიას ძე, 28 წლის, სოციალისტ-ფედერალისტი, სასულიერო წოდება, საშუალო, ჩოლოყაევის ბანდის ხელშემწყობი
48. გოგიაშვილი დიმიტრი ანდრეის ძე, 27 წლის, სოციალისტ-ფედერალისტი, სასულიერო

* კიდევ ერთი დადასტურება, რომ ზემონახსენები საქართველოს მაზრებში დახვრეტილების საერთო სია როგორც ჩანს, ამ დოკუმენტის მიხედვით იქნა შედგენილი. აღნიშნული გვარი - ჭაჭუკიშვილი ორივე სიაში ერთნაირად წერია. განხვავებულად არის ეს გვარი დაწერილი სიღნაღის მაზრაში დასახვრეტი პირების, 1924 წლის 2 სექტემბრით დათარიღებულ ოქმს თანდართულ ჩამონათვალში - ჭაჭუკაშვილი

* კიდევ ერთი დადასტურება, რომ ზემონახსენები საქართველოს მაზრებში დახვრეტილების საერთო სია ამ დოკუმენტის მიხედვით იქნა შედგენილი, რადგან აღნიშნული გვარი - ტავლალაშვილი ორივე სიაში ერთნაირად წერია. განხვავებულად არის ეს გვარი დაწერილი სიღნაღის მაზრაში დასახვრეტი პირების, 1924 წლის 2 სექტემბრით დათარიღებულ ოქმს თანდართულ ჩამონათვალში - ტავლადაშვილი

წოდება, საშუალო, ბანდიტი

49. ნაცვლიშვილი გიორგი დავითის ძე, 44 წლის, მენშევიკი, გლეხი, საშუალო
50. ტუხაშვილი ივანე დავითის ძე, 44 წლის, მენშევიკი, გლეხი, საშუალო, თეთრგვარდიელი
51. ტუხაშვილი გიგა დავითის ძე, 46 წლის, მენშევიკი, გლეხი, საშუალო, თეთრგვარდიელი
52. დარჩიაშვილი ქრისტეფორე ზაქროს ძე, 20 წლის, ახალგაზრდა მარქისტი, გლეხი, საშუალო
53. ნადირაშვილი ალექსანდრე ვასილის ძე, 53 წლის, მენშევიკი, კულაკი, სასულიერო წოდება, მაჩხანის მენშევიკების ორგანიზაცია
54. ბეჟაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე, 22 წლის. ახალგაზრდა მარქსისტი, გლეხი, საშუალო, ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაცია
55. ცისკარიშვილი იოსებ გიორგის ძე, 46 წლის, მენშევიკი, კულაკი
56. კრაწაშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, 22 წლის, ახალგაზრდა მარქისტი, გლეხი, საშუალო
57. გოგიაშვილი შაქრო გიორგის ძე, 35 წლის, მენშევიკი, გლეხი, საშუალო, გვარდიის შტაბის ყოფილი უფროსი
58. ნასყიდაშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე, 40 წლის, ნაციონალ დემოკრატი, გლეხებიდან, საშუალო
59. კურხაშვილი გიგა თეოდორეს ძე, 35 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, კულაკი
60. სესიაშვილი გიორგი ლაზარეს ძე, 25 წლის, მენშევიკი, კულაკი
61. კორაშვილი ნიკოლოზ ნოდარის ძე, 40 წლის ნაციონალ დემოკრატი, კულაკი
62. ხირსელი ალექსანდრე სოლომონის ძე, 21 წლის, ახალგაზრდა მარქისტი, გლეხი, საშუალო, ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაცია
63. რცხილაძე გიორგი ნიკოლოზის ძე, 36 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, აზნაური, საშუალო
64. ნანობაშვილი გიგა ნიკოლოზის ძე, 28 წლის, მენშევიკი, გლეხი, საშუალო, ყოფილი ოფიცერი
65. ნაცვლიშვილი გიორგი პეტრეს ძე, 34 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, აზნაური, საშუალო, ყოფილი ოფიცერი

დოკუმენტს ხელს აწერს სიღნაღის მაზრის „პოლიტიურის“ უფროსის მოადგილე, რწმუნებული ისაკაძე. მდივანია შიბკიხი. (შსსა, 12.10: 181-182)

სტატიაში გამოქვეყნებულია უცხოელი ავტორების ძირითადი ნაშრომები (ს. გერბერშტეინი, მ. ლიტვინი, ე. ლიასოტა, გ. ბოპლანი, კ. შევალიე, კ. გილდებრანტი, პ. ალექსკი, ა. ვიმინა, ჰ. ეილერი, ი. გილდენშტედტი, ი. მილერი, ჯ.-ბ შერერი) გაანალიზებულია. სტატია მკითხველის ყურადღებას ამახვილებს XVI-XVIII საუკუნეებში სტეპური უკრაინის დასახლების პროცესისა და მასში უკრაინელი ხალხის როლის აღწერაზე. დამოუკიდებელი უკრაინის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს ეთნოპოლიტიკური პრობლემები აქვს. ამ პრობლემების გადასაწყვეტად ავტორებმა გაანალიზეს უკრაინელების როლი უკრაინის სამხრეთის დასახლებაში და განვითარებაში XVI-XVIII საუკუნეებში. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ბევრი რუსი, თათარი, ბერძენი და სხვა ადამიანი მონაწილეობდა უკრაინული ეთნიკური ჯგუფის ჩამოყალიბებაში. კვლევის საგანია უცხოელი ავტორების სხვადასხვა წყარო. ავტორები იკვლევენ უცხოელი ავტორების ძირითად ნაშრომებს (მონოგრაფიები, გამოკვლევები, სამოგზაურო ჩანაწერები, წერილები, მოხსენებები და ა.შ.). ამ წყაროების ძირითადი თავისებურებებია: ქრონოლოგიური ბუნება; ავტორები საეჭვო ვარაუდს გამოთქვამენ, რომ მას აქვს მხატვრული ნაწარმოების ელემენტები; ბევრ მათგანს არ აქვს მეცნიერული ბუნება. უკრაინის სამხრეთი არის ტერიტორია, რომელიც ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვარს აღმოსავლეთით; ისეთ მდინარეებზე, როგორცაა სივერსკი დონეცი, ორილი და ტიასმინი ჩრდილოეთით, მდინარეები სინჯუხა და კოდინა და მოლდოვის სახელმწიფო საზღვარი დასავლეთში. სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული თანამედროვე პრობლემების ზოგიერთი ეთნოპოლიტიკური ასპექტი შეიძლება გადაწყდეს მეცნიერული ანალიზით, რომელიც გამოიყენება უკრაინელი ერის როლზე XVI-XVIII სს-ის პერიოდში მისი ტერიტორიის დასახლებაში და განვითარებაში კონკრეტულად სამხრეთ უკრაინაში.

საკვანძო სიტყვები: უკრაინის სამხრეთი XVI-XVIII სს. მოგზაური უცხოელების შენიშვნები; სამხრეთ უკრაინის დასახლება; ეთნიკური პოლიტიკა.

იოანე აბაშიძის ბიოგრაფიული ცნობები

ფერაძე კონსტანტინე

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.14>

აბსტრაქტი. სტატია მიმოიხილავს ქართლ-კახეთის სამეფოს ქეშიკჩიბაშის იოანე ზაალის ძე აბაშიძის ისტორიას. გამოყენებულია საარქივო მასალები, პერიოდიკა და ისტორიული თხზულებები რომლებშიც შესაძლებელი გახდა იოანე აბაშიძის ცხოვრების და მოღვაწეობის იდენტიფიცირება. იოანე სავარაუდოდ 1740 წლისთვის დაიბადა, ის იზრდებოდა მისი დის მეუღლის მეფე ერეკლე II-ს კარზე და 1770 წლისთვის უკვე იყო მეფის ქეშიკჩიბაში, მას ევალებოდა მეფის და მისი ოჯახის დაცვა. მეფის და იოანეს წერილებით ირკვევა რომ ის ასევე ჩართული იყო ლეკთა თარეშის აღკვეთაში, სხვადასხვა სახის სამეურნეო საქმიანობაში, სამეფო ოჯახის წევრთა უზრუნველყოფაში, მოსახლეობის ჩასახლებაში, მონასტრების მომარაგებაში, ვაჭართა და სახელმწიფო მოხელეთათვის თანხის გადახდაში. იოანე მონაწილეობდა სასამართლო დავებშიც. მეფე ერეკლე და მისი მემკვიდრე გიორგი XII დიდად აფასებდნენ იოანეს ამავს, რისთვის მას არაერთი სახელმწიფო მამულიც გადაეცა. იოანე ასევე იკავებდა ბორჩალოს მოურავობის თანამდებობას. მან მონაწილეობა მიიღო კრწანისის ბრძოლაში სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ მიხედვით გმირულად იბრძოდა. გარდაიცვალა 1799 წლის მიწურულს და დაკრძალულია ვეჯინის ამაღლების კომპლექსში, თუმცა ამჟამად მისი საფლავი დაკარგულად ითვლება.

საკვანძო სიტყვები: კახეთი, ვეჯინი, იოანე აბაშიძე, აბაშიძეები, ერეკლე მეორე, გიორგი მეთორმეტე, XVIII საუკუნის კახეთი

2024 წელს ასი წელი გავიდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან რომელსაც, ბევრ სხვა პატრიოტთა გარდა, აბაშიძის გვარის ათობით წარმომადგენელი შეეწირა. ამ პერიოდის შესახებ კახელი აბაშიძეების ერთ-ერთი ბოლო წარმომადგენელი ნინო აბაშიძე წერდა, რომ „იოანე აბაშიძის შთამომავლები აღარსად აღარ ცხოვრობენ... ერთმა ავბედითმა ღამემ საუკუნოდ გადაკეტა მათი შტო“ (კლდეკარი 1997, 134). „ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავად-აზნაურობის პროცენტი“ - წერდა ლევან ლოლობერიძე (კომუნისტი, 1924, N200) მას შემდეგ რაც საკუთარი ხელით დახვრიტა 1924 წლის აჯანყების მონაწილეები სიღნაღში. ამ დახვრეტილთა შორის იყო ოთხი აბაშიძე, კახელი აბაშიძეების ბოლო წარმომადგენელი. კახეთში დახვრეტილი თუ ჩაქვავებული თავადების ოჯახები „რკინის ცოცხით“ გამორეკეს თავიანთი სახლებიდან (კომუნისტი, 1924, N205). მათ შორის იყვნენ ვეჯინელი აბაშიძეებიც ან როგორც მათ ერეკლე II უწოდებდა კახთ-აბაშიძეები, დღეს ეს გვარი უკვე აღარ არსებობს, სამწუხაროდ არც მათი წარმომადგენლების შესახებ დაწერილა რაიმე. კახელი აბაშიძეების ისტორიები კი გაბნეულია XVIII-XX საუკუნეების სხვადასხვა საბუთებში, წიგნებში, გაზეთებში, საფლავის ქვებზე და ზეპირ ისტორიებში.

იოანე ბატონიშვილის თანახმად, აბაშიძეთა გვარს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს „ესენი არიან ადგილით აბაშით, რომელიც არს ეთიოპია“ (ივერია, 1888, N4, 12). ლეგენდის მიხედვით, აბაშიძეების წინაპარი მურვან ყრუს შემოჰყოლია საქართველოს სათარეშოდ. თუმცა ეს მხოლოდ ლეგენდაა და არ დასტურდება თანამედროვე გენეტიკური კვლევებით რომლის მიხედვითაც აბაშიძეთა გვარის დნმ-ში არ არის ეთიოპელებისთვის დამახასიათებელი გენეტიკური მონაცემები¹. აბაშიძეები იმერეთში ცხოვრობდნენ და განსაკუთრებით გაძლიერდნენ XVI საუკუნიდან. ვახტანგ VI-ს მეფობისას იმერელი ვახუშტი ლევანის ძე აბაშიძე ქართლში გადასახლდა, მეფემ მას ცოლად თავისი ქალიშვილი ანუკა გააყოლა და დაასაჩუქრა მამულებით ქართლში. ვახუშტის ძმა ზურაბი (1680-1746) იმერეთში ცხოვრობდა თავის ოჯახთან ერთად, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული აბაშიძეების საბუთების თანახმად (სსცა, 213, 93) კახელი აბაშიძეები საკუთარი შტოს ათვლას სწორედ ზურაბ ლევანის ძე აბაშიძისგან იწყებდნენ. 1745 წელს ზურაბის შვილი ზაალი თავის ბიძასთან ვახუშტისთან დაიბარეს, მას თან ახლდა ქალიშვილი ანა „შვენიერი და შემკული ყოვლითა ბრწყინვალეებითა“ რომელიც ვახუშტის ცოლმა, ანუკა ბატონიშვილმა თავის დისშვილს, უფლისწულ ერეკლე II-ს ცოლად გაურიგა, ქორწილიც იქვე გაიმართა და „იყო სროლა მუდმისად ყუნბარათა და ზარბაზანთა, რომ ყურთა ჳმა აღარ იყვის“. დედოფალი ქვიშხეთიდან თბილისში ჩამოიყვანეს დიდი ზარ-ზეიმით სადაც მეორე ქორწილიც გაიმართა და იყო „განცხრომა ფრიადი, ვითა იმ დღესა და სიხარულსა გაეწყობოდა“ (ორბელიანი, 1981 80-81). ანასგან ერეკლეს სამი შვილი ეყოლა, საქართველოს ბოლო მეფე გიორგი XII (1746-1800), თამარი (1749-1789) და კიდევ ერთი ასული რომლიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა. დედოფალი 19 წლის, 1749 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა, ის სვეტიცხოველში დაასაფლავეს.

ერეკლე II-ის მიერ ბოძებული წყალობის სიგელით ჩანს, რომ 1769 წელს „მეფის "მოყვრობაში" ზაალ აბაშიძე იმერეთს აღარ "დასდგა", თავის იქაურ "მამულზე ხელი აიღო", ერეკლეს კარზე მივიდა და მისი "ყმობა ინება" (სოსელია, 1973, 199). 1774 წლის მამულის წყალობის საბუთში ერეკლე მეფე ზაალს ახასიათებდა როგორც „დიდათ ერთგულს და თავდადებით მრავალ გზით ნამსახურს ჩვენს მოყუარეს“ (ხეც Hd-2189). იოანე ბატონიშვილის თანახმად, კახეთში გადასახლებული ზაალ აბაშიძის შთამომავლები თავადობის ორ ხარისხს ატარებდნენ, იოანეს შვილები პირველს, ხოლო მისი ძმის სვიმონის მეორეს (ივერია, 1888, N4, 13).

იოანეს და მისი ძმის სვიმონის დაბადების თარიღები დაზუსტებით არსად არ არის აღნიშნული. დავით ციციშვილის თანახმად, „მეფემან ირაკლი მეორემან აბაშიძისა ზაალის ასული ანა მოითხოვა რა ცოლად, მაშინ გარდმოიყვანა სიმამრიცა თავისი ზაალ და ცოლისძმანი თვისნივე ძენი ზაალისანი იოანე და სვიმონ და მიუბოძა კახეთს მამულნი და ყმანი ამოწყვეტილის ენრონიკაშვილის ჯანოს შვილისანი“ (ბერძენიშვილი, 1980, 93). ანა ერეკლეზე 1745 წელს გათხოვდა და როგორც ეტყობა, ამ დროისთვის იოანე და სვიმონი მცირეწლოვნები იყვნენ. მეფის მიერ გაცემულ წყალობის სიგელში ერეკლე წერდა რომ იოანე იყო „პატარა ჩვენს

¹ აღნიშნული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აბაშიძეთა უახლოესი გენეტიკური ნათესავები არიან ჩხეიძეები, რაჭის ერისთავები, ფალავანდიშვილები და რუსიშვილები <https://www.yfull.com/tree/G-Y425241/>. ამ დროისთვის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია იური ჩიქოვანის მიერ შედგენილი აბაშიძეების, მათ შორის კახეთის შტოს გენეოლოგიური კვლევა. კახელი აბაშიძეების ისტორიას ზოგადად განიხილავენ ოლღა სოსელია „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“, წიგნი II, თბილისი, 1981 და იაკობ ახუაშვილი „მასალები ქართული გვარების ისტორიისთვის“ ტ.3, თბილისი 2003

კარზე შვილსავით გავზარდეთ, ჩვენის ერთგულებისთვის და შესამატისთვის დღენიადაგ თავდადებული იყო“ (ხეც Hd-2383). ერეკლე II-ს მიერ აბაშიძეებისთვის კახეთის მამულის ბოძების კიდევ ერთ საბუთში მეფე იოანეს შემდეგნაირად ახასიათებდა „დიდის პატივით და წყალობით შვილურად გავზარდილ ჩვენს ქეშიკ უხუცესს და ჩვენს ერთგულებაზე ჩვენს წინ ჩვენს მტერზე მრავალჯერ სახელოვნად გარჯილს“ (ხეც Hd-2189). მეფის კარზე აღზრდილ იოანე აბაშიძეს ქეშიკიბაშის თანამდებობა ებოძა, ის მეფის, სამეფო ოჯახის წევრთა და მათი მოსამსახურეების დაცვის აპარატს ხელმძღვანელობდა. მეფის დაცვა მეთოფეებს და ნოქრების რაზმს ევალებოდა, მათი ხელმძღვანელი კი ქეშიკიბაში იყო. ეს სერიოზული გამოწვევა იყო ლეკების, ჭარხელის და სხვათა მუდმივი თარეშის ფონზე. იოანე აბაშიძეს უშუალოდ მეფის და მისი ოჯახის წევრთა დაცვის მიღმა სხვა ბევრი ფუნქციაც ჰქონდა რაც კარგად ჩანს ერეკლე II-ს და გიორგი XII-ს იოანესადმი მიწერილ წერილებში.

ქვემოთ განხილულ წერილთა უმრავლესობა მღვდელმა პოლიეექტოს კარბელაშვილმა გადაწერა 1890 წელს, ეს წერილები მხოლოდ ჩანაწერის სახით შემორჩა მის პირად არქივში. როგორც კარბელაშვილი იხსენებდა, 21 წერილი იოანეს შთამომავლებმა, ახალგაზრდა ზაქრია და ნიკოლოზ ილიას ძე აბაშიძეებმა აღმოაჩინეს "მიყრუებულ-მივარდნილ ყუთ-ზანდუკებში" და მას გადააწერინეს, მათგან 15 წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“. ოჯახში ნაპოვნი კიდევ 14 წერილი და გუჯარი გამოქვეყნდა ჟურნალ „მწყემსში“. იოანე აბაშიძე მეფისგან იღებდა საიდუმლო დავალებებს, მოთხოვნებს, რჩევებს, ხუმრობებს, მოკითხვებს და პირადი ხასიათის დავალებებს. კახელი აბაშიძეების არქივი 1924 წელს მათ სახლზე ბოლშევიკების თავდასხმისას განადგურდა. ცენტრალურ საისტორიო არქივში და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ერეკლე II-ს და გიორგი XII-ს პირადი წერილები იოანესთან, მისი სახელი ჩანს სასამართლო საქმეებში და სხვადასხვა სახის სამეურნეო საბუთებში.

იოანეს სახელი უკავშირდება ასპინძის 1770 წლის 20 აპრილის ბრძოლას სადაც მას როგორც მეფის მცველთა უფროსს დიდად გამოუჩენია თავი (ხოსიტაშვილი, 1972, 118). 1770 წლის 19 დეკემბრის წერილით მეფე პატივისცემით და სიყვარულით მიმართავს ცოლის ძმას „ჩვენსა დიდსა იმედსა და დიდათ იმედათ მისაჩენელ-მისახედავსა და არაოდეს დასავიწყარსა ქეშიკიბაშს აბაშიძეს იოანეს მრავალი მოკითხვა მოეხსენოს“ და ატყობინებს, რომ ახალციხიდან ოსმალები ვერ ახერხებდნენ ფოთში ჯარის გაგზავნას სადაც ამ დროს რუსეთის და იმერეთის გაერთიანებული ლაშქარი ქალაქის უშედეგოდ ადებას ცდილობდა (სცსა 1461, 8, 1). 1771 წლის 17 მარტის წერილში ერეკლე იოანეს ლეკების მიერ ხეფინისხევის (დღევანდელი რიკოთის მიდამოები) აკლებას ატყობინებს და მოუწოდებს „ცოტა ხანს მაგ მხარეს დადექ, მტერს ნურას წაახდენინებთ“ (სცსა 1461, 12, 38). ხეფინისხევი აბაშიძეების მამული იყო და მათვე ევალებოდათ ამ ადგილების ლეკთა თარეშისგან დაცვა. ასპინძის ბრძოლაში მოკლული მალაჩილას იგივე კოხტა ბელადის ძმა ფირუდად ბელადი შურისძიების მიზნით თავს ესხმოდა ქართლის და კახეთის სოფლებს, აქაურობის დაცვა იოანეს ებარა. 1772 წლის 25 ოქტომბერს ერეკლე ქართლში მყოფ იოანეს მოუწოდებს რომ „გარჯის დრო არის, შენ იცი როგორც მანდაურასა აქაურსა საქმეებზედ გაირჯები და თავს მოგვაწონებ“ (სცსა 1461, 8, 2). იმავე წლის 12 ნოემბერს ერეკლე იოანეს წერდა „ქალაქის ნაპირს ლეკისაგან ცემა და თარეშობა მოგეწერა. მაგ საქმეზედ დიდად ვსწუხვართ და ჩვენი სვინდისი იგვემება, მაგრამ აქაურის საქმეების გამოისად მოცალეობა არა გვაქვს“. იოანე მცირე რაზმით იგერიებდა ლეკთა თავდასხმებს. ამავე წერილში ერეკლე იოანეს უკრძალავს ჯავახეთისკენ თარეშს „შენი

ერთს ალაგს წასვლა რომ მოგწერა, არეულობა და ყალბაყალი არის, არამც ერთს ფათერაკში გაეხვიო რაშიმე. ჯერეთ დრო და ჟამი არ არის შენის წასვლისა; როდესაც დრო იქნება, მაშინ გაგისტუმრებთ“, აქვე მოუწოდებს რომ ახალციხისკენ სანდო ყარაულები დააყენოს, ბოლოს კი წერს „ჩვენც ჩვენის შვილის გიორგის ნახვა და შენი ნახვაც გვინდა და ვიცით რომ თქვენც გინდათ ჩვენი ნახვა, ახლა მანდემამ თქვენი დამგრა არ იქნება, მანდაურობას მოვლა ეჭირება“ (სცსა 1461, 8, 3). კოხტა ბელადის ძმა კახეთის მხარესაც აწიოკებდა, 1772 წლის 22 ნოემბერის წერილით ერეკლე იოანეს მოუწოდებდა მის განკარგულებაში მყოფ ნოქრის ჯარისკაცებით საგარეჯოელი და მარტყოფელი მეომრების დახმარებას და მათთან ერთად ლეკებისთვის წინააღმდეგობის გაწევას - „სამნივ ერთად უნდა შეიყარნეთ და სადაც ამჯობინოთ, ღვთით უნდა დახვდეთ და პასუხი მისცეთ“ (სცსა 1461, 8, 6). როგორც ეტყობა, იოანემ თავი კარგად გაართვა მეფის დავალებას, 28 ნოემბერს ერეკლე მას წერდა „მერმე შენ რომ მდევრობა მოგწერეთ, როგორც შენგან იმედი გვქონდა ისე გარჯილხარ - და როგორც წინაზედ ქართლში წასვლა მოგწეროს შენთვის, იმ გზით და იმ თადარიგით უნდა წახვიდე, ნულარ დაიგვიანებ“ (სცსა 1461, 8, 7). იოანემ მოახერხა ლეკების დამარცხება და კოხტა ბელადის ძმა - ფირუდაღიც დაატყვევა. 15 დეკემბერს ბატონიშვილი გიორგი იოანეს წერდა "თქვენის მშვიდობით ბძანების მდომი ბატონისშვილი გიორგი ბატონს ქეშიკიბაშს აბაშიძეს მრავალს, თქვენის კაი თავის საკადრის მოკითხვას და ამაოდ ბძანების სიხარულს მოგახსენებთ ... მანდ რომ დაჭერილი ლეკი არის, კოხტა ბელადის ძმა არის, თუ არ არის - მაინც უნდა მოკლა. მაინცა და მაინც მაგის მოუკვლელობა არას მიზეზით და არას საქმით არ იქნება, არ იქნება და არ იქნება. რაც ჟამს ეს წიგნი მოგივიდეს, იმავ წამს უნდა მოაკვლევინო და თავი საჩქაროდ გამოგზავნო; მაგის თავის გამოუგზავნელობა არას საქმით არ იქნება, იცოდე“ (სცსა 1461, 8, 8). 1772 წლის 24 დეკემბრის მეფის განკარგულების თანახმად, იოანე ხვითსა და ქვემო ნიქოზში უნდა გამაგრებულიყო ჯარით (კლიმიაშვილი, 2022, 168). ამავე პერიოდზე იოანე ბატონიშვილი იხსენებდა რომ, 1772 წელს „ოდეს ჯდა სადილად მეფე, მოვიდა ფრიადი შეყრილობანი ლეკთანი და დაესხნეს ხვითებს. აღმჯედრდა თვით მეფე ამალითა თვისითა და სძლო ფრიად და მოსწყვიდნეს მრავალნი... ხოლო აბაშიძესა იოანეს მოსწყვიტა თითნი ლეკმა ჳლმითა“ (ივერია, 1888, N4, 13-14). იოანე მოგვიანებითაც ლეკების წინააღმდეგ იბრძოდა, 1777 წლის აგვისტოში ის მარტყოფს იცავს მოთარეშეებისგან, 7 აგვისტოს წერილით ერეკლე აზუსტებს ლეკების ჯარის გადაადგილებას და რჩევას იოანეს აძლევს შემდგომი მოქმედებისთვის (სცსა 1461, 8, 10). მომდევნო დღეს კი დამატებით მითითებებს უგზავნის და აფრთხილებს „ეგ ლეკი არ ამოგეპაროსთ" (სცსა 1461, 8, 11).

იოანე განჯის დასალაშქრად თან ახლდა იულონ ბატონიშვილს, 1785 წლის დაუთარიღებელ წერილში ერეკლე არიგებს იოანეს თუ როგორ უნდა შეებან მტერს „შენ ხომ იცი ჩვენ ჯარში ყოფნა როგორ გვინდა. ჩვენი სარქარდობა აქედამ ამას შინჯავს: თუ ისინი გამოვიდნენ და ომი მოუხდესთ, თქვენ მინდორზე კინკლაობასა და იმათსავით თოფების მიშველებასა და ისე შებმას დაეხსენით...ისინი აქედ-იქიდან ტანებას დაგიწყებენ, თქვენ ზარბაზნის სროლის მეტს ნურას იქთ. ისინი ამაში რომ დაილღვეიან, მასუკან ერთიანათ მიაწევით და ღვთით თან გაიტანთ“ (სცსა 1461, 8, 12).

აღა მაჰმად ხანის შემოსევამდე ერთი თვით ადრე, 1795 წლის 27 ივლისს, ერეკლე იოანეს წერდა „როგორც პირველად შენ კაცი შემოგაწერეთ, ახლავ საჩქაროდ და მდევრულად უნდა გამაიყვანო და ამ თვის 30 ჩვენთან გამოაცხადო. ჩვენი შვილი იულონ გავისტუმრეთ და ჩვენ თქვენი მოლოდინი გვაქვს. რასას წამს ჩამოხვალთ, ღვთით ჩვენც წავალთ. რომელიც კაცი იმ პირველის სიიდან დაგვაკლდება - თავადი,

აზნაური და გლეხი კაცი, - არც სასიკვდილოთ დავინდობთ, არც ასაკლებად და არც გასახეიბრებლად შევიბრალებთ. ყველანი სწორეთ გამოდით და სიმართლით მოიქეცით, თორემ ღვთის გულის წყრომა შემოხდება თქვენზედა, ასე იცოდეთ“ (სცსა 1461, 8, 15). იოანე მეფეს ახლდა კრწანისის ომის დროს, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი წერდა, რომ კრწანისის ომში, სხვებთან ერთად, იოანე კახთ-აბაშიძემ ისე გამოიჩინა თავი, რომ სადაც ის და მეფის სიძე ზაქარია ანდრონიკაშვილი შეუტევენ თავიანთი მახლობლებით და მოსამსახურეებით მაშინვე „გააქცევდნენ“ მტერს, მაგრამ მათ მოსამსხურეები ცოტა დარჩათ „ომში დაიხოცნენ“ (ორბელიანი, 1895, 159). კრწანისის ბრძოლაში „ომებში გაქეზებული“ და „გამწარებით“ მეზობლი იოანეს ამბავი თაობებმა შემოინახეს, მისი გმირული ბრძოლა ნიკოლოზ ბარათაშვილმა აღწერა „ბედი ქართლისაში“:

„...ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი
და მტკვარსა შეჰრთეს სისხლისა ღვარნი!
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი.
თამაზ, ენისენტ მოურავის ძე,
და იოანე, კახთ აბაშიძე,
განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა...“.

იოანეს შთამომავალი ნინო აბაშიძე იხსენებდა, რომ ვეჯინში ინახებოდა დროშა, რომელიც კრწანისის ომშიც თან ჰქონდა იოანეს, დროშის ტარზე ჯერ ისევ იყო შემხმარი სისხლის კვალი. დროშის სახლიდან გატანა არავის შეეძლო, თუმცა ის 1924 წელს აბაშიძეების სახლ-კარის დაწიოკების დროს დაიკარგა (კლდეკარი, 1997, N2, 134).

სამხედრო საქმეების გარდა იოანეს ებარა სამეურნეო საქმეთა მოწესრიგებაც, 1772 წლის ნოემბრის ერთ წერილში ერეკლე იოანეს ურჩევდა „რაც კახეთის ელის საქონელი იყოს, ქალაქის ნაპირს ნუ დააყენებთ; სხვაგან გააგზავნინეთ“ (სცსა 1461, 8, 3). მეფე 1772 წლის 18 ნოემბერს იოანეს ავალეზა ახალციხის ფაშას მიერ ფრანგი (სავარაუდოდ კათოლიკე) ვაჭრებისთვის წართმეული საქონელი აღერიცხა და მათთვის კომპენსაცია გადაეხადა (სცსა 1461, 8, 4). 30 ნოემბრის კიდევ ერთი წერილი გამოუგზავნა მეფემ იოანეს სადაც დააზუსტა ვაჭრებსთვის მისაცემი თანხა (სცსა 1461, 8, 5). განსაკუთრებით საინტერესოა ამავე წლის 28 ნოემბრის ერთი ვრცელი წერილი სადაც ერეკლე იოანეს სხვადასხვა დავალებებს აძლევს „ჩვენს შვილს გიორგის უთხარ, მანდ თუ წყალი გაყინოს, ბარაქიანი ყინული შეანახვინოს...ორი საყინულე რომ არის, მელიქს უთხარით ის აავსებინოს“. მეფე ასევე ითხოვდა მისთვის ჩაის გამოგზავნას „მოლარეს გივს უთხარ, მაგავ კაცს ჩაი-ხათაი დავაბარეთ, რატომ არ გამოგვიგზავნა? მანდ სალაროში არის დიდს მინაში. მანდედამ ერთს ყუთში ჩაყაროს და საჩქაროდ გამოგვიგზავნოს; ჩაი აღარა გვაქვს. ნახევ ლიტრა თამბაქოც გამოგვიგზავნოს სალაროდამ მელიქ ვასმა და ინა გამოეგზავნა, ჩვენ მაგიერ მაღლი უთხარი. ჩაიხათაის ყუთი დაბეჭდოს მოლარემ და ისე გამოგვიგზავნოს“ (სცსა 1461, 8, 7).

იოანე ზრუნავდა მონასტრების მომარაგებაზეც, 1781 წლის 26 სექტემბერს დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარი იოანეს პურს თხოვს, ამავე წერილზე მინაწერით იოანე თავის მოურავს უბრძანებს „დავით-გარეჯის პური რომ არის ქოდალს ათი კოდი, ის მოართვი“ (ხეც Ad-451).

იოანეს, როგორც სახელმწიფო მოხელეს სალამქრო ულუფაც ეკუთვნოდა. ამის მაგალითებია 1780 წლის 16 სექტემბრით დათარიღებული ბრძანება (სცსა 1448, 482) და 1790 წლის კიდევ ერთი განკარგულება იოანესთვის ულუფის მიცემის შესახებ „ქ.

მამასახლისო ქეშიკჩი ბაშ იოვანეს ნახევარი ლიტრა და ორი სტილი სამარხო თავის ნიგვზით“ (სცსა 1448, 2883). 1780 წლის 28 ოქტომბერს ერეკლე იოანეს ყმების სალეკო ხარჯიდან სამი თუმნის სესხად შეკრებას ითხოვდა (სცსა 1448, 498). 1799 წლის 22 აგვისტოს გიორგი მეფე იოანეს თხოვს ცხენები გამოყოს სპილენძის მადნის გადასატანად (მწყემსი, 1893, N9, 13). 1799 წლის 28 სექტემბრით თარიღდება იოანესთან მიწერილი ბოლო წერილი, გიორგი სთხოვს მისი შვილიშვილის ყმების „დაყენებას“ და მათ პატრონობას, „იქ იდგნენ და იქიდან ჩვენს შვილიშვილს თომას ემსახურნენ სხვას საქმე არავისა აქვს და თქვენ არაზედ შეაწუხოთ...“ (სცსა 1448, 5745). ერთ დაუთარიღებელ წერილში გიორგი მეფე იოანეს თხოვს მისთვის გაწეული სამსახურისთვის ვინმე ყორღანაშვილისთვის თანხის მიცემას (სცსა 1448, 6421).

ერეკლეს წერილებში ჩანს იოანეს და მეფის ოჯახის ახლო ურთიერთობაც. 1772 წლის 28 ნოემბერს ერეკლე იოანეს წერდა „ჩვენის შვილის თამარის ქალის მაიას ავანტყოფობა გავიგონეთ, ღვთის გულისათვის მოგვიკითხე და მაგის ამბავი შეავატყობინეთ“ (სცსა 1461, 8, 7). თამარი იოანეს დისშვილი იყო და ბუნებრივია რომ მასთან ახლო კავშირი ექნებოდა. 1774 წლის 22 ოქტომბერს ერეკლე იოანეს და მის ოჯახს ეპატიჟებოდა ლევან ბატონიშვილის ქორწილში „ჩვენს შვილს ლეონს ქორწილს უპირებთ ამ ცოტას ხანში. შენც უნდა გვეწვიო და შენი სახლობაც უნდა მოიყვანო და გვაწვიო. დაგვიანება არ იქნება“ (სცსა 1461, 8, 9). სამწუხაროდ, წერილის დაწერიდან შვიდ წელიწადში ლევან ბატონიშვილი სწორედ იოანესთან ვეჯინში სტუმრობისას გარდაიცვალა, იოანეს შთამომავლები ფიქრობდნენ რომ ლევანი ორაგულით მოწამლეს (მნათობი, 1974, N4). როგორც ეტყობა იოანე და ერეკლე მეფე შეხუმრებულებიც იყვნენ ერთმანეთში, 1776 წლის 21 ოქტომბერს ერეკლე იოანეს წერდა „...წიგნი მოგიწერია, მოგვივიდა, რაც მოგეწერა ვსცანით. ზოგი რამ ხუმრობაები მოგეწერა ყუელა შევიტყვეთ...“ (სცსა 1448, 1374).

ერეკლე მეფე დაინტერესებული იყო მოსახლეობისგან დაცლილი ქართლ-კახეთის აღდგენით რისთვისაც ყველანაირად ხელს უწყობდა მეზობელი ხალხების გადმოსახლებას. 1776 წლის 13 მარტს ის იოანეს წერდა „შენ ჩვენს ქვეყანას გარდა სხვას ქვეყნიდამ რასაც კაცს მოიყვან თათარს ვისიც ყმა იყოს - შენთვის გვიბომებია, საქმე არავის ექნება. ჩვენც თვალყურს დავიჭერთ და კიდევ გავამღებინებთ“ (სცსა 1448, 488). 1788 წლის 1 მარტს ერეკლე იოანეს ბორჩალოში თათრების დასახლების და მათთვის პირობების შექმნას ურჩევდა, ამავე წერილით სომეხთა ჩამოსახლების საკითხსაც განიხილავდა (სცსა 1461, 8, 13).

მშვიდობიანობის დროს, რომელიც დიდი იშვიათობა იყო XVIII საუკუნის საქართველოში, იოანე მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო მნიშვნელობის შეკრებებსა და მოლაპარაკებებშიც. ზოგიერთ წერილში ერეკლე მას მიმართავს როგორც „დარბაზ ბატონს“, შესაბამისად, იოანეს არა მხოლოდ სამხედრო არამედ პოლიტიკური მოვალეობებიც ეკისრებოდა. რუსეთთან გაფორმებული გიორგიევსკის ტრაქტატის საქართველოში შემოტანისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე რომელიც 1784 წლის 22 იანვარს გაიმართა თბილისში, ნახსენებია, რომ სახელმწიფო ობერ-შტალმეისტერი (Обер-шталмейстер) აბაშიძე პოლკოვნიკ ტამარასთან და მეფის გენერალ-ადიუტანტ ბარათოვთან ერთად უკან მოყვებოდა ტრაქტატის დედანს (Дубровин, 1886, 16). ასევე ცნობილია, რომ 1793 წლის 5 მაისს ერეკლე მეფე იოანეს იბარებდა იმ კრებაზე დასასწრებად რომელსაც იმერეთის და ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანებაზე უნდა ემსჯელა „ამ ჟამად საქვეყნო სარჩევი საქმეები გვაქვს. რასას წამს ეს ჩვენი წიგნი მოგივიდეს, მაშინვე უნდა წამოხვიდე; მაგ მხრის თავადები სხვანიც დაბარებულნი არიან და ერთად წამოდით...ჩვენი საკუთარი

საქმეებიცა გვაქვს და დაგვიანება არ იქნება, ახლავ უნდა წამოხვიდე, არ დაიგვიანო“ (სცსა, 1461, 8, 14). იოანეს ებარა ბორჩალოს მოურავობაც, 1799 წლის 19 აპრილს, გიორგი XII ბრძანებას უგზავნის ბორჩალოელებს და ატყობინებს მათ, რომ ამიერიდან ბორჩალოს მოურავობა „ბიძაჩვენის ქეშიკჩიბაშის აბაშიძის იოანესთვის გვიბოძებია რომ დღეის იქით თქვენს მოურავად ეს უნდა იყოს თავისის მოურავობის სარგო განწესებით და ეს ჩვენი ბიძა არის და როგორც ჩვენი ერთგული არის ისე თქვენს მოვლას შემატებას და გამგებინებას ეცდება და კარგად მოგივლისთ“ (სცსა 1448, 5646). გიორგი მეფე იმავე წლის 28 აგვისტოს „ბიძაჩვენს ქეშიკჩიბაშს აბაშიძე ბორჩალოს მოურავს იოანეს,, თავისთან იბარებდა სახელმწიფო საქმეების გასარჩევად (სცსა 1448, 3999).

იოანე რამდენიმე საბუთის მიხედვით მონაწილეობდა სხვადასხვა დავებსა და გარიგებებში. 1777 წლის 14 იანვარს და 1778 წლის 20 თებერვალს იოანე მონაწილეობს აფხაზის და ონანაშვილის მამულების სასამართლო განხილვაში (ხეც Hd-4353, Hd-6729). 1777 წლის 31 იანვარს იოანე მონაწილეობს ონანაშვილის და ბებურიშვილის მამულის გაყოფის საქმეში (ხეც Hd-4089), ერეკლე იოანეს ავალეებს მათი მამულების გაყოფაზე სამართლის დადგენას. 1779 წლის 11 მარტს იოანე განსჯიდა აფხაზის და ვაჩნაძეების მამულების დავას (ხეც Hd-10169).

ერეკლე II და გიორგი XII უხვად აჯილდოვებდნენ მათ ერთგულ იოანეს. საქართველოს არქივებში შემონახულია ცნობები იოანე აბაშიძისთვის ნაჩუქარი მამულების შესახებ, ნაწილობრივ ცნობილია იოანეს და მისი ძმის სვიმონის შთამომავლობის ხელთ არსებული უძრავი ქონებაც. იოანეს მამა ზაალი ჯერ კიდევ 1752 წელს ფლობდა ხეფინისხევს და ხევისჯვარს (ქართველიშვილი, 2019, 50). სხვა საბუთებით, „მთლად“ ქართლის ხეფინისხევი ზაალს ერეკლე მეფემ 1769 წლის 9 მარტის განჩინებით დაუმტკიცა. იმერეთის მეფე სოლომონი 1753 წელს ზაალს და მის ძმისწულებს ვახუშტის და ზურაბს უმტკიცებდა მამულებს იმერეთში (მწყემსი, 1893, N7, 11). 1754 წელს კი სოლომონი ზაალს, მის ძმისწულებს და მის შვილებს იოანეს და სვიმონს უმტკიცებდა „საიმერლო“ მამულებს, მათ შორის სოფელ ზვარეს (მწყემსი, 1892, N22, 8). აბაშიძეთა საარქივო დოკუმენტების თანახმად იოანე აბაშიძის მამა ზაალი და მისი ბაბუა ზურაბი იმერეთის მეფე მამუკას 1746 წლის 16 ივნისის განჩინებით ფლობდნენ სვერის ციხეს, მამულს და ყმებს (სცსა 213, 93, 57).

საარქივო მასალებში ჩანს, რომ 1773 წლის 19 აპრილს იოანეს ერეკლე მეფემ მამული გადასცა ქიზიყში (სცსა 1461, 12, 83). 1774 წელს ერეკლემ ზაალ აბაშიძეს და მის შვილებს ხეფინისხევის და გეთსამანიის მამულები დაუმტკიცა „გლეხით, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა და ყოველის მისის სამართლიანის სამძღვრითა“ (ხეც Hd-2189). იმავე წელს ერეკლემ ზაალს და მის შვილებს კახეთშიც დაუმტკიცა მამული (ხეც Hd-2383). კახელი აბაშიძეები დასახლდნენ სოფელ ვეჯინში, იქ დღემდე დგას აბაშიძეთა თავდაცვითი კოშკი და მათივე კარის ეკლესია (დვალი, 213, 114). იქვე, ვეჯინის ამაღლების კომპლექსში იკრძალებოდნენ კახელი აბაშიძეები, თუმცა დღეს მხოლოდ ორიოდე დაზიანებული საფლავის ქვაა დარჩენილი, მათზე არსებული წარწერები კი რთული გასარჩევია. 1774 წელს გიორგი ბატონიშვილმა ბორჩალოში თავისი საბატონიშვილო ადგილებიდან ერთ-ერთი „სარვანის ნაყიშლაღარი“ უბოძა იოანეს და მის შთამომავლებს, ამ მამულს იოანეს შვილი დავითი ახსენებდა 1803 წელს რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილ ერთ თხოვნაში (სცსა 26, 11). ბორჩალოს მამულს იოანეს შთამომავლები ფლობდნენ 1832 და 1848 წლებშიც (სცსა 234, 2, 115 და 26, 4, 2414). აბაშიძეების საბუთებში ჩანს ერეკლე II-ს 1775 წლის 3 მარტის ბრძანების რუსული თარგმანი სადაც მეფე იოანეს ანდრონიკაშვილთა

მამულებს და ყმებს უბოძებს (სცსა 213, 93, 3). 1776 წელს კი ერეკლე მეფემ ნეკრესის მამულიც დაუმტკიცა იოანეს (ბერძენიშვილი, 1983, 93), ამავე წლის 18 მაისის მეფემ იოანეს ქვაყრილშიც უბოძა მამული (სცსა 1448, 489).

იოანე აბაშიძეს, ერეკლესთან დაახლოვებულ სხვა თავადთა მსგავსად, თბილისშიც ჰქონდა სახლი, ამაზე მოწმობს ერეკლე მეფის 1772 წლის 21 მაისის ბრძანება სამეფო ბაღის მორწყვის შემდეგ კვირაში ორჯერ სოლოლაკის წყალზე აბაშიძის ბაღის მორწყვის შესახებ (სცსა 1448, 1990). იოვანე ქეშიკჩიბაში ჩანს 1781-82 წლების „ტფილისის მცხოვრებთა აღწერაში“ (ჯავახიშვილი, 1967, 143). აბაშიძეების ეს სახლი ალა მაჰმად ხანის შემოსევის დროს განადგურდა (Кишмишев, 1889, 279), თუმცა იოანეს მემკვიდრეების თბილისის სახლი XIX საუკუნის დასაწყისშიც ჩანს. 1784 წლის 22 მარტს ერეკლე ხელს აწერს მამულების გაყოფის საქმეს საიდანაც ირკვევა, რომ იოანე ფლობს მამულებს ბეჟანბაღში, კაჭრეთში, ზიარსა და წინამხარში (ხეც Hd-10200). კაჭრეთის მამულის გაყოფა მოგვიანებით კიდევ ერთხელ გაირჩა ერეკლეს მიერ 1794 წლის 17 დეკემბერს (დოლიძე, 1974, 225 და 650). 1784 წლის 24 მარტის საბუთით სოფელ ჯიმიტში მამულებს იყოფენ იოანე, ზაალ ზურაბიშვილი და ერასტიშვილები (სცსა 1448, 1400 და 1461, 9, 35). 1865 წელს აბაშიძეები ამავე მამულებს იყოფენ ანდრონიკაშვილებთან და შალიკაშვილებთან (სცსა 56, 43). 1787 წელს იოანე ფლობს მამულს ქვაყრილში რომელიც ნეკრესისა და ენისელის მიდამოებში უნდა ყოფილიყო (მწყემსი, 1892, N22, 8-9). 1789 5 მარტს იულონ ბატონიშვილი ამტკიცებდა იოანეს მამულს ქვაყრილში, საქმე ეხებოდა იქაური გლეხების თავიანთ სახლში დაბრუნებას „ჩვენ იოანე აბაშიძეს კაცს ვერ წავართმევთ“ - წერდა იულონი (მწყემსი, 1893, N9, 13).

იოანეს ცოლის სახელი უცნობია, ის იყო გიორგი XII-ის სიმამრის, ქიზიყის მოურავის რევაზ ანდრონიკაშვილის და იესე მეფის შვილშვილის მარიამ ბეგუმის ასული რომელთანაც იოანეს ოთხი შვილი დიმიტრი, დავითი (1774-1854), ხორეშანი (1778-1861) და სიდონია შეეძინა. იოანეს გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია, ბოლო საბუთი რომელშიც იოანე იხსენიება 1799 წლის 28 სექტემბრით თარიღდება, 1800 წლის 25 იანვარის მეფე გიორგის ერთ მინაწერში ის უკვე გარდაცვლილი ჩანს (სცსა 1448, 5646), სავარაუდოდ იოანე 1799 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა. ვახტანგ ორბელიანის გადმოცემით იოანე „თავის დღით მომკვდარა“ (ცისკარი, 1858, N4, 284). ის ვეჯინის ამაღლების კომპლექსში შემავალ ერთ-ერთ ტაძარში დაასაფლავეს. აბაშიძეთა შთამომავლების თანახმად, საბჭოთა პერიოდში გურჯაანის ერთ-ერთი სკოლის ისტორიის მასწავლებელმა მოწაფეები წაიყვანა ამაღლების კომპლექსში იოანეს საფლავის გასათხრელად, იმ მიზეზით, რომ ერეკლე მეფის მიერ ნაჩუქარი ოქროს ხმალი ეპოვნათ. იოანეს საფლავი გახსნეს, რა თქმა უნდა ხმალი ვერ ნახეს, მისი საფლავი კი სამუდამოდ დაიკარგა.

ბიბლიოგრაფია

არქივები

საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი:

ფონდი 26, ანაწერი 1, საბუთი 11, ანაწერი 4, საბუთი 2414

ფონდი 56, საბუთი 43

ფონდი 213, საქმე 93;

ფონდი 234, ანაწ. 2, საბუთი 115

ფონდი 1461, რვეული 8, რვეული 9, რვეული 12,

ფონდი 1448, საქმე 482, 488, 489, 498, 1374, 1400, 1990, 2189, 2883, 3999, 5646, 5745, 6421

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი:

ფონდი Ad 451

ფონდი Hd 2189, 2383, 4089, 4353, 6729, 10169, 10200

პერიოდიკა

ივერია - 1888 N4, (იოანე ბატონიშვილი, „შემოკლებით აღწერა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“)

კლდეკარი, 1997 N2(11), გვ. 124-144 (ნინო აბაშიძე, „დრო და სასჯელი“)

კომუნისტი - 1924 N200, N205

მნათობი - 1974, N4 (ნინო აბაშიძე, მოთხრობა „ალაზნისპირას“)

მწყემსი - 1892 N22; 1893 N7, N9

ცისკარი - 1858 N4 (ვახტანგ ჯ. ორბელიანი, „ქვირვის ლიმონების გარჩევა ანუ კრიტიკა“)

ლიტერატურა

ბერძენიშვილი მ. (1980). მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, „მეცნიერება“, თბილისი

ბერძენიშვილი მ. (1983). მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, „მეცნიერება“, თბილისი

დვალი თ. (2013). საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა: გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ყვარლის მუნიციპალიტეტები: წიგნი 1-I, „ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთ. სამეცნ. რედაქცია“, თბილისი

დოლიძე ი. (1974). სამართლის ძეგლები, ტ. V, „მეცნიერება“, თბილისი

კლიმაიშვილი ა. (2022). მორიგე ლაშქარი (მასალები XVIII სს.სამხედრო ისტორიისთვის), „არტანუჯი“, თბილისი

სოსელია ო. (1973). ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები) - წიგნი I, „მეცნიერება“, თბილისი

ორბელიანი პ. (1981). ამბავნი ქართლისანი, „მეცნიერება“, თბილისი

ქართველიშვილი თ. (2019). დოკუმენტური წყაროები 17 სს 1 ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, „ნათლისმცემელი“, თბილისი

ჯავახიშვილი, ივ. (1967). საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, დემოგრაფიული ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები, „მეცნიერება“, თბილისი

ჯამბაკურ-ორბელიანი ა. (1895). აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა საქართველოში, კრწანისის ბრძოლა, „ქართველთა ამხანაგობის გამოცემა“, ტფილისი

ხოსიტაშვილი ს. (1972). ასპინძის ომი, „განათლება“, თბილისი

Дубровин Н. Ф. (1886). История войны и владычества русских на Кавказе. Том II, „тип. И.Н. Скороходова, СПб

Кишмишев С.Р. (1889). Походы Надир-шаха в Герат, Кандагар, Индию и события в Персии после его смерти, „тип. Имп. Акад. Наук“ Тифлис

Biographical Overview of Ioane Abashidze

Peradze Konstantine

Ivane Javakhishvili State University

Abstract

This study examines the life and career of Ioane Abashidze, son of Zaal, who served as the Keshikchibashi (chief royal guard) of the Kingdom of Kartl-Kakheti. Drawing on archival records, periodicals, and historical narratives, the research reconstructs Ioane Abashidze's contributions and activities. Likely born at around 1740, he was raised at the court of his brother-in-law King Erekle II. By 1770, he had assumed the role of Keshikchibashi, entrusted with the security of the king and the royal family. Correspondence between Ioane and King Erekle reveals his involvement in various administrative and military duties, including countering Lezgin raids, managing economic affairs, provisioning monasteries, resettling populations, supporting the royal household, and facilitating financial transactions for merchants and state officials. Additionally, Ioane actively participated in judicial proceedings. The significance of Ioane's service was recognized by both King Erekle II and his successor, Giorgi XII, who rewarded him with several state estates. Furthermore, he held the governorship (Mouravi) of Borchalo and distinguished himself in the Battle of Krtsanisi, where, as noted in Nikoloz Baratashvili's "Bedi Kartlisa", he fought with exceptional valor. Ioane Abashidze passed away in late 1799 and was buried in Amagleba monastery in Vejini, although his gravesite is now considered lost.

Keywords: *Kakheti, Vejini, Ioane Abashidze, Abashidze family, Erekle II, Giorgi XII, 18th-century Kakheti.*

STATE POLICY OF SOCIAL PROTECTION OF PENSIONERS OF DONBAS IN THE PERIOD OF DEVELOPED SOCIALISM

Shimko Olena

Donbass State Machine-Building Academy

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.15>

***Abstract.** One of the most important forms of social protection in the Soviet Union was the pension provision of citizens. There were various types of pensions: in connection with old age, disability, loss of a breadwinner, etc. Expenditures on pensions, as well as on various types of assistance, were carried out at the expense of the state budget and funds from state, cooperative enterprises, collective farms, trade unions and other organizations. The article analyzes the directions of state planning in the field of pension provision of the population, changes in pension legislation, methods for encouraging pensioners to continue working in the sectors of the national economy after retirement. The average size of monthly pensions, the number of pensioners and the amounts of monthly pensions paid to them in Donetsk and Luhansk regions, the number of working pensioners by age in the indicated regions are also determined. In general, it can be concluded that pension provision in Donbas during 1965-1985, compared to previous years, has significantly improved. The amount of pension payments to both urban and rural pensioners was significantly increased, which had a positive effect on their material well-being and reduced the difference between the average pension and the average salary. The pension received by a former employee depended on several factors: length of service, position, salary level. A negative point was the establishment of a pension threshold, above which the employee was not paid benefits, even in the case of a very high salary.*

Key words: Donbas, pension provision, social policy, social protection, developed socialism, benefits.

The social protection system of the Soviet state included pensions, assistance to the disabled, and protection of motherhood and childhood. Each of these areas had certain characteristics and tasks, which were implemented through the mediation of social security bodies. The authorities claimed that it was the most socially oriented in the world, but in fact there were enough problems in the industry. This study will analyze the main forms of social protection of pensioners in Donbas.

One of the most important forms of social protection in the Soviet Union was the pension of citizens. There were different types of pensions: in connection with old age, disability, loss of a breadwinner, etc. Expenditures on pensions, as well as on various types of assistance, were carried out at the expense of the state budget and funds from state, cooperative enterprises, collective farms, trade unions, and other organizations. The size of pensions varied greatly - from 50 to 100 percent of the wages of workers, employees, and members of collective farms. Pension provision was a major independent social problem, because the number of pensioners was significant. Therefore, the relevant legislation was constantly developing and improving. An important feature of pension provision was that it was implemented without any contributions or deductions from citizens' incomes.

Cash benefits were divided into one-time (retirement, birth of a child) and periodic (pensions, illness) [Raikevych A., 1977] The state system of pension provision and social

insurance for workers, employees and collective farmers was enshrined in the Constitution of the USSR, where Article 43 stated: «Citizens of the USSR have the right to material security in old age, in case of illness, full or partial loss of working capacity, as well as loss of a breadwinner» [Pogrebnyak Ya.P., 1985]. Pensioners made up a significant part of the country's population and in the mid-1960s amounted to 14 % [Acharkan V., 1967]. With the growth and strengthening of the country's economy, the level of pension provision was increased in three directions: the size of pensions increased and their ratio to wages improved; the necessary ratio between the pension amounts of different categories of pensioners was ensured, in particular, the level of pension provision for workers, civil servants and collective farmers was brought closer together; the amounts of pensions established at different times for workers of similar professions and qualifications were equalized. A significant improvement in pension provision began in 1956, playing an important role in streamlining the pension allocation system in the mid-1950s. But despite its significant importance, the law on pensions concerned only workers and civil servants. The transition to universal pension provision was delayed for another ten years.

In 1967, pensions for military personnel and collective farmers were increased, and the retirement age for women – members of collective farms – was reduced to 55 years, and for men – to 60 years [4, p. 610-613]. In the 1970s, a number of resolutions were adopted to improve the pension provision of the population. Thus, since 1971, the minimum size of the old-age pension was 45 rubles, and the maximum – 120 rubles. [5, p. 533]. And on August 3, 1972, in order to eliminate numerous discrepancies between many decisions of the USSR government on the procedure for assigning and paying state pensions, a resolution of the USSR Council of Ministers «On Approval of the Regulation on the Procedure for Assigning and Paying State Pensions» was adopted. It was about establishing a retirement age (60 years for men and 55 years for women) and a preferential retirement age for workers in hazardous industries (55 years for men and 50 years for women). Pensions in case of loss of breadwinner and pensions on preferential terms were also established [6, pp. 173-203]. In 1975, the retirement age for female machine operators was lowered to 50 years [7, p. 308]. In the same year, pensions paid to families of deceased servicemen and disabled servicemen were increased from 27 to 33 rubles. [8, p. 314-315]. The state took special care of workers in the coal industry. In 1976 their maximum pension increased depending on length of service from 140 to 160 rubles per month [9, p. 338-339]. The following year, the maximum pension for ferrous metallurgy workers was increased - also from 140 to 160 rubles [10, p. 412-413].

In 1977, a list of jobs was established that gave the right to receive an old-age pension in increased amounts. Among these enterprises were coal and shale mines, metallurgical enterprises, organizations for the construction and maintenance of coal and shale mines, as well as dismissed party, trade union and Komsomol workers [11, pp. 304-305]. During 1965-85, miners' pensions doubled - from 83 to 160 rubles. For pensioners of other categories, the maximum pension was 120 rubles. [Shevchenko N.M., 2005]. There were pension supplements for non-working spouses, children and other dependents of a pensioner [Mykulsky I., 1978].

During the 1980s, pension legislation continued to be improved. Thus, in 1980, pension supplements for continuous work experience at one enterprise were increased by 20 % [14, p. 306-307]. In the same year, pensions were increased for military personnel, due to the loss of a breadwinner-military personnel, and for disabled veterans of the Great Patriotic War [15, pp. 289-291]. In 1981, the amounts of minimum disability benefits were increased, in case of loss of a breadwinner - up to 75 rubles per month, by age - up to 50 rubles, in case of loss of a breadwinner to families of deceased military personnel - up to 38 rubles per disabled person, to families of workers and employees who had disabled people - up to 28 rubles [16, p. 176-177]. In 1983, the abolition of the 20 % pension supplement for continuous work experience at one enterprise was established in the event of the employee's voluntary dismissal. In the event of dismissal for good reason, the supplement was preserved [17, p. 151-152]. The authorities also showed concern for lonely elderly people. In 1985, a resolution was adopted that established additional payments from the local budget for lonely pensioners who needed additional assistance. This pension supplement was not to exceed 50 rubles. per month. Also, pensioners who received minimum

pensions were granted a half discount on prescription drugs [18, p. 593-595].

According to the law of July 15, 1964, the right to an old-age pension was granted to members of collective farms and former members of collective farms who had the required age and length of service. Men were entitled to a pension from the age of 60 with at least 25 years of service; women from the age of 55 with at least 20 years of service. Disabled military personnel and mothers with many children had privileges when granting collective farm pensions [Andreev V.S., 1987]. The minimum size of a collective farm old-age pension was 12 rubles. No allowances for old-age pensions were accrued to members of collective farms, and no preferential old-age pensions were established. This was a very important law, because before its adoption, each collective farm decided on social security issues independently, depending on its capabilities. The capabilities of collective farms were different, so material assistance to pensioners was also different and very small, even in wealthy collective farms.

Based on the decisions of the September Plenum of the Central Committee of the CPSU and the Council of Ministers of the USSR on September 26, 1967, adopted a resolution «On measures to further improve the well-being of the Soviet people». It defined measures to improve the pension provision of collective farmers. The retirement age of collective farmers was equal, according to the resolution, to the retirement age of workers and employees [Aleksanov P. A., 1974]. This was a significant positive step in equalizing the social security of urban and rural pensioners. In the 1970s, the improvement of pension provision for peasants and the improvement of pension legislation continued. Thus, in 1971, a decision was made to increase pensions for collective farmers: the minimum pension was 20 rubles. per month, and the maximum was 120 rubles. Pensions were also increased for disabled collective farmers and families of collective farmers who died from an occupational disease or work injury [21, p. 534-536]. In 1978, a law was passed, according to which the minimum pension for collective farmers was increased by age - up to 28 rubles. Benefits for disabled collective farmers were also increased [Baran V.K., Danilenko V.M., 1999]. A significant outflow of young people from the villages in the 1970s - mid-1980s led to an increase in the share of pensioners among the rural population [23, p.381-383]. Therefore, these resolutions had a significant positive impact on improving the material security of collective farmer pensioners.

Attention was also paid to encouraging pensioners to work. In 1969, a resolution was adopted on expanding the use of pensioners' labor at enterprises producing consumer goods and in the field of public services. It obliged the republican and local authorities to organize enterprises, workshops and sites that would use their labor [24, p. 528-530]. The same resolution ordered the payment of pensions in full to pensioners who worked as foremen on collective farms and at enterprises of household services. At the end of the same year, a resolution was adopted on further increasing the material interest in the work of pensioners by age, according to which postal workers, construction foremen, employees of the State Bank, household services, junior and middle medical personnel, and teachers in rural areas were paid a full pension if they continued to work. Other categories of workers received from half to 75 % [25, p. 236-238].

The issue of expanding measures to encourage pensioners to work was raised at the 24th, 25th, and 26th Congresses of the CPSU. Material incentives were especially common among single pensioners. Collective farmers had a much lower material interest in work than workers and employees, because income from household farms played a significant role in their budget. Moral incentives came in second place: the need to work, the desire to be in a team, a sense of one's own significance, etc. In order to increase the role of moral incentives, the Presidium of the Supreme Soviet of the USSR, by special orders dated January 18, 1974, established the Orders of Labor Glory of three degrees and the medal «Veteran of Labor» [Zhiromskaya V., 1988]. And material incentives for work continued throughout the 1970s. Thus, in 1972 A resolution was issued that obliged local authorities to increase the requirements for fulfilling the tasks of employing pensioners, to require business managers to create more jobs for them [27, p. 612-613].

he measures proved insufficient, since the resolution of September 14, 1973 noted shortcomings in the employment of pensioners. Enterprises were given the right to direct from a

third to a half of the profit (depending on the number of working pensioners) to the expansion and improvement of production, material incentives for their employees, and improvement of socio-cultural and housing conditions. At the same time, reduced norms were established for pensioners [28, p. 796-799]. The scope of application of pensioners' labor was expanded. On September 20, 1973, a Decree of the Presidium of the Supreme Soviet of the USSR was issued on reducing the tax on profits that citizens received from handicrafts [Zhiromskaya V., 1988]. And in 1979, the authorities even went so far as to introduce a pension supplement for work after reaching retirement age in the amount of 10 rubles. for each year of work, provided that the total amount of the allowance does not exceed 40 rubles, and the amount of the pension with the allowance is 150 rubles per month [30, p. 136-138].

During the 1960s and 1970s, pensions were increased repeatedly for different categories of workers. Let us consider how this affected the pensioners of the Donetsk region. In 1956, there were 288,5 thousand pensioners in the Donetsk region, and in 1976, there were 933,3 thousand. Along with the increase in the number of people who were paid pensions, the funds allocated for their payment also increased. Expenditures on the payment of pensions during this period increased more than eightfold and amounted to over 500 million rubles per year. After the increase in pensions for coal industry workers in 1976, In the Donetsk region, pensions were increased for 11,117 workers. Of these, 4,400 pensioners began to receive up to 140 rubles per month, and 6,717 - up to 160 rubles. [Pavliy A., 1977].

The size of monthly pensions differed significantly not only in the sectors of the national economy, but also in the regions of the country, which can be seen from Table 1. The largest pensions were received by employees of the Donetsk region, the lowest figures - on average in Ukraine. If we take the pensions paid on average in Ukraine as 100 %, we will see that in the Voroshilovgrad region the pension was higher by 14 %, and in Donetsk by 15,5 %. A greater annual growth in pensions was observed in the republic as a whole, in the Voroshilovgrad region – 3,3 %. Approximately the same situation was in the Donetsk region. Despite the lower growth rates of pensions, in the Donetsk region, the average pension in the Donetsk region was still the largest. This can be explained by the higher salary received by workers in the coal, metallurgical and machine-building industries, which dominated here, and, of course, by the higher pensions accrued from these salaries. It is also necessary to take into account the constant increase in pensions for workers in the above-mentioned industries to stimulate their work.

Table 1

Average monthly pensions assigned under the law on state pensions [32, p. 70]

Regions	Years						
	1971	1972	1973	1974	1975	1976	1977
Ukrainian SSR	43,2	45,3	46,6	48,3	52,4	54,1	55,5
Voroshilovgrad. region	50,4	52,0	53,1	54,2	58,4	60,3	63,3
Donetsk region	51,6	52,9	54,2	55,4	59,4	61,6	63,4

In the early 1980s, signs of an economic crisis began to appear, and the authorities tried to save the pension fund. But, despite repeated increases, the size of pensions in the 1970s-80s was significantly lower than the size of the wages of workers and employees, since the growth rates of earnings were much higher. During the 1960s-80s, as can be seen from Table 2, the number of all categories of pensioners in the Donetsk region increased, except for pensioners by length of service, which decreased by almost half. The number of pensioners by age increased by 3,6 times, pensioners by loss of breadwinner by 1,5 times, personal pensioners by two times, and pensioners by loss of breadwinner from among military personnel by 0.8%. In comparison, the amount of pensions paid to them increased much more. It decreased only among pensioners by years of service - by 15,2 %, but this was natural due to the decrease in their number. In all other categories of elderly people, it increased significantly: among pensioners by age by five times, among pensioners from the loss of a breadwinner - by 2,3 times, among personal pensioners - by almost four times, and among pensioners from the loss of a breadwinner - by 85,2 %. In the 1970s, they stopped allocating a separate category of pensioners from workers of science and art,

so data on them is available only until 1970. Over the five years mentioned, their number and the amount of pensions did not increase much: by 15 % and 11 %, respectively. Thus, the number of almost all categories of pensioners in the Donetsk region and the amounts of pensions paid to them increased significantly. Moreover, the amounts paid increased much more than the number of their recipients. As we can see, the authorities tried to increase the amount of pensions. The largest increase was in the amounts of pensions paid to pensioners for old-age and personal pensions, and the smallest increase was in the amounts paid to survivors.

Table 2

Number of pensioners and the amount of monthly pensions paid to them in Donetsk region

		[33]					
direct translation would be “God curse him/her, what’s happening to me, I thought, and I left,” this phrasing doesn’t quite capture the same tone in English. The phrase "დასწყევლოს ღმერთმა" (God curse him/her) is a strong expression of frustration or disbelief, but in English, a more common idiomatic equivalent would be “What the hell.” In this case, we chose to replace the literal “God curse him/her” with the more commonly used English expression “What the hell,” which maintains the same tone of surprise, frustration, or confusion without invoking religious imagery. As a result, the translation becomes: “*What the hell is happening to me? I thought, and I left.*” This version captures the casual, conversational feel of the original text while making it more accessible and natural for an English-speaking audience. It successfully conveys the character’s emotional reaction, reflecting a moment of bewilderment or exasperation, followed by their decision to leave.

One of the most interesting colloquialisms we encounter in the source text is “ამაზე ალბათ მთელი დილა გამიჭირდებოდა თავისმტკრევა, სინამდვილეში კი უბრალო ამბავი იქნებოდა: ეტყოდა გურამი ან ბიკენტი და მეტი არაფერი” [*amaze albat mteli dila gamichirdeboda tavismtvreva, sinamdvileshi ki ubralod ambavi iqnebod: etkoda Gurami an Bikenti da meti araperi*], which, when translated word-for-word, means: “Probably, I would have spent the whole morning trying to figure it out, but in reality, it was just a trivial matter: Gurami or Bikenti would have said it, and that would have been it.”

The key part of this phrase is “გურამი ან ბიკენტი” [*Gurami an Bikenti*], which refers to ordinary or average people. This construction suggests that the task or matter at hand is so simple that any average person (rather than a specific, distinguished individual) could handle it. In English, this concept is often expressed with idiomatic phrases like “Tom, Dick, and Harry,” which are used to refer to common people or generic individuals, emphasizing that the identity of the person involved is not particularly important.

While translating this colloquial idiom, there were several possible equivalents, including British terms like “Joe Bloggs” or “Joe Public.” However, we ultimately chose “Tom, Dick, and Harry,” as it fits well with the structure of the original Georgian phrase. The use of these specific names—Gurami and Bikenti—means that using “Tom, Dick, and Harry,” which also includes proper names, is the most fitting equivalent in this context.

Otia Ioseliani’s expressive style is crafted through the use of various stylistic devices, such as comparison, simile, hyperbole, and oxymoron, among others. These techniques allow the author to create vivid and emotionally charged descriptions that captivate the reader’s attention. The way Ioseliani portrays characters in his works is particularly striking, drawing readers in with his ability to evoke strong emotions and create memorable images. The following examples demonstrate the author’s skill in using figurative language to vividly express and describe people.

For instance, in the sentence “ფოსტალიონი საოცრად ელამია, ასე გგონია, აღმოსავლეთ-დასავლეთს ერთბაშად უცქერის” [*postalioni saocrad elamia, ase ggonia, aghmosavlet-dasavlets ertbashad ucqeris*], the use of a hyperbole is striking. The postman is described as being “so squint-eyed that it feels as though he’s gazing at both the East and the West at once.” This description highlights not only the physical appearance of the character but also adds humor and a sense of exaggeration to the description. In translation, the word-for-word approach preserves both the humorous tone and the heightened emotional impact of the original text, effectively conveying Ioseliani’s stylistic intent. The sentence could thus be translated as: “**The postman is so squint-eyed that it feels as though he’s gazing at both the East and the West at once.**” This translation captures the exaggerated and comical image of

the postman, while also preserving the original's playful and vivid style.

This example highlights Ioseliani's mastery of figurative language, demonstrating his ability to evoke humor and emotion through his descriptive choices. The use of these stylistic devices not only enhances the imagery but also invites the reader to engage with the characters on a deeper, more emotional level.

The author continues the humorous description of the postman in the following way: “ზამთარ-ზაფხულს ლურჯი ცხვირი აქვს” [*zamtar-zapkhuls lurji tskhviri aqvs*]. This sentence further enhances the comical portrayal of the character, offering a striking image of the postman. The phrase suggests that the postman's nose is permanently blue, regardless of the season. This exaggeration adds a layer of absurdity to the description, reinforcing the humorous tone that Otia Ioseliani often uses to depict his characters in a vivid and unconventional light. In translation, a word-for-word approach also works, with a slight syntactical adjustment to maintain the natural flow in English: “His nose is blue, come winter or summer.” This translation successfully conveys the same idea while preserving the playful tone of the original text. The shift from the original Georgian phrasing to the English version retains the intended humor, using the contrasting seasons of winter and summer to emphasize the postman's unchanging, peculiar appearance.

By repeating this humorous and exaggerated imagery, Ioseliani highlights the absurdity of the character's appearance in a way that both entertains and evokes a strong visual image in the reader's mind. The use of figurative language in this context not only adds to the humor but also showcases Ioseliani's ability to create striking, memorable characters through unique and imaginative descriptions.

We encounter the description of another character in the source text: “აქეთ ტოლებში ყოჩივით დავდივარ, ყველა პატივს მცემს” [*aqet tolebshi kochivvit davdivar, kvela pativs mcems*]. When translated word-for-word, this means: “I walk here among my equals like a bellwether, and everyone respects me.” However, translating the sentence literally in this way could lead to a misunderstanding for readers. Therefore, based on our decision, the following version provides a more accurate English equivalent for the original Georgian sentence: “**I walk with the pride of a ram among my peers, and everyone respects me.**” While “to walk with the pride” is not a common idiom in English, the imagery of a ram is powerful. Rams are often associated with strength, confidence, and pride, and the phrase conveys a sense of self-assurance. In many cultures, a ram—particularly a male ram—is seen as a symbol of dominance and pride, especially because of its behavior, such as head-butting to assert authority. This figurative use of the ram helps emphasize the character's proud and confident demeanor, making the translation both meaningful and culturally resonant.

A similar case appears in the following sentence: “მე კიდე ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნად” [*me kide tsa qudad ar mimachnia da dedamitsa qalamnad*], which is a vivid example of hyperbole. The literal, word-for-word translation would be: “As for me, I don't consider the sky as a hat and the earth as a crown.” However, with slight syntactical adjustments, we have found a more fitting English equivalent: “**I don't see the sky as my crown, nor the earth as my throne.**”

This rephrased version conveys the same exaggerated imagery while making it more natural in English. The phrase reflects a sense of humility and groundedness, as the speaker is rejecting grandiose or self-important notions. The translation also works idiomatically to imply that the person doesn't consider themselves above others or entitled to greatness, which makes it an appropriate equivalent for the Georgian original. The use of “crown” and

"throne" metaphorically underscores the speaker's modesty, suggesting that they do not see themselves as royalty or above the common experience.

We encounter a very interesting example of parallelism as a stylistic device in the following pattern: "დროს როგორმე მოკლავ, მოკლავ და არც ისე უაზროდ მოკლავ" [*dros rogorme moklav, moklav da arts tu ise uazrod moklav*]. The literal translation of this sentence is: "You'll kill time somehow, you'll kill it, but not so pointlessly." While this translation is somewhat understandable, it could be phrased more naturally in English. The expression "killing time" is a common idiom, but the second part, "not so pointlessly," sounds awkward in this context.

For a more literary and fluid rendering, I have chosen the following English equivalent: "I will find a way to bend time, to squander it, yet not without purpose." While this translation effectively conveys the essence of the original phrase, it does sacrifice the parallelism present in the Georgian text. The repetition of the phrase "მოკლავ" [*moklav*] (to kill/squander) in the original creates a rhythmic pattern that enhances the stylistic effect, which is a key part of the Georgian sentence.

However, maintaining the repetition in the English version would have been somewhat redundant and would not add significant literary value. Instead, I opted for a more expressive translation that retains the core meaning while enhancing the figurative language. The phrase "to bend time, to squander it, yet not without purpose" adds a layer of sophistication and conveys a more nuanced idea of time being used intentionally, even if it's spent in a seemingly unproductive way. In summary, while the parallelism is lost in the translation, the choice to prioritize literary coloring and expressiveness over direct repetition ultimately serves the text better in English, maintaining the essence and impact of the original while making it sound natural and engaging for the reader.

The most interesting key points of this novella are the title and its very last sentence. We have already analyzed the title and its figurative relationship to the overall content, and now we will focus on the last sentence, which reads: "შენ ხარ ჩემი თეკლა, შე უღმერთო" [*shen khar chemi Tekla, she ughmerto*]. The literal translation is: "You are my Tekla, you godless one." In Georgian, the word "უღმერთო" [*ughmerto*] typically carries a negative connotation, often used to express strong disapproval. However, in the context of this text, the word does not carry the same level of negativity. Instead, there is a hidden passion or intensity within it, which could pose a challenge for us. If the direct translation had been kept, it would likely have escalated the negative tone, as the phrase "You godless one" could express strong emotions, such as disappointment or frustration, and could carry a sense of scorn. In light of this, I opted for a different approach to preserve the underlying emotion without intensifying the negativity. The sentence was therefore translated as: "You are my Tekla, you heartless rascal."

This translation clearly shifts the tone of the original phrase, making it less harsh and potentially more playful or affectionate, depending on the context. The word "rascal" softens the intensity of the original phrase compared to "you godless one," which would have sounded severe and scornful. While the original Georgian expression could be interpreted as conveying frustration or disappointment, the use of "heartless rascal" transforms the emotional weight, making it more lighthearted or teasing rather than condemnatory. By choosing "rascal," I found a way to balance the emotional depth of the original while adapting it to a more contextually appropriate tone in English.

Conclusion

In conclusion, the translation of “**Playing with Fire**” from Georgian to English highlights the intricate interplay between language, culture, and identity. The process of literary translation is far from a mechanical transfer of words; it is an art that requires careful attention to the emotional, cultural, and stylistic nuances embedded within the original text. The challenges faced during this translation, from untranslatable expressions to cultural references, underscore the necessity of the translator's deep understanding of both the source and target languages, as well as their cultural contexts. By analyzing the specific translation strategies employed in this study, it becomes clear how the translator's decisions shape the reception of the text in a new linguistic and cultural environment. This study not only contributes to the broader field of translation studies but also emphasizes the pivotal role of the translator in bridging cultural divides and making foreign literature accessible to global audiences. Through this process, we gain a richer understanding of the complexities involved in translating literary works, and the indispensable role of translation in fostering cross-cultural communication and literary exchange.

References:

1. ოსელიანი, ო. (1963), *მე და სივარული*, გამომც. ლიტერატურა და ხელოვნება, თბილისი
2. Bassnett, S. (1991). *Translation Studies* (1st ed.). London: Routledge.
3. Cronin, M. (2003). *Translation and Identity*. London: Routledge
4. Grossman, E. (2005). *Why Translation Matters*. New Haven: Yale University Press

ლიტერატურული თარგმანის ლინგვისტური და კულტურული სიღრმეების კვლევა აბსტრაქტი

ღარიბაშვილი მანანა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
<https://orcid.org/0000-0002-5118-3690>

თარგმნა რთული ფენომენია, რომელიც განსაკუთრებულ უნარებს მოითხოვს, რათა ზუსტად გადმოსცეს სათქმელი სათარგმნ ენაზე.

განსახვავებენ ლიტერატურული და ტექნიკურ/სამეცნიერო ტიპის თარგმანებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან მიზნის, სტილის, ენის გამოყენებისა და მიდგომის თვალსაზრისით. ტექნიკური/სამეცნიერო თარგმანის მთავარი მიზანი არის სპეციფიკური და ზუსტი ინფორმაციის გადმოცემა მედიცინის, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და სხვა სპეციალიზებული თემების შესახებ. შესაბამისად, ტექნიკური/სამეცნიერო თარგმნის პროცესში ყურადღება უფრო ფუნქციონალობაზეა გამახვილებული, ვიდრე სტილსა თუ შემოქმედებითობაზე. ხოლო ლიტერატურული თარგმანისას მთავარი მიზანი არის ორიგინალური ტექსტის მხატვრული, კულტურული და ემოციური ნიუანსების მიტანა მკითხველამდე.

შესაბამისად, ლიტერატურული თარგმნა არის როგორც ხელოვნება, ისე მეცნიერება, რომელიც მოითხოვს არა მხოლოდ ენობრივ უნარებს, არამედ კულტურული ნიუანსებისა და ლიტერატურული ტრადიციების ღრმა გააზრებას. ლიტერატურული ტექსტების თარგმნა განსაკუთრებით რთულია, რადგან ეს მოიაზრებს არა მხოლოდ სიტყვების პირდაპირ გადმოცემას, არამედ ემოციურ სიღრმეებში, კულტურულ კონტექსტსა და სტილისტურ ელემენტებში ჩაწვდომას, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ორიგინალურ ნამუშევარს თარგმანის სახით.

მოცემულ სტატიაში განხილულია ოტია იოსელიანის ნოველის „ცეცხლთან თამაში“ თარგმნის პროცესი, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ სტრატეგიებსა და ტექნიკებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ქართული ლიტერატურული ნამუშევრის ინგლისურ ენაზე გადატანისას. თარგმნის ვარიაციათა ანალიზის საშუალებით, სტატიაში განხილულია, თუ როგორ გავლენას ახდენს კონკრეტული თარგმანი ნათარგმნ ტექსტზე მისი ლინგვისტური და კულტურული კონტექსტების გათვალისწინებით. თარგმნის პროცესში წარმოშობილი კონკრეტული გამოწვევებისა და მთარგმნელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხილვისას, აღნიშნული კვლევის მიზანია გააზიაროს სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია ენობრივი ერთეულების — ფრაზების, სიტყვების და სრული წინადადებების — თარგმნასთან, კულტურულ და ეთნიკურ ნიუანსების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ეს სტატია ხაზს უსვამს თარგმნის კვლევების უფრო ფართო მნიშვნელობას, რომელიც საშუალებას აძლევს სიღრმისეულად გავიგოთ ენის, კულტურისა და ლიტერატურის დინამიური ურთიერთობა, განსაკუთრებული ყურადღებით იმაზე, თუ როგორ ფორმირებენ თარგმნის გადაწყვეტილებები საბოლოო პროდუქტს.

საკვანძო სიტყვები: ოტია იოსელიანი, ცეცხლთან თამაში, ლიტერატურული თარგმანი, კულტურული ნიუანსი, ლინგვისტიკა, თარგმნის პროცესი

ევფემიზმების გამოყენების საკითხისათვის ინგლისურენოვან
ბიზნეს დისკურსში

შაშვიაშვილი ქეთევან

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.25>

აბსტრაქტი. ენა გადამწყვეტ როლს თამაშობს საქმიან, კომერციულ გარემოში კომუნიკაციისას. იგი ეფექტური თანამშრომლობისა და ურთიერთობების დამყარების საფუძველს წარმოადგენს. დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში და შესაბამისად ეკონომიკაში ინგლისური ენის სტრატეგიული გამოყენება ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას ბიზნესის სფეროში და კულტურათაშორის ურთიერთობების გაძლიერებას. ბიზნეს ინგლისური ენა გამოირჩევა ფორმალური, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, თუმცა ზოგჯერ სათქმელის პირდაპირ გადმოცემა შეიძლება უხეშად ან მკაცრად აღიქვას. სწორედ ამიტომ, ხშირად მიმართავენ მეტყველების ევფემიზაციას ანუ კეთილსიტყვაობას, შელამაზებულ სიტყვების გამოყენებას. წინამდებარე კვლევის მიზანს სწორედ ბიზნესის ინგლისურ ენაში გავრცელებული ევფემისტური სიტყვებისა და გამონათქვამების კვლევა წარმოადგენს. ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, თუ რა ფუნქციები აქვს მეტყველების ევფემიზაციას ინგლისურენოვან ბიზნეს გარემოში და რომელია ეს ევფემიზმები. ხაზგასასმელია, რომ საქმიან ურთიერთობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მკაფიო და ზუსტ კომუნიკაციას. შესაბამისად, ევფემიზმების გამოყენებისას, საჭიროა ზომიერების დაცვა, რათა თავიდან იქნას აცილებული გაურკვევლობა ან არასწორი ინტერპრეტაცია, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ეფექტურ კომუნიკაციას. ამგვარად, მივგვაჩნია, რომ ევფემიზმების კვლევა და მათი ენობრივი ფუნქციების დადგენა ბიზნეს კონტექსტში აუცილებელი და აქტუალურია როგორც ენათმეცნიერებისათვის, ისე დარგის სპეციალისტებისათვის. ჩვენი კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებულია ლინგვისტური დაკვირვებისა და აღწერის მეთოდი. საკვლევ მასალად გამოყენებულია ინგლისურენოვანი სტატიები და ინტერვიუები.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს ინგლისური, ევფემიზმები, მეტყველების ევფემიზაცია, ბიზნეს დისკურსი, ევფემიზმების ფუნქცია.

შესავალი

ინგლისურენოვან ბიზნეს სივრცეში კომუნიკაციისას ევფემიზმების გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვინაიდან მოსაუბრეს შესაძლებლობას აძლევს თავისი სათქმელის ზუსტი, თუმცა ამავე დროს ტაქტიანი და დიპლომატიური ფორმულირება მოახდინოს. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, სადაც კულტურული მრავალფეროვნება დიდ გავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესზე, ისეთი ენობრივი საშუალებების გამოყენება როგორცაა ევფემიზმები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნეიტრალური და თავაზიანი ურთიერთობების დამყარებას.

ბიზნესის ენა გამოირჩევა ფორმალური, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, თუმცა ზოგჯერ სათქმელის პირდაპირ გადმოცემა შეიძლება უხეშად ან მკაცრად ჟღერდეს. სწორედ ამიტომ მოსაუბრეები ხშირად მიმართავენ მეტყველების ევფემიზაციას ანუ კეთილსიტყვაობას, შელამაზებული სიტყვების გამოყენებას. მაგალითად, ფრაზას - „staff reduction”(კადრების შემცირება) ხშირად ანაცვლებს *“workforce optimization”(მომუშავეთა/მუშახელის ოპტიმიზაცია)*; ან სიტყვას „fired” (სამსახურიდან გაშვება) ანაცვლება მისი ევფემისტური ვარიანტი *“downsized”(წარმოების შემცირება)*. წარმოდგენილ მაგალითებში ევფემისტური სიტყვები/ფრაზები აშკარად უფრო შერბილებულ შენაცვლებებს წარმოადგენს და მსმენელისათვის ნაკლებად ნეგატიურად აღიქმება.

ევფემიზმების გამოყენებას ინგლისურენოვან ბიზნეს გარემოში სხვადასხვა დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. მათი ეფექტური გამოყენება აუმჯობესებს კომერციული მოლაპარაკებების პროცესს, ზრდის თანამშრომლობის ხარისხს და ხელს უწყობს პოზიტიური კორპორაციული იმიჯის შექმნას. თუმცა, საყურადღებოა, რომ ევფემისტური გამოთქმების გადაჭარბებულმა გამოყენებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს კომუნიკაციის გამჭვირვალობას და გაუგებრობა გამოიწვიოს. საქმიან გარემოში ურთიერთობებისას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სათქმელის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემას. აქედან გამომდინარე, სასურველია, ევფემისტური გამონათქვამების ზომიერად და მიზნობრივად გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ გაურკვეველობა და ამავე დროს შევინარჩუნოთ ეტიკეტი ურთიერთობებში.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ბიზნეს ინგლისურ ენაში გავრცელებული ევფემისტური სიტყვებისა და გამონათქვამების კვლევა. კერძოდ, შევეცადეთ დაგვედგინა, თუ რა მიზანს ემსახურება მეტყველების ევფემიზაცია ინგლისურენოვან ბიზნეს გარემოში და რომელი ევფემიზმებია ესენი.

ჩვენი კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებულია ლინგვისტური დაკვირვებისა და აღწერის მეთოდი. საკვლევ მასალად გამოყენებულია ინგლისურენოვანი სტატიები და ინტერვიუები.

რა არის ევფემიზმი

ევფემიზმები საკმაოდ ფართოდ შესწავლილი ენობრივი მოვლენაა ლინგვისტიკის სფეროში. ტერმინი „ევფემიზმი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „euphēmos”, რაც ნიშნავს „კარგი სიტყვებით ლაპარაკს“ ანუ შელამაზებული სიტყვების გამოყენებას (Allan & Burrige, 1991). ევფემიზმები არაპირდაპირ, შემოვლით აღწერენ ისეთ სიტყვებს ან ფრაზებს, რომლებიც უხეშად, უსიამოვნოდ ან ეთიკურად შეუსაბამოდ მიიჩნევა.

ევფემიზმების ერთ-ერთ ადრეულ განმარტებას ვხვდებით ულმანთან (Ullmann, 1964), რომელიც ევფემიზმებს აღწერს, როგორც გამონათქვამებს, რომლებიც გამოიყენება რეალობის უფრო სასიამოვნო ფორმით "შესანიღბად". ანალოგიურად, როუსონი (Rawson, 1981) აღნიშნავს, რომ ევფემიზმების შენაცვლება ხდება შეურაცხყოფის ან უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით ტაბუირებული თემების განხილვისას, როგორცაა მაგალითად სიკვდილი, ავადმყოფობა და სხვა. შედარებით ახალ კვლევებში ალანი და ბურიჯი (Allan & Burrige, 2006) აღნიშნავენ, რომ ევფემიზმები თავაზიანი მეტყველების განუყოფელი ნაწილია, რომელიც ასახავს კულტურულ სენსიტიურობას და სოციალური ჰარმონიის საჭიროებას.

კრესპო-ფერნანდესის (Crespo-Fernández, 2008) თანახმად ევფემიზმები ფუნქციონირებენ ზრდილობისა და სოციალური ნორმების ფარგლებში, ხშირად

კონტექსტისა და კულტურული ფონის გავლენის ქვეშ. ლაკოფი და ჯონსონი (Lakoff & Johnson, 1980) კოგნიტური ლინგვისტური პერსპექტივიდან განიხილავენ ევფემიზმებს და აღნიშნავენ, რომ ისინი მეტაფორული ხასიათისაა და ეხმარება მოსაუბრეს დელიკატური, სენსიტიური თემების კონცეპტუალიზაცია მოახდინოს ნაკლებად პირდაპირი ტერმინებით. ბუსმანი (Bussmann, 1996) ენისა და ენათმეცნიერების ლექსიკონში განმარტავს, რომ ევფემიზმი არის რიტორიკული ხერხი, ტროპის სახე: უფრო მისაღები ვერსიაა შეურაცხმყოფელი, საძრახისი სიტყვისა, რომელსაც აქვს დამცრობითი კონოტაცია. „...ევფემიზმები ხშირად კარგავენ სემანტიკურ მნიშვნელობას და მის ადგილს ახალი ევფემიზმი იკავებს. მაგ. სასაფლაო graveyard – cemetery – memorial garden.“ (Bussmann, 1996. გვ. 388). ამ აზრს ეხმიანება კიდევ ერთი მკვლევრის პინკერის (Pinker, 2007) თეორია ევფემიზმების შესახებ, რომლის თანახმად ევფემიზმები განუწყვეტლივ ვითარდება, რადგან დროთა განმავლობაში ხდება ძველი თავაზიანი ფორმების სტიგმატიზაცია.

ევფემიზმების ფუნქცია ბიზნესის ენაში

თანამედროვე ინგლისურენოვან ბიზნეს კონტექსტში მეტყველების ევფემიზაცია სხვადასხვა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს. იგი ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას საქმიანი გარემოსათვის დამახასიათებელი ეტიკეტის შენარჩუნებითა და პოზიტიური ურთიერთობების ხელშეწყობის საშუალებით. კორპორაციულ გარემოში ევფემიზმები ჩვეულებრივ გამოიყენება ნეგატიური ამბების შესარბილებლად, კორპორაციული იმიჯის გასამლიერებლად და ეთიკური ურთიერთობის უზრუნველსაყოფად.

ჩვენი საკვლევი მასალების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ევფემიზმების რამდენიმე საინტერესო ფუნქციას, რომელიც საქმიანი სტილის მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი.

1. ნეგატიური ინფორმაციის შერბილების ფუნქცია

ბიზნეს ინგლისურ ენაში ევფემიზმების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს არასასურველი, უსიამოვნო ინფორმაციის შენიღბვა მისი ნეგატიური ზემოქმედების შერბილების მიზნით. მოსაუბრე ევფემიზაციის საშუალებით ცდილობს შეცვალოს და შეალამაზოს რეალობა. როგორც კრისტალი (Crystal, 1995) აღნიშნავს, კორპორაციული კომუნიკაცია ხშირად იყენებს ევფემიზმებს ისეთი თემების უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, როგორცაა სამსახურიდან გათავისუფლება, ფინანსური ზარალი და ორგანიზაციული რესტრუქტურისა. მაგალითად, ლექსიკური ერთეულები, როგორცაა *"downsizing"* ან *"rightsizing"* (წარმოების ან კომპანიის, ორგანიზაციის შემცირება) და *"workforce optimization"* (მომუშავეთა/მუშახელის ოპტიმიზაცია) ანაცვლებს *"job cuts"* (სამუშაოების შემცირება) ან *"Mass layoffs"* (მუშახელის დათხოვნა). გთავაზობთ კიდევ რამდენიმე მსგავსი დატვირთვის მქონე ევფემიზმს:

- *"reorganization"* (რეორგანიზაცია) → *"shutting down departments"* (განყოფილებების გაუქმება)
- *"flexible pricing strategy"* (მოქნილი ფასწარმოქმნის სტრატეგია) → *"charging different rates"* (სხვადასხვა ტარიფების დარიცხვა)
- *"negative cash flow"* (ნეგატიური ფულადი ნაკადი) – "financial losses" (ფინანსური ზარალი)

2. თავაზიანობის ფუნქცია

ბიზნეს გარემოში ევფემიზმების გამოყენება უზრუნველყოფს ტაქტიანად და თავაზიანი ფორმით კომუნიკაციას.

- **“letting go”** (განთავისუფლება) → **“terminating employment”** (შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა)
- **“constructive feedback”** (კონსტრუქციული უკუკავშირი) → **“criticism”** (კრიტიკა)
- **“strategic partnership”** (სტრატეგიული პარტნიორობა) → **“merger or acquisition”** (კომპანიების შეწყობა ან შესყიდვა)
- **“golden handshake”** (მოზრდილი ფულადი ჯილდო) → a generous severance package (სამუშაო კონტრაქტის შეწყვეტის კომპენსაცია)

3. კორპორაციული იმიჯის დაცვისა და დადებითად წარმოჩენის ფუნქცია

კომპანიები ეფექტურად იყენებენ ევფემისტურ ლექსიკას მათი საქმიანობის თუ გზავნილების დადებით ჭრილში წარმოსადგენად და საკუთარი სახელისა და რეპუტაციის დასაცავად. ასეთია, მაგალითად **“cost optimization”** (ხარჯების ოპტიმიზაცია) რომელიც ენაცვლება ფრაზას - **“budget cuts”** (ბიუჯეტის შემცირება); ან **“revenue enhancement”** (შემოსავლების გაზრდა) ნაცვლად **“price increase”** (ფასის ზრდა/მომატება)-ისა. მაგალითები კარგად ასახავს, თუ როგორ აყალიბებს ბიზნესი და კომერციული სფერო აღქმებსა და წარმოდგენებს ენობრივი საშუალებების სტრატეგიული, წინასწარ კარგად გათვლილი შერჩევის გზით.

- **“stakeholder engagement”** (დაინტერესებული მხარეების ჩართულობა) → **“damage control”** (ზიანის მართვა)

4. სამართლებრივი თუ ეთიკური თემების შერბილება-შენიღვის ფუნქცია

დელიკატური, საჩოთირო ან ისეთი სამართლებრივი საკითხები, რომლებიც ფრთხილ და ტაქტიან მიდგომას საჭიროებს. ევფემიზმების დახმარებით მსგავსი თემები ნაკლებად შემაშფოთებლად ჟღერს.

- **“regulatory compliance adjustment”** (მარეგულირებელი შესაბამისობის კორექტირება) → **“legal violation correction”** (სამართლებრივი დარღვევის გამოსწორება)
- **“creative accounting”** (კრეატიული აღრიცხვა) → **“financial manipulation”** (ფინანსური მანიპულაცია)
- **“ethically challenged”** (ეთიკურად წინააღმდეგობრივი) → **“unethical”** (არაეთიკური)
- **“data protection enhancement”** (მონაცემთა დაცვის გაუმჯობესება) → **“security breach response”** (უსაფრთხოების დარღვევის საპასუხო ქმედება)

5. შიდა თუ გარე კრიზისების მართვის ფუნქცია

ევფემიზმების გამოყენება კრიზისულ სიტუაციებში პანიკის არიდების ერთ-ერთ ეფექტურ ენობრივ საშუალებას წარმოადგენს. ირიბი სახელდების დახმარებით ორგანიზაციები ცდილობენ რეალობა უფრო ნეიტრალურ ჭრილში წარმოადგინონ.

- **“market correction”** (ბაზრის კორექტირება) → **“stock market crash”** (საფონდო ბირჟის კრაში)
- **“operational efficiency measures”** (გამართულად მუშაობის ზომები) → **“budget cuts”** (ბიუჯეტის შემცირება)
- **„economic downturn”** (ეკონომიკური ვარდნა) → **“recession”** (ეკონომიკური კრიზისი)

6. მარკეტინგული ფუნქცია

ევფემიზმისტური ფრაზები კომერციულ პროდუქტს, სერვისს ან გადაწყვეტილებებს უფრო პოზიტიურს და მიმზიდველს ხდის.

- **“value pricing”** (ფასეულობაზე დაფუძნებული ფასწარმოქმნა) → **“lower-quality alternative”** (დაბალი ხარისხის ალტერნატივა)

- **“premium membership”** (პრემიუმ წევრობა) → **“higher-cost subscription”** (ძვირადღირებული საწევრო გადასახადი)

7. მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის წახალისების ფუნქცია

თანამედროვე ინგლისურენოვან საქმიან გარემოში განსაკუთრებით აქტუალურია მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის საკითხები, რაც აისახება ენაზეც. ინკლუზიური ენის გამოყენებით ხდება ორგანიზაციებში პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

- **“diversity hiring”** (მიზნობრივი რეკრუტირება) → **“affirmative action”** (აფირმაციული ქმედება, დამსაქმებლის მიერ დანერგილი პროგრამა, რომელიც მოიცავს სპეციფიურ საფეხურებს უმცირესობათა წარმომადგენლობის გასაზრდელად სამუშაო ადგილზე)
- **“inclusive leadership”** (ინკლუზიური მართვა) → **“equal opportunity compliance”** (თანაბარი შესაძლებლობები და შესაბამისობა)

8. სამუშაო გარემოში კონფლიქტების თავიდან არიდების ფუნქცია.

ეფემიზმები ჩნდება აგრეთვე სამუშაო გარემოში დამაბულობის განმუხტვის თავიდან აცილების მიზნით. ხელმძღვანელი პირები ხშირად იყენებენ არაპირდაპირ ენას დელიკატურ თემებზე კომუნიკაციისას, რათა თავიდან აიცილონ კონფლიქტი. ეფემისტური გამონათქვამების საშუალებით, მათ შეუძლიათ ზედმეტი დამაბულობის გამოწვევის გარეშე იმსჯელონ ისეთ საკითხებზე, როგორცაა ხელშეკრულების შეწყვეტა ან პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებელი.

- **“performance improvement plan”** (პროდუქტიულობის გაუმჯობესების გეგმა) → **“disciplinary action”** (დისციპლინური ზომები) ან **“last warning before termination”**
- **“workforce agility”** (მომუშავეთა/მუშახელის მოხერხებულობა/ოპერატიულობა) - **“increased workload”** (გაზრდილი სამუშაო დატვირთვა)
- **“constructive feedback”** (კონსტრუქციული უკუკავშირი) → **“criticism”** (კრიტიკა)
- **“growth opportunity”** (ზრდის შესაძლებლობა) → **“work overload”** (სამუშაო გადატვირთვა)
- **“synergy creation”** (სინერგიის შექმნა) → **“merging departments”** (განყოფილებების შერწყმა/გაერთიანება)
- **“employee engagement strategy”** (თანამშრომელთა ჩართულობის სტრატეგია) → **“retention efforts”** (შენარჩუნების ძალისხმევა)

დასკვნა

ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეტყველების ეფემიზაცია მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენაა ინგლისურენოვან ბიზნეს გარემოში და მას არა ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. ეფემიზმების გამოყენება ბიზნეს ინგლისურში არა მხოლოდ ეტიკეტისა და თავაზიანობის გამოვლინების საშუალებაა, არამედ სტრატეგიული კომუნიკაციის აუცილებელი ინსტრუმენტი. მეორე მხრივ, ყურადსაღებია, რომ ეფემიზმების გამოყენება უნდა ხდებოდეს ზომიერად და მიზნობრივად, რათა მათი გადაჭარბებული გამოყენებით არ გამოვიწვიოთ დაბნეულობა და გაურკვევლობა კომერციული თუ სხვა საქმიანი ურთიერთობებისას.

ლიტერატურა:

1. Allan, K., & Burridge, K. (2006). *Forbidden Words: Taboo and the Censoring of Language*. Cambridge: Cambridge University Press.
2. Allan, K., & Burridge, K. (1991). *Euphemism and Dysphemism: Language Used as Shield and Weapon*. Oxford: Oxford University Press.
3. Bussmann, H. (1996). *Routledge Dictionary of Language and Linguistics*. Translated and edited by Gregory Trauth and Kerstin Kazzazi. London: Routledge
4. Crespo-Fernández, E. (2008). Euphemism and Political Discourse in the British House of Commons. *Journal of Pragmatics*, 40(1), 95-110.
5. Crystal, D. (1995). *The Cambridge Encyclopedia of the English Language*. Cambridge: Cambridge University Press.
6. Lakoff, G., & Johnson, M. (1980). *Metaphors We Live By*. Chicago: University of Chicago Press.
7. Pinker, S. (2007). *The Stuff of Thought: Language as a Window into Human Nature*. New York: Penguin Books.
8. Rawson, H. (1981). *A Dictionary of Euphemisms and Other Doubletalk*. New York: Crown Publishers.
9. Ullmann, S. (1964). *Semantics: An Introduction to the Science of Meaning*. Oxford: Blackwell.
10. ჟურნალი "The Economist" - <https://www.economist.com/>
11. ჟურნალი "Time" - <https://time.com/>
12. ჟურნალი "Entrepreneur" - <https://www.entrepreneur.com/magazine>
13. ჟურნალი "Diversity Women" - <https://www.diversitywoman.com/>
14. <https://workplace.stackexchange.com/>

Some Issues of Using Euphemisms in Business English Discourse

Shashviashvili Ketevan

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

Language plays a crucial role in business communication. It serves as the foundation for effective collaboration and relationship-building. In today's globalized world, and therefore, the economy, the strategic use of English language promotes international cooperation in the field of business and strengthens intercultural relations. Business English is characterized by the use of formal, professional terminology, yet sometimes speaking directly can sound rude or harsh. That is why the process of speech euphemization i.e. the use of embellished words, takes place. The purpose of the given paper is to study the euphemistic words and expressions that are common in the business English language. In this study attempted to determine which euphemisms are commonly used in the field of business and what their functions are. It should be emphasized that clear and precise communication is of crucial importance in business relations. Therefore, it is recommended to maintain a balanced use of euphemisms in order to avoid ambiguity or misinterpretation that can hinder effective communication. In conclusion, we believe that the study of euphemisms and the determination of their linguistic functions in the business context is necessary and relevant for both linguists and business professionals. This study mainly employs the method of linguistic observation and description. The linguistic data for the research were obtained from English language articles and interviews.

Key words: Business English, euphemisms, euphemization, business discourse, functions of euphemisms

ტოპონიმები გოდერძი ჩოხელის რომანში „ადამიანთა სევდა“

წიგნაძე შორენა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.26>

აბსტრაქტი. ტოპონიმები ბგერათა უაზრო შენაერთს როდი წარმოადგენს, მათში არეკლილია ჩვენი ქვეყნის წარსული ყოფა-ცხოვრება. ამიტომაცაა, რომ ტოპონიმების კვლევა ქვეყნის ისტორიის შესწავლის ტოლფასადაა მიჩნეული.

ქართული ტოპონიმების პირველი მეცნიერული შესწავლა უკავშირდება გამოჩენილ ქართველ სწავლულსა და ისტორიკოსს, გეოგრაფ ვახუშტი ბატონიშვილს. თუმცა, ტოპონიმების შესახებ ცნობები შემონახულია V-XI და XII-XVIII საუკუნეების ისტორიულ წყაროებში. ადგილობრივ ტოპონიმთა შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობები დაცულია „ქართლის ცხოვრებაში“.

ტოპონიმების შესწავლა საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა გოდერძი ჩოხელის რომანში „ადამიანთა სევდა“. აქ მათი რიცხვი ოცდათზე მეტია. მათი ლინგვისტური ანალიზი შესაძლებელია რამდენიმე ასპექტით, კერძოდ: მორფოლოგიური, სემანტიკურ-ეტიმოლოგიური და ისტორიულ-დიალექტოლოგიური.

რომანში არსებული ტოპონიმები დავაჯგუფეთ სტრუქტურა-წარმოების მიხედვით, რის შედეგადაც მივიღეთ შემდეგი სურათი:

1. ტოპონიმთა ნაწილი მიიღება ძირეული საზოგადო სახელის რომელიმე ბრუნვის, ჩვეულებრივ, სახელობითი ბრუნვის ფორმით. ფუძეთა დაბოლოების მიხედვით ტოპონიმები ხმოვანფუძიანია ან თანხმოვანფუძიანი.

● **ხმოვანფუძიანებია:** დიხჩო, დაუმაცხო, ლიდა, მაქართა, ხოზა.

● **თანხმოვანფუძიანებია:** გუდამაყარი, ჩოხი, კიტოხი, ათნოხი, გამსი.

2. ტოპონიმები, რომლებიც წარმოქმნილია სიტყვათსაწარმოებელი აფიქსებით. გეოგრაფიულ სახელებთან რომანში გამოყენებულია რიგი მაწამოებლებისა: -ურ, -ელ, -იან, სა-ე, სა-ო.

სა-ე, სა-ო - კონფიქსები დანიშნულებას გამოხატავენ. მათგან ნაწარმოებ ტოპონიმებშიც თავდაპირველად ამავე ფუნქციითაა ნახმარი - **საქორე, საყორნე, სალალო** - მიანიშნებდნენ ადგილს სადაც მრავლად ბინადრობდა ისეთი ფრინველი, როგორცაა ქორი, ყორანი; ხოლო სალალო, უნდა მიანიშნედე ადგილს, რომელიც გართობას, ლალობას უკავშირდება.

-ურ - წარმომავლობის სახელთა მაწარმოებელი სუფიქსით მიღებული ტოპონიმები: **ცუცქუნაურნი, ჩობოლაური**. გვხვდება გეოგრაფიული სახელები, რომელთაც -ურ მაწარმოებელთან ერთად დაერთვის **ნ**, რომელიც ძირითადად არსებით სახელებს (გვარებს) ერთვის და მრავლობითობას გამოხატავს.

-იან - ქონების ზედსართავ სახელთა მაწარმოებლიანი ტოპონიმები, რომლებიც მიღებულია ადამიანთა გვარ-სახელებისაგან.

3. დასტურდება ტოპონიმები, რომლებიც მიიღება სიტყვათშეერთების გზით: გუდამაყარი, წინამხარი. დასახელებულ კომპოზიტებში ორივე სიტყვა არსებითი სახელია ან ზედსართავი სახელი და არსებითი.

4. ტოპონიმები გადმოცემულია მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმით: საჩალის ჭალა, ნარიანის მთა, ოზანას მთა, ბერების მთა, ელიას მთა, ადგილის დედა. გამოყენებულია სუბსტანტიურ

მსაზღვრელიანი ფორმა, რომელიც ნათესაობითში მდომი არსებითი სახელით არის წარმოდგენილი და კუთვნილებას გამოხატავს.

გამოიყოფა ისეთი ფენა გეოგრაფიული სახელებისა, რომელთა წარმოშობაც არქაულ პერიოდს უკავშირდება. სწორედ ამ ფაქტორის შედეგია ის, რომ ბევრი მათგანის ეტიმოლოგიის დადგენა შეუძლებელია. აღნიშნულის ნათესაყოფად განვიხილეთ გოდერძი ჩოხელის რომანში არსებული რამდენიმე ტოპონიმი: გუდამაყარი, დაუმაცხო და ბოსელი.

გოდერძი ჩოხელის რომანში არსებული ტოპონიმების ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა გამოგვეყო ის თავისებურებები, რომელიც თითოეული მათგანის მორფოლოგიურ, დიალექტოლოგიურ თუ ეტიმოლოგიურ-ისტორიულ განსხვავებულობას წარმოაჩენს.

საკვანძო სიტყვები: გოდერძი ჩოხელი, ტოპონიმები, ეტიმოლოგია, სემანტიკა, მორფოლოგია.

ტოპონიმები, ონომასტიკონის შემადგენელი ნაწილია, რომლის კვლევის ობიექტს გეოგრაფიულ ადგილთა შესწავლა წარმოადგენს. მათი ლინგვისტური ანალიზის დროს ყურადღება შეიძლება გავამახვილოთ რამდენიმე ასპექტით, კერძოდ: მორფოლოგიური, სემანტიკური და ისტორიულ-დიალექტოლოგიური.

აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული ადგილების უმეტესობას ძველად, დიდი ხნის წინ, სახელი არ ჰქონდა. შემდეგ, იმ ტერიტორიებს, რომელთაც გარკვეული დატვირთვა, მნიშვნელობა შეიძინეს, საკუთარ სახელებს არქმევდნენ. მნიშვნელოვან ობიექტად მიიჩნეოდა ის ადგილები, რომლებიც განკუთვნილი იყო თევზაობის, ნადირობის, მესაქონლეობისა თუ მიწათმოქმედებისათვის. ადამიანებმა, სტრატეგიული ობიექტების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად დაიწყეს სიდიდის, ფერის, სისწრაფისა თუ მრავალი დამახასიათებელი ნიშნის გამოყენება, რომელსაც შემდეგ მოჰყვა სახელწოდებების შექმნა/დარქმევა. ბუნებრივია, სახელს არქმევდა ხალხი, რომელთა მიერ შერქმეული ტოპონიმები ბევრათა უაზრო შენაერთს როდი წარმოადგენდა, მათში არეკლილია ჩვენი წარსული ყოფა-ცხოვრება. ამიტომაცაა, რომ ტოპონიმების კვლევა ქვეყნის ისტორიის შესწავლის ტოლფასადაა მიჩნეული.

ადრეულ ხანაში ტოპონიმები მცირე რაოდენობით არსებობდა, მათი რიცხვის მატება მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოების ზრდა-განვითარებას. ისტორიული ქარიშხლებისა თუ მიგრაციის შედეგია ის, რომ არ არსებობს ენა, რომელიც თავისთავში არ შეიცავდეს სხვადასხვა დროინდელ ტოპონიმებსა თუ ენობრივ დანაშრევებს. დასახელებული ისტორიული მოვლენები წარმოადგენს საფუძველს იმისას, რომ ტოპონიმებში არსებული ფუძე ერთი ენის ან კუთხის კუთვნილებაა, ხოლო სადერივაციო აფიქსები - მეორის. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ რთულია, და თითქმის შეუძლებელი, გავარკვიოთ ყველა ტოპონიმის წარმომავლობა, მათი სემანტიკა.

ქართული ტოპონიმების პირველი მეცნიერული შესწავლა გამოჩენილ ქართველ სწავლულსა და ისტორიკოსს, გეოგრაფ ვახუშტი ბატონიშვილს უკავშირდება. მის წიგნში, „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“, მოცემულია საქართველოს გეოგრაფიული ნომერკლატურისა და სისტემატიზაციის მეცნიერული კვლევის ცდები. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტოპონიმების შესახებ ცნობებს საკმაოდ შორეულ წარსულში ვხვდებით, მათ არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვთ. ცნობები შემონახულია V-XI და XII-XVIII საუკუნეების ისტორიულ წყაროებში. ადგილობრივ ტოპონიმთა შესახებ საკმაოდ საინტერესო ცნობები დაცულია „ქართლის ცხოვრებაში“. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ინფორმაცია შემოუნახავს სიგელ-გუჯრებსა და ისტორიულ-ეპიგრაფიკულ ძეგლებს. შემდეგში, ტოპონიმების ძირეული საკითხების კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს ე. თაყაიშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა და სხვ.

საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა ტოპონიმები გოდერძი ჩოხელის რომანში „ადამიანთა სევდა“. აქ მათი რიცხვი ოცდათხე მეტია: **ჩობოლაური, ლიდა, ხოზა, ცუცქუნაური, კოტორიანი, ნისლაური, ლაგაზიანი, თორელაანი, ფახვიჯი, საჩალის ჭალა, ქიჭოხი, დიხჩო, ლუთხუბი, ბახანი, წინამხარი, მაქართა, კიტოხი, დიდებანი, გამსი, ჭალიველნი, ათნოხი, ბოსელი, დაუმაცხო, საქორე, ქაქეენი, ბუსარჭილი, სალადო, ნარიანაის მთა, ოზანოს მთა, ბერების მთა, ელიას მთა, საყორნის ტყე**. შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული ნაწარმოები საკმაოდ მდიდარია ტოპონიმებით. რომანში არსებული გეოგრაფიული სახელები დავაჯგუფეთ სტრუქტურა-წარმოების მიხედვით, რის შედეგადაც მივიღეთ შემდეგი სურათი:

1. ტოპონიმთა ნაწილი მიიღება ძირეული საზოგადო სახელის რომელიმე ბრუნვის, ჩვეულებრივ, სახელობითი ბრუნვის ფორმით. ფუძეთა დაბოლოების მიხედვით ტოპონიმები ხმოვანფუძიანია ან თანხმოვანფუძიანი.

● **ხმოვანფუძიანებია:** დიხჩო, დაუმაცხო, ლიდა, მაქართა, ხოზა.

... კვირის თავზე ახალი სადარდებელი გაუხდათ, - **დაუმაცხოში** ხუთი ქისტის მამკლავი გიგილაი გარდაიცვალა.

მზის ჩასვლისას **მაქართას** მივადექით...

ლიდა ჩობოლაურის აღმოსავლეთით ერთი კილომეტრის დაშორებით არის.

... სულ რაღაც ხუთ წუთში ჩვენი დროშა აფრიალდა **ხოზის** მაღალ ბანზე.

● **თანხმოვანფუძიანებია:** გუდამაყარი, ჩოხი, კიტოხი, ათნოხი, გამსი.

...ზამთრობით კაცები ცხვარში მიდიან, ახალგაზრდები -ქალაქში და **გუდამაყარი** ქალებსა და ბავშვებსლა რჩებათ.

გუდამაყარის ხეობაში პირველად ჩოხლები დასახლდნენ და თავიანთ სოფელს **ჩოხი** დაარქვეს.

იმავე დამეს გალილეი აფრინეს **კიტოხში** და გუდამაყარის საერთო ექიმი მოაყვანინეს.

ათნოხში თორმეტი ქისტის მამკლავი, აკაი თამნიაური კვდებოდა.

ამ სახლში ათიოდე წლის წინათ მშობლებმა **გამსილველ** ბათირაზე დანიშნეს სალომე.

2. ტოპონიმები, რომლებიც წარმოქმნილია სიტყვათსაწარმოებელი აფიქსებით. გეოგრაფიულ სახელებთან „ადამიანთა სევდაში“ გამოყენებულია რიგი მაწამოებლებისა: -ურ, -ელ, -იან, სა-ე, სა-ო.

სა-ე, სა-ო - კონფიქსები დანიშნულებას გამოხატავენ. მათგან ნაწარმოებ ტოპონიმებშიც თავდაპირველად ამავე ფუნქციითაა ნახმარი - **საქორე, საყორნე, სალადო** - მიანიშნებდნენ ადგილს სადაც მრავლად ბინადრობდა ისეთი ფრინველი, როგორცაა ქორი, ყორანი; ხოლო **სალადო**, უნდა მიანიშნედე ადგილს, რომელიც გართობას, ლაღობას უკავშირდება. დავიპყართ ლაღენი, **საქორე** და გეზი ბუსარჭილისაკენ ავიღეთ. **საყორნის** მთებიდან მზე ამოდიოდა. იმ დღეს თორმეტი კაცი გაგიჟდა **სალადოს**.

-**ურ** - წარმომავლობის სახელთა მაწარმოებელი სუფიქსით მიღებული ტოპონიმები - **ცუცქუნაური, ჩობოლაური**. სოფლის სახელები, რომლებთანაც -ურ სუფიქსთან ერთად გვხვდება **ნ**, რომელიც ძირითადად არსებით სახელებს (გვარებს) ერთვის და მრავლობითობას გამოხატავს, თუმცა, ტოპონიმებში მრავლობითობის გამოხატვა დაკარგული აქვს.

-**იან** - ქონების ზედსართავ სახელთა მაწარმოებლიანი ტოპონიმები, რომლებიც მიღებულია ადამიანთა გვარ-სახელებისაგან. ამ ტრადიციას ხანგრძლივი ისტორია

აქვს და დღესაც ვხვდებით მათ არსებობას: „მზის ჩასვლამდე როგორმე უნდა მოვასწროთ კოტორიანთ ალება“. გოდერძი ჩოხელთან დასტურდება -იან სუფიქსით წარმოქმნილი ტოპონიმები. აკადემიკოს აკ. შანიძის თანახმად, -იან მრავალ გვარში გვხვდება მაწარმოებლად (შანიძე აკ. 1963). გუდამაყრულ ტოპონიმებში კი გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელია: კოტორიანი, ლაგაზიანი. -იან სუფიქსი გვარის მაწარმოებლად გვხვდება სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. ძველად აღმოსავლეთ საქართველოშიც იყო გვარცელელებული მსგავსი დაბოლოების გვარები, რომელიც შემდეგ შეიცვალა ძე და შვილით. ამის გამო, -იან დაბოლოებას დაუკარგავს პირვანდელი მნიშვნელობა, გარკვეულ შემთვევაში, შემონახულა ჩამომავლობა-კუთვნილების აღსანიშნად, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ფორმა მრავლობითია. მსგავს შემთვევაში, შემდეგ დროინდელი შვილი ჩამოშორდება ხოლმე გვარს და აღდგება ძველი -იან, მაგ. ციციშვილი - ციციანები, სადაც ორი ნ-საგან მხოლოდ ერთი ისმის. აქ ფორმა გამარტივებულია, ორი ნ-საგან ერთია დარჩენილი და მრავლობითის გაგება დაკარგულია. ანალოგიური სურათია შემდეგ ტოპონიმებში: **თორელიანი, ლაგაზიანი**. აქვე აღვნიშნავთ, რომ იან-ის დართვა შვილზე და ძე-ზე არ ნიშნავს, რომ ამ გვარებს უეჭველად -იან დაბოლოება ჰქონდა. სავარაუდოდ, აქ ანალოგიურ წარმოებასთან გვაქვს საქმე. დასახელებული ფორმის სიტყვები დროთა განმავლობაში სოფლის სახელებად იქცა. ამგვარ ტოპონიმებს ხშირად ფუძედ აქვთ საკუთარი თუ საზოგადო სახელი, ეროვნულ-ტომობრივი, საგვარეულო ან რომელიმე მფლობელის.

3. დასტურდება ტოპონიმები, რომლებიც მიიღება სიტყვათშეერთების გზით: **გუდამაყარი, წინამხარი**. დასახელებულ კომპოზიტებში ორივე სიტყვა არსებითი სახელია ან ზედსართავი სახელი და არსებითი. მაგ.: ... დედამიწის ზურგზე არსებობს ხეობა, რომელსაც **გუდამაყარი** ჰქვია.

4. ტოპონიმები გადმოცემულია მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმით: საჩალის ჭალა, ნარიანაის მთა, ოზანას მთა, ბერების მთა, ელიას მთა, ადგილის დედა. გამოყენებულია სუბსტანტიურ მსაზღვრელიანი ფორმა, რომელიც ნათესაობითში მდომი არსებითი სახელით არის წარმოდგენილი და კუთვნილებას გამოხატავს. მაგ.: „აი, ზემოთ **ნარიანაის მთაზე** რო ტბა არის...“ „ჩოხის ზემოთ, მთის წვერზე, ბერების ნასაყდრალეებია და ამ მთას **ბერების მთას** ეძახიან“. „შებრუნდა და „ადგილის დედისაკენ“ აუყვა აღმართს“. „გუდამაყარში, სოფელ ჩოხის აღმოსავლეთი, დგს მთა, რომელსაც აქაურები ელიას მთას ეძახიან“.

ხშირად ტოპონიმებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, განსაკუთრებით, თუ მათ ზეპირსიტყვიერი ტრადიცია ინახავს ან უცხოურ წყაროებში დასტურდება. თუმცა, იშვიათია, რომ ჩვენამდე უცვლელი სახით იყოს მოღწეული. ისტორიას მრავლად ახსოვს ძველ ტოპონიმთა, ტრადიციულ სახელთა ცვლის შემთხვევები. სხვა მრავალ ფაქტორთა შორის, სწორედ ისტორიული პროცესები წარმოადგენს მიზეზს ძველი და ახალი ტოპონიმების არსებობისას. როგორც ცნობილია, ტოპონიმების წარმოშობა საკმაოდ უსწრებს დამწერლობის წარმოშობას. დამწერლობამდე არსებობდა როგორც მაკრო და მიკრო, ასევე საკუთრივი ტოპონიმები. ისტორიულ წყაროებში, ძირითადად, შემონახულია ცნობები მაკრო და საკუთრივტოპონიმებზე, ხოლო, რაც შეეხება მიკრო ტოპონიმებს, ისინი უფრო ხალხთა მეხსიერებამ შემოგვინახა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოპონიმებში გამოიყოფა ისეთი ფენა სახელებისა, რომელთა წარმოშობაც არქაულ პერიოდს უკავშირდება. სწორედ ამ ფაქტორის შედეგია ის, რომ ბევრი მათგანის ეტიმოლოგიის დადგენა შეუძლებელია. ცნობილია, რომ გახშირებული ომებისა და შიშიანობის დროს, ადგილი ჰქონდა სამოსახლოს შეცვლას. გადაადგილების დროს ახალ ტერიტორიაზე დამკვიდრებული მოსახლეობა

ცვლიდა უკვე არსებულ ტოპონიმებს, არქმევდა ახალ სახელს ან ძველს ურთავდა სხვადასხვა მაწარმოებელს და ასე ჩნდებოდა ახალი ერთეულები. უნდა ითქვას, რომ გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდაში“ არსებულ ტოპონიმებშიც გვხვდება ისეთი ერთეულები, რომელთა ეტიმოლოგიაც სადავოა, რასაც იწვევს მათი წარმოდგენა სხვადასხვა სემანტიკით. აღნიშნულის ნათელსაყოფად განვიხილოთ გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში არსებული რამდენიმე ტოპონიმი.

გუდამაყარი ქართულ საისტორიო-ეკონომიკურ ძეგლებში XI საუკუნიდან დასტურდება, როდესაც ლეონტი მროველი მთის მოსახლეობის გაქრისტიანების ამბებს აღწერს. ხალხში გავრცელებული თქმულების მიხედვით, სახელი უკავშირდება მექორწილე ვაჟის მაყრების მიერ ქალის მაყრების შინ ცარიელი გუდებით გაშვებას. ეს თქმულება იმდენად ყოფილა გავრცელებული, რომ ზოგ სპეციალისტს სინამდვილედ მიუჩნევია. სხვა ახსნას გვთავაზობს მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმთა მკვლევარი გ. ხორნაული. მისი აზრით „ასახსნელად ჯერჯერობით არაფერი მასალა არ მოგვეპოვება... აქაც იგივე სიტყვა „გუდა“ უნდა გვეკონდეს, რაც გუდარეხში, გუდარუხსა და გუდანში გვაქვსო“ (ხორნაული გ. 2003). იგი არაფერს ამბობს მაყარ ფუძეზე. სხვაგვარად სხნის გუდამაყრის წარმოშობის ისტორიას რ. თოფჩიშვილი. იგი მიიჩნევს, რომ ტოპონიმი მიღებულია ორი სიტყვის შერწყმით გუდან-ნაყარი და უკავშირდება ხევსურთა ხეობაში გადმოსლის ფაქტს, კერძოდ, გუდანის განაყარ ხალხს, რომელიც მახლობლად დასახლდა. თოფჩიშვილის აზრით, გუდანნაყარი, გარკვეული დროის შემდეგ, გუდა და მაყარ სიტყვებად ჩამოყალიბდა. სწორედ გვარის განაყრობით წარმოშობილ ტოპონიმად მიაჩნია მკვლევარს გუდამაყარი, რომელიც ამ ისტორიული პროცესის ამსახველია (თოფჩიშვილი რ. 2005). საინტერესოა ტოპონიმ დაუმაცხოს ეტიმოლოგიაც. აღსანიშნავია, რომ სახელი მოხსენიებული აქვთ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილებს, თუმცა მას ასახელებენ ქართლში და არა მთიულეთ-გუდამაყარში. სხვა მრავალ მკვლევართა მსგავსად, გ. ხორნაული დაუმაცხოს მეგრული წარმოშობის ლინგვისტურ მოვლენად მიიჩნევს და მას უძველესი დვთაების ჭანურ სახელს, ჯუმაჩხას, უკავშირებს. განსხვავებული ვერსია აქვს თოფჩიშვილს. იგი ტოპონიმს ქართულ ენაში არსებულ მაცხო-ვარ სიტყვას უკავშირებს. თავის შეხედულებას მკვლევარი შემდეგი მოსაზრებით ამტკიცებს: ბუსარჭილს ადგილობრივები „მაცხუბანს“ უწოდებენო. რ. თოფჩიშვილი მიიჩნევს, რომ დაუმაცხოს (ქალების ხატი, ძუძუს ხატი, ფურების ხატი) ტერიტორიაზე ბევრი ხატობა დასტურდება (კვირიკე, მთავარანგელოზი და სხვ.), რომლებიც შემდეგ სოფლის სახელებად იქცა და, შესაძლოა, დაუმაცხო ერთ-ერთი მსგავსი სალოცავი იყო, რომელიც მოგვიანებით სოფლის ტოპონიმად მოგვევლინაო.

გარკვეული ისტორია უკავშირდება ტოპონიმს ბოსელი. იგი ძველ საქართველოში ნაყოფიერებისა და გამრავლების წარმართულ დვთაებასთან ასოცირდებოდა, რომლის ძირითად ფუნქციას საქონლის გამრავლება და მფარველობა წარმოადგენდა. მას ხარის სახიან დვთაებად მიიჩნევდნენ, რომელიც დროთა განმავლობაში მიწათმოქმედებას დაუკავშირდა და ტოპონიმად ჩამოყალიბდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გოდერძი ჩოხელის რომანში, „ადამიანთა სევდა“, არსებული ტოპონიმების შესწავლა მრავალმხრივაა საინტერესო. ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა გამოგვეყო ის თავისებურებები, რომელიც თითოეული მათგანის მორფოლოგიურ, დიალექტოლოგიურ თუ ეტიმოლოგიურ-ისტორიულ განსხვავებულობას წარმოაჩენს. როგორც აღვნიშნეთ, ტოპონიმები მრავალფეროვანია და ასევე მრავალფეროვანია მათი მიღების წყარო. იგი მიიღება როგორც საგნის სახელისაგან, დანიშნულების სახელისაგან, ასევე გვარისაგან,

სახელისაგან, ფერისაგან და ა.შ. მათი შესწავლა ნათელს მოფენს ბევრ ისეთ ფაქტსა თუ მოვლენას, რომელიც ხელს შეუწყობს ენაში არსებული იმ ლექსიკური ერთეულების გამომზეურებას, რომელთა ზუსტი ეტიმოლოგია დაუდგენელია, თუმცა მათი არსებობა გვაძლევს საშუალებას ვიკვლიოთ მათში შემონახული ინფორმაცია.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი. (1941). აღწერა სამეფოსა საქართველოსა; გამომცემლობა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, PDF.
2. თოფჩიშვილი, რ., (2005), ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბილისი, PDF ვერსია (მომიებულია 14. 05, 2023წ.).
3. მაისურაძე, ი. (1979), ქართული გვარ-სახელები, სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ქართლის ცხოვრება (1973), ბატონიშვილი ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტ.IV. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“.
5. შანიძეა კ., (1973) ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. ხორნაული. გ., (2003), ქართული ონომასტიკონი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საანალიზო წყარო:

1. ჩოხელი. გ., (2022) პროზა, პოეზია, წერილები; თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“.

Toponyms in the novel "sorrow of humanity" by goderdzi chokheli

Tsignadze Shorena

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

Since when have toponyms been a simple bind of letters? They reflect the old country's past life. that's why, its research is considered as the study of history.

The first scientific research on toponyms was by a renowned scholar, historian and geographer vaxushti batonishvili, though accounts about them are saved in historical sources of V-XI and XII-XVIII centuries. The information about local toponyms is secured in "life of qartli" (qartlis cchovreba).

The research of toponyms turned out to be especially interesting in the novel "sorrow of humanity" by goderdzi chokheli. Here their total number exceeds thirty. Their analysis is possible by a few aspects: specifically, morphology, semantic-etymological and historical-dialectological.

We categorized them into groups based on their structure-production characteristics and obtained the results outlined below:

1. *Toponyms are partially derived from root vowel-based common nouns in any inflection, through nominal inflection. They are either vowel-based or consonant-based:*

• **vowel-based:** *Dikhcho, Daomatsho, Lida, Makarta, Khoza.*

• **consonant-based:** *gudamakhari Chokhi, Kitokhi, Atnokhi, Gamsi*

2. *Toponyms, that are formed by word-generating affixes. For geographical words in roman there are used modifiers, such as: -ur, -ul, -ian, sa-e, sa-o.*

SA-E, SA-O confixes express purpose. They are used with the same intention for: Saqore, Sakorne, Salagho- these used to indicate places where mass groups of birds lived, such as hawks and ravens. Then again, salago, should be indicating a place that is related to delight.

-Ur - toponyms derived by origin of the name:

Cicqnauri, chobolauri. We come across geographical names, which, other than -ur modifier, attaches N. We see this essentially with nouns (last names) and highlights that it's plural.

- ian - Toponyms that produce the adjective of property, which are assembled from names and surnames.

3. *Toponyms are derived through the process of word association: gudamayari, winamxari. In named composites, the components are either both nouns or a combination of an adjective and a noun.*

4. *Toponyms are expressed in the form of a limiter: swamp of straw, mountain of Nariani, mountain of Ozana, mountain of monks, mountain of Elia, mother of the place. There is a used Form of substantive determiners, which.....*

A layer of geographical names is distinguished, that were formed during the archaic period, that's why it's impossible to distinguish some of their Etymology. To clarify the above we analyzed a few toponyms existing in the work of goderdzi chokheli: gudamakhari, daumacxo and boseli.

Examination of toponyms existing in goderdzi chokheli's novel granted us the opportunity to highlight the characteristics, that exhibit each of their disparities between morphology, dialectical or Etymological-historical.

Key words: *Goderdzi Chokheli, toponyms, etymology, semantic, morphology.*

ცისკენ მიმავალი „ნაფეხურები“
(ნინა ნეკერის პოეზიის შესახებ)

გოგიაშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.27>

აბსტრაქტი. ნინო ნეკერიშვილის (ფსევდონიმით ნინა ნეკერი) პირველი პოეტური კრებული დაიბეჭდა 2011 წელს, გამომცემლობა „კალმოსანში“, ჩემი რედაქტორობით. ნინას თარგმანებიც ცნობილია მკითხველისთვის, ესენია: ჯონ ბოინის „ბიჭი ზოლიან პიჟამაში“, კასანდრა კლერის „მექანიკური პრინცესა“ და „ზეციური ცეცხლის ქალაქი“.

ნაშრომში შევეცდები, განვიხილო ნინა ნეკერის ლექსები, როგორც შინაარსის, ასევე, ფორმის თვალსაზრისით. დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ მისი სტრიქონი თავისუფლების მაღალი ხარისხით გამოირჩევა; ავტორი ექსპერიმენტატორია და მუდმივ ლიტერატურულ ძიებაშია.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ხანდახან მწერალი არ ჰგავს თავის ტექსტს, პირიქით, მისი სრული ანტიპოდაა. ნინა ნეკერის შემთხვევაში, პოეტი-პოეზიის მსგავსება იმდენად დიდია, რომ ასე ვიტყოდ: ნინას პოეზია მისი პიროვნების ლიტერატურული განსხეულებაა, ხოლო თვით ნინა - თავისი პოეზიის ზუსტი ასლი. მისი ლექსი ისეთივე თამამი, აზრიანი და მომხიბვლელია, როგორც თავად ავტორი. მისი ლექსების ლირიკული გმირი თვითრეფლექსიას ახდენს და საკუთარ თავში რწმენა-ურწმუნობისა და ცოდვა-უცოდველობის პოლარულ კონცეპტებს განიხილავს; აკრძალული ხის სამოთხისეული სიმბოლო-ალუზია, ყოველივე ტაბუდადებულისადმი ადამიანური ბუნებით დეტერმინირებულ ინტერესს აღნიშნავს. ლირიკული გმირი საუბრობს იმ ნახევრად განსაზღვრულ მდგომარეობაზე, რომელიც ინფანტილური პერსონის მახასიათებელია და მნიშვნელოვან შინაგან გაორებასა და ტანჯვას იწვევს. პოეტი უკან არ იხევს, რათა გამოხატოს ყველაზე იჭენეული, დაფარული და აულიარებელი ადამიანური გრძნობები. ის იმდენად ავთენტური და თამამია, რომ თავისი სტიქონის გარეთ არანაირი სხვა ამონახსენისა და ფანტაზიის საშუალებას არ აძლევს მკითხველს. მისი ყველა გზავნილი მკაფიოა, გაურანდავი და მძიმე. ლექსში „ეკიპაჟელი“ პოეტი ეხმაურება უოლტ დისნეის გახმაურებული კინოს „კარიბის ზღვის მეკობრეები“ პერსონაჟს - მეკობრე ჯეკ ბელურას, თანამოაზრობას უცხდებს და მის ეკიპაჟს უერთდება:

ნინა ნეკერის „ლაკონურად“ აქცენტური ლექსის მაღიან კარგი მაგალითია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლექსი, თავისი ბუნებით, სილაბური ან სილაბურ-ტონურია, ხოლო აქცენტური ლექსი, გამომდინარე ქართული უმახვილო ენის სპეციფიკიდან, არ არის ორგანული ჩვენი პოეზიისთვის, ნინა ნეკერი საუცხოოდ ართმევს თავს ამ გამოწვევას. ლექსის სტრიქონებში სილაბურობა დარღვეულია, რიტმულობა კი მთლიანად აქცენტური მახვილების შეგრძნების ხარჯზე ნარჩუნდება. მოცემული ლექსი ანჟამბამანის მკაფიო მაგალითიცაა, ხოლო სტრიქონებზე გარდამავალი წინადადებები ექსკლუზიურ სტრუქტურას აყალიბებენ:

ნინა ნეკერის პოეზიაში შერწყმულია ბრძოლის ჟინი, სიმამაცე და ლიტერატურულ ხულიგნობამდე მისული გამბედაობა, დიდ ქალურ ვნებებსა და ემოციებთან. ის მიმდინარე ქართული პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო და ნიჭიერი წარმომადგენელია.

საკვანძო სიტყვები: ნინა, ნეკერი, პოეზია, ქართული, ნაფეხურები.

ნაშრომის დასაწყისიდანვე ვუთანხმდები მკითხველს, რომ ნინა ნეკერის შესახებ წარსულ დროში არ ვისაუბრებ; მიზეზი ორგვარია: 1. ნინა ნეკერი პოეტია და, როგორც ყველა პოეტს, მეტაფორულად, დრო-ჟამის ფრინველი დატყვევებული ჰყავს, ანუ მისი მყოფობა არ ემორჩილება ჟამთასვლას; 2. ნინა ნეკერი ჩემი მეგობარია, მეგობრობა კი სიყვარულის მარადიული გამოვლინებაა.

ნინო ნეკერიშვილის (ფსევდონიმით ნინა ნეკერი) პირველი პოეტური კრებული დაიბეჭდა 2011 წელს, გამომცემლობა „კალმოსანში“, ჩემი რედაქტორობით. გამომდინარე იქიდან, რომ მე ყოველთვის ძალიან მომწონდა მისი ლექსები, ავტორს სიამოვნებით დავთანხმდი წიგნის რედაქტორობაზე. ნინას თარგმანებიც ცნობილია მკითხველისთვის, ესენია: ჯონ ბონის „ბიჭი ზოლიან პიჟამაში“, კასანდრა კლერის „მექანიკური პრინცესა“ და „ზეციური ცეცხლის ქალაქი“.

მოცემულ მოხსენებაში, შევეცდები, განვიხილო ნინა ნეკერის ლექსები, როგორც შინაარსის, ასევე, ფორმის თვალსაზრისით. დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ მისი სტრიქონი თავისუფლების მაღალი ხარისხით გამოირჩევა; ავტორი ექსპერიმენტატორია და მუდმივ ლიტერატურულ ძიებაშია. ხანდახან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის მთელი თავისი არსებითაა გადაშვებული სიახლეთა პერმანენტულ მოხელთებასა და მონაპოვრის მკითხველისთვის წარდგენის პროცესში; წარდგენის ფორმა, კი, ხშირად, მოულოდნელი, იმპოზანტური და მოურიდებელიც კია. განვიხილავ ნინას ლექსს „ლაკონურად“, რომელიც მართლაც იმდენად ლაკონურია, რომ სრული სახით შემიძლია წარვადგინო მოცემულ ფორმატში:

„ელექტრო ციციანთელებით
კაბაუმოწყალოდდანაჩრჩილი
ღამე ქურდია, - მოიპარა
ქუჩას შერჩენილი შენი ჩრდილი.

სიტყვებიც ახლა უსულოა,
როგორც ხელოვნური ლოკონები.
თვალეში აღარ გიყურებ და...
ასე გიბრაზდები -
ლაკონურად“ (ნეკერი, 2011, გვ.5).

ნინა ნეკერის „ლაკონურად“ აქცენტური ლექსის ძალიან კარგი მაგალითია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლექსი, თავისი ბუნებით, სილაბური ან სილაბურ-ტონურია, ხოლო აქცენტური ლექსი, გამომდინარე ქართული უმახვილო ენის სპეციფიკიდან, არ არის ორგანული ჩვენი პოეზიისთვის, ნინა ნეკერი საუცხოოდ ართმევს თავს ამ გამოწვევას. ლექსის სტრიქონებში სილაბურობა დარღვეულია, რიტმულობა კი მთლიანად აქცენტური მახვილების შეგრძნების ხარჯზე ნარჩუნდება. მოცემული ლექსი ანჟამბამანის მკაფიო მაგალითიცაა, ხოლო სტრიქონებზე გარდამავალი წინადადებები ექსკლუზიურ სტრუქტურას აყალიბებებენ; მაგალითად, ლექსის ერთი დამოუკიდებელი სტრიქონი ერთი სიტყვისგან შედგება, რომელიც ავტორის პოეტური ნეოლოგიზმია - კაბაუმოწყალოდდანაჩრჩილი. ეს სიტყვა ღამის ეპითეტია, რომელიც ქურდია და ჩრდილს იპარავს. ნინა ნეკერის არაორდინალური და ძალიან საინტერესო ტროპული მეტყველება, ლექსის ექსპერიმენტულ სტრუქტურასთან სიმბიოზში, ქმნის მის ორიგინალურ პოეზიას, რომელიც არავისას ჰგავს.

ნაშრომში, ყურადღება მინდა გავამახვილო ნინა ნეკერის ლექსის არქიტექტონიკაზე. ლექსის „ავატარი“ თითოეული სტრიქონი ათმარცვლიანი საზომითაა დაწერილი (2/4/4) და სილაბურ-ტონური ლექსის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. 9 მარცვლიანი სტრიქონითაა წარმოდგენილი ლექსი „სიმღერა“ (2/4/3), ხოლო ლექსი „მე - წვიმაში“, 12 მარცვლიანი სტრიქონით (6/6), რიტმული თვალსაზრისით, საკმაოდ ორიგინალურად ჟღერს. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან იკვეთება, ნინა მუდმივად ძიების პროცესშია, ფორმის თვალსაზრისითაც, და ყოველ მომდევნო ჯერზე, ახალი სალექსო სტრუქტურის მოხელთების პროცესშია.

მისი სტილის აღსაწერად, აუცილებლად აღსანიშნავია სიტყვათქმნადობისაკენ - პოეტური ნეოლოგიზმებისაკენ სწრაფვა. მაგალითად: პირველოჯახი. ნინას საინტერესო პოეტური ექსპერიმენტი ქართული სიტყვისა და ინგლისური ფრაზის დაბოლოების ჯვარედინ რითმად წარმოდგენა კონვენციურ ათმარცვლიან ლექსში „წარწერა“:

„შემონახული ფეხბურთელივით
ცვლის ღამეს დილა მწვანე მინდორზე.
და ავტოგრაფად ვტოვებ ფოტოზე:
„The man, whom I can't adore like that“... (ნეკერი, 2011, გვ.37).

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ხანდახან მწერალი არ ჰგავს თავის ტექსტს, პირიქით, მისი სრული ანტიპოდაა. ნინა ნეკერის შემთხვევაში, პოეტი-პოეზიის მსგავსება იმდენად დიდია, რომ ასე ვიტყვოდი: ნინას პოეზია მისი პიროვნების ლიტერატურული განსხეულებაა, ხოლო თვით ნინა - თავისი პოეზიის ზუსტი ასლი. მისი ლექსი ისეთივე თამამი, აზრიანი და მომხიბვლელია, როგორც თავად ავტორი. ლექსში „პულსი“ ვკითხულობთ:

„რა სიცოცხლეა, აკრძალულს თუ ჩაუვლი ნაყოფს
და, თუნდაც გულში, გემრიელად არ შეაგინებ
შენს რწმენას, უცდუნებლობისთვის არასდროს სამყოფს,
შენს ურწმუნობას, სანახევროდ რომ რეაგირებს
და, მაინც, სადღაც, გულისგულში ვერ ცდება საზღვრებს“... (ნეკერი, 2011, გვ.57).

ლექსის ლირიკული გმირი თვითრეფლექსიას ახდენს და საკუთარ თავში რწმენა-ურწმუნობისა და ცოდვა-უცოდველობის პოლარულ კონცეპტებს განიხილავს; აკრძალული ხის სამოთხისეული სიმბოლო-ალუზია, ყოველივე ტაბუდადებული სადმი ადამიანური ბუნებით დეტერმინირებულ ინტერესს აღნიშნავს. ლირიკული გმირი საუბრობს იმ ნახევრად განსაზღვრულ მდგომარეობაზე, რომელიც ინფანტილური პერსონის მახასიათებელია და მნიშვნელოვან შინაგან გაორებასა და ტანჯვას იწვევს. პოეტი უკან არ იხევს, რათა გამოხატოს ყველაზე იჭვნიელი, დაფარული და აუღიარებელი ადამიანური გრძნობები. ის იმდენად ავთენტური და თამამია, რომ თავისი სტიქონის გარეთ არანაირი სხვა ამონახსენისა და ფანტაზიის საშუალებას არ აძლევს მკითხველს. მისი ყველა გზავნილი მკაფიოა, გაურანდავი და ძლიერი. ლექსში „ეკიპაჟელი“ პოეტი ეხმიანება ცნობილი კინოს „კარიბის ზღვის მეკობრეები“ პერსონაჟს - მეკობრე ჯეკ ბელურას, თანამოაზრეობას უცხდებს და მის ეკიპაჟს უერთდება:

„დაარტყი ხელი, ჯეკ-ბელურა, ხელი დაარტყი
და მომილოცე ეკიპაჟში შემომატება.
ნაპირზე წოლა თეთრკანიან ქალთა საქმეა,
ჩვენ კი ქალივით დავეუფლოთ უნდა ზღვის სივრცეს,

ტრიუმში - რომი, თავზე - შლაპა, წინ - ჰორიზონტი“... (ნეკერი, 2011, გვ.58).

აჯანყებული ლირიკული გმირი დინების საწინააღმდეგოდ იწყებს ცურვას და მეტაფორულად მეკობრეების ეკიპაჟს უერთდება; ამგვარი პროტესტი, ცხოვრების უსამართლობით გამოწვეული უკმაყოფილებისა და, ამის გამო, მის წესებზე უარის თქმისა, ხშირი მოვლენაა ლიტერატურაში. მწერალი შემოქმედია და ქმნის ალტერნატიულ სამყაროს, სადაც საკუთარი უგულვებელყოფილი, ჩახშობილი ნიჭებისა და მისწრაფებების რეალიზაციას ახდენს, ან - საპასუხო უკუგებას უბრუნებს ცხოვრებას. საუკეთესო პროტესტი იმ კანონების დარღვევაა, რომელიც საყოველთაოდ მიღებულია; მეკობრეობა აუტსაიდერებისა და აჯანყებულების ცნობილი თავშესაფარია, სწორედ ამიტომაც ის რომანტიზებული ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაში. თავისუფლების მოპოვების წყურვილი იმდენად დიდია, ლირიკულ გმირს სურს, რომ ქალივით დაეუფლოს ზღვის სივრცეს; ანუ, მოცემულ კონტექსტში, ქრება გენდერული იდენტობა, ან - ამორძალივით მეზრძოლი და ძლევამოსილი ხდება ქალი:

„მარგალიტს წყალქვეშ, ქალს - ნაპირზე, თუ ადგილს ცაში

არ არიგებენ, მოპოვება სჭირდება ბრძოლით“... (ნეკერი, 2011, გვ. 58).

ნინა ნეკერის პოეზიაში შერწყმულია ბრძოლის ჟინი, სიმამაცე და ლიტერატურულ ხულიგნობამდე მისული გამბედაობა, დიდ ქალურ ვნებებსა და ემოციებთან. ლექსში „ალქაჯი“ მთელი სისავსითა და დრამატულობითაა ეს დაუხარჯავი პოტენციალი წარმოდგენილი. მას წინ უძღვის მიხეილ ბულგაკოვის ცნობილი რომანიდან „ოსტატი და მარგარიტა“ ნატამას სიტყვები: „ძვირფასო მარგარიტა ნიკოლაევნა, სთხოვეთ, რომ ალქაჯად დამტოვონ“.

„ქალად დამაბრუნეთ, ეს ცეცხლი მწადაია!

ვედრებით თქვენსკენ გამოვიწვდი თხელ მაჯებს.

ჭიაკოკონობას არულის ძახილით

სულში გვაფურთხებენ ვნებიან ალქაჯებს“ (ნეკერი, 2011, გვ.30).

ყველაზე იდეალისტი ქალები, ხშირად, სიმბოლურ ალქაჯებად იქცევიან, ლილიტებივით გარბიან უღიმღამო ადამებისგან და შეკავებულ ვნებასა და ინსტინქტებს სუბლიმირების გზით სხვადასხვა ნიჭებად განფენენ გარემოში. თუმცა, ევოლუცია და მისი კანონები ურთიერთობის სხვა მოდელს სთავაზობს კაცობრიობას: ქალი უნდა იყოს მზია, კაცი კი - ზეზვა, რათა გამრავლდეს ადამიანთა მოდგმა. როგორც არტურ შოპენჰაუერის „სქესური სიყვარულის მეტაფიზიკაში“ ვკითხულობთ, ქალისა და მამაკაცის ლტოლვა, რომელიც სიყვარულის რომანტიკური ბურუსით იმოსება, სინამდვილეში, სხვა არაფერია, თუ არა მისი საბოლოო შედეგი - შთამომავლობა, „პირველი ჩანასახი“ მათ აღტაცებულ მზერაში. ქალი - ლილიტი და ალქაჯი, პატრიარქალური სოციუმის დევიანტია, და, შესაბამისად, კონვენციური ქცევის მოდელიდან ამოვარდნილი. ნინას ლექსში „ევოლუცია“ საოცარი ტროპებითა და სენსიტიურობითა აღწერილი ევოლუციურ ტრაფარეტს მისადაგებული წყვილის იდილია, რომელიც ბუნებითაა:

„ჩემს წითურ თმაში გაიხლართე,

როგორც მახეში,

მსუნთქავ და გიპყრობს არომატი

ველური კენკრის,

და შენ - ტომების მზრძანებელი,

ჩვევაუხეში,

ჩემს ალერსს,
როგორც ჩიტი - მაყვალს,
მსუბუქად კენკავ“ (ნეკერი, 2011, გვ.50).

მის სხვა ლექსში „იდილია“ სწორედ იდეალური ურთიერთობის ფორმაა ასახული, სადაც, შოპენჰაუერის დოქტრინის თანახმად, შეყვარებული წყვილის უკვდავება შთამომავლობის სახით დასტურდება:

„ჩვენს პირველ ღამეს,
სარეცელთან ნაძვის ხეს მოვრთავ,
და ყოველი დღე,
შუშის ფერად ბურთს ემსგავსება...
ერთი თუ გატყდა,
სხვა ბურთები დარჩება ტოტზე,
ჩვენც ხომ არ ვკვდებით,
ჩვენაცვლდებით მხოლოდ, ბავშვებით“... (ნეკერი, 2011, გვ.53)

ნინა ნეკერი, როგორც პოეტების უმრავლესობა, ფოლკლორის მიმართ გულგრილი არ არის. მისი ლექსი „ნიკორა“ სწორედ ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟს ეძღვნება, ხოლო ლექსში „დავცარიელდი“ წერს: „ჩვენ“... არასოდეს ვამართლებდით ამ სახელს ორნი,/ცალკე ჭირი და ლხინი გვექონდა მუდამ მე და შენ“ (ნეკერი, 2011, გვ.38). მოცემულ სტრიქონებში ტრადიციული ზღაპრის შაბლონური დასასრულია დეკონსტრუირებული და ახალ ტექსტში ჩასმული, როგორც ერთი პოსტმოდერნისტული ნიშანი. ლექსი „ოქროს ხელების ამბავი“ მთლიანად ზღაპრულ ნარატივზეა აგებული; შესაძლებელია ვთქვათ, რომ ეს ახალი ლიტერატურული ზღაპარია, სალექსო ფორმით დაწერილი, დრამატულ-ეგზისტენციალური ფინალით:

„ჰეი, სადა ხარ, ბერიკაცო,
საით წახვედი, ბერიკაცო,
რად გამიჯავრდი, ბერიკაცო,
გევედრები, ერთხელაც მოდი,
დამიბრუნე ჩემი ძონძები“... (ნეკერი, 2011, გვ.47).

ნინა, თავის პოეზიაში მკაფიოდ გამოხატავს ხედვას საზოგადოების მიმართ და აპროტესტებს არსებულ მოცემულობას. ლექსში „პოლიტიკა“ შეულამაზებლადაა მხილებული ნეგატიური სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ხალხის ყოფის ხარისხზე: „რომ ყავარზე თუკი ერთხელ შეინებივრა კუდმა,/ვირი - თუნდაც მშობელს ეჯდეს ზურგზე, აღარ ჩამოდის!“ (ნეკერი, 2011, გვ.27) ლექსში „საზოგადოებავ“! კი დაუფარავ ბრაზსა და აგესიას ავლენს პოეტი:

„რამდენჯერ დავრწმუნდი, - ნაჭუჭში
სწრაფად ვიკეტები, მარდი ვარ,
მძულხარ, სა-ზო-გა-დო-ე-ბავ! -
მაგრამ შენს ჭკუაზე დავდივარ“! (ნეკერი, 2011, გვ.39)

მიუხედავად ყველაფრისა, ნინა ნეკერისთვის საქართველო მართლაც ხატია, და მისი ლექსი „ტაოს დატირება“ ამ მოსაზრების დადასტურებაა. ლიტერატურაში პატრიოტიზმი ის თემაა, რომელიც ძალიან მოქნილად უნდა გადალახო, რომ ყალბი პათეტიკის სახე არ მიიღოს; ნინა ნეკერი ამ წინააღმდეგობას თავს ართმევს წარმატებით:

„ტაოვ, უნდა დაგიტირო,
როგორც გაყიდული ბალლი,
შვილიც ვარ და დედაც მქვია,

დედაშვილურ ცრემლად დაგღვრი“... (ნეკერი, 2011, გვ.75)

პოეტის ტროპული მეტყველების ექსკლუზიურობა მოცემული მაგალითებითაც შეგვიძლია დავადასტუროთ: „მთვარე- ლექსსუსტი პოეტების ქოსა მრჩეველი“ ან „წოლით რეჟიმში რჩება ჯერაც მზე, ბავშვივით რომ ახველებს“.

ნინა ნეკერის პოეზია, მიუხედავად რთული თემებისა და საკითხებისა, სიმსუბუქით, სილადით და იუმორით გამოირჩევა. ამის ნათელი მაგალითებია ლექსები „მოდა“ და „ურეკი“, რომლებიც „სალაღობოს“ სტატუსითაა აღნიშნული; ასევე, ლექსი „ავტობიარი“, რომელსაც წამმღვარებული აქვს სიტყვები: „თვითთრონიული ლექსი „სალაღობოდ, სააშიკოდ, ამხანაგთა სათრეველად“...

„ო.შ.მ? არა, ლ.შ.მ-სთვის
რაც „ლექსის შექმნად“
გაიშიფრება,
თუ დაფიქრდა ადამიანი,
გამოვაცხადებ:
ვინაიდან არ იყიდება
წინდაც კი,
თუკი არ ექნება წინდას პიარი“. (ნეკერი, 2011, გვ.72)

ნინა ნეკერის, როგორც ნიჭიერი, საინტერესო, ორიგინალური პოეტის შესახებ, ბევრის დაწერაა შესაძლებელი. თუნდაც მხოლოდ მოცემული მოკრძალებული სტატიიდან ცხადად ჩანს, რომ მან საკუთარი ადგილი მონიშნა მიმდინარე ქართულ პოეზიაში და ნათელი, ცისკენ მიმავალი „ნაფეხურები“ დატოვა ჩვენს ხსოვნაში.

ლიტერატურა:

ნეკერი, ნ. (2011). ნაფეხურები. თბილისი: გამომცემლობა „კალმოსანი“.

Steps Toward the Sky: On Nina Neker's Poetry

Gogiashvili Nino

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

*Nino Nekerishvili, known by her pseudonym Nina Neker, published her first poetry collection in 2011 under the publishing house "Kalmosani," with me as the editor. Since I had always greatly admired her poems, I was pleased to take on the role of editing the book. Nina is also recognized for her translations, which include John Boyne's *The Boy in the Striped Pajamas* and Cassandra Clare's *The Clockwork Princess* and *The City of Heavenly Fire*.*

In this paper, I aim to explore Nina Neker's poetry from both content and form perspectives. From the outset, it is clear that her verses are characterized by a high degree of freedom; she is an experimentalist, constantly engaged in literary exploration. At times, it feels as though she is entirely devoted to capturing the essence of perpetual novelty and presenting it to her readers. The manner of this presentation is often unexpected, imposing and unapologetic.

It is worth noting that sometimes an author may not resemble their work and, instead, can appear as its complete opposite. In Nina Neker's case, however, the resemblance between poet and poetry is so striking that one could say: Nina's poetry is the literary embodiment of her personality and Nina herself is the exact reflection of her poetry. Her verses are as bold, profound and captivating as the poet herself.

The lyrical persona in her poems engages in self-reflection, contemplating the polar concepts of faith and doubt, sin and innocence. The symbolic allusion to the forbidden tree of paradise signifies humanity's innate curiosity about all that is taboo. The lyrical hero speaks of a semi-defined state, characteristic of an immature person, which results in profound inner conflict and anguish. The poet does not shy away from expressing the most doubtful, hidden and unacknowledged human emotions. She is so authentic and bold that she allows no alternative interpretations or fantasies outside her verses. Every message she conveys is clear, unembellished and impactful.

*In her poem *The Crew Member*, the poet references the famous character Captain Jack Sparrow from Walt Disney's *Pirates of the Caribbean*, expressing solidarity with him and joining his crew.*

*Nina Neker's work *Laconically* serves as an excellent example of accentual verse. Although Georgian poetry is traditionally syllabic or syllabic-tonic in nature, and accentual verse is not organically suited to the Georgian language due to its lack of stress, Nina masterfully handles this challenge. The syllabic structure of her lines is broken, yet rhythm is maintained entirely through a sense of stress and accentuation. This poem is also a clear example of enjambment, with sentences flowing seamlessly across lines, creating an exclusive structure.*

Nina Neker's poetry combines a fighting spirit, courage, and daring that borders on literary audacity, blended with deeply feminine passions and emotions. She stands out as one of the most intriguing and talented representatives of contemporary Georgian poetry.

Keywords: *Nina, Neker, Poetry, Georgian, Steps.*

Человеколюбие в творчестве В. М. Шукшина

Каметова Раушан Маратовна

Каспийский государственный университет технологий и инжиниринга
им. Есенова, Казахстан

Утегенова Диана

Каспийский государственный университет технологий и инжиниринга
им. Есенова, Казахстан

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.28>

В.М.Шукшин был выдающейся личностью. Его деятельность охватывала и творчество в кино, писательское дело и даже общественную работу.

В писательском деле В.М.Шукшин достиг немалого успеха. Он известен как и писатель, и сценарист. В его литературные труды входят и рассказы и, и повести, и романы, и сценарии для своих же фильмов. Его творчеству присущи безграничная любовь к родине, родному краю, к сельской жизни, к человеку, в частности. Его работы выделяются простотой человеческих отношений, широтой натуры.

В.М.Шукшин снял несколько фильмов. Несмотря на их малое количество, они принесли успех. Это его фильмы «Калина красная», «Анна на шее». Его фильмы получили признание не только в Советском Союзе, но и далеко за его пределами. Они также просты, человечны, искренны, как и его художественные произведения.

Снимая свои фильмы, он сам же играл в них. Играть своих героев Шукшину было легко. Во-первых, будучи неплохим актером, он хорошо понимал героя, которого играл, во-вторых, сердцем созданные его герой были ему близки и знакомы; в-третьих, своих героях он видел себя; в-четвертых, его герои были «живые», взятые из обычной будничной жизни. Обаяние и неповторимость его характера стали характерными чертами его актерской жизни.

Шукшин очень любил родную землю, поэтому в числе первых он, принимая активные участие в общественной жизни страны. Он не оставался равнодушным стороне, от проблем людей. Являясь членом Союза писателей и Союза кинематографистов, он часто в своих публичных выступлениях и статьях выступал за свободу творчества и критиковал ограничения советского режима.

Журналистика - еще одна сфера деятельности Шукшина. Делясь своими мыслями о литературе, искусстве, творчестве и социокультурных вопросах, он писал свои статьи для разных периодических изданий.

Являясь самородком, имея большой опыт во многих сферах жизни, он делился во всем знаниями. Шукшин преподавал в школе-студии МХАТ. Его преподавательская деятельность помогла многим будущим актерам и режиссерам.

Мы признаем, что В.М.Шукшин – самородок, которому Богом дарованы талант и способности. Он уникален, и это его качество во многом повлияло на развитие культуры, искусство литературу того времени. Его работы по сей день остаются популярными и вдохновляющими для многих поколений. Творчество Шукшина очень разнообразно.

Где бы ни творил Шукшин, что бы не делал – во всем чувствовалось

человеколюбие. В центре его творчества, его деятельности человек занимал центральное место. Он воспринимал его любого, такого, каким его сотворил Бог. Писатель никогда не идеализирует своих героев, не приукрашивает события. Очень излюблена писателем тема сельской жизни, деревни. Люди в деревне очень просты, без возвышенности характера и с чистотой помыслов. В каждом рассказе Шукшина присутствует жизненная ситуация, либо стандартная, либо уникальная, либо близкая, либо не чуждая любому писателю села. Автор почти редко объясняет поступки героев, их действия и отношения на проблемы. Несмотря на разнообразие ситуаций, все персонажи чем-то похожи. Их общая черта-нереализованность, которая проявляется по-разному.

Шукшин не выдумывал героев своих произведений. Со многими он был знаком, с некоторыми состоял в родственных отношениях. Это были обычные люди советского склада, со сложными характерами, попадавшие в различные конфликтные ситуации. Шукшина часто называют деревенским писателем. По его же словам, приехал он в город «глубоко сельским человеком».

Шукшин хорошо был знаком с нравственным образом жизни русского крестьянства, который был создан на труде, любви к земле и чувстве правды и справедливости. Шукшина волновало даже не «падение» русской деревни и потеря ее населения, сколь состояние души и судьба русского народа. Что стало центральным объектом его творчества.

Для Шукшина нелегко был путь сопереживания своим героям и осознание необходимости понять и синтезировать исторический путь народа. Судьбу русского народа он видел в экономике и быте крестьянства. Он понимал, разрушив деревню как основу этого порядка, власти разрушили основу государственности. Шукшин видел деятельность государства, не солидарную с интересами народа.

Произведения Шукшина характеризует многообразие национальных характеров - сантехника, тракториста, бывшего заключенного, доярки, профессора (очутившегося на селе). Людей разных слоев общества.

Главные герои – жители деревни.

Литературное творчество Шукшина связано с советской деревней и ее жителями. Герои его рассказов удивляли читателей и критиков своей странностью. Главных героев книг Василия Макаровича нельзя назвать однозначно положительными или отрицательными. Они могут творить как добро, так и зло. Герои Шукшина импульсивны и импульсивны. Они часто действуют нелогично. Эти люди независимы и очень несчастны. Их души растоптаны предательством и несправедливостью, поэтому они совершают безрассудные поступки с тяжелыми последствиями. Он не понаслышке знал архетип своего героя. Герои рассказов Шукшина часто не могут понять, что с ними происходит. Почему они недовольны? И сами они тоже не способны объяснить или оправдать свои действия. Все дело в человеческой душе. Она умеет жить правильно. Это интуитивное понимание противоречит реальности несчастной судьбы деревенского дурака, пьяницы или бывшего каторжника.

Шукшин на нескольких страницах создает неповторимый человеческий характер и через него показывает какой-то пласт жизни, какую-то сторону бытия. Простота его формы не от бедности, а от богатства, от умения сказать все необходимое сжато.

Энергия добра, сконцентрированная в его произведениях, вливаясь в человеческую душу, помогает людям выстоять духовно и физически. В думах о себе будем помнить исповедь писателя, его страстный призыв: «Нам бы про душу не забыть. Нам бы немножко добрее быть. Мы один раз, уж так случилось, живем на свете. Ну так и будьте повнимательнее друг другу, подбробнее. Неосторожным словом можешь обидеть, оскорбить, походя, и не заметить этого, все вроде дела, дела...». И будем стараться так жить.

«Калина красная», «Печки-лавочки», «Живет такой парень», «Позови меня в даль светлую...», «Брат мой...» и другие легли в основу широко известных любимых фильмов.

Рассказ «Срезал», который вошел в сборники «Характеры» и «Беседы при ясной луне», Шукшин создал по воспоминаниям от общения с земляками, которые не всегда

доброжелательно реагировали на его успехи из-за банальной зависти.

Главные герои его произведений напоминали самого писателя – неординарные, порой уникальные личности, но при этом чаще всего простые рабочие. О них написаны рассказы «Микроскоп», «Чудик» и другие.

Немного обособленно от остальных произведений стоит его единственная сказка «До третьих петухов», где Василий рассуждает о загадке русского крестьянина. Книги Василия Шукшина стали частью золотого фонда советской литературы.

В роман о Шукшине А.Варламова писатель говорит, что в жизни Шукшина оказалось немало тайн и драматических событий: «В итоге Шукшин оказался для меня своеобразным эталоном русского человека XX века.

Он вобрал в себя все бездны и все высоты своего времени. <...> И если надо показать восхождение русского человека во всей его полноте, то это ярче всего можно сделать на примере Василия Макаровича Шукшина. Космическая фигура Шукшина оказалась для меня подлинным открытием» [1, с 314].

А.Варламов предлагает свой вариант «прочтения» личности В.М.Шукшина, отличный от известного нам образа человека, писателя, режиссера, сценариста, актера, созданного В.Коробовым в книге «Шукшин. Вещье слово» (1999). Он иначе расставляет акценты, в результате чего отходит от хрестоматийного образа. Ценность этой литературной биографии Шукшина заключается не только в очередной попытке создать целостный образ художника при всех его противоречиях, но и понять его «внутренний жест», истоки и смысл борьбы, неизбежность ранней смерти.

В многостороннем социальном, мировоззренческом, нравственном конфликте Шукшин поддерживал тысячелетний крестьянский мир с его традициями, верой, культурой; воспоминания о деревне как «об утраченном, пусть даже мифологизированном, светлом мире детства» [2, с. 26].

Как утверждают многие его современники, Шукшин был кристальным честен, искренен. В его рассказах, фильмах и ролях нет никаких признаков лжи, нет стремления обмануть, обмануть или обмануть. Это все правда. И талант заставил меня проглотить эту правду. Даже люди, которых она ненавидела. Проглотили, проглотили...»

Шукшин предпочитал писать о деревне, первый сборник его рассказов так и назывался - «Сельские жители». Однако этнографические приметы сельской жизни, внешность людей деревни, пейзажные зарисовки не особенно занимали писателя - обо всем этом если и заходила речь и в рассказах, то лишь попутно, бегло, вскользь. Почти не было в них поэтизации природы, авторских раздумчивых отступлений, любования «ладом» народной жизни - всего того, что привыкли находить читатели в произведениях В.И.Белова, В.П.Астафьев, В.Г.Распутина, Е.И.Носова. Писатель сосредоточился на другом: его рассказы представляли вереницу жизненных эпизодов, драматизированных сценок, внешне напоминавших ранние чеховские рассказы с их ненапряженностью, краткостью («короче воробьиного носа»), стихией беззлобного смеха. Персонажам Шукшина стали обитатели сельской периферии, незнатные, не выбившиеся «в люди», - одним словом, те, кто внешне, по своему положению вполне соответствовали знакомому по литературе XIX века типу «маленького человека». Однако каждый персонаж в изображении Шукшина имел свою «изюминку», противился усреднению, являл особый образ существования или оказывался одержимым той или иной необычной идеей. Вот как напишет об этом позднее критик Игорь Дедков: Людское многообразие, живое богатство бытия выражается для В.Шукшина, прежде всего, в многообразии способов жить, способов чувствовать, способов отстаивать свое достоинство и свои права. Уникальность ответа, уникальность реакции человека на призыв и обстоятельств кажутся писателю первейшей ценностью жизни, конечно, с той поправкой, что эта уникальность не аморальна». Шукшин создал целую галерею запоминающихся персонажей, единых в том, что все они демонстрируют разные грани русского национального характера. Этот характер проявляется у Шукшина чаще всего в ситуации драматического конфликта с жизненными обстоятельствами. Шукшинский герой, живущий в деревне и занятый

привычной, по-деревенски монотонной работой, не может и не хочет раствориться в сельском быту «без остатка». Ему страстно хочется хоть ненадолго уйти от обыденности, душа его жаждет праздника, а беспокойный разум взывает «высшей» правды. Легко заметить, что при внешней непохожести шукшинских «чудиков» на «высоких» героев-интеллектуалов русской классики они, шукшинские «сельские жители», так же не хотят ограничить жизнь «домашним кругом», их так же томит мечта о жизни яркой, исполненной смысла. А поэтому их тянет за пределы родной околицы, их воображение занято проблемами отнюдь не районного масштаба (герой рассказа «Микроскоп» приобретает дорогостоящий предмет в надежде найти способ борьбы с микробами; персонаж рассказа «Упорный» строит свои «перпетуум мобиле»). Характерная для рассказов Шукшина коллизия - столкновение «городского» и «деревенского» - не столько выявляет социальные противоречия, сколько обнаруживает конфликтные отношения мечты и реальности в жизни «маленького человека». Исследование этих отношений содержание многих произведений писателя. Русский человек в изображении Шукшина - человек ищущий, задающий жизни неожиданные, странные вопросы, любящий удивляться и удивлять. Он не любит иерархию - ту условную житейскую «табелю о рангах», согласно которой есть «знаменитые» герои и есть «скромные» труженики. Противясь этой иерархии, шукшинский герой может быть трогательно-наивным, как в рассказе «Чудик». Невероятным выдумщиком, как в «Миль пардон, мадам!», или агрессивным спорщиком, как в рассказе «Срезал». Такие качества, как послушание и смирение, редко присутствуют у персонажей Шукшина. Скорее наоборот: им свойственны упрямство, своеволие, нелюбовь к пресному существованию, противление дистиллированному здравому смыслу. Они не финальная авторская характеристика героя «Чудика»: «Обожал сыщиков и собак. В детстве мечтал быть шпионом». Шукшинский герой хотел бы придать своему быту праздничную украшенность, расцветить жизнь воображением; в нем - избыток чувств и стремлений, он не любит зрелищные, театральные формы поведения. «Васятка» Князев, всем на диво разрисовавший у себя дома печь, и в гостях стремится сделать приятное снохе и раскрашивает детскую коляску, хотя, как выяснится, сноха не оценит его художественного таланта. Бронислав Пупков настолько входит в роль спецаргента, стрелявшего в Гитлера, что искренне плачет, рассказав о роковом промахе. Высоким порывам шукшинских героев, увы, не дано реализоваться в жизни, и это придает воспроизведенным ситуациям трагикомическую тональность. Однако не анекдотические случаи, ни эксцентричное поведение персонажей не мешают писателю разглядеть в них главное - народную жажду справедливости, заботу о человеческом достоинстве, тягу к наполненной смыслом жизни. Шукшинский герой часто не знает, куда себя деть, как и на что использовать собственной бесполезности и бестолковости, он сожалеет, когда причиняет неудобство близким. Но именно это делает характеры героев живыми и устраняет дистанцию между читателем и персонажем: шукшинский герой безошибочно угадывается как человек «свой», «нашенский».

Один из самых ярких и глубоких работ Шукшина стал рассказ «Срезал». Центральным персонажем рассказа Глебом Капустиным владеет «пламенная страсть» - «срезать», «осаживать» выходцев из деревни, добившихся жизненного успеха в городе. Из предыстории столкновения Глеба с «кандидатом» выясняется, что недавно был повержен приехавший на побывку в деревню полковник, не сумевший вспомнить фамилию генерал - губернатора Москвы 1812 года. На этот раз жертвой Капустина становится филолог, обманутый внешней нелепостью вопросов Глеба, не сумевший понять смысла происходящего. Поначалу вопросы Капустина кажутся гостю смешными, но скоро весь комизм исчезает: для кандидата это настоящий экзамен, а позже столкновение перерастает в словесную дуэль. В рассказе часто встречаются слова «посмеялся», «усмехнулся», «расхохотался». Однако смех в рассказе имеет мало общего с юмором: он то выражает снисходительность горожанина к «странностям» живущих в деревне земляков, то становится проявлением агрессивности, выявляет мстительность, жажду социального реванша, которая владеет разумом Глеба. Спорщики принадлежат к разным культурным

мирам, разным уровням социальной иерархии. В зависимости от личных пристрастий и социального опыта читатели могут прочитать рассказ либо как бытовую притчу о том, как «умный мужик» перехитрил «ученого барина», либо как зарисовку о «жестоких нравах» обитателей деревни. Иными словами, он может либо принять сторону Глеба, либо Константину Ивановичу. Однако автор не разделяет ни той, ни другой позиции. Он не оправдывает персонажей, но и не осуждает их.

Произведения В.М.Шукшина насыщены глубоким проникновением в человеческую природу, внутренние конфликты, радости и страдания. Хорошо зная психологию сельчан, Шукшин очень чутко относится к своим персонажам, раскрывая их внутренний, чуждый для чужих глаз, мир; заранее предугадывая мотивации их действий, поведения. Ему знакомы их страхи и радости, желания и мечты. Персонажи Шукшина становятся символами человеческих качеств и недостатков. Писатель рисует своих героев через описание их обыденной жизни. Он описывает их повседневные заботы и хлопоты, радости и трудности, взаимоотношения и любовь... Взаимоотношения разных типов-семейные, дружеские, любовные, деловые - влияют на судьбы персонажей, что и подчеркивает писатель.

Шукшин затрагивает как мелкие проблемы, так и крупные; как приятные, радостные, так и трагические. Это и любовь, и смерть, и терпение, и отчаяние, и вера, и осуждение. Сельская жизнь становится фоном для исследования человеческой сущности в ее самобытности взаимосвязи с природой к обществу.

Таким образом, творчество Шукшина является глубоким и многогранным исследованием человеческой природы, которое погружает читателя в уникальные аспекты жизни и судьбы простых людей.

В искусстве Шукшина причудливо переплетается жизнь самого писателя-художника и продукта его фантазии, что иногда непонятно автор призывает к человечности или его герои. От самой мелкой детали произведения до крупной скрывают за собой главный принцип работы писателя - правду, к которой прибавляются своеобразие личности.

Список использованной литературы:

1. Шукшин В.М. До третьих петухов: рассказы и сказка / В.М.Шукшин; вступ. ст. и сост. В.Курбатова; худож. П.Пинкесевич. – Москва: Дет. лит., 2013. – 332 с.: ил. – (Школьная библиотека).
2. Scheler M. Die Stellung der Menschen im Kosmos [Место человека в космосе]. Darmstadt, 1928. Цит. по: Бердяев Н.А. О назначении человека. М., 1993.

Humanism in the Works of V.M. Shukshin

Kametova Raushan Maratovna

Caspian State University of Technology and Engineering
named after Yessenov, Kazakhstan

Utegenova Diana

Caspian State University of Technology and Engineering
named after Yessenov, Kazakhstan

Abstract. The works of V.M. Shukshin are full of deep insight into human nature, internal conflicts, joys and suffering. The writer draws his characters through a description of their everyday life. He describes their everyday worries and troubles, joys and difficulties, relationships and love... Relationships of different types - family, friendship, love, business - influence the fate of the characters, which the writer emphasizes.

Shukshin's work is a deep and multifaceted study of human nature, which immerses the reader in the unique aspects of the life and fate of ordinary people.

In Shukshin's art, the life of the writer-artist himself and the product of his imagination are intricately intertwined, which is sometimes not clear whether the author calls for humanity or his heroes.

Key words: Shushkin, humanism, human nature, imagination

დავით თურდოსპირელის მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობის
„ეპიზოდები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან“ გაგებისათვის

კოჭლოშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.29>

აბსტრაქტი. მხატვრულ-დოკუმენტურმა პროზამ დღეს განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, უშუალოდ პრიორიტეტული გახდა. შესაბამისად, დიდი ყურადღება ეთმობა ფართო მკითხველი საზოგადოებისა თუ სამეცნიერო სივრცისთვის უცნობი დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებებისა და საარქივო-დოკუმენტური მასალის პოპულარიზაციას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა ავტორობით შექმნილი დოკუმენტური ტიპის ნაწარმოებები, რომელთა შემოქმედებითი მოღვაწეობა რთულ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებს დაემთხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, დავით თურდოსპირელის დოკუმენტური ნაწარმოების მიმართ ჩვენი ინტერესი გასაგებია.

დავით თურდოსპირელის „ეპიზოდები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან“ ავტობიოგრაფიული მოთხრობის საინტერესო ნიმუშია. იგი ერთმანეთისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი მცირე პროზაულ ნაწარმოებთა ერთობლიობაა.

ნაწარმოები სათაურიდანვე მიგვანიშნებს მოთხრობის სტრუქტურაზე. მასში გაერთიანებულია 38 თხზულება, თითოეული დასათაურებულია. ისინი მწერლის ცხოვრებას ქრონოლოგიურად გვაცნობს, ამავდროულად ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის თანადროულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ყოფაზე.

როგორც ცნობილა, ოჯახის ბედისწერის ასახვა ხშირ შემთხვევაში საზოგადოების, ეპოქის, კულტურის და საერთოდაც ზოგადად ადამთა მოდგმის კრიტიკას ემსახურება. ამ თვალსაზრისით არც დავით თურდოსპირელის ავტობიოგრაფიული მოთხრობაა გამონაკლისი. ნაწარმოების კითხვისას ჩვენც იუვენალის ცნობილი სენტენცია გვახსენებს თავს საოჯახო რომანის, როგორც ჟანრის შესაძლო ეპიგრაფად რომ მიიჩნია მკვლევარმა შორენა შამანაძემ: „ადამიანური მოდგმის თავისებურებებში გარკვევა თუ გინდა, დააკვირდი თუნდაც ერთ სახლს“ (შამანაძე, შ., 2023:339).

დავით თურდოსპირელის „ეპიზოდები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან“ ავტობიოგრაფიული მოთხრობის მეტად საინტერესო ნიმუშია. მასში ჩხეიძეების ოჯახური ყოფის ფონზე საინტერესოდ არის ნაჩვენები მწერლის თანადროული ისტორიულ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების არაერთი ნიშანდობლიობა. მსგავსად დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებებისა, ამ შემთხვევაშიც დაცულია ზუსტი ქრონოლოგია, დასათაურებულია თავები, მოთხრობაში ჩართული რეალური ამბები უკავშირდება ეპოქის გლობალურ მოვლენებს, ოჯახის ისტორია თანხვედრაშია ქვეყნის ისტორიასთან. ყოველივე ეს მკითხველს საშუალებას აძლევს უშუალოდ გაეცნოს როგორც მწერლის მსოფმხედველობასა და მრწამსს, ისე მწერლის თანადროულ ისტორიული ეპოქას.

საკვანძო სიტყვები: დავით თურდოსპირელი, მხატვრულ-დოკუმენტური პროზა.

დავით თურდოსპირელის ლიტერატურული მემკვიდრეობა მრავამხრივ საყურადღებოა. ამჯერად გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ მწერლის მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ერთ-ერთ ნიმუშზე, რომელსაც ჰქვია „ეპიზოდები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან“.

დოკუმენტური პროზა ყოველთვის იყო ინტერესის საგანი. აღნიშნულზე მდიდარი ქართული ლიტერატურული ტრადიციაც მეყტველებს.

მხატვრულ-დოკუმენტურმა პროზამ დღეს განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, უშუალოდ პრიორიტეტული გახდა. შესაბამისად, დიდი ყურადღება ეთმობა ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის თუ სამეცნიერო სივრცისთვის უცნობი დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებებისა და საარქივო-დოკუმენტური მასალის პოპულარიზაციას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა ავტორობით შექმნილი დოკუმენტური ტიპის ნაწარმოებები, რომელთა შემოქმედებითი მოღვაწეობა რთულ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებს დაემთხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, დავით თურდოსპირელის დოკუმენტური ნაწარმოებების მიმართ ჩვენი ინტერესი გასაგებია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „მხატვრულ-დოკუმენტურ, ბიოგრაფიულ, მესსიერების ნარატივს, დოკუმენტურ ჟანრებს - სხვადასხვა დოკუმენტებს, პუბლიცისტიკას, ჩანაწერებს, ეპისტოლეებს, დღიურებს, მემუარებს, ბიოგრაფიებს, „უბის წიგნაკებს“, _ ხელეწიფება გაარკვიოს, შეძლებისგვარად „განსაჯოს“ ავტორების იდენტობის, პოზიციების, იმაგოლოგიის, კულტურული და კომუნიკაციური მესსიერების, თვითიდენტიფიკაციის საკითხები, რაც მთავარია, მათი კულტურული სივრცისადმი მიკუთვნებულობის დღეისათვის აქტუალური პრობლემები“ (ჩიტაური, ნ., 2021:126-127).

დავით თურდოსპირელის ნაწარმოები „ეპიზოდები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან“ ავტობიოგრაფიული მოთხრობის საინტერესო ნიმუშია. იგი ერთმანეთისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი მცირე პროზაულ ნაწარმოებთა ერთობლიობაა.

ნაწარმოები სათაურიდანვე მიგვანიშნებს მოთხრობის სტრუქტურაზე. მასში გაერთიანებულია 38 თხზულება, თითოეული დასათაურებულია. ისინი მწერლის ცხოვრებას ქრონოლოგიურად გვაცნობს, შესაბამისად, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის თანადროულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ყოფაზე.

როგორც ცნობილია, ოჯახის ბედისწერის ასახვა ხშირ შემთხვევაში საზოგადოების, ეპოქის, კულტურის და საერთოდ ზოგადად ადამიანთა მოდგმის კრიტიკას ემსახურება. ამ თვალსაზრისით არც დავით თურდოსპირელის ავტობიოგრაფიული მოთხრობაა გამონაკლისი. ნაწარმოების კითხვისას ჩვენც იუვენალის ცნობილი სენტენცია გვახსენებს თავს საოჯახო რომანის, როგორც ჟანრის შესაძლო ეპიგრაფად რომ მიიჩნია მკვლევარმა შორენა შამანაძემ: „ადამიანური მოდგმის თავისებურებებში გარკვევა თუ გინდა, დააკვირდი თუნდაც ერთ სახლს“ (შამანაძე, შ., 2023:339).

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ბიბლიამ დაუდო სათავე ოჯახური ყოფის განზოგადებას.

ზოგადად ბიოგრაფიული რომანისა თუ მოთხრობის ცენტრში დგას მხოლოდ ერთი ადამიანის ბედი. თურდოსპირელის მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობის შემთხვევაშიც ავტორის სურვილია განაზოგადოს ავტობიოგრაფიული ისტორიები, მეტნაკლებად რეპრეზენტატული გახადოს ან ეპოქის კომენტარად აქციოს საკუთარი

ოჯახის ისტორია. მსგავსად ავტობიოგრაფიული ნაწარმოებებისა ამ შემთხვევაშიც ავტორი, მთხრობელი და მთავარი პერსონაჟი ერთი და იგივე პირია, იგი კატეგორიულად გვედრს უვლის ყოველგვარ ფიქციურ სტრატეგიებს(შამანაძე, შ., 2023:352).

ავტორი თხრობას იწყება ჩხეიძეების სამყოფელის აღწერით. „ჩვენი ბინა“ ჰქვია პირველ თხზულებას, საიდანაც ვეცნობით თურდოსპირელის საცხოვრისს, როგორც მწერალი უწოდებს საცხოვრებელ „კუნჭულაკს“. უბანი, სადაც ჩხეიძეები მოსახლეობდნენ ყველგვარი სისამაგლით ყოფილა ცნობილი, რომლის სიმყუდროვეს ერთადერთი ფანარი იცავდა, „რომელიც ჰგავდა იმ მათხოვრის გამოცრიატებულ სნეულ თვალებს, რომელსაც მწუხარებამ ერთი თვალი დაუბრმავა და მეორესაც უპირებს ჩაქრობას...“(თურდოსპირელი, დ., 1933:3).

„ფილაქნიან სარდაფში ვცხოვრობდით. ქუჩიდან კიბის 12 საფეხური უნდა ჩაგველო, რომ ჩვენს ოთახში ჩასულიყავით...

მზე ყველას ერთნაირად არ გვინათებდა...

როდესაც განცხრომის ძენი მის სიმცხუნვარეს და ვარვარს ემალებოდნენ აგარაკებზე – ამ დროსაც კი მზე არ კადრულობდა, რომ ორიოდე შუქი მაინც შემოეგზავნა ჩვენსა. აქ ზაფხულშიაც ისეთივე ნოტიო სუნი და დაღვრემილობა სადგურობდა, როგორც წელიწადის სხვა დროს.

მისთვის არაერთხელ შეგვიხმატკბილებია წარმართობის დროინდელი საგალობლები...

„მზეო, ამოდი, ამოდი!...“

მაგრამ მას რ შეუსმენია ჩვენი მუდარა...“(თურდოსპირელი, დ., 1933:4).

დავით თურდოსპირელი თავისი ოჯახის სავალაო ყოფის სურათების პარალელურად მკითხველ აცნობს ჭაპანწყვეტაში მყოფ დედას, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა, არ ტყდება და შვილებს ყოველ ნაბიჯზე საოცარი სიძლიერის, შეუპოვრობისა და სიქველის მაგალითს აძლევს. მწერალი შთამბეჭდავად გვიყვება სალომე ბაქრაძის მოხერხებულობაზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი ეპიზოდი, მიუხედავ იმისა, რომ ჩხეიძეების კიდობაში მხოლოდ შავი პურის ნამტვრევები იყო გამოუღვებლად, მაინც თვით ხელწიფეთათვის სანატრელი „ხელასმურით“ დაანაყრებდა ხოლმე დედა დამშეულ შვილებს.

„დღეს იშვიათი სჭმელი გვაქვსო.

ხელმწიფესაც არ ექნება ამისთანაო.

–გენაცვალე, დედიკო, რა გვაქვს სადილად?

–მოიცათ, გავმლით სუფრას და მაშინ იგემებთ!

–ხინკალი?

პირში ნერწყვი მოგვერია.

ახ! ხინკალი, ხინკალი! აორთქლებული მსუყე წვნიანი. ვინ გვადირსებს?...

–ყაბულა ფლავი?

–არა!...

–ჩიხირთმა!...

–ქათამი, ქათამი!... უეჭველად ქათამი გვექნება...

–უჰ, რეერთი ხანია ქაქთმის ხორცი არ გვიჭამია! – სჩივის პატარა ბაგრატი.

რაკი არ ვეშვებოდით და თითქმის ყველა საჭმელს ჩამოვთვლიდით, დედა გვეტყოდა:

–დღეს სადილად გვაქვს ხელასმური

რა არის ხელასმური?

_ოო, თქვენ არ იცით, შვილებო, რა არის ხელასმური.

ვეციო...

_მოიცათ ჩაბუჭბუჭდეს პური!..

ვისა სცალიან მოცდისთვის...

ენას ვიწვით, პირს ვითუთქავთ, ისე ცხელია ხელასმური...

უმალ ზრზენა მოგვდის...

რა არის ესა?

_ესა ყოფილა ხელასმური!?

_ეჰჰ, მხოლოდ სახელია უცხო.

საჭმელი იგივეა, ძველი, თავმომაბეზრებელი, უყუათო...

თვალი გვიცრემლიანდება“(თურდოსპირელი, დ., 1933:6-7).

ჩხეიძეების სამოსიც ყველასგან განსხვავებული ყოფილა. „ფარშავანგის ფრთებივით აჭრელებული ჩვენი სალუქი სამკაული“(თურდოსპირელი, დ., 1933:9), საგრძნობლად განსხვავდებოდა მათი სამოსისგან „ბავშვობიდან რომ აჩვევდნენ სიბრჭვიალისადმი ტრფიალს“(თურდოსპირელი, დ., 1933:9), -გვიყვება მწერალი.

ნაწარმოებში არაერთხელ ვხვდებით „კეთილშობილთა“ და ლატაკთა შორის ხიდჩატეხილობას“. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „აუდიენცია კნეინასთან“.

„აუდიენცია კნეინასთან“ დავთ თურდოსპირელს საინტერესოდ ახასიათებს. მოგონებებში მწერლის არაერთი თვისება იკვეთება. იგი, მიუხედავად უკიდურესი გაჭივებისა, საოცარ სიმტკიეს, სიძლიერსა და თავმოყვარეობას ამჟღავნებს ყოველ ნაბიჯზე.

განსაკუთრებით საინტერესოა ის იეპიზოდი, როდესაც მწერალი იგონებს პირველ გიმნაზიაში ლატაკებისთვის შობის ხესთან სტუმრობას. „დედას უნდოდა ავლაბრის ჩვენ მოსაწყენ, რუხ ცხოვრებაში სიხარულის სცისარტყელა აეელვარებინა. სადამოს პროგრამა რომ ამოსწურეს, იგონებს მწერალი, საჩუქრების დარიგება დაიწყეს....პარკი ფერადი ქარალდის კანაფით იყო თავმოკრუუ, აფანცქალდა, აწრიალდა ბალღობა.

იცით...სწორედ მაშინ, როდესაც ასე უხვად გვაჯილდოებდნენ, მე უფრო მწვავედ ვიგრძენი შეურაცხყოფა, უსამართლობა, თვალთმაქცები არიან ყველანი, სად არიან მათი შვილები? რატომ არ მოიყვანეს? ეთაკილებოდათ განა?... ემინიათ ჩვენ შორის ტრიალით არ გაირყვნენ.

და მეზიზღებიან ისინი გველებივით, აღარ მივდივარ მაგიდასთან ნობათის მისაღებად. არა, არ მინდა მათი არაფერი... დედიკოს ჩემთვის არ უკითხია მიზეზი ჩემი საქციელისა. ის მიხვდა და ესიამოვნა კიდევ“(თურდოსპირელი, დ., 1933:20).

ნაწარმოებში არაერთხელ ვხვდებით საინტერესო მოგონებას სხვადასხვა ისტორიულ-პოლიტიკურ მოძრაობაში დავით თურდოსპირელისა და მისი ოჯახის წევრების ჩართულობის შესახებ, რაც, ბუნებრივია, ყურადღებას იქცევს მწერლის თანადროული პოლიტიკური ყოფის გასააზრებლად.

ოჯახში პირველი პროკლამაციის შემტანი დავითის დედა ყოფილა, რომელმაც, მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, შვილებს სათანადო განათლებაც მისცა და საკუთარი ცხოვრების წესით მიუღებელი აწმყოსადმი შეურიგებლობაზე არაერთხელ მოუწოდა. „ერთხელ მთელ უბანში, იგონებს მწერალი, ჩხრეკა იყო. დედა ჯერ შეშინდა, რადგან შინ ხატის უკან ფურცლების მთელი დასტა გვქონდა შენახული, მაგრამ მალე იაზრა... ხატს სანთელი დაუნთო მტრის თვალების ასაბმელად. როდესაც ჩვენსა შემოვიდნენ... უმალ პირჯარი გადაიწერეს განათებული ხატი რომ შენიშნეს,

ყველაფერი აგვიფორიაქეს, ხატისთვის კი ხელი არ უხლიათ“ (თურდოსპირელი, დ., 1933:22-23).

დავით თურდოსპირელი თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში ემოციური შთამბეჭდაობითა და უდიდესი ადამიანური თანაგრძობით გვიყვება არსენა ჯორჯიაშვილის მიერ გენერალ-გუბერნატორის გრიაზნოვის მოკლვის ამბავს. ამ ერთი კონკრეტული ამბის ფონზე საინტერესოდ იკვეთება მწერლის პოლიტიკური მრწამსი, ამავედროულად ყურადღებას იქცევს სალომე ბარქრადის, როგორც შვილების თანამებრძოლისა და ზნეობრიობის მქადაგებლის მხატვრული სახე, როდესაც არსენას ვაჟკაცობაში დაექვევებულ შვილს უსაყვედურებს: „ჩვენ ვიცოდით, რომ არსენას მეტად აწამებდნენ ემანდ არ გასწყდეს წვრილიანიში... ვაი თუ წამებამ შეაკროთოს. რა ვუყოთ რომ მტკიცეა... როდემდის გასძლებს?

„ყველა მაგას ფიქრობდა? შეურაცხყოფას აყენებდით არსენას მაშინ, როდესაც მას შეიძლება სიკვდილის ოფლს ასხამდა?_ჰკითხა დედამ.

ვუსმენდი ასეთ საუბარს და ჩემს გულში ცეცხლის ასოებით იწერებოდა მისი სახელი...

ისედაც შარავანდედიანს ჩემი ოცნება უფრო ფერად საღებავებით მოსავდა...

მას შემდეგ ოცმა წელმა განვლო... ბევრი რამ დამავიწა ცხოვრებამ... ბევრი ახალი ბრწყინვალე სახეები ამოიქარგა ჩემს მეხსიერებაში, ხოლო ყველა მათში წარუხოცელი დარჩა და უფრო აელვარდა მშვენიერი სახე არსენასი, რომელმაც გმირულად გაისროლა ყუმბარა მტრისაკენ“ (თურდოსპირელი, დ., 1933:32)

ნაწარმოებში თურდოსპირელის მკაცრი კრიტიკულ-მამხილებელ პათოსი და შურიგებლობა თანადროულ ყოფასთან არაერთხელ ჩანს. მისი კრიტიკის ობიექტი თანადროული სკოლის უნუგეშო სურათიცაა. მწერლის დროინდელი სკოლა ფუნქციადაკარგულია. მასწავლების სახით ნაჩვენებია ცრუინტელიგენტის ტიპური სახე, რომელიც თაობათ დეგრადირებას ემსახურება.

დავით თურდოსპირელი თავის ღირსეულ მასწავლებლად უფრო ქუჩა მიაჩნდა, ვიდრე სასწავლებელი, რადგან „მასწავლებლებს ბავშვები ცომად მიაჩნდათ, რომელთაც როგორც მოეპრიანებოდათ ისე მოზელდნენ, მათთვის მოწაფის შეურაცხყოფა უტკბილესი რამ იყო“ (თურდოსპირელი, დ., 1933:36).

ამდენად, დავით თურდოსპირელის „ეპიზოდები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან“ ავტობიოგრაფიული მოთხრობის მეტად საინტერესო ნიმუშია. მასში ჩხეიძეების ოჯახური ყოფის ფონზე საინტერესოდ არის ნაჩვენები მწერლის თანადროული ისტორიულ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების არაერთი ნიშანდობლიობა. მსგავსად დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებებისა, ამ შემთხვევაშიც დაცულია ზუსტი ქრონოლოგია, დასათაურებელია თავები, მოთხრობაში ჩართული რეალური ამბები უკავშირდება ეპოქის გლობალურ მოვლენებს, ოჯახის ისტორია თანხვედრაშია ქვეყნის ისტორიასთან. ყოველივე ეს მკითხველს საშუალებას აძლევს უშუალოდ გაეცნოს როგორც მწერლის მსოფმხედველობასა და მრწამსს, ისე მწერლის თანადროულ ისტორიული ეპოქას.

ლიტერატურა:

1. თურდოსპირელი, დ.(1933), ეპიზოდები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა;
2. ლიტერატურული ჟანრები, (2023), ტ. I, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი კომპარატივისტული ლიტერატურის ქართულიასოციაცია (GCLA);
3. ტექსტოლოგიური ეტიუდები, სამეცნიერო კრებული, (2021), შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“.

For Understanding Davit Turdospireli's Fiction-Documentary Story "Episodes from the Lives of Young People"

Kochloshvili Nino

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

Fictional-documentary prose has acquired special relevance today, immediacy has become a priority. Accordingly, great attention is paid to the popularization of works of the documentary genre and archival-documentary material unknown to the general reading public or the scientific community.

Of particular interest are documentary-type works created by those writers or public figures whose creative work coincided with difficult historical-political events.

Given the above, we think that our interest in the documentary work of Davit Turdospireli is understandable.

Davit Turdospireli's "Episodes from the Life of Young People" is an interesting novelty of autobiographical writing. It is a collection of small prose works that are absolutely independent of each other.

The work hints at the structure of the story from the very title. It combines 38 works, each of which is titled. They introduce us to the writer's life chronologically, while at the same time creating a clear idea of the writer's contemporary socio-political or cultural life.

As is known, the reflection of the fate of the family often serves as a criticism of society, era, culture, and the human race in general. In this regard, David Turdospireli's autobiographical story is no exception. While reading the work, we are reminded of Juvenal's famous sentence, which researcher Shorena Shamanadze considered a possible epigraph to the family novel as a genre: "If you want to understand the peculiarities of the human race, observe at least one house" (Shamanadze, Sh., 2023:339).

David Turdospireli's "Episodes from the Lives of Young People" is a very interesting example of an autobiographical story. It interestingly shows a number of features of the writer's contemporary historical, political, and cultural life against the backdrop of the Chkheidze family. Similar to works of the documentary genre, in this case, too, an exact chronology is preserved, chapters are titled, real events included in the story are connected with global events of the era, and the family history coincides with the history of the country. All this allows the reader to directly get acquainted with both the writer's worldview and beliefs, as well as the writer's contemporary historical era.

Key words: David Turdospireli, fiction and documentary prose

სამეწარმეო გუნდის როლი მეწარმეობის განვითარებაში

რინკიაშვილი ნანა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჯიმშიტაშვილი ია

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.30>

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში განხილულია სამეწარმეო კულტურა, რომელიც თანამედროვე ქართულ ბიზნესში ნაკლებად არის ფეხმოკიდებული და შესაბამისად ბიზნეს ოპერატორების მხრიდანაც ხშირად სათანადო ყურადღება არ ექცევა. თუმცა განვითარებული ქვეყნების ბიზნესის წარმოების კულტურაში მრავალი კვლევით დადგინდა რომ საქმიანობას გუნდი უკეთ ართმევს თავს ვიდრე ცალკეული მუშაკები. მიუხედავად იმისა რომ სამეწარმეო კულტურაში მოიაზრება ის მთელი გარემო სადაც ჩართული პირები მოტივირებულნი იქნებიან ინოვაციური იდეების გენერირებაზე და მათ განხორციელებაზე, ავტორები აქცენტებს ვამახვილებთ ამგვარი კულტურის მთავარ შემადგენელ და განუყოფელ ნაწილზე - მუშაკებზე, რომლებიც ქმნიან სამეწარმეო ჯგუფებს.

გამართული ბიზნეს კომპანიის ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ეფექტური სამეწარმეო გუნდის შექმნა. გუნდი უნდა იყოს კარგად შეკრული, მოქნილი ორგანიზმი და უნდა შეეძლოს ნებისმიერ ცვლილებაზე მოახდინოს სწრაფი და ეფექტური რეაგირება. ამგვარი ჯგუფების ფუნქციონირების მიზანი უნდა იყოს გრძელვადიანი დადებითი შედეგების მიღწევა, შესაძლოა სამუშაო ჯგუფი დროებითი იყოს, მაგრამ მათ მიერ დადებული შედეგი სამომავლოდ აუცილებლად მომგებიანი უნდა იყოს ნებისმიერი ბიზნესისათვის.

თანამედროვე კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით, ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია მეწარმის უნარზე მოახდინოს ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომლებიც შეძლებენ ახალი ინოვაციური იდეების გააზრებას, მის მიზანშეწონილობის ანალიზს და შედეგად ეფექტური ბიზნეს მოდელის განვითარებას, რათა ფირმამ მიაღწიოს ხანგრძლივ წარმატებას.

ავტორების მიერ შესწავლილი და გაანალიზებული იქნა რამოდენიმე მეცნიერული კვლევა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, რის შედეგადაც გამოვლინდა ნაშრომის მიზანი და ძირითადი აქცენტები გაკეთდა არა სამეწარმეო გუნდის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, რაც აღარ არის საკამათო არც სამეცნიერო და არც პრაქტიკული თვალსაზრისით, არამედ ჩვენ გამოვყავით სწორედ ის შეცდომები რაც შეიძლება მეწარმე - ბიზნესმენმა დაუშვას სამეწარმეო ჯგუფების ჩამოყალიბებისას.

როგორც აღნიშნულია სტატიაში, იმისათვის რომ, კონკურენტულ გარემოში ხანგრძლივ წარმატებას მიაღწიოს კომპანიამ, მნიშვნელოვანია გათავისებული იქნას ის ფაქტი რომ იდეა და შესაძლებლობა სრულიად განსხვავებული ფენომენებია და რომ იდეა გადაიქცეს კომპანიის შესაძლებლობად საჭიროა სამეწარმეო გუნდების ფუნქციონირება ორიენტირებული იყოს საერთო სტრატეგიული მიზნებისაკენ.

საკვანძო სიტყვები: სამეწარმეო გუნდი, სამეწარმეო კულტურა, გუნდის მართვა

სამეწარმეო კულტურა თანამედროვე ქართულ ბიზნესში ნაკლებად არის ფეხმოკიდებული და შესაბამისად ბიზნეს ოპერატორების მხრიდანაც ხშირად

სათანადო ყურადღება არ ექცევა. თუმცა განვითარებული ქვეყნების ბიზნესის წარმოების კულტურაში მრავალი კვლევით დადგინდა რომ საქმიანობას გუნდი უკეთ ართმევს თავს ვიდრე ცალკეული მუშაკები. სამეწარმეო კულტურაში მოიაზრება ის მთელი გარემო სადაც ჩართული პირები მოტივირებულნი იქნებიან ინოვაციური იდეების გენერირებაზე და მათ განხორციელებაზე, შესაბამისად ექნებათ გააზრებული შესაძლო რისკებიც რომლებმაც შეიძლება თავი იჩინოს ამა თუ იმ ბიზნეს ოპერაციის განხორციელებისას. ამგვარი კულტურის მთავარი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი არიან ის ადამიანები რომლებიც ქმნიან სამეწარმეო ჯგუფებს (Prandelli, E., Pasquini, M., Yerona, G., (2016), In User's Shoes: an experimental design on the role of perspectivetalking in discovering entrepreneurial opportunities. Jurnal of business venturing 31. no3, 287-301). აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ინოვაციების განხორციელება ყველა საწარმოში ვერ ხერხდება, რადგან ინოვაციები გარკვეულ წილად გულისხმობს მათი საქმიანობის მაღალ რისკს. თუმცა ფირმის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება ინოვაციების შექმნაზე და განხორციელებაზე, ფირმას საშუალებას აძლევს წარმატებით ფუნქციონირებდეს უკვე ათვისებულ დარგებში და შესაძლებლობას აძლევს ახალი მიმართულებებზე გადასასვლელად. სწორედ საწარმოს ინოვაციის ეფექტურ რეალიზაციაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეწარმეო გუნდი.

გამართული ბიზნეს კომპანიის ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ეფექტური სამეწარმეო გუნდის შექმნა. როგორც ცნობილია, გუნდში მოიაზრება რაიმე ნიშნით ადამიანთა გაერთიანება. გუნდი უნდა იყოს კარგად შეკრული, მოქნილი ორგანიზმი და უნდა შეეძლოს ნებისმიერ ცვლილებაზე მოახდინოს სწრაფი და ეფექტური რეაგირება. ამგვარი ჯგუფების ფუნქციონირების მიზანი უნდა იყოს გრძელვადიანი დადებითი შედეგების მიღწევა, შესაძლოა სამუშაო ჯგუფი დროებითი იყოს, მაგრამ მათ მიერ დადებული შედეგი სამომავლოდ აუცილებლად მომგებიანი უნდა იყოს ნებისმიერი ბიზნესისათვის.

თანამედროვე კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით, ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია მეწარმის უნარზე მოახდინოს ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომლებიც შეძლებენ ახალი ინოვაციური იდეების გააზრებას, მის მიზანშეწონილობის ანალიზს და შედეგად ეფექტური ბიზნეს მოდელის განვითარებას, რათა ფირმამ მიაღწიოს ხანგრძლივ წარმატებას.

მეწარმე დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს სამეწარმეო გუნდის ჩამოყალიბების პროცესს, რადგან ამ დროს მან შესაძლოა ბევრი შეცდომა დაუშვას. ეს შეცდომები შეიძლება გამოწვეული იყოს მუშაკთა მხრიდან ინოვაციების მიმართ ნაკლები ინტერესით, მათი იგნორირებით, მუშაკები შეიძლება ნაკლებად აქტიურები იყვნენ, გააჩნდეთ შიშები სიახლეების მიმართ, ასევე შესაძლოა შეფერხებები გამოიწვიოს კულტურულმა, გენდერულმა ანდა რელიგიურმა საკითხებმა. ამავე დროს კონფლიქტებმაც შეიძლება იჩინოს თავი, რაც რაღა თქმა უნდა უარყოფითად აისახება კომპანიის მომავალზე, მის იმიჯზე.

ჩვენ გამოვყავით რამოდენიმე სერიოზული შეცდომა, რომელიც შესაძლოა ჯანსაღი სამეწარმეო გუნდის ჩამოყალიბებაზე მომავალში დიდ როლს შეასრულებს და მეწარმეს დაეხმარება უკეთ წარმართოს კომპანიის მუშაობა.

1. კომპანიის მართვის პროცესებში ნაკლებად კვალიფიციური მეგობრების ნათესავების, ოჯახის წევრების ჩართვა - ალბათ არ ვიტყვით ახალს (და რაც უფრო მეტად დამახასიათებელია პოსტ საბჭოური სივრცისათვის), რომ ჯერ კიდევ მკვიდრად აქვს დასაქმების ამგვარ საშუალებას ფესვები გამდგარი, თუმცა თანდათან ბიზნესიც ხვდება, რომ დასაქმება ამგვარი ნიშნით არ არის მომგებიანი

საკუთარი ბიზნესის წარმოებისათვის, უფრო მეტიც, მან შეიძლება აზარალოს კიდევ ნებისმიერი ბიზნესი.

2. ერთხელ მიღწეული წარმატება არ ნიშნავს წარმატებას მუდმივად - შესაძლოა წინა პროექტი იყო ძალიან ინოვაციური და წარმატებული, შესაბამისად განხორციელებაში ჩართული გუნდიც იყო სათანადოდ შერჩეული, მაგრამ ყოველი ახალი წამოწყება საჭიროებს გუნდის შემადგენლობის, დროის, სხვა ყველა რესურსის გადახედვა-განახლებას;
3. ერთი ადამიანი არ არის გუნდი - რაც არ უნდა ჭკვიანი, განათლებული და უდიდესი გამოცდილების მქონე იყოს იგი, ვერ შეძლებს მარტომ სათანადოდ განახორციელოს ბიზნეს ოპერაცია, დაკავშირებული იქნება მარკეტინგთან, წარმოებასთან, ფინანსებთან თუ სხვა ნებისმიერი სახის პროცესებთან, მეწარმეს უნდა ქონდეს შესაბამისი ნათლად ჩამოყალიბებული იდეა, რომელსაც იგი წარუდგენს ჯგუფის წევრებს და მათთან ერთად (შესაძლოა) გაიწერება კონკრეტული სამუშაო გეგმა, გადანაწილდება პასუხისმგებლობები და შესაბამისი ვადები;
4. უნარების ნაკლებობა - ხშირად, როდესაც საქმე ეხება ინოვაციებს, კომპანიაში მუშაკები განიცდიან საჭირო უნარ-ჩვევების ნაკლებობას, დამანგრეველია ამ ფაქტის უგულვებელყოფა, არც სირცხვილია (არ უნდა აღიქმებოდეს და ფასდებოდეს მენეჯმენტის მხრიდან სირცხვილად) რაიმეს არცოდნა და ამ არცოდნის აღიარება. და როგორც შედეგი აუცილებლად შესაბამის მიმართულებაში უნდა მოხდეს ცოდნის გაღრმავება, იქნება ეს ტრენინგების, მასტერკლასების, კვალიფიკაციის ამაღლების, ექსპერტთა მოწვევის თუ სხვა ტიპის აქტივობების გამოყენებით;
5. ბუნდოვანი გეგმები - ზემოთ უკვე ვახსენეთ გეგმის ნაწილი, მაგრამ ეს საკითხი ცალკეულად გამოტანასაც საჭიროვებს, რადგან ხშირია შემთხვევები როდესაც კაშკაშა იდეები ჩავარდნილა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო რომ მენეჯმენტის მხრიდან არ იყო სწორად შემუშავებული და განხორციელებული სათანადო გეგმები, რა თქმა უნდა საუკეთესო გეგმა - აპრიორი არ ნიშნავს საქმიანობის საუკეთესოდ წარმართვას, მაგრამ მისი არ არსებობა საფუძველშივე კლავს განხორციელებას და ბოლო ჯამში მიგვიყვანს დიდ ზარალთან.

გარდა ამისა, სამეწარმეო გუნდში აუცილებელია რომ თითოეულმა მისმა წევრმა კარგად გაიაზროს საკუთარი ადგილი და როლი, მაქსიმალურად დარეგულირებული იყოს კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრის მექანიზმები, ობიექტურად იყოს გადანაწილებული ყველა საჭირო რესურსი და ეფექტურად მოქმედებდეს კომუნიკაციების საშუალებები.

როდესაც სამეწარმეო გუნდი შედგება უკვე ერთმანეთთან მუშაობის გამოცდილების მქონე თანამშრომლობისგან უფრო მაღალია ნდობის ფაქტორი, რდგან ნაცნობია ერთმანეთის უნარ-ჩვევები, მუშაობის სტილი, ხასიათი და ა.შ. შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოც უფრო სწრაფად და ხარისხიანად შესრულდება, მაგრამ თუ სამეწარმეო გუნდი პირველად იქმნება ან მასში ერთმანეთისთვის უცნობი მუშაკები ერთიანდებიან, მაშინ შედარებით მეტი დროა სავარაუდო, სანამ მუშაკები დაალაგებენ ერთმანეთში ურთიერთობებს, გუნდის შექმნის მეორე ეტაპიც ხომ სწორედ შეგუება-ადაპტაციას უკავშირდება.

Forbes-ის კვლევას [\[https://www.forbes.com/sites/forbescoachescouncil/2023/07/31/what-is-preventing-your-team-from-being-a-dream-team/?sh=45dc9b5e7c46\]](https://www.forbes.com/sites/forbescoachescouncil/2023/07/31/what-is-preventing-your-team-from-being-a-dream-team/?sh=45dc9b5e7c46) თუ დავეყრდნობით წარმატებული გუნდის მუშაობის სამ მთავარ კრიტერიუმს დავინახავთ, ესენია:

ნდობა, ანგარიშვალდებულება და ერთგულება. სამივე კრიტერიუმმა რომ სწორად იმუშაოს გუნდის უნდა არსებობდეს ჯანსაღი ურთიერთობები, ამისათვის კი საჭიროა სწორი სამეწარმეო კულტურის არსებობა, რეგულარული უკუკავშირის სისტემა და სწორი გეგმების სწორად მიდევნება.

როგორც უკვე ავლინებთ, ინოვაციები კონკურენტულ გარემოში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, თუმცა ბიზნესისათვის ახალი შესაძლებლობის მოძიება რთული პროცესია. აქ განსაკუთრებით მოვიაზრებთ ისეთ პროდუქტს/ მომსახურებას რომელიც არ წარმოადგენს უკვე არსებულის სახეცვლილ ვერსიას. საქართველოში ბიზნესის ახალი შესაძლებლობების ძიების გზაზე მეწარმეები ირჩევენ უკვე არსებულ პროდუქტს/ მომსახურებას და შემდეგ ცდილობენ აღნიშნული პროდუქტის განვითარებას - ოდნავ უკეთესი ვარიანტის შექმნით. შესაძლებელია ეს ერთი შეხედვით კარგია, მაგრამ ვფიქრობთ ბიზნესის შესაძლებლობების შეცნობის ძიების პროცესში აქცენტი უნდა გაკეთდეს არა იმაზე რა სურს, მეწარმეს არამედ იმ პროდუქტის/ მომსახურების იდენტიფიცირებაზე რომელის საჭიროებაც შეიძლება ქონდეს მომხმარებელს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევებით დადასტურებული ფაქტია რომ ნახევარზე მეტი წარმატებული კომპანიის საქმიანობა დაწყებულია ერთი ადამიანის მიერ, გუნდური მუშაობაც ძალზედ ეფექტური იარაღია კომპანიის შემდგომი განვითარების გზაზე.

ცხადია, ცალკეულ მეწარმეებს გაუძნელებათ რიგი პრობლემების გადაჭრა და მხოლოდ საკუთარი თავის იმედად ფუნქციონირება, სწორედ ამ თვალსაზრისით სახელმწიფოც უნდა იყოს ჩართული ბიზნეს სექტორის მხარდაჭერის საკითხებში, რისთვისაც 2014 წელს შეიქმნა მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომლის ერთერთი მიზანიც არის საქართველოში სამეწარმეო კულტურის დამკვიდრება, ასევე საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებიც მუშაობენ აღნიშნული მიმართულებით და სხვადასხვა ტიპის დახმარებას უწევენ (ტრენინგებისა და კონსულტაციების სახით) ადგილობრივ მეწარმეებს.

იმისათვის რომ, კონკურენტულ გარემოში ხანგრძლივ წარმატებას მიაღწიოს კომპანიამ, მნიშვნელოვანია გათავისებული იქნას ის ფაქტი რომ იდეა და შესაძლებლობა სრულიად განსხვავებული ფენომენებია და რომ იდეა გადაიქცეს კომპანიის შესაძლებლობად საჭიროა სამეწარმეო გუნდების ფუნქციონირება ორიენტირებული იყოს საერთო სტრატეგიული მიზნებისაკენ.

ლიტერატურა:

1. ბარინგერი, ბ.რ., აირლენდი რ.დ., (2019) მეწარმეობა, თბილისი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი).
2. Prandelli, E., Pasquini, M., Yerona, G., (2016), In User's Shoes: an experimental design on the role of perspectivetalking in discovering entrepreneurial opportunities. Jurnal of business venturing31. no3, 287-301.
3. <https://www.marketer.ge/1-leadership-habit/>
4. <https://geoeconomics.ge/?p=13751>
5. <https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/135815%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%90/2/>
6. <https://www.forbes.com/sites/forbescoachescouncil/2023/07/31/what-is-preventing-your-team-from-being-a-dream-team/?sh=45dc9b5e7c46>
7. <https://www.callbridge.com/ka/blog/good-team-dynamics-is-essential-in-the-workplace/>
8. <https://nssmenegment.wordpress.com/2011/10/11/%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90/>

The Role of the Entrepreneurial Team in the Development of Enterprises

Rinkiashvili Nana

Iakob Gogebashvili Telavi State University

Ia Jimshitashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract. In the article we discuss the entrepreneurial culture that is prevalent in modern Georgian business and, accordingly, does not pay enough attention by business operators. However, in the business culture of developed countries, many studies have shown that a professional team is superior to individual workers. Although entrepreneurial culture refers to the entire environment where individuals are motivated to generate innovative ideas and discuss them, the authors focus on the main component and integral part of the culture - the workers who form entrepreneurial groups.

One of the necessary conditions for the functioning of a business company is the creation of an effective entrepreneurial team. The team should be a well-knit, flexible organism and should be able to respond quickly and effectively to any changes. The goal of the functioning of such groups should be to achieve long-term positive results, the working group may be temporary, but the result they achieve should definitely be profitable for any business in the future.

Considering the modern competitive environment, the success of a business depends on the entrepreneur's ability to form a team that will be able to understand new innovative ideas, analyze their feasibility and, as a result, develop an effective business model so that the firm can achieve long-term success.

In the conditions of the modern competitive environment, more business operators will be able to form their own teams, which will be able to understand new ideas, analyze their feasibility and, as a result, develop a business model, which will allow the firm to achieve increased longevity.

The authors studied and analyzed several scientific studies and relevant scientific literature, as a result of which the purpose of the work was revealed and the main point here was not the importance and necessity of the entrepreneurial groups, which is no longer controversial from either a scientific or practical point of view, we have highlighted exactly those mistakes that the entrepreneur - businessman may make during forming an entrepreneurial group.

As we noted in the article, for a company to achieve long-term success in a competitive market, it is important to understand that the idea and an opportunity are completely different phenomena, and for the idea to turn into the opportunity for a company, the functioning of entrepreneurial teams needs to be oriented towards common strategic goals.

Key words: Entrepreneurial team, entrepreneurial culture, team management

გამაჯანსაღებელი ტურიზმის რესურსები და პერსპექტივები კახეთის რეგიონში - მდგრადი განვითარების კონტექსტში

ცქიტიშვილი ნელი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.31>

აბსტრაქტი. ნაშრომში „გამაჯანსაღებელი ტურიზმის რესურსები და პერსპექტივები კახეთის რეგიონში - მდგრადი განვითარების კონტექსტში“ განხილულია ტურიზმის ამ მიმართულების მზარდი მოთხოვნილების მიზეზები და ის შედეგები, რომელიც მას მოაქვს ქვეყნისა თუ რეგიონისთვის. ნაშრომის მიზანია, გაარკვიოს, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს იმისათვის, რომ კახეთის რეგიონში განვითარდეს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ცხოვრებაში უფრო და უფრო იზრდება მოგზაურთა ინტერესისამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის მიმართ, უპირატესობა კი, რაც ტურიზმის ამ მიმართულებას ახასიათებს, არის ვიზიტორთა მაღალი მხარჯველუნარიანობა.

საქართველომ 2024 წლის ტურიზმის სამოქმედო გეგმაში, მის საკომუნიკაციო სტრატეგიაში ერთ-ერთ მთავარ მიზნად გამაჯანსაღებელი და სამედიცინო ტურიზმის განვითარება მიუთითა. ქვეყანაში ბალნეო და კლიმატური კურორტების მიმართულების განვითარებისთვის ძალიან დიდი რესურსი არსებობს, რომელიც სრულად არ არის იდენტიფიცირებული და ათვისებული. მის ათვისებას წინ უნდა უძღვოდეს მეცნიერული კვლევები და მისი შედეგების ანალიზი.

მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახი, ტყე, ჯანსაღი გარემო, კლიმატი და ღვინის წარმოება, საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ კახეთის რეგიონში გამაჯანსაღებელი და „ველენს“ ტურიზმის განვითარების პერსპექტივები გამოვიკვლიოთ. რეგიონში არსებული ბუნებრივი და რეკრეაციული რესურსები უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი მოსახლეობის თუ უცხოელი ვიზიტორების დასვენების, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დასათვალიერებლად ჩამოსული სტუმარი ერთიდან სამ დღეზე მეტს არ ჩერდება კახეთში. იმისათვის, რომ მაღალმხარჯველიანი ტურისტი მოვიზიდოთ, რომლებიც უფრო ხანგრძლივად დარჩებიან დესტინაციის ადგილზე და უფრო მეტ ფულს დახარჯავენ, საჭიროა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარება.

ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნების მიხედვით, ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხი, უწყვეტობა და ბალანსი, რომელსაც კომპლექსური მიდგომა სჭირდება. ნაშრომში დასახული მიზნები განხორციელებადია, რადგან კახეთის რეგიონში არსებობს რეკრეაციული რესურსები სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარებისათვის; არსებული რესურსების შესასწავლად კი უნდა დაიწყოს კვლევები და მიღებული შედეგების მიხედვით შეიქმნას ერთიანი ბაზა; განისაზღვროს ამ რესურსების პოტენციალი.

საკვანძო სიტყვები: კახეთი; მდგრადობა; ტურიზმი; რეკრეაცია, მინერალური წყალი.

სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული სტრესი და დაბინძურებული გარემო თანამედროვე ადამიანის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქცა, რომელიც გავლენას

ახდენს მის ფსიქო-ემოციურ თუ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. აქედან გამომდინარე, დღეს, აქტუალური გახდა თავისუფალი დროის ისე გამოყენება, რომ ერთმანეთს ავსებდეს დასვენება, გაჯანსაღება, გართობა. ამიტომაც უფრო და უფრო იზრდება მოგზაურთა ინტერესი გამაჯანსაღებელი ტურიზმის მიმართ, იკვეთება მისი როლი და ის უპირატესობა, რაც ტურიზმის ამ მიმართულებას ახასიათებს - მაღალშემოსავლიანობა. სახელმწიფომ 2024 წლის ტურიზმის სამოქმედო გეგმაში, მის საკომუნიკაციო სტრატეგიაში, ერთ-ერთ მთავარ მიზნად გამაჯანსაღებელი და სამედიცინო ტურიზმის განვითარება მიუთითა. ქვეყანაში ბალნეო და კლიმატური კურორტების მიმართულების განვითარებისთვის ძალიან დიდი რესურსი არსებობს, რომელიც სრულად არ არის იდენტიფიცირებული და ათვისებული. მის ათვისებას წინ უნდა უძღვოდეს მეცნიერული კვლევები და მისი შედეგების ანალიზზე დაყრდნობით დაისახოს განვითარების პერსპექტივები.

მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახი, ტყე, ჯანსაღი გარემო და კლიმატი საკმარისია იმისათვის, რომ კახეთის რეგიონში გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების გზები მოვიძიოთ. რეგიონში არსებული ბუნებრივი და რეკრეაციული რესურსები უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი მოსახლეობის თუ უცხოელი ვიზიტორების დასვენების, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით. განმარტების მიხედვით, „რეკრეაციული რესურსი - ეს არის ბუნებრივი და ანთროპოგენური გეოსისტემა, ბუნების ორგანო და მოვლენა, რომლებიც ხასიათდებიან სპეციფიური თვისებებით და შესაძლებელია გამოყენებული იყოს ადამიანების გარკვეული კონტიგენტის დროის გარკვეულ პერიოდში ან სეზონზე დასვენებისა და გაჯანსაღებისათვის არსებული ტექნოლოგიებისა და მატერიალური შესაძლებლობების დახმარებით“.

რეკრეაციული რესურსების სახით კახეთს გააჩნია დაცული ტერიტორიები, სადაც შესაძლებელია როგორც ეკოლოგიური, ისე გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია მთათუშეთი, რომლის ბუნება, მდებარეობა, ჰავა, ჩანჩქერები, ტბები, გარდა ეკოლოგიური ტურიზმისა, შესაძლებლობას იძლევა ეთნო-კულტურული, სათავგადასავლო და რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისათვის. ამ დარგის განვითარება დაასაქმებს და შემოსავალს გაუჩენს ადგილობრივ თემს, რომელიც, თავის მხრივ, იზრუნებს ბუნების დაცვაზე, ძეგლების მოვლა-პატრონობაზე, ავთენტურობის შენარჩუნებაზე, რაც ტურიზმის მდგრადობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია.

კახეთის რეგიონში სრულად არ არის ათვისებული და გამოყენებული სამკურნალო ტურიზმის შესაძლებლობები, მაგალითად, კურორტი „ახტალა“, რომლის სამკურნალო ტალახი, სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობის და სწორი მარკეტინგის შემთხვევაში, შესაძლოა იქცეს როგორც კერძო ბიზნესის, ისე რეგიონის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობად. ცნობილია, რომ ნეფრიტით დაავადებულებს მკურნალობდნენ დედოფლისწყაროში არსებულ კლიმატკურორტზე, რომელიც სიმშრალით გამოირჩევა; საინტერესოა ლაგოდეხში მდებარე მინერალური წყლის კურორტი; კურორტი „უჯარმა“... იგივე ითქმის რეგიონში არსებულ სხვა თერმულ, სამკურნალო წყლებზე.

კონკრეტულად თუ ავიღებთ თელავის მუნიციპალიტეტში არსებულ რესურსებს, აქ რამდენიმე მნიშვნელოვანი ადგილი შეგვიძლია გამოვყოთ: კურორტი „თორღვას აბანო“, რომელიც მდებარეობს თუშეთისკენ მიმავალ გზაზე, ზღვის დონიდან 1750 მეტრ სიმაღლეზე. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მისი სამკურნალო რესურსია კლიმატოთერაპია და გოგირდწყალბადიანი თერმული წყლები, რომლის

შემადგენლობაში არის აგრეთვე ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი მინერალები. ჰავა საკმაოდ გრილია, ამდენად, აბაზანების მიღების საუკეთესო დრო ივნისიდან სექტემბრამდეა. გამაჯანსაღებელი აბაზანები, კლიმატი, წიწვოვანი ტყე და მდებარეობა ყველა პირობას ქმნის ამ კურორტის მეტად განვითარებისათვის. ეს კი შესაძლებელია მისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით და მარკეტინგული ღონისძიებების ჩართვით.

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრწყლებსაც აგრეთვე, აქვს რესურსი, რომ სამკურნალო ტურიზმის კერად იქცეს. თეთრწყლებიც მთის კურორტს მიეკუთვნება, რომელიც მდებარეობს 1200 მეტრზე ზღვის დონიდან, გომბორის ქედის კალთაზე. აქაც ჩამოედინება გოგირდოვანი წყლები, რომლებიც ეფექტურია სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ, ამას ემატება ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ჯანსაღი ჰავა და ლამაზი ბუნება. აქ არსებული შუა საუკუნეების ეკლესიათა ნაშთების მონახულება საინტერესო იქნება კულტურული ტურებისა და ფეხით მოლაშქრეებისთვის.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დასათვალისწინებლად ჩამოსული სტუმარი ერთიდან სამ დღეზე მეტს არ ჩერდება ჩვენს რეგიონში. იმისათვის, რომ მაღალმხარჯველიანი ტურისტი მოვიზიდოთ, რომლებიც უფრო ხანგრძლივად დარჩებიან დესტინაციის ადგილზე და უფრო მეტ ფულს დახარჯავენ, საჭიროა გამაჯანსაღებელი ტურიზმის, დასასვენებელი ადგილების, კურორტების განვითარება. ეს უზრუნველყოფს ტურისტების სტაბილური ნაკადების მოძრაობას.

სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის სამი კვარტლის მონაცემებით, დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით საქართველოს სტუმრობდა: პირველ კვარტალში - 517,947 (44,8 %), მეორე კვარტალში - 822,220 (53,7%) მესამე კვარტალში - 1395,146 (54,2%); უშუალოდ, მკურნალობა-გაჯანსაღების მიზნით, 2024 წლის სამი კვარტლის მიხედვით, საქართველოს მხოლოდ 19 ათასი ვიზიტორი ეწვია, ეს კი ტურისტთა მხოლოდ 0,41 პროცენტს შეადგენს, რაც ცხადყოფს, რომ ტურიზმის ადმინისტრაციამ და სახელმწიფომ დროულად უნდა იმოქმედოს სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ობიექტების, მათი ინფრასტრუქტურის შექმნაზე და ამ მიმართულების პოპულარიზაციაზე.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ჯგუფმა, პროექტის „თელავის მუნიციპალიტეტის ტურისტული ინდუსტრიის სერვისების შესწავლა, ანალიზი და კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება“ ფარგლებში ვაწარმოეთ კახეთის რეგიონში ტურისტული მომსახურების მომწოდებელთა კვლევა. განთავსების ინდუსტრიის კვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სტუმრები სასტუმროს შერჩევისას უპირატესობას ანიჭებენ შეთავაზებულ ფასებსა და მომსახურების დონეს, ასევე სასტუმროს ცნობადობას. შემდეგ მოდის აქციები, ფასდაკლება... რესპონდენტებმა რეკლამას ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭეს. როგორც კვლევამ გვაჩვენა, სტუმრების დიდი უმრავლესობა - 62.5 % - 1-2 დღით რჩებიან კახეთში, 37.5% - 3-6 დღე. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კახეთში ტურისტული პოტენციალი სრულად არ არის ათვისებული.

პროექტის შედეგების ანალიზში ნათქვამია: „გამოკითხულთა უმრავლესობის (დაახლოებით 83%) კახეთში ვიზიტის მიზანი იყო დასვენება/ გართობა/ რეკრეაცია, ჩვენ დავინტერესდით მათ მიერ ძირითადი მოსანახულებელი დესტინაციებით. სურათი ასე გადანაწილდა: საგარეჯო - დავითგარეჯი; თელავში: ერეკლე მეფის სახლ-მუზეუმი/თელავის ისტორიული მუზეუმი; ჭადარი; ნადიკვრის პარკი; ისტორიული ქუჩები; ეკლესიები; სიღნაღი, ბოდბის მონასტერი; ღვინის მარნები და

მასტერკლასები; მემორიალური და სახელმწიფო მუზეუმები; კულტურული და ისტორიული ღირსესანიშნაობები; თელავი და თელავთან ახლოს მდებარე ღირსესანიშნაობები (წინანდალი, იყალთო, შუამთა); ახმეტაში - ალავერდი.

თუ გავანალიზებთ გამოკითხვის შედეგებს, ვდგებით იმ ფაქტის წინაშე, რომ ჩვენი რეგიონის სტუმრებმა მხოლოდ ნაწილობრივ მიიღეს ის მოლოდინი, რა მიზნითაც ისინი ეწვივნენ კახეთს - დასვენება, გართობა, რეკრეაცია. მათ მოინახულეს ისეთი ადგილები, რომლებსაც ძირითადად შემეცნებითი და კულტურული ღირებულება გააჩნიათ და ნაკლებად - გართობა-რეკრეაცია-დასვენების. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასაგეგმი და საფიქრალი ტურიზმის დარგის განსავითარებლად.

როდესაც მდგრადობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა გამოგვჩქეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა უსაფრთხოება. განსაკუთრებით ეს ეხება სათავგადასავლო ტურებს მაღალმთიან ადგილებში და დაცულ ტერიტორიებზე, სადაც განთავსებული უნდა იყოს გამაფრთხილებელი ფირნიშები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. თუშეთის გზა, ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო გზად არის აღიარებული და აქ არცთუ იშვიათია უბედური შემთხვევები, რომელთა აცილება შესაძლებელია უსაფრთხოების მკაცრი სტანდარტების დანერგვით და დაცვით.

დასკვნის სახით იმის თქმა შეიძლება, რომ ტურიზმის დადებითი ეფექტის მისაღებად საჭიროა დარგის განვითარების სტრატეგიის ზედმიწევნით სწორად დაგეგმვა და კონტროლი, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა და მეტი ჩართულობა, რაც ტურიზმის მდგრადი განვითარების საწინდარი იქნება.

მდგრადი ტურიზმი სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება: ხარისხი; უწყვეტობა; ბალანსი. სამივე მათგანი თანაბრად მნიშვნელოვანია ტურიზმს მდგრადი განვითარებისთვის, რომელსაც სჭირდება კომპლექსური მიდგომა. ამისათვის აუცილებელია ქმედითი ღონისძიებების გატარება - ცოდნის დეფიციტის აღმოფხვრიდან დაწყებული, ფინანსური ხელმისაწვდომობით დამთავრებული; საჭიროა შეიქმნას ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმები კახეთის რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტში; ღვინის მწარმოებელი მთავარი რეგიონი ვართ და საჭიროა ვიფიქროთ „ველენს ტურიზმის“ განვითარებაზე, რომელიც გამაჯანსაღებელი ტურიზმის კომპონენტია. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე იმ ნაბიჯებზე, რომ დავიწყოთ გამაჯანსაღებელ-რეკრეაციული ტურიზმის კვლევა - მისი რესურსების სრულად ათვისების მიზნით. ვფიქრობთ, ამ ყოველივეს კოორდინაცია უნდა ითაოს ადგილობრივმა „დმო“-მ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული პირების შეხვედრები სხვადასხვა ფორმატში, რათა შემუშავდეს როგორც სტრატეგიული, ისე მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები, რათა დაიწყოს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

დასკვნის სახით, იმის თქმა შეგვიძლია, რომ:

კახეთის რეგიონში არსებობს რეკრეაციული რესურსები სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარებისათვის;

არსებული რესურსების შესასწავლად უნდა დაიწყოს კვლევები და მიღებული შედეგების მიხედვით ერთიანი ბაზა შეიქმნას; განისაზღვროს ამ რესურსების პოტენციალი;

გამოვლინდეს ის ხარვეზები და მიზეზები, რა უშლის ხელს გამაჯანსაღებელი კურორტების განვითარებას;

ადგილობრივმა „დმო“-მ უნდა უზრუნველყოს გამაჯანსაღებელ-რეკრეაციული და ე.წ. „ველენს ტურიზმის“ განვითარებით დაინტერესებული კერძო ბიზნესის და

ხელისუფლების ჩართულობის კოორდინაცია, რაც ხელს შეუწყობს კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად მიმართული გეგმების შედგენას და მის რეალიზებას.

თუ წამოჭრილი ამოცანები განხორციელდება, რეგიონში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები რეალურად არსებობს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ტურიზმის მდგრადობისთვის აუცილებელია ტურისტული შეთავაზებების მრავალფეროვნება და გართობისათვის მეტი რესურსის მოძიება, რაც ჩვენს რეგიონს უფრო მეტ მიმზიდველობას და მეტ ვიზიტორს შესძენს.

ლიტერატურა:

1. <https://www.unwto.org/>
2. <https://apa.gov.ge/ge/>
3. პროექტის –“თელავის მუნიციპალიტეტის ტურისტული ინდუსტრიის სერვისების შესწავლა, ანალიზი და კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება”- მასალები.

Resources and Prospects of Wellness Tourism in Kakheti Region within the Context of Sustainable Development

Tskitishvili Nelly

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract. The study “*Resources and Prospects of Wellness Tourism in Kakheti Region within the Context of Sustainable Development*” examines the growing demand for wellness tourism and its implications for the country and the region. The aim of the paper is to identify the measures necessary for the development of therapeutic and wellness tourism in Kakheti region. Statistics demonstrate an increasing interest among modern travelers in therapeutic and wellness tourism, which is characterized by a significant advantage: high-spending visitors.

Georgia's 2024 Tourism Action Plan and its communication strategy have identified the development of wellness and medical tourism as one of the primary objectives. The country possesses substantial resources for the development of balneological and climatic resorts, which remain largely unexploited and unstudied. The development of these resources should be preceded by scientific research and the analysis of its findings.

Mineral waters, therapeutic mud, forests, a healthy environment, favorable climate, and wine production provide sufficient grounds to explore the potential for developing wellness and “wellness” tourism in Kakheti region. The natural and recreational resources in the region should be utilized more actively for the purposes of relaxation, prevention, and rehabilitation for both local residents and foreign visitors. Notably, tourists who visit Kakheti for sightseeing tend to stay for no more than one to three days. To attract high-spending tourists who are likely to stay longer and spend more at the destination, it is essential to develop therapeutic and wellness tourism.

The conclusions presented in the study highlight the importance of quality, continuity, and balance for the sustainable development of tourism, requiring a comprehensive approach. The objectives outlined in the study are achievable, as Kakheti region has the necessary recreational resources for the development of therapeutic and wellness tourism. To properly assess these resources, research should be initiated, and a unified database should be created based on the findings. Additionally, the potential of these resources must be clearly defined.

Keywords: *Kakheti; Sustainability; Tourism; Recreation; Mineral Waters.*

WEB – CMS ტექნოლოგიები და მომავლის გამოწვევები

ზაქარიაშვილი მარიამ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.32>

აბსტრაქტი. WEB - ტექნოლოგიების განვითარება ციფრული ეპოქის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. ვებ საიტების კონტენტის მართვის სისტემები (Web Content Management Systems - CMS) უზრუნველყოფენ მომხმარებლებისთვის მონაცემების მარტივად შექმნას, მართვასა და განახლებას სიღრმისეული ტექნიკური ცოდნის გარეშე. მათი ევოლუცია მიემართება WEB 1.0-ის სტატიკური სტრუქტურებიდან WEB 3.0-ის დეცენტრალიზებული და ინტელექტუალური პლატფორმებისკენ.

ნაშრომის მიზანია გაგაცნოთ:

WEB ტექნოლოგიების განვითარების ევოლუციური აღმავლობა - WEB1; WEB2; WEB3; CMS და WCMS ტექნოლოგიების ძირითადი ასპექტები;

WEB3 ტექნოლოგიების ძირითადი ტენდენციები - WEB ტექნოლოგიების განვითარების მომავლის გამოწვევები;

WEB2 ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ვებ საიტების ნიმუშები. ჩემი პრაქტიკა - სასწავლო პროექტის ფარგლებში შესრულებული პრაქტიკული მოდელები. სახელდობრ, ბლოგური ტიპის საიტები, რაც განთავსებულია ღრუბლოვან სივრცეში - www.wordpress.com www.blogger.com www.sites.google.com

საკვანძო სიტყვები: WEB1; WEB2; WEB3; CMS; WCMS კონტენტის მართვის სისტემები; WordPress.com; Blogger.com; Sites.google.com

შესავალი

WEB-CMS ტექნოლოგიების განვითარებამ სრულიად შეცვალა მსოფლიო საზოგადოების კოლაბორაციის, კომუნიკაციის კულტურა. CMS-ზე დაფუძნებული ვებ საიტების აგება, ღრუბლოვან სივრცეში განთავსება დღეისათვის მოთხოვნადია. CMS კონტენტის მართვის სისტემები გადაიქცნენ აუცილებელ ინსტრუმენტებად ბიზნესისა და ინდივიდებისთვის, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის მოსახერხებელ და ეფექტურ პლატფორმას ინფორმაციის ორგანიზებისა და გავრცელებისთვის.

CMS პლატფორმები გვთავაზობს უამრავ სარგებელს, მათ შორის გამოყენების სიმარტივეს, მასშტაბურობას და პერსონალიზაციის ვარიანტებს. ისინი მცირე ტექნიკური გამოცდილების მქონე მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შექმნან და მართონ პროფესიონალური ვებსაიტები ან ონლაინ აპლიკაციები, ინტუიციური ინტერფეისებით, შაბლონებისა და დანამატების ფართო სპექტრით, CMS აძლევს მომხმარებლებს უფლებას შექმნან და შეცვალონ თავიანთი ციფრული მდგომარეობა კოდირების ფართო ცოდნის გარეშე.

CMS პლატფორმების გამოყენების, მათზე ბლოგური ტიპის საიტების აგების შესახებ დამხმარე ტექსტური თუ ვიდეო საგანმანათლებლო რესურსი ინტერნეტ სივრცეში უზვადაა წარმოდგენილი, რომელსაც მრავალი მომხმარებელი ეცნობა და კოდირების გარეშე აგებს

ეფექტურ საიტებს. ასეთი პლატფორმების მაგალითებია: WordPress; Joomla; Drupal; Shopify; Magento (Adobe Commerce); Wix; Squarespace; Ghost; Typo3; HubSpot CMS და სხვ.

WEB-CMS ტექნოლოგიების გამოყენების მკვეთრად გამოხატული აქტუალობიდან გამომდინარე წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია WEB-CMS-ის ძირითადი ცნებები, WEB ტექნოლოგიების განვითარების ევოლუციური აღმავლობა; სტუდენტებთან „WEB-CMS ტექნოლოგიების“ კურსში სასწავლო პროექტის ფარგლებში შესრულებული ბლოგური ტიპის საგანმანათლებლო დანიშნულების საიტების მოდელების ნიმუშები www.wordpress.com, www.blogger.com, www.sites.google.com ონლაინ გარემოში.

1. რა არის WEB ; WWW – World Wide Web

WEB (World Wide Web), ან უბრალოდ „ვებ“, არის გლობალური, მრავალმხრივი და ინტერაქტიული ციფრული სივრცე, რომელიც საშუალებას იძლევა მომხმარებლები კომუნიკაციაში შევიდნენ, მოახდინონ ინფორმაციის გაცვლა და გამოიყენონ სხვადასხვა სერვისი ინტერნეტის მეშვეობით. [2]; [3] [7]


ძირითადი მახასიათებლები:

- **ჰიპერტექსტური სისტემა:**
 - ✓ ვებ საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ინფორმაციის გადახედვას ჰიპერბმულების საშუალებით, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ ვებსაიტებს ან მონაცემების კონკრეტულ ნაწილებს.
- **სამი ძირითადი კომპონენტი:**
 - ✓ **URL (Uniform Resource Locator):** ვებსაიტის უნიკალური მისამართი.
 - ✓ **HTTP/HTTPS (HyperText Transfer Protocol):** კომუნიკაციის პროტოკოლი, რომელიც უზრუნველყოფს ვებსერვერებსა და ბრაუზერებს შორის ინფორმაციის გაცვლას.
 - ✓ **HTML (HyperText Markup Language):** ენა, რომელიც განსაზღვრავს ვებსაიტის სტრუქტურასა და კონტენტს.
- **ბრაუზერები:**
 - ✓ ვებში ჩასართავად საჭიროა ვებბრაუზერი (მაგ., Google Chrome, Mozilla Firefox, Safari), რომელიც მონაცემებს ინტერპრეტაციას უწევს და წარმოადგენს ეკრანზე.
- **ინტერაქტიულობა და დინამიკა:**
 - ✓ თანამედროვე ვებტექნოლოგიები, როგორცაა JavaScript, CSS და სხვადასხვა ვებჩარჩოები, ქმნიან ინტერაქტიულ და მოქნილ ვებსაიტებს.

2. WEB ევოლუცია: WEB.1; WEB.2; WEB . 3

მიუხედავად იმისა, რომ უკვე წლებია რაც [ინტერნეტს](#) იყენებთ შეიძლება არ იცოდეთ, რომ მისი რამდენიმე ვერსია არსებობს - Web1, Web2, Web3. არსებობის მანძილზე ინტერნეტმა სხვადასხვა ვერსია წარადგინა, რომელთაგანაც ყოველი მომდევნო ვერსია წინაზე ბევრად განვითარებულია. [11]







WEB .1 - ტექნოლოგია

ინტერნეტის პირველი ვერსია, რომელიც ცნობილია როგორც Web 1.0, არსებობდა ოთხმოცდაათიანი წლების და საუკუნის ნულოვანი წლების დასაწყისებს შორის.

1989 წელს, ჟენევაში, ცერნში, რომელიც წარმოადგენს ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრს, ტიმ ბერნერს-ლი მუშაობდა პროტოკოლზე, რომელიც შემდეგ ინტერნეტის სახელით გახდა ცნობილი. მისი იდეა იყო შეექმნა ღია, დეცენტრალიზირებული პროტოკოლი, რომლის წყალობითაც ინფორმაციის გაზიარება დედამიწის ნებისმიერ წერტილში იქნებოდა შესაძლებელი.

პირველი ხელმისაწვდომი ვებსაიტები სტატიკური ხასიათის საიტები იყო, რომლებსაც კომპანიები ფლობდნენ და მომხმარებელთან მათი ინტერაქცია თითქმის ნულს უტოლდებოდა. საიტზე შემსვლელთათვის ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია, მაგრამ მხოლოდ კითხვის რეჟიმში.

Web 1.0-ის ფაზა: წაკითხვით მხოლოდ (1990-2004)





WEB.2 - ტექნოლოგია

Web2-ის პერიოდი დაიწყო 2004 წელს, სოციალური მედიის ფართო გავრცელების შემდეგ. მაშინ როდესაც Web1-ის მთავარი მიზანი მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება იყო, Web2-ის მთავარი ფოკუსი მომხმარებლებთან ინტერაქცია გახდა.

მომხმარებლებმა თავიანთი ინფორმაცია საჯარო გახადეს სერვისის მიმწოდებლებისათვის ისეთ სფეროებში, როგორცაა სოციალური მედია, ელექტრონული მარკეტინგი, გადახდის პროვაიდერები და ა.შ.

ინტერნეტში ძიება უფრო პერსონალიზირებული გახდა, რადგან ერთი და იგივე კომპანია, ორი სხვადასხვა მომხმარებლისაგან განსხვავებულ მონაცემებს იღებს და მათთვის პრიორიტეტულ ინფორმაციას უჩვენებს.

Web 2.0-ის ფაზა: წაკითხვით-დაწერე (2004-დღემდე)



WEB.3 - ტექნოლოგია

Web3-ის ჰიპოთეზა პირველად წამოაყენა ეთერიუმის თანადამფუძნებელმა გეივინ ვუდმა ეთერიუმის დაარსებიდან მალევე, 2014 წელს. მისი სიტყვებით, ახალი კონცეპტი მოაგვარებდა კრიპტო ინვესტორებს შორის ყველაზე გავრცელებულ პრობლემას: ინტერნეტისადმი ნდობას.

Web3 გახდა ახალი ტერმინი უკეთესი ინტერნეტისა, რომლის მთავარ ბირთვს ბლოქჩეინის ტექნოლოგია, კრიპტოვალუტები და NFT-ები (არა-ჩანაცვლებადი ტოკენი) წარმოადგენს.

ახალი ინტერნეტის მთავარი აზრი არის იმაში, რომ საკუთრების უფლება გააჩნიათ მომხმარებლებს და არა ცალკეულ კორპორაციებსა თუ კომპანიებს.

Web 3.0-ის ფაზა: წაიკითხე-დაწერე-იქონიე



3. რა არის CMS ტექნოლოგია. ძირითადი ასპექტები

CMS არის WEB კონტენტის (შინაარსის) მართვის სისტემის აბრევიატურა. CMS - Content Management System. [2] [3]

WEB კონტენტის მართვის სისტემა (CMS) არის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაცია ან დაკავშირებული პროგრამების ნაკრები, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შექმნან, მართონ და გამოაქვეყნონ ციფრული შინაარსი ინტერნეტში.

CMS უზრუნველყოფს მოსახერხებელი ინტერფეისის და უამრავ ინსტრუმენტს, რომელიც ამარტივებს შინაარსის შექმნისა და ორგანიზების პროცესს.


CMS-ის უპირველესი მიზანია შინაარსის გამოყოფა ვებსაიტის დიზაინისა და ფუნქციონალებისგან, რაც საშუალებას აძლევს არატექნიკურ მომხმარებლებს განაახლონ და მართონ კონტენტი (შინაარსი), კოდირების ან ვებ განვითარების ფართო ცოდნის საჭიროების გარეშე. ეს საშუალებას აძლევს ვებსაიტების მფლობელებს, ადმინისტრატორებს და კონტენტის შემქმნელებს ფოკუსირება მოახდინონ მიმზიდველი შინაარსის შექმნაზე და მიწოდებაზე ტექნიკური ასპექტების შესახებ ფიქრის გარეშე.

CMS ტექნოლოგიის ძირითადი კომპონენტებია:

- ✓ კონტენტის მიწოდების აპლიკაცია;
- ✓ შინაარსის მიწოდების აპლიკაცია.
- ✓

WCMS WEB Content Management System (ვებ კონტენტის მართვის სისტემა)

WCMS, ვებ კონტენტის მართვის სისტემა, არის სპეციალიზებული CMS, რომელიც შექმნილია ვებსაიტის შინაარსის ეფექტურად დასამუშავებლად. მისი ძირითადი აქცენტი არის ონლაინ შინაარსის შექმნის, ორგანიზებისა და გამოქვეყნების ხელშეწყობა. WCMS პლატფორმები გვთავაზობენ ფუნქციების ფართო სპექტრს, რომლებიც მორგებულია სპეციალურად ვებსაიტის




მენეჯმენტისთვის, მათ შორის მორგებული შაბლონები, თემები, SEO ოპტიმიზაციის ხელსაწყოები, ნავიგაციის კონტროლი და შინაარსის ვერსიები. არსებითად, WCMS არის CMS-ის ქვეკატეგორია, რომელიც ხაზს უსვამს ვებსაიტის შინაარსის მართვას და ოპტიმიზაციას. [10] [8] [9]

რა ქმნის კონტენტის მართვის სისტემას?


კონტენტის მართვის სისტემა (CMS) ჩვეულებრივ მოიცავს რამდენიმე ძირითად განყოფილებას, რომელიც ხელს უწყობს კონტენტის შექმნას, მართვას და მიწოდებას.

ეს სექციები ერთად მუშაობენ, რათა უზრუნველყონ ყოვლისმომცველი გადაწყვეტა კონტენტის ეფექტურად მართვისთვის, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შექმნან, მოაწიონ და მიაწოდონ შინაარსი ეფექტურად ვებსაიტის ან აპლიკაციის დიზაინსა და ფუნქციონალურობაზე კონტროლის შენარჩუნებით.



კონტენტის მართვის სისტემების ტიპები

ონლაინ შინაარსის გამოქვეყნება უკვე სტანდარტია თითქმის ყველა ინდუსტრიაში. ვინაიდან თითოეულ სექტორს აქვს განსხვავებული მოთხოვნები, უნდა გვესმოდეს, თუ რა ტიპის CMS არის ხელმისაწვდომი და რომელია ყველაზე შესაფერისი მათი ბიზნეს მოდელისთვის. წარმოგიდგინებ ზოგიერთ ყველაზე პოპულარულ ტიპს.



პოპულარული კონტენტის მართვის სისტემების მაგალითები

ხელმისაწვდომია კონტენტის მართვის რამდენიმე პოპულარული სისტემა (CMS), რომელთაგან თითოეულს აქვს ძლიერი მხარეები და ვარგისიანობა სხვადასხვა ვებსაიტებისა და აპლიკაციებისთვის. წარმოგიდგინებ ზოგიერთ ყველაზე პოპულარულ სისტემას: WordPress; Drupal; Joomla; Wix; Shopify.

როგორ ავაგოთ ვებ გვერდი კონტენტის მართვის სისტემით

ვებსაიტის შექმნა კონტენტის მართვის სისტემით (CMS) ჩვეულებრივ მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

- ✓ აირჩიეთ CMS;
- ✓ აირჩიეთ დომენი და ჰოსტინგი;
- ✓ დააინსტალირეთ CMS;
- ✓ შეცვალეთ საიტის გარეგნობა;
- ✓ დაამატეთ და მართეთ კონტენტი;
- ✓ გააფართოვეთ ფუნქციონირება დანამატებით ან გაფართოებებით;
- ✓ პარამეტრების კონფიგურაცია და SEO-ს ოპტიმიზაცია;
- ✓ ტესტი და გადახედვა;
- ✓ გაუშვით თქვენი ვებგვერდი;
- ✓ შენარჩუნება და განახლება.

4. WEB2 - CMS ტექნოლოგია. ინტერნეტის ხელახალი დაბადება

WEB. 2 ტექნოლოგია დაფუძნებულია CMS პრინციპებზე. მისმა ფუძემდებელმა, დეილ

დაგერტიმ, ჯერ კიდევ 2004 წელს, შესანიშნავად განსაზღვრა ინტერნეტის განვითარების პერსპექტივები, მიუხედავად იმ პერიოდში მომძლავრებული ინტერნეტ კომპანიების კრახისა, მიხვდა რომ ინტერნეტის ეპოქა არ შეიძლებოდა ასე უბრალოდ დამთავრებულიყო. ამგვარად, დაიწყო ინტერნეტის ხელმეორედ დაბადების ერა და ერთერთი მნიშვნელოვანი წინადადებული ნაბიჯი გახლდათ WEB.2.0. თუ კი აქამდე ინტერნეტში ინფორმაციას მხოლოდ პროგრამისტები ანთავსებდნენ, ახლა საიტის კონტენტის შექმნა მომხმარებლებსაც შეეძლოთ. ყველაზე ცნობილი პლატფორმები, სადაც მომხმარებელს თავად შეუძლია კონტენტის განთავსება არის facebook, Wikipedia, Youtube, Fliker, Blogger, Wordpress. [6]


უკვე წლებია WEB 2 ტექნოლოგიებს კონკურენტი არ ჰყავს, ის ყველა ჩვენთაგანს ეხმარება ყოველდღიურად. სწორედ WEB 2 ტექნოლოგიების დამსახურებაა, რომ ვებებზე სხვადასხვა ვებ გვერდებს. ან თუნდაც შეგვიძლია შევქმნათ დამოუკიდებლად ახალი ვებ გვერდი.

ჩემი პრაქტიკა - WEB 2 ტექნოლოგიების წარმატებულად გამოყენების დასტურად წარმოგიდგინთ პრაქტიკული მოდელის ნიმუშებს, რომლებიც შესრულებულია სტუდენტებთან „WEB – CMS ტექნოლოგიების“ კურსში სასწავლო პროექტის ფარგლებში, განთავსებულია უფასო ღრუბლოვანი სერვერში

➤ **WEB2 – Wordpress.com** [15]

➤ <https://wordpress.com/> - Log.in - რეგისტრაცია / ავტორიზაცია.

არსებული ანგარიშის პირობებში ვირჩევთ ფოსტას, რომლითაც გავიარეთ რეგისტრაცია. წარმოგიდგინთ ვებ საიტის ნიმუშის ბმულს <https://dodonasprojects.wordpress.com/>




➤ **WEB2 – blogger.com** [16]

<https://www.blogger.com/about/?bpli=1> რეგისტრაცია (ვიყენებთ Gmail ფოსტას) /ავტორიზაცია. არსებული ანგარიშის პირობებში sign.in ვირჩევთ ფოსტას, რომლითაც გავიარეთ რეგისტრაცია, ვუთითებთ პაროლს. წარმოგიდგინთ ბლოგური ტიპის საიტის ნიმუშის ბმულს:

✓ მარიამის ონლაინ სტუდია <https://mariamtesau.blogspot.com/>

✓ ვისწავლოთ ბლოგზე მუშაობა <https://web2-cms-blogger.blogspot.com/>




➤ **WEB2 – Google Site [17]**

<http://sites.google.com> რეგისტრაცია (ვიყენებთ Gmail ფოსტას)/ავტორიზაცია.

არსებული ანგარიშის პირობებში ვირჩევთ ფოსტას, რომლითაც გავიარეთ რეგისტრაცია. გთავაზობთ Google საიტის გაზიარების ბმულს


<https://sites.google.com/view/satesto1/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98>




5. WEB3 ტექნოლოგია და მომავლის გამოწვევები

Web3 წარმოადგენს მსოფლიო აბლაბუდის (WWW – World Wide Web) ახალ ვერსიას, მესამე თაობის ინტერნეტს, რომელიც დაფუძნებულია ჰქვიანი კომპიუტერის აპლიკაციებზე, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება. იგი გამიზნულია [ბლოკჩეინის](#), 3D გრაფიკის, მეტავერსიისა და სემანტიკური ვებ-ის გამოყენებაზე. [1] [11] [13] [14]

WEB. 3 - ის 5 საუკეთესო ტენდენცია:



Web3-ის ძირითადი პრინციპი ეს არის: დეცენტრალიზაცია. Web 2.0-ში ინფორმაციის მოსაძებნად კომპიუტერები იყენებენ HTTP-ს, რომელიც ჩვეულებრივ, ერთ სერვერზე ინახებოდა. Web 3.0-ში ინფორმაცია მოიძებნება მის შინაარსზე დაყრდნობით, ასე, რომ ის შეიძლება ინახებოდეს რამდენიმე ადგილას ერთდროულად.



Web3 - ის მომავალი

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ რომ Web2-დან Web3-ის ფაზაში გადასვლის პროცესი უკვე საწყის სტადიაზეა და მიუხედავად არსებული პრობლემებისა, გამორიცხული არაა რომ Web3-ის საბოლოო, მსოფლიო მასშტაბით ინტეგრაცია მალე ვიხილოთ.

მიუხედავად იმისა, რომ Web3-ის აპლიკაციები უკვე გამოიყენება, მაინც არის იმის ეჭვი, რომ ახალი, უკეთესი ინტერნეტის იდეა სპეკულაციას წარმოადგენს. SpaceX-ის დამფუძნებელი და Tesla, Inc.-ის თანადამფუძნებელი ელონ მასკი და სოციალურ ქსელ ტვიტერის დამფუძნებელი ჯეკ დორსი Web3-ს უბრალოდ მარკეტინგულ ტერმინად მიიჩნევენ. არსებობს ასევე შევითხვები იმასთან დაკავშირებით ჭეშმარიტად დეცენტრალიზირებული იქნება მომავლის ინტერნეტი თუ არა და კონტროლის სადავეების მოშვებით რამდენად უსაფრთხო გარემო შეიქმნება. [12]

დასკვნა

WEB-CMS ტექნოლოგიების განვითარება, ვებ 1.0-ის უბრალო სტატიკური ვებსაიტებიდან ვებ 3.0-ის დეცენტრალიზებულ და ინტელექტუალურ პლატფორმებამდე, აჩვენებს ვებ-ინოვაციის გრძელვადიან პერსპექტივას. Web3 ტექნოლოგიების აქტუალობა დღეს უმთავრესად გამოხატულია მონაცემთა უსაფრთხოების, კონფიდენციალურობის და ახალი ეკონომიკური მოდელების ჩამოყალიბების შესაძლებლობებში. თუმცა, მომავლის CMS სისტემებს სჭირდებათ მრავალი გამოწვევის გადალახვა, რათა მომხმარებლებისთვის კიდევ უფრო კომფორტული და უსაფრთხო გახდეს ციფრული სამყარო.

ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი, სანამ Web3-ის სრულყოფილ გავრცელებას დავინახავთ. უახლოეს წლებში ინტერნეტი იქნება უფრო მეტი, ვიდრე მულტიმედიური კომუნიკაციის ადგილი. ის გახდება ვირტუალური სამყარო, რომელიც იყენებს ხელოვნურ ინტელექტს და სხვა მსგავს ტექნოლოგიებს, რომლებიც დაეხმარება მომხმარებლებს ურთიერთქმედების ახალ დონეზე გადასვლაში.

ლიტერატურა და ინტერნეტ წყაროები

1. ბლოკჩეინი - რა არის ბლოკჩეინი? ბოლო ნახვის თარიღი 30.11.2024
<https://digitalbus.ge/blog/ra-aris-blokcheini/>
2. ზაქარიაშვილი მ., (2023). რა არის WEB2 ტექნოლოგია. სალექციო მასალა.
3. კარაკოზოვა ს., კველიშვილი გ., ჩიკაშუა ე., ელიზბარაშვილი ნ. (2015). ვებ ინტეფეისის დიზაინერი, თბილისი
4. შამუგია რ., (2015) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. INTERNET და WEB ტექნოლოგიების საფუძვლები. ბოლო ნახვის თარიღი 30.11.2024
https://issuu.com/ramazshamugia/docs/chemi_wigni_issuu_pdf_bolo
5. ჩიკაშუა ე., ელიზბარაშვილი ნ., დოლიძე ზ., კველიშვილი გ. (2015). ვებ ინტეფეისის დეველოპერი.

თბილისი

6. WEB.2 - ინტერნეტის ხელახალი დაბადება. ბოლო ნახვის თარიღი 30.11.2024

<https://ninobregvadze.wordpress.com/2013/02/24/web-2-0-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90/>

7. Lomaidze (2014) რა არის WEB 2? ბოლო ნახვის თარიღი 30.11.2024

<https://lomidze.wordpress.com/2014/02/08/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-WEB-2/>

8. SEO - რა არის ოპტიმიზაცია <https://imc.ge/seo-optimizacia/>

___ ბოლო ნახვის თარიღი 30.11.2024

9. What Is SEO – Search Engine Optimization <https://searchengineland.com/guide/what-is-seo> ბოლო ნახვის თარიღი 30.11.2024

10. WCMS - ვებ კონტენტის მართვის სისტემა. ბოლო ნახვის თარიღი 30.11.2024

<https://imc.ge/web-kontentis-martvis-sistema-wcm/>

11. Web3? რა არის Web3? ბოლო ნახვის თარიღი 30.11.2024

<https://pitagora.ge/ra-aris-web3/>

12. WEB 3 - რა არის web3 ტექნოლოგია და მომავალი გამოწვევები.

<https://www.marketer.ge/web-3-da-momavali/> ბოლო ნახვის თარიღი 30.11.2024

13. WEB3 -ის 5 საუკეთესო ტენდენცია რომლებსაც 2023 წელს ვიხილავთ. ბოლო ნახვის თარიღი

30.11.2024 <https://lemons.ge/ka/blog/53-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D/488-web3-is-5-sauketeso-tendencia-romlebsac-2023-tsels-vixilavt>

14. Web3? რა არის Web3? - TECH INFORM ბოლო ნახვის თარიღი 30.11.2024

<https://bm.ge/news/ra-aris-web3-tech-inform>

15. <https://wordpress.com/>

16. <https://www.blogger.com>

17. <http://sites.google.com>

Abstract

The development of web technologies is one of the most significant characteristics of the digital age. Web Content Management Systems (CMS) enable users to create, manage, and update content with ease, without requiring in-depth technical knowledge. Their evolution has progressed from the static structures of WEB 1.0 to the decentralized and intelligent platforms of WEB 3.0.

The purpose of this work is to present:

- The evolutionary rise of web technologies, including WEB 1.0, WEB 2.0, and WEB 3.0, along with the fundamental aspects of CMS and WCMS technologies.
- Main trends in WEB 3.0 technologies and the challenges shaping the future of web development.
- Examples of websites based on WEB 2.0 technologies.

My practical experience: practical models developed within an teaching project, specifically blog-style websites hosted in cloud-based environments: www.wordpress.com www.blogger.com
www.sites.google.com

Key Words: *WEB1; WEB2; WEB3; CMS – Content Management System; wordpress.com; blogger.com; sites.google.com*

Формирование иноязычной коммуникативной компетенции на базе современных информационно-коммуникативных технологий**Акопова Елена Сергеевна**

Yessenov University, Актау, Казахстан

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.33>

В современном мире, где глобализация и информационные технологии играют важную роль, владение иностранными языками становится все более необходимым. Однако традиционные методы преподавания иностранных языков могут оказаться недостаточными для развития полноценной коммуникативной компетенции у учащихся. Современные информационно-коммуникативные технологии могут быть активно использованы для формирования иноязычной коммуникативной компетенции.

Информационно-коммуникативные технологии стали неотъемлемой частью современного образования. Они предоставляют уникальные возможности для эффективного и интерактивного обучения иностранным языкам. ИКТ могут включать в себя компьютерные программы, интерактивные доски, мультимедийные материалы, онлайн-ресурсы, социальные сети и другие средства коммуникации.

Информационно-коммуникативные технологии предоставляют возможность взаимодействия с языковым материалом в интерактивном режиме. Учащиеся могут активно взаимодействовать с различными заданиями, играми и упражнениями, что способствует активизации их языковых навыков и развитию коммуникативных умений.

Современные ИКТ доступны практически всем учащимся. Благодаря широкому распространению компьютеров, смартфонов и доступу в Интернет, ученики имеют возможность изучать и практиковать иностранный язык в любом месте и в любое время.

Информационно-коммуникативные технологии могут сделать процесс изучения языка более интересным и мотивирующим. Игры, интерактивные задания, соревнования и другие формы обучения создают положительную и захватывающую образовательную среду. Это способствует повышению мотивации учащихся, поскольку они получают немедленную обратную связь, достигают видимых результатов и чувствуют себя активными участниками процесса обучения.

Современные технологии позволяют адаптировать обучение к индивидуальным потребностям учащихся. С помощью различных онлайн-ресурсов и программ, ученики могут выбирать уровень сложности заданий, скорость изучения материала и наиболее интересующие их темы. Это помогает учащимся развивать свои коммуникативные навыки в соответствии с их собственными темпами и предпочтениями.

Существует множество интерактивных онлайн-ресурсов и приложений, которые предоставляют учащимся возможность практиковать языковые навыки. Они включают в себя онлайн-курсы, языковые платформы, игры, виртуальные классы и т.д. Учащиеся могут выполнять различные задания, участвовать в общении с носителями языка и другими учащимися, а также получать обратную связь от преподавателей.

Использование видео- и аудиоматериалов помогает учащимся развивать навыки прослушивания, понимания на слух и произношения. Современные технологии позволяют доступно предоставлять большое количество аутентичных материалов, таких как фильмы, сериалы, радиопередачи, подкасты и музыка. Учащиеся могут использовать эти материалы

для анализа, обсуждения, создания своих проектов и развития своей коммуникативной компетенции.

Виртуальные среды и симуляции помогают учащимся взаимодействовать с виртуальными персонажами и ситуациями на иностранном языке. Это создает благоприятную обучающую среду, где ученики могут применять свои языковые навыки на практике. Например, с помощью виртуальных сред можно создать симуляцию разговора в ресторане, ситуацию покупки билетов или деловых переговорах. Такие симуляции позволяют учащимся улучшить свои навыки общения, реагирования на реальные ситуации и развитие практической коммуникативной компетенции.

Технологии предоставляют уникальную возможность для коллаборативной работы и коммуникации между учащимися. С помощью онлайн-платформ и социальных сетей они могут обмениваться информацией, совместно работать над проектами, проводить дискуссии и дебаты на иностранном языке. Такой подход развивает навыки коллективной работы, взаимодействия и адаптации к различным коммуникативным ситуациям.

Для эффективного использования ИКТ в обучении иностранным языкам необходима подготовка преподавателей. Они должны овладеть навыками использования различных технологий, выбирать подходящие онлайн-ресурсы, оценивать эффективность их использования и адаптировать свои методики под новые возможности, которые предоставляют технологии.

Внедрение ИКТ в образование должно быть доступным для всех учащихся. Необходимо обеспечить равный доступ к компьютерам, интернету и другим технологическим средствам обучения для всех школ и учебных заведений. Это позволит избежать цифрового неравенства и обеспечить равные возможности для развития иноязычной коммуникативной компетенции.

Важно подчеркнуть, что использование ИКТ не должно полностью заменять традиционные методы обучения иностранному языку. Они должны дополнять друг друга и создавать сбалансированную образовательную среду. Традиционные методы, такие как устные упражнения, чтение и письмо, все еще имеют свое значение и важность в развитии языковых навыков. ИКТ должны использоваться как инструмент для усиления и дополнения этих методов.

Технологии постоянно развиваются, и образовательные учреждения должны быть готовы к изменениям и адаптироваться к новым требованиям. Важно следить за новыми технологическими разработками и интегрировать их в процесс обучения иностранному языку. Это поможет поддерживать интерес и мотивацию учащихся и соответствовать требованиям современного информационного общества.

Использование современных информационно-коммуникативных технологий является важным фактором в формировании иноязычной коммуникативной компетенции у учащихся. ИКТ обеспечивают интерактивность, доступность, мотивацию и индивидуализацию обучения. Они позволяют учащимся взаимодействовать с языковым материалом, применять знания на практике, работать в коллаборативной среде и развивать практические коммуникативные навыки.

Однако, для успешного использования ИКТ в обучении иностранному языку, необходимо учитывать вызовы, такие как подготовка преподавателей, доступность и равенство, баланс с традиционными методами и непрерывное обновление, и адаптация. Правильное использование ИКТ совместно с традиционными методами обучения позволит сформировать у учащихся полноценную иноязычную коммуникативную компетенцию, необходимую в современном мире.

Таким образом, современные информационно-коммуникативные технологии являются мощным инструментом, способствующим формированию иноязычной коммуникативной компетенции. Они открывают новые возможности для обучения иностранному языку, делая процесс более интерактивным, мотивирующим и индивидуализированным. Использование интерактивных онлайн-ресурсов, видео- и аудиоматериалов, виртуальных сред и коллаборативного обучения позволяет учащимся

активно применять языковые навыки, развивать коммуникативные умения и преодолевать языковые барьеры.

Однако, для успешной реализации потенциала информационно-коммуникативных технологий в обучении иностранному языку необходимо учитывать вызовы, такие как подготовка преподавателей, доступность технологий для всех учащихся, сбалансированное сочетание ИКТ с традиционными методами и постоянное обновление, и адаптация образовательного процесса к современным требованиям.

Использование информационно-коммуникативных технологий в обучении иностранному языку позволяет создать стимулирующую и эффективную образовательную среду, где учащиеся могут развивать свои коммуникативные навыки, расширять свой кругозор и успешно взаимодействовать в многоязычном и многонациональном мире. Использование современных технологий становится неотъемлемой частью современного образования, обеспечивая учащимся необходимые навыки и инструменты для успешной коммуникации на иностранном языке.

Таким образом, внедрение и использование информационно-коммуникативных технологий в процессе обучения иностранному языку является важным шагом в образовании, открывающим новые перспективы для развития коммуникативной компетенции учащихся. Это позволяет им быть готовыми к глобальным вызовам, с легкостью общаться на иностранных языках и успешно взаимодействовать в межкультурной среде.

Список использованной литературы

1. Сафонова В.В Коммуникативная компетенция: современные подходы к многоуровневому описанию в методических целях. Москва, 2004
2. Владимирова Л. П. Интернет на уроках иностранного языка. ИЯШ, № 3, 2002. с 33–41
3. Нелунова Е.Д. Информационные и коммуникационные технологии в обучении иностранному языку в школе. Якутск, 2006
4. Нигай Л. С. Использование ИКТ для формирования коммуникативной компетентности на уроках английского языка // Педагогическое мастерство. Москва, 2013, С. 117-119.

Formation of Foreign Language Communicative Competence Based on Modern Information and Communication Technologies

Akopova Elena Sergeevna

Yessenov University, Aktau, Kazakhstan

Abstract

Modern information and communication technologies are a powerful tool that contributes to the formation of foreign language communicative competence. They open new opportunities for foreign language teaching, making the process more interactive, motivating and individualised. The use of interactive online resources, video and audio materials, virtual environments and collaborative learning allows students to actively apply language skills, develop communicative skills and overcome language barriers.

However, in order to successfully realise the potential of information and communication technologies in foreign language teaching, it is necessary to take into account challenges such as teacher training, accessibility of technologies for all students, a balanced combination of ICT with traditional methods and constant updating, and adaptation of the educational process to modern requirements.

***Key words:** foreign language, students, technology, communicative skills, methods, Formation, outlook.*

პროექტზე დაფუძნებული სწავლება - თანამედროვე მიდგომები და გამოწვევები უცხო ენის საგაკვეთილო პროცესში

ბრეგაძე მაია

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის
სოფ. ახალსოფლის საჯარო სკოლა

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.34>

აბსტრაქტი. უცხო ენის ცოდნა ერთ-ერთ პრიორიტეტად ითვლება და ადამიანის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს. დღევანდელ მსოფლიოში ინგლისური ენა საერთაშორისო ენად და კომუნიკაციის მთავარ იარაღადაა მიჩნეული. შესაბამისად, საჯარო სკოლებში, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის მიხედვით, იგი პირველ უცხოურ ენად ჩამოყალიბდა და მისი შესწავლა პირველი კლასიდან იწყება. წინა პლანზე გამოვიდა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების აუცილებელი საჭიროება და ადამიანში თვითგანვითარების უნარების ჩამოყალიბება. ცვლილება განიცადა სასწავლო პროგრამებმა, კურიკულუმებმა, შემუშავდა ახალი სტანდარტები, რომლებიც ყოველწლიურად იხვეწება. შეიქმნა სკურპულოზური დოკუმენტი - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა.

განათლების სამინისტრომ შედეგზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიები შეიმუშავა და მასწავლებელს მისცა უფლება სწავლების ვარიაციების გამოყენებით გადასცეს ცოდნა. მნიშვნელოვანი გახდა თანამედროვე მეთოდებისა და ნოვაციების დანერგვა სასწავლო პროცესში. 21-ე საუკუნის კომპეტენციების გამომუშავება მხოლოდ ახლებური, საინტერესო მეთოდებითაა შესაძლებელი. შესაბამისად, პროექტზე დაფუძნებული სწავლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდად მიიჩნევა.

როგორ ხორციელდება ქართულ საჯარო სკოლებში აღნიშნული პრიორიტეტებით სწავლება და რა მეთოდებს სთავაზობენ კონკრეტულად ინგლისური ენის მასწავლებლები მოსწავლეებს. რა სტრატეგიებით ახორციელებენ ისინი საგნის სწავლებას, რომ მოსწავლემ ენასთან ერთად სააზროვნო უნარების განვითარება და მათი პრაქტიკაში გამოყენება შეძლოს.

კვლევისას დავეყრდენით გამოკითხვის გავრცელებულ სახეს, ვაწარმოეთ ელექტრონული ანონიმური კითხვარი და დავაჯამეთ მონაცემები. ასევე, შევისწავლეთ ერთ-ერთი კონკრეტული მაგალითი, რომელშიც რელევანტური აღმოჩნდა „Case study“-ს მეთოდის გამოყენება.

ვფიქრობთ, სტატია საინტერესო იქნება პრაქტიკოსი მასწავლებლებისა და თეორიული კვლევებით დაინტერესებული საზოგადოების ნაწილისათვის.

საკვანძო სიტყვები: განათლება, უცხო ენა, პროექტი, ინოვაციური მეთოდები

შესავალი

21-ე საუკუნის გამოწვევებმა კიდევ ერთხელ დააყენა სხვაგვარი მოთხოვნები და ეს ყველაზე მწვავედ განათლების სისტემებს შეეხო. დღის წესრიგში დადგა ინგლისურის, როგორც საერთაშორისო ენის სრულყოფილად შესწავლის აუცილებლობა. „მოხდა პარადიგმის ცვლილება, რამაც, თავის მხრივ, სწავლის თეორიების გადასინჯვა და შეჯერება გამოიწვია“ (დოლიძე, 2017, გვ. 9). შესაბამისად, საზოგადოების დაკვეთამ წარმოქმნა ის

ძირითადი მოთხოვნები, რომელიც ითვალისწინებს არამართო ცოდნით აღჭურვილი პიროვნების ჩამოყალიბებას, არამედ პოზიტიურად და დამოუკიდებლად მოაზროვნისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე პიროვნების აღზრდას.

უცხო ენის, მითუფრო ინგლისურის შესწავლა, როდესაც მეტწილ რეგიონებში საერთოდ არ არის უცხოენოვანი გარემო, მოსწავლეებს არ შეუძლიათ ურთიერთობა ჰქონდეთ ინგლისურად მოსაუბრე ადამიანებთან. მეტიც, სამწუხაროდ, არსებობენ ოჯახები, რომლებსაც არ აქვთ წვდომა ინტერნეტთან, რათა ონლაინ რეჟიმში მაინც მოახერხონ ინფორმაციებითა თუ პროგრამებით სარგებლობა. ეს ბევრ სირთულეს ქმნის. თანამედროვე რესურსების ნაკლებობა საჯარო სკოლებში გაკვეთილს ისევ დამტამპულ და ვიწრო ჩარჩოში მოქცეულ, უინტერესო პროცესად აქცევს. შედეგად არაა ისეთი, როგორც უნდა იყოს.

წინამდებარე კვლევაში პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ **პრობლემურ კითხვებს**:

- რამდენად ახერხებს თანამედროვე საჯარო სკოლა უცხო ენის სწავლების გამოწვევების დაძლევას?
- სთავაზობენ თუ არა მასწავლებლები მოსწავლეებს სწავლების მრავალფეროვან ვარიაციებს?
- რა მეთოდებით ხდება სკოლაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება?

კითხვებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა კვლევის **მიზანი**:

პროექტით განხორციელებული სწავლების პრიორიტეტებისა და დადებითი შედეგის გამოვლენა ქართულ საჯარო სკოლებში.

კვლევის შედეგების ინტერპრეტაციით შესაძლებელია პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც გამოადგებათ საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებსა და უცხო ენის პედაგოგებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

1996 წელს გერმანიაში, ნიურნბერგში, განათლების ექსპერტებმა შეიმუშავეს უცხო ენების სწავლების ზოგადი პრინციპები. სწორედ ამ დოკუმენტის მიხედვით შეიცვალა საბჭოთა მიდგომები, სადაც ცენტრალურ ფიგურას საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი წარმოადგენდა. თანამედროვე ევროპული მიდგომის მიხედვით მოსწავლე მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო ჩართული სასწავლო პროცესში და პედაგოგი მისი მრჩეველი ხდებოდა. აქვე გადაისინჯა შეფასების სტრატეგიებიც. დოკუმენტის თანახმად მოსწავლის მიღწევა ფასდება არამხოლოდ თეორიული ცოდნის გადმოცემით, არამედ შეფასება ითვალისწინებს მის ქცევას, კრეატიულ აზროვნებასა და იდეების გენერირების უნარს. მთავარ სტრატეგიად სასწავლო კურიკულუმის მეტყველებისა და მოსმენის დავალებებზე აგება განისაზღვრა, სადაც წერამ და კითხვამ დამატებით ფუნქცია შეითავსა (გაბაშვილი, 2019, გვ. 22).

მარინა გაბაშვილი პედაგოგიურ კვლევაში პროექტის სოციალურ ფორმასა და მის კომპონენტებს განიხილავს. ავტორის აზრით, პროექტზე დაფუძნებული სწავლების მიწოდება მოსწავლეთათვის საკმაოდ მოქნილია და არ აქვს გარკვეული ზღვარი. ის ნამდვილად არაა ორიენტირებული სტანდარტით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამის ჩასანაცვლებლად, არამედ მის დამატებით ნაწილს წარმოადგენს და მის გავრცობას უწყობს ხელს. აქვე უნდა გამოვყოთ ის მოტივაცია, რომელიც წამყვან როლს თამაშობს აღნიშნული სწავლების კუთხით და რომელსაც ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევხებით. მკვლევარი აცხადებს, რომ შინაგან მოტივაციას საფუძვლად ბავშვის ინტერესი უძღვის.

ნატალია დოლიძის დისერტაციაში ვკითხულობთ, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლების არეალი ფართო დიაპაზონს მოიცავს და სხვადასხვა პრობლემის გადაჭრას კომბინირებულად ახდენს. მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად არჩევენ თემას, განსაზღვრავენ პრიორიტეტებს, გამოყოფენ მიზანს და შემდეგ იწყებენ შინაარსზე მუშაობას. ეს გულისხმობს მოსწავლეების სრულ ავტონომიას და პედაგოგის მხოლოდ მენტორ-მრჩეველის როლის გამოკვეთას. აღსანიშნავია, რომ პროექტზე მუშაობისას ყველა აქტივობის შესრულება ინდუქციური მეთოდით ხორციელდება (დოლიძე, 2017, გვ. 18).

პროექტით შესწავლა მულტიფუნქციურ აქტივობადაც შეიძლება ჩავთვალოთ. იგი ხელს უწყობს თანამშრომლობას, კომუნიკაციის გაღრმავებას, ტექნოლოგიების გამოყენებას,

კვლევისა და შედეგების პრეზენტაციების ჩატარებას და მოსწავლეში ამ დარგების შესაბამისი უნარების განვითარებას. ეს მეთოდი იმდენად ბუნებრივი და ეფექტიანია, რომ საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა სასწავლო აქტივობები ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირდეს. ამ მეთოდით სასწავლო პროცესი გაცილებით დინამიური და აქტიურია, მოიცავს ფართო არჩევანს. „პროექტით სწავლის მეთოდი ორიენტირებულია მოსწავლეთა უნარების და შესაძლებლობების განვითარებაზე, ცოდნის გაღრმავებაზე რეალურ სამყაროში და ხელშემწყობია შემოქმედებითი-სააზროვნო პროცესების კოორდინირებულად განვითარებისა“ (დარბაიძე, მუშკუდიანი, გელაშვილი, & თაბაგარი, 2023, გვ. 11).

სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს უფრო უადვილდებათ შესასწავლი მასალის ათვისება. სწავლის ახალი, მოდერნული მეთოდები იძლევიან იმის საშუალებას, რომ შემცირდეს დრო, რადგანაც მოკლე დროში ერთდროულად ხდება ცოდნის, უნარების ათვისება და პრაქტიკული ხერხების დაუფლება. პროექტზე დაფუძნებული სწავლებისა და მსგავსი მეთოდებით უცხო ენის დასწავლა მეთოდოლოგიის სამივე მიზანს აკმაყოფილებს: საგანმანათლებლო მიზანს (მყარი თეორიული ხოდნის მიღება), აღმზრდელობით მიზანს (პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება, მიზანზე ორიენტირებულობა და ა.შ) და განმავითარებელ მიზანს (ინტუიციის, წამროსახვის, მსჯელობის უნარის განვითარება) (ბობოხიძე, 2018, გვ. 31).

კვლევის მეთოდები და თეორიული ჩარჩო

მოცემული კვლევა ეყრდნობა განათლების თეორიების თანამედროვე მიდგომებსა და პრაქტიკული გამოცდილების კონტინუუმს, ამიტომ ნაშრომში გამოვიყენეთ განათლების ძირითადი მიმდინარეობების და თეორეტიკოსების შეხედულებები.

განათლების პრაქტიკაში სწავლების ხუთ ძირითად თეორიას ვხვდებით: **კონსტრუქტივიზმი**: მოსწავლე თავადაა საკუთარი ცოდნის შემქმნელი მასწავლებლის დახმარებით. ამ მიმდინარეობის თეორეტიკოსების ჟან პიაჟესა და ლევ ვიგოტსკის კვლევების თანახმად, მოსწავლე თავადაა სწავლის პროცესის აქტიური მონაწილე. ის არ წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციის მიმღებს. თეორიის თანახმად, ჩვენი კვლევისას, ახალი პროექტი ახალი იდეა და ახალი იდეების არსებულ ცოდნასთან დაკავშირება უკვე მოსწავლეში აყალიბებს კონსტრუქტივისტულ აზროვნებას.

ბიჰევიორიზმი: ჯონ ლოკის თეორიის თანახმად ადამიანის ქცევა გარემო ფაქტორების დიდი ზეგავლენის შედეგად ყალიბდება.

კოგნიტივიზმი: მოსწავლე აანალიზებს არსებულ ცოდნას, ახდენს ინფორმაციის ტრანსფორმაციას. მასწავლებელმა შესაძლებელია შეიმუშავოს ისეთი პროექტი, რომელიც დაფუძნებული იქნება კოგნიტურ სქემაზე და ამით მოახდინოს მოსწავლის წინარე ცოდნის აქტივაცია და ახალი მასალის უკეთესად გაგება.

ჰუმანიზმი: ჰუმანიستي თეორეტიკოსებმა აბრაჰამ მასლოუმ და კარლ როჯერსმა განათლების მეცნიერებას თვითდეტერმინაციის გამომხატველი მიდგომა შესთავაზეს. ამ მიმართულებით მოაზროვნენი აღნიშნავენ, რომ ადამიანის უპირველესი მოტივატორი საკუთარი თავის მაქსიმალური აქტუალიზაციისა და სრულყოფილებისაკენ სწრაფვაა.

კონექტივიზმი: კონექტივიზმი შედარებით ახალი თეორიაა, რომელიც ციფრულ ერას უკავშირდება. თავად სიტყვაც გვამცნობს, რომ ეს მიდგომა დაკავშირებულია კომუნიკაციასა და კავშირებზე. კონექტივიზმის პრინციპებით სწავლა და ცოდნა შეხედულებების მრავალფეროვნებას ეყრდნობა და კავშირების შექმნა საჭიროა მუდმივი სწავლის დასამყარებლად.

ჯონ დიუი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს აკრიტიკებდა განათლების ტრადიციულ მეთოდებს. მკვლევრის აზრით საუკეთესო შედეგს სწორედ პრაქტიკული სავარჯიშოები იძლეოდა და მან ერთ-ერთმა პირველმა შემოგვთავაზა კეთებით სწავლების თეორია. მისი აზრით ეს ხელს შეუწყობდა მოსწავლეებში დამოუკიდებლობისა და თვითშეგნების უკეთესად განვითარებას.

თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბების შემდგომ კვლევის მეთოდოლოგიას შევეხებით. რაკი

აქამდე არსებულ რელევანტურ თეორიებს ვეყრდნობით, ნაშრომისათვის **თვისებრივი** კვლევის მეთოდები გამოვიყენეთ. ასევე წარმოვადგინეთ **Case study**-ს საკმაოდ პოპულარული მოდელი და ფოკუს ჯგუფზე (კონკრეტული სკოლების მოსწავლეები) დაკვირვების შედეგად წარმოვადგინეთ წინამდებარე კვლევა.

პროექტის, როგორც სწავლების ინოვაციური მეთოდის საინტერესო სახე და გამოწვევები საჯარო სკოლებში

მსოფლიოს წამყვან განათლების სისტემებში უკვე კარგა ხანია დანერგილია და წარმატებულადაც გამოიყენება პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი. აღნიშნული მეთოდის წარმატებას ქმნის ის გარემოება, რომ მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ როგორ გამოიყენონ სკოლაში მიღებული განათლება ცხოვრებაში, როგორ მოარგონ ესა თუ ის თეორია საჭიროებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა საყოველთაოდ აღიარებული ცოდნის ტრანსფერი, რომლის პრობლემაც სულ რაღაც უახლოეს წარსულში გაცილებით მეტად იდგა. გვაქვს უამრავი შემთხვევა, როდესაც წარჩინებული მოსწავლე, მიღებული ცოდნით წარუმატებელი აღმოჩნდა, მაშინ როცა, მასზე ნაკლები ცოდნით სხვებმა უკეთესად დაიმკვიდრეს თავი.

პროექტის არაერთი განმარტება არსებობს. მისი კლასიკური გაგებით პროექტი რაიმეს მოწყობისა თუ აგების წინასწარ დამუშავებული გეგმაა. საგანმანათლებლო სივრცეში პროექტმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციების უნარ-ჩვევების განვითარება. ასე ვეცნობით ლექსიკონში პროექტის ვრცელ დეფინიციას.

ზოგადად, პროექტზე დაფუძნებული სწავლება ინდუქციურ მეთოდს წარმოადგენს, რომელიც რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს, როგორცაა პრობლემის აღმოჩენა, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ.

საზოგადოების განვითარებისა და ფორმირების პროცესში განათლების სისტემა მთავარ საყრდენად გვევლინება. ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს კი მის სივრცეში ზოგადი განათლების საფეხური, ანუ სკოლა წარმოადგენს. სწორედ სკოლაში ეყრება საფუძველი ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებას, სახელმწიფოებრივი აზროვნების სტრუქტურას და ხდება პროფესიული ცოდნის მიღება. აქტუალური გახდა სწავლების პროცესში თანამედროვე მიდგომების ჩართვა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია პროექტზე დაფუძნებული სწავლება.

აღნიშნული მეთოდით მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა თეორიული ცოდნა რაციონალურად გამოიყენოს საკითხის გადაწყვეტაში. ეს უზრუნველყოფს მოსწავლის ისეთი უნარების ჩამოყალიბებას, როგორცაა თვითშეგნება, მოტივაცია, საკუთარი თავის რეალიზება და კომუნიკაბელურობა. კვლევამ აჩვენა, რომ ისეთი მოსწავლეები, რომელთა სასწავლო კურიკულუმებში პედაგოგებმა განახორციელეს აღნიშნული მიდგომები, გაცილებით აქტურები, კონტაქტურები და საკუთარ თავში დარწმუნებული იყვნენ. მათ აღმოაჩნდათ ისეთი პროფესიული და ინდივიდუალური უნარ-ჩვევები, რომლებიც წარმატებული კარიერის შექმნაში აუცილებელია.

პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი პირველად აშშ-ში გამოიყენეს და მის ფუძემდებლად პედაგოგიკაში საკმაოდ ცნობილი თეორეტიკოსი ჯონ დიუი გვევლინება. აღნიშნულთან დაკავშირებით მან სახელმძღვანელოც „პრაგმატული პედაგოგიკა“ შექმნა.

პროექტზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობა და ეფექტიანობა შემდეგი ფაქტორებითაა განსაზღვრული: „იგი იძლევა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან საფუძველებს; მისი მიზანია ბავშვების მიერ შესწავლილი თეორიული საკითხების პრაქტიკაში გამოყენება“ (კვირკველია, 2020, გვ. 3). გარდა აღნიშნულისა, პროექტზე დაფუძნებული სწავლების მიზანია მოსწავლე იყოს აქტორი. ამით ის გამოიმუშავებს დამოუკიდებლად მუშაობის უნარს. სწავლობს დაგეგმვას, აკეთებს ანალიზს, იძიებს საჭირო ინფორმაციას, არის შემოქმედებითი, ეჩვევა პრობლემების გადაჭრას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მეთოდის მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს, მისი ერთ-ერთი

აუცილებელი კომპონენტი სამუშაოს დასრულების შემდგომი პრეზენტაციაა. პრეზენტაცია შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. ზეპირ პრეზენტაციას მეტწილად ეკრანზე გამოტანილი სლაიდებით, ან დიდ ფორმატზე გაფორმებული მოკლე ანოტაციებით წარადგენენ. არ აქვს მნიშვნელობა რა ფორმით იქნება გადმოცემული რესურსი. აუცილებელია, რომ ავტორმა შეძლოს საკუთარი ნამუშევრის საზოგადოებისადმი წარდგენა და მისი არგუმენტირებულად დასაბუთება. ეს კი, როგორც ვიცით, უკვე კვლევითი შედეგნილობის სამუშაოსა და მისი დაცვის მცდელობის ერთ-ერთ სერიოზულ ვარიანტად უნდა აღვიქვათ.

ჩვენ დავაკვირდით ტრადიციულ და პროექტზე დაფუძნებული მეთოდით ჩატარებულ გაკვეთილებს და მოვახდინეთ მათი მოდელების შედარება:

ტრადიციული ინგლისურის გაკვეთილის დროს მოსწავლე სრულად დამოკიდებულია მასწავლებელზე, რომელიც გვევლინება წამყვან ფიგურად და თავად განსაზღვრავს გამოკითხვის, ახსნის და დავალებების მიცემის პროცედურებს. მოსწავლე ამ დროს უმეტესწილად მსმენელის როლშია.

პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას მასწავლებელი მხოლოდ გეზის მიმცემი და თანამშრომელია, ვიდრე მენტორი. მოსწავლეები თავად გეგმავენ და ირჩევენ თემებს. მასწავლებელი ცდილობს მინიმალურად ჩაერთოს პროცესში, მაშინ როცა მოსწავლეები ღია კითხვების მეშვეობით თავად არიან წამყვანი ძალა. საკლასო ოთახში იქმნება თანამშრომლობითი ატმოსფერო.

პროექტების გამოყენება უცხო ენის გაკვეთილზე სწავლის პროცესს გაცილებით საინტერესოს ხდის. ყველამ ვიცით, რომ მხოლოდ კითხვით, თარგმნითა და გრამატიკული სვარჯიშოებით ენის პრაქტიკულად გამოყენება არ ხდება.

ჩვენი კვლევის სამიზნე ჯგუფი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებია. ჩვენ მიერ მოხდა სკოლების უცხო ენის პედაგოგების გამოკითხვა და კონკრეტული საჯარო სკოლების აქტივობების მაგალითზე მონაცემების შეგროვება. ძირითადად, მასწავლებლები ისევ სწავლების ტრადიციულ მეთოდებს მისდევენ, თუმცა ერთხმად აღიარებენ ინოვაციური მიდგომების შედეგიანობას. მათ გავლილი აქვთ საკმაოდ ბევრი ტრენინგი, ფლობენ მრავალფეროვან მასალას და საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარეც არ უჭირთ დასკვნების გაკეთება. თანამედროვე მეთოდების გამოყენების სიმწირის მიზეზად კი ნაკლებ ტექნოლოგიურ რესურსსა და გაუმართავ ინფრასტრუქტურას ასახელებენ.

რამდენიმე სკოლაში პედაგოგებმა შეძლეს და გახსნეს საზაფხულო ინგლისური კლუბები, რომელშიც მოსწავლეებს სურვილისამებრ შეეძლოთ ჩართულობა. მასწავლებელი ადგენდა კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმას, განიხილავდა მიზნებსა და ამოცანებს მოსწავლეებთან და შედეგად მუნიციპალიტეტში განხორციელდა რამდენიმე საინტერესო სასწავლო პროექტი.

ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგმა გრძელვადიანი პროექტი წამოიწყო და სკოლაში ინგლისური ენის კლუბის გახსნით საფუძველი ჩაუყარა საინტერესო წამოწყებას. კლუბის ფარგლებში დაიგეგმა გაკვეთილები, შეკრებები. კლუბის წესდებაში, რომელსაც ჩვენ გავეცანით, დეტალურადაა გაწერილი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს სასკოლო მასალიდან გამომდინარე თემატურ აქტივობებს. კლუბმა განახორციელა რამდენიმე მხატვრული ღონისძიება, სხვადასხვა სახის შემეცნებითი პერფორმანსი, თეატრალური დადგმა, გამოსცა ჟურნალი და მოაწყო მუსიკალური ღონისძიება. როდესაც კლუბის ინიციატორს, ინგლისური ენის პედაგოგს ვესაუბრეთ, მან აღნიშნა, რომ ისეთი ბავშვებიც კი, რომელთა აკადემიური მოსწრება შედარებით დაბალი იყო, უდიდესი ენთუზიაზმით ჩაერთვნენ პროექტში და საოცარი ხალისით დაისწავლეს მასალა. შედეგი გაცილებით ეფექტიანი იყო, ვიდრე ტრადიციული გაკვეთილები.

მონაცემების შეჯერებისას განისაზღვრა, რომ მსგავსი ინიციატივებში მონაწილე მოსწავლეები მაღალ შედეგებს დებენ სკოლის დასასრულს ეროვნულ გამოცდებზე, ასევე ეროვნულ ოლიმპიადებზე.

სამწუხაროდ მივიჩნიეთ ის ფაქტი, რომ ამგვარი აქტივობები არც თუ ისე ბევრია და დღევანდელი სასწავლო პროცედურები მხოლოდ შაბლონური და ტრაფარეტული

საგაკვეთილო პროცესებით შემოიფარგლება.

გამოკითხულთა მოსაზრებებზე დაყრდნობით აღნიშნული მიდგომები მიუხედავად იმისა, რომ შრომატევადია, იძლევა ბავშვებზე მეტად დაკვირვებისა და მათი საჭიროებების გამოკვეთის შესაძლებლობას. აქვეა აქცენტირებული პედაგოგის როლი და მნიშვნელობაც, მშობელთა ინტერაქცია და კოლეგებს შორის აზრისა და გამოცდილებების გაცვლა.

დასკვნა

უპირველესად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება კონსტრუქციულია, კონსტრუქტივიზმი კი არსებულ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენებას მოიზრებს. ამიტომაც აღნიშნული მეთოდები აქტიური და უფრო ეფექტიანი, ვიდრე მასწავლებლებისაგან მიწოდებული მზა ინფორმაცია.

მესამე თაობის ეროვნულმა სასწავლო გეგმამ სათანადოდ განსაზღვრა საგანმანათლებლო პრინციპები და მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების დანერგვას.

დამუშავებულმა თვისებრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ უცხო ენის სწავლება საჯარო სკოლებში დღესაც თანამედროვე მიდგომების გამოყენების გარეშე მიმდინარეობს. მასწავლებლების მიერ შეთავაზებული აქტივობები ნაკლებადაა ორიენტირებული საფუძვლიანი ცოდნის შექმნაზე, რაც აისახება კიდევ მოსწავლეთა შემეცნების დონეზე. პროექტზე დაფუძნებული სწავლება კი პირიქით, აფართოებს თვალსაწიერს, მოსწავლეების მიზნებსა და საშუალებას აძლევს მათ ჰქონდეთ არჩევანის მრავალფეროვანი სპექტრი. „ამგვარი გარემო ორიენტირებულია ბავშვების აკადემიური, სოციალური და ემოციური განვითარების გრემელვადიან პერსპექტივაში“ (Schweinhart & Weikart, 1997, pp. 117-143). პროექტებზე სათანადოდ წარმართული მუშაობის დროს კი იქმნება ის პირობები, რომელიც აუცილებელი და საჭიროა ბავშვის ემოციური ინტელექტის, ჯანსაღი თვითშეფასების ჩამოყალიბებისა და შემოქმედებითობის განვითარებისათვის.

ლიტერატურა:

1. Schweinhart, L.J., & Weikart, D.P. (1997). The High/Scope Pre-school Curriculum Comparison Study through age 23. *Early Childhood Research Quarterly*. 117-143
2. Bateman, W. (1990). *Pen To Question: The Art of Teaching and Learning by Inquiry*. San Francisco: Jossey – Bass.
3. Bruner, J.S. (1961). The Act of Discovery. *Harvard Educational Review*, Vol. 31, No.1.
4. Smith, D. (1996). A Meta-Analysis of Student Outcomes Attributable to the Teaching of Science as Inquiry as Compared to Traditional Methodology (Ph.D. dissertation). Temple University, Department of Education.
5. ბობოხიძე, ნ. (2018). ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები ინგლისური ენის გაკვეთილზე. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი.
6. გაბაშვილი, მ. (2019). პროექტებით სწავლება და ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენების საკითხები დაწყებით საფეხურზე (V-VI კლასები). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
7. დარბაიძე, მ., მუშკუდიანი, ზ., გელაშვილი, ი., & თაბაგარი, ხ. (2023). პროექტზე დაფუძნებული სწავლების როლი უმაღლესი განათლების მიზნების მიღწევაში. საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ ინტერდისციპლინური, გვ.11.
8. დოლიძე, ნ. (2017). ინდუქციური მეთოდების გამოყენება 5-6 წლის ბავშვების სწავლა-აღზრდის პროცესში /„პროექტზე დაფუძნებული სწავლების“ მაგალითზე/. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
9. კვიციანი, ე. (2020). პროექტზე დაფუძნებული სწავლება, მისი როლი და მნიშვნელობა. თბილისი: ეტალონი განათლება. მოპოვებულია <https://www.etaloni.ge/geo/main/index/39059>. ბოლო ნახვა (28.11.2024)

Project-Based learning – Modern Approaches and Challenges to Foreign Language Educational Processes

Bregadze Maya
Akhalsopeli Public School, LEPL Tkibuli Municipality

Abstract

Knowledge of a foreign language is considered a priority and an important criterion for human competitiveness. In today's world, English is recognized as the international language and the primary tool of communication. As a result, in public schools, it has been established as the first foreign language, with its study beginning in the first grade, according to the national curriculum standard.

The 21st century is the era of technology and communication, which has brought significant challenges to the field of education. The growing need to apply knowledge in practice and develop self-development skills has come to the forefront. Educational programs and curricula have undergone changes, with new standards being developed and improved each year. A comprehensive document, the National Curriculum Plan, has been created and is being developed step by step.

The Ministry of Education has developed outcome-oriented teaching strategies and empowered teachers to impart know using various teaching methods. It has become essential to introduce modern techniques and innovations into the educational process. The development of 21st-century competencies is achievable only through the use of new, engaging methods. As a result, project-based learning is considered one of the most important approaches.

In Georgian public schools, teaching with these priorities is implemented through a variety of strategies. Specifically, English teaching use a range of methods to ensure that students develop critical thinking skills alongside their language proficiency. These strategies not only focus on language acquisition but also encourage students to apply their skills in practical situations.

For the research, we used a standart survey method to gather and summarize data. Based on a specific example implemented in the public sector of one of the municipalities, we conducted the research by studying a case study.

We believe the article will be of interest to practicing teachers and those in society who are interested in theoretical research.

Keywords: *education, foreign language, project, innovative methods.*

თამაშის მეთოდი

გაგნიძე დარეჯან

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.35>

აბსტრაქტი. ხელოვნება და კერძოდ შემოქმედებითი საქმიანობა წარმოადგენს ბავშვის განვითარების მუდმივ თანამგზავრს, წერდა ლ.ს. ვიგოდსკი. ბავშვისათვის ყველაზე საინტერესო და მიმზიდველ საქმიანობას ხატვა წარმოადგენს. ის აძლევს ბავშვს საშუალებას თავის ნახატში გადმოსცეს მის მიერ დანახული სინამდვილე. ხატვა აწვდის ბავშვს აზროვნებას, მეხსიერებას, ფანტაზიას, მხატვრულ გემოვნებას, ფერთა შეგრძნების და შეხამების უნარებს, ხელის მოტორიკას, ასწავლის მას ფიქრს და ანალიზს. ბავშვი უკვე ამჩნევს და თავის ნამუშევრებშიც ცდილობს გადმოსცემს გარე სამყაროს ფერადოვნებას. არსებობს უამრავი ხერხი ანუ (მეთოდი), რომელიც ორიენტირებულია ხატვის ტექნიკის დასაუფლებლად. ამ მეთოდებიდან ერთ-ერთი წამყვანი ადგილი თამაშის მეთოდს უკავია. თამაში ადამიანის და განსაკუთრებით ბავშვის ქცევის ერთ-ერთი ფორმაა. გერმანელი ფსიქოლოგი ბიულერი თვლიდა, რომ თამაში არის საქმიანობა, რომელსაც საფუძვლად ფუნქციური სიამოვნების მიღება უდევს. თამაშს, როგორც სასწავლო მეთოდს უნდა ჰქონდეს შემდეგი მოთხოვნები: ა) სათამაშო სიუჟეტის შექმნა. რომელიც მოტივაციას შეუქმნის ბავშვს. ბ) თითოეული ბავშვის ჩაბმას თამაშში. თამაშის მეთოდის ორგანიზაცია ხდება მასწავლებლის მიერ, რომელსაც უნდა ჰქონდეს უნარი შეთხზას, მოიგონოს როგორც სცენარისტმა სპექტაკლი. შექმნას როლები და სპეციალური დიალოგები კონკრეტული მეცადინეობისა და თემის ირგვლივ. ზოგჯერ პერსონაჟები და მონაყოლი ამბები ისეთ საინტერესო დიდ ზღაპრად გადაიქცევა, რომ შესაძლებელია უკვე მისი თეატრალიზება. თეატრი ყველა ბავშვისათვის ზღაპრული სამყაროა და რაოდენ საინტერესო იქნება მათთვის როცა ისინი თავად იქნებიან მსახიობებიც, მხატვრებიც, შექმნიან კოსტუმებს და დეკორაციებს, შეურჩევენ მუსიკას და რა უნდა იყოს ბავშვებისათვის ამაზე ემოციური და დიდი დღესასწაული. თამაშის მეთოდი გამოიყენება ხატვის სხვადასხვა ეტაპზე. ნამუშევრის დაწყების წინ ე.ი. მოსამზადებელ ეტაპზე. ნახატის შექმნის პროცესში და ნახატის დამთავრების შემდეგ. ეს ბოლო კი უკვე ისეთი თამაში იქნება, სადაც ასახული იქნებიან ნახატის პერსონაჟები, სიუჟეტი და კონკრეტული ობიექტები. მაგალითად ბავშვებს ვთხოვთ გააცოცხლონ ნახატი და მოიგონონ როლები. იმისათვის, რომ თამაშის მეთოდმა სასურველი შედეგი მოგვცენ, საჭიროა გავითვალისწინოთ ბავშვთა ასაკი.

საკვანძო სიტყვები: თამაში, ვიგოდსკი, სიუჟეტი, სცენარი, სპექტაკლი, როლები.

მე-18 საუკუნის დიდი ფრანგი განმანათლებელი დენი დიდრო ამბობდა: ქვეყანა, სადაც ხატვას ასწავლიან ისევე, როგორც წერას და კითხვას, მალე გაუსწრებს ყველა სხვა ქვეყნებს: მეცნიერებაში, ხელოვნებასა და ოსტატობაში. და ეს გამონათქვამი დღეს ისე აქტუალურია, რომ ვერავინ გაბედავს მასზე კამათს. ბუნებრივია, ყველა ბავშვი ვერ გახდება მხატვარი და მოქანდაკე, მაგრამ დრო, როდესაც ისინი ქმნიან და როდესაც ყალიბდება ესთეტიკური მსოფმხედველობა, ძალიან შეზღუდულია. მხოლოდ ბავშვობაში ხდება სახვითი საქმიანობა პიროვნების განვითარების მთავარი

ხაზი. მისი მეშვეობით აღიქვამს და ასახავს ბავშვი მის გარშემო არსებულ სამყაროს და მის მიმართ დამოკიდებულებას.

ხელოვნება და კერძოდ შემოქმედებითი საქმიანობა წარმოადგენს ბავშვის განვითარების მუდმივ თანამგზავს. ლ.ს. ვიგოდსკი წერდა: ბავშვობა უმთავრესი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში: ნათელი, თვითმყოფადი, განუმეორებელი. ბავშვის სამყარო კი განსაკუთრებული. მისი უნიკალურობა იმაში გამოიხატება, რომ სწორედ ამ დროს ყალიბდება ბავშვის ყოველმხრივი განვითარება, მათ შორის შემოქმედებითი. სკოლამდელი ბავშვისათვის ყველაზე საინტერესო და მიმზიდველ საქმიანობას ხატვა წარმოადგენს. ის აძლევს ბავშვს საშუალებას თავის ნახატში გადმოსცეს მის მიერ დანახული სინამდვილე. თვითგამოხატვის ეს პროცესი ბავშვებში იწვევს დადებით ემოციას. ხატვა დიდ როლს ასრულებს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ხატვა ანვითარებს: ბავშვის აზროვნებას, მეხსიერებას, ფანტაზიას, მხატვრულ გემოვნებას, ფერთა შეგრძნების და შეხამების უნარებს, ხელის მოტორიკას, ასწავლის მას ფიქრს და ანალიზს. გაზომვას და შედარებას, შეთხზვას და გამოსახვას, გარე სამყაროს მრავალფეროვნებას, პროპორციების, ფორმების და ფერთა სიმრავლეს. გარკვეული მეცადინეობების შემდეგ მას უკვე შეუძლია საგნების ერთი მეორესთან შედარება. თავის გარშემო შეცნობილი საგნებიდან შეუძლია გამოყოფოს: მრგვალი, ბრტყელი, გრძელი, მოკლე, სწორი და მრუდი საგნები. ამასთანავე, მას უკვე შეუძლია მათი საუბარში გამოყენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს ბავშვის მეტყველების განვითარებას.

როგორც აღვნიშნეთ, გარე სამყაროზე დაკვირვება და გარკვეული მოვლენების შეცნობა იწვევს მის გონებრივ განვითარებას. ბავშვი უკვე ამჩნევს და თავის ნამუშევრებშიც ცდილობს გადმოსცემს გარე სამყაროს ფერადოვნება. უკვე აკვირდება და მსჯელობს, რომ ღამე ბნელია და ცაზე ვარსკვლავები ჩნდებიან. დღისით კი მზე ამოდის და ყვითელი სხივებით ამკობს დედამიწას. ზამთარი თეთრია და სუსხიანი. სამაგიეროდ ბავშვებს შეუძლიათ თოვლზე სრიალი და კარგი გართობა. წვიმის დროს ცა ნაცრისფერია და წვეთები ცვი. ეს შთაბეჭდილებები და შეგრძნებები ბავშვში იწვევს სურვილს ქაღალდზე გადმოსცეს ნანახი და განცდილი. სურათის შედეგი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ძლიერია ადრე განცდილი და ნანახი შთაბეჭდილება და რამდენად კარგად ფლობს იგი იმ მასალა – იარაღებს რითაც უნდა შეასრულოს ნამუშევარი.

დღევანდელ ეტაპზე პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბება. რომელიც უკვე სკოლამდელი ასაკიდან უნდა დაიწყოს, რადგან სწორედ ამ ასაკში აქვთ ბავშვებს ფანტაზიის, კრეატიულობის, თვითგამოხატვის და შემოქმედებითობის დიდი პოტენციალი.

არსებობს უამრავი ხერხი ანუ (მეთოდი), რომელიც ორიენტირებულია ხატვის ტექნიკის დასაუფლებლად. ამ მეთოდებიდან ერთ-ერთი წამყვანი ადგილი თამაშის მეთოდს უკავია. თამაში ადამიანის და განსაკუთრებით ბავშვის ქცევის ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა. თამაში სწავლების მიზნით – ესაა შესაძლო რეალობის ჯგუფური გამოკვლევის საშუალება და ამ გზით სოციალური გამოცდილების მიღება. გერმანელი ფსიქოლოგი ბიულერი თვლიდა, რომ თამაში არის საქმიანობა, რომლის განხორციელებას საფუძვლად ფუნქციური სიამოვნების მიღება უდევს. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება განვმარტოთ, რომ თამაში არის სინამდვილის ჯგუფური და ინდივიდუალური გამოკვლევის მეთოდი. სათამაშო აქტივობას მართლაც სხვადასხვა სახის სიამოვნება უდევს საფუძვლად, კერძოდ:

პარტნიორებთან უშუალო კონტაქტის სიამოვნება;
სათამაშო სიტუაციების შედეგების სწრაფად გარკვევის სიამოვნება;
შეჯიბრებისაგან მიღებული სიამოვნება;
საკუთარი თავისა და შესაძლებლობების დემოსტრირებით მიღებული სიამოვნება;

როლში შესვლის სიამოვნება;

თამაში, როგორც სწავლების მეთოდი ქმნის ბავშვის დაინტერესებას მასალის მიმართ და დადებით ემოციურ ფონს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის შემოქმედებითი უნარების გამოვლენას.თამაშს, როგორც სასწავლო მეთოდს უნდა ჰქონდეს შემდეგი მოთხოვნები: ა)სათამაშო სიუჟეტის შექმნა, რომელიც მოტივაციას შეუქმნის თამაშის მიზნების განხორციელებას. ბ) თითოეული ბავშვის ჩაბმას თამაშში, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დამოუკიდებელი და აქტიური ქმედებისაკენ. თამაშის მეთოდის ორგანიზაცია ხდება მასწავლებლის მიერ, რომელსაც უნდა ჰქონდეს უნარი შეთხზას, მოიგონოს როგორც სცენარისტმა სპექტაკლი. შექმნას როლები და სპეციალური დიალოგები კონკრეტული მეცადინეობისა და თემის ირგვლივ. თამაშისათვის საჭირო ყველა ელემენტი, სიუჟეტი, როლები,ცალკეული მოქმედებები მიმართული უნდა იყოს მეცადინეობის ამოცანების გადაწყვეტაზე. მასწავლებელი თხზავს ზღაპრებს, იგონებს პერსონაჟებს, არქმევს მათ სახელებს, აცმევს ტანსაცმელს, უყვება მათზე ბავშვებს, ხშირად რთავს მხიარულ ეპიზოდებს და ამას აკეთებს ისე ხატოვნად, რომ ბავშვების წარმოსახვაში პერსონაჟები უკვე ცოცხლობენ. და ეს ყველაფერი ისეთ საინტერესო თამაშად შეიძლება გადაიქცეს, რომ ერთი დიდი ზღაპრის სერიები შეიძლება შექმნას წარმატებულმა მასწავლებელმა. რა თქმა უნდა ეს ადვილი არაა, მაგრამ მასწავლებელმა უნდა შეძლოს ამის გაკეთება. ზოგჯერ პერსონაჟები და მონაცემი ამბები ისეთ ლამაზ დიდ ზღაპრად გადაიქცევა, რომ შესაძლებელია უკვე მისი თეატრალიზება. თეატრი ყველა ბავშვისათვის ზღაპრული სამყაროა და რაოდენ საინტერესო იქნება მათთვის როცა ისინი თავად იქნებიან მსახიობებიც, მხატვრებიც, შექმნიან კოსტუმებს და დეკორაციებს, შეურჩევენ მუსიკას და რა უნდა იყოს ბავშვებისათვის ამაზე ემოციური და დიდი დღესასწაული, როდესაც ისინი ითამაშებენ სპექტაკლს.თავისი ხელით დაამზადებენ მოსაწვევ ბარათებს, დაპატიჟებენ მშობლებს და თანატოლებს, შემდეგ გაიხსნება ფარდა და პატარა მსახიობები მოგვიყვებიან გასაოცარ ამბავს.

მოგონილი თამაშის პერსონაჟები, ზოგჯერ შეიძლება ცნობილი ზღაპრის გმირებიც იყვნენ. მასწავლებელმა ისინი თამაშში უნდა ჩართას არა გასართობად, არამედ როგორც საშუალება დიდაქტიკური ამოცანების შესასრულებლად, მათ მოტივაცია უნდა შეუქმნან ბავშვებს მთელი მეცადინეობის მანძილზე. მაგალითად: თამაშის პერსონაჟები სტუმრად მოდიან ბავშვებთან . უმეტეს შემთხვევაში მათ პრობლემები აქვთ და დახმარება სჭირდებათ ბავშვებისაგან. დახმარების სურვილი,რომელიც ბავშვებს აღეძვრებათ პერსონაჟის მიმართ, წარმოადგენს ერთგვარ მოტივაციას მონდომებით შეასრულონ ნამუშევრები.

თამაშის მეთოდის ადგილი და როლი დიდადაა დამოკიდებული პედაგოგზე, იმაზე თუ რამდენად სწორად ესმის მას თამაშის მთავარი ფუნქცია, სასწავლო–სააღმზრდელო ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის შეთვისებას და ისეთი უნარების გამომუშავებას, როგორცაა: მეხსიერება, აზროვნება, ყურადღება და ფანტაზია. მოტივაციის ფუნქცია ხელს უწყობს შექმნას შესაფერისი ატმოსფერო მეცადინეობისათვის. კომუნიკაციური ფუნქცია განაპირობებს ბავშვთა ურთიერთობას, კონტაქტებს საერთო მიზნის შესასრულებლად. დიაგნოსტიკური

ფუნქცია ავლენს პრობლემებს ბავშვების განვითარებაში და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შეისწავლოს ბავშვის პიროვნების მახასიათებლები. რელაქსაციის ფუნქცია ხსნის სტრესს ინტენსიური ვარჯიშის დროს. მაკორექტირებელი ფუნქცია კი დადებით ცვლილებებს ახდენს ბავშვის პიროვნების სტრუქტურაში.

თამაშის მეთოდები გამოიყენება ხატვის სხვადასხვა ეტაპზე. ნამუშევრის დაწყების წინ ე.ი. მოსამზადებელ ეტაპზე, მანამდე, სანამ ბავშვები დაიწყებენ ხატვას. მისი მიზანია ხატვის პროცესისადმი ბავშვთა ყურადღების კონცენტრაცია. არსებობს თამაშები, რომელიც უნდა გათამაშდეს ნახატის შექმნის პროცესში. ნახატი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ თანდათან იძენს რეალური ობიექტის ან სიტუაციის სახეს. თამაშმა კი ხელი უნდა შეუწყოს ამ პროცესს. (ჩქარა, დროზე, გელოდებათ, მას დახმარება სჭირდება,) ბავშვები ცდილობენ დროზე დაამთავრონ ნამუშევარი. ნახატის დამთავრების შემდგომი მეთოდი, უკვე ისეთი თამაში იქნება, სადაც ასახული იქნება ნახატის პერსონაჟები, სიუჟეტი და კონკრეტული ობიექტი. მაგალითად ბავშვებს ვთხოვთ გააცოცხლონ ნახატი, მოირგონ როლები. იმისათვის, რომ თამაშის მეთოდებმა სასურველი შედეგი მოგცენ, საჭიროა გავითვალისწინოთ ბავშვთა ასაკი.

როლური თამაშები სთავაზობენ ბავშვებს კონკრეტული როლის შესრულებას, რომელიც კავშირში იქნება ნახატთან. ბავშვები ასრულებენ: მხატვრების, სურათის გამყიდველის, კოლექციონერის, პოლიციელის, და ა.შ. როლებს. ამასთანავე შეუძლიათ დახატონ თავიანთი როლის წარმოსახვითი პერსონაჟი.

თამაშის მეთოდი ეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესი გახადოს საინტერესო და სახალისო სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. თამაში საშუალებას აძლევს მათ წარმოადგინონ საგანმანათლებლო დავალება გასართობი ფორმით; თამაშის მეთოდი ეხმარება მასწავლებელს ჩართოს მასში თითოეული მოსწავლე ისე, რომ მათთვის საინტერესო გახადოს თამაშით შესრულებული მეცადინეობა. დიდია მასწავლებლის როლი ამ ტიპის მეცადინეობების პროცესში. ის იგონებს კონკრეტული დავალების შესრულებისათვის საჭირო თამაშებს და სავარჯიშოებს. ერთ-ერთი ასეთია თამაშით შესასრულებელი სავარჯიშო, რომელიც გამოიყენება ბავშვებისათვის მარტივი ფორმების დასახატად. მასწავლებელი და ბავშვები ერთად ჯერ ხელით ხაზავენ ჰაერში სასურველ ფორმას, შემდეგ თითებით ასრულებენ იგივე მოძრაობას ქაღალდზე, ბოლოს კი ფანქრით ან ფუნჯით აცოცხლებენ ქაღალდზე სასურველ ფორმას. მოძრაობებს ავსებენ განმარტებებით: „ასე წვიმს“, „ბურთია“ და ა.შ. ხოლო თამაშით შესრულებული ხელის მოძრაობა, მნიშვნელოვნად აადვილებს ხაზების მიმართულებაში გარკვევის პროცესს და ფორმების გამოსახვის უნარს.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ბავშვებზე დიდ ზემოქმედებას ახდენს და ხატვის მოტივაციას ამაღლებს თამაშები, რომლის მთავარი გმირები ზოგჯერ მასწავლებლის მიერ გამოგონილი ზღაპრებიდან მოდიან ბავშვებთან შესახვედრად. მასწავლებელს მეცადინეობის დაწყებამდე მოაქვს სათამაშო, რომელიც ბავშვებთან სათხოვნელად მოვიდა. მეთოდი მეტად ეფექტურია გაკვეთილის დაწყებამდე ან საუბრის დროს. იგი მიზნად ისახავს მომავალი ნახატის იდეის ჩამოყალიბებას. მასწავლებელმა მოკლედ, მაგრამ დამაჯერებლად უნდა მოუყვეს ბავშვებს გამოგონილი ამბავი თამაშის ზოგიერთი პერსონაჟის უიღბლობასა და გაჭირვებაზე, რომელსაც ბავშვების დახმარება აუცილებლად გადაარჩენს და გამოიყვანს მდგომარეობიდან. თამაშის გმირები მიმართავენ ბავშვებს დახმარებისთვის და მასწავლებელმა აუცილებლად უნდა ჰკითხოს, სურთ თუ არა მათ დახმარება, რადგან ზოგჯერ ბავშვი უარს აცხადებს მასზე. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ გრძელდება საგანმანათლებლო

პრობლემის ფორმულირება. მასწავლებელი ავალებს ბავშვებს, პერსონაჟებისთვის საჭირო საგნების დახატვას. ზოგჯერ მათ სჭირდებათ: საჭმელი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტრანსპორტი, სამედიცინო დახმარება და ა.შ. თამაში საინტერესოა იმით, რომ ამ საჭირო ნივთების ხატვასთან ერთად ბავშვი სწავლობს გაჭირვებაში მყოფი ადამიანის დახმარებას, რომელიც მას ცხოვრებაშიც გამოადგება. ამრიგად თამაშს თავისი აღმზრდელობითი მხარეც გააჩნია.

დასრულებულ სურათთან თამაშის მეთოდი ხელს უწყობენ ნახატის ხარისხის გამოვლენას, წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზების გაგებას. თამაშის მოქმედებები მიზნად ისახავს გამოსახულების გაანალიზებას რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: - როგორ შეადგინა ბავშვმა გამოსახულება? როგორ გაანაწილა სასაურათე სიბრტყეზე კომპოზიციურად? როგორ გადმოსცა საგნის ფორმა, ან როგორ შეასრულა ნამუშევარი ფერში და ა.შ. ბავშვების ნამუშევრებთან თამაში აღმზრდელს საშუალებას აძლევს გაანალიზოს და შეაფასოს ისინი საინტერესოდ და დამაჯერებლად. ე.ი. ამ მეთოდით სკოლამდელი ასაკის ბავშვები, ნამუშევრის გარშემო თამაშის შემდეგ, მსჯელობენ და აფასებენ ნამუშევრებს. ამ მეთოდის განხორციელებისათვის, რომელიც საბავშვო ბაღის საშუალო და უფროსი ჯგუფისათვისაა გამიზნული, მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს კედელი, გააკრას მასზე ნამუშევრები როგორც გამოფენაზე და მიიყვანოს ბავშვები მათ სანახავად და შესაფასებლად. უნარი, დაინახოს რამდენად სწორად არის გამოსახული საგანი, ბავშვს ეხმარება შემდგომ შემოქმედებით საქმიანობაში. ზოგჯერ კი ნამუშევრების შეფასება ასეთი ფორმით ხდება: სამუშაოს დასრულების შემდეგ, მასწავლებელი იღებს ერთ-ერთ ნახატს და მასზე მსჯელობას შექებით იწყებს. აღნიშნავს რა ნამუშევრის დადებით მხარეებს: ნახეთ რა ლამაზადაა ხე დახატული. როგორი ბუნებრივი ფორმა აქვს ხის ტოტებს, მაგრამ ეს რამხელა ფოთლებია, ხის ფოთლები ასეთი დიდი არ უნდა იყოს! და თუ ანალოგიური შეცდომები აღინიშნება სხვა ბავშვთა ნამუშევრებშიც, მასწავლებელი ურჩევს დააპატარაონ ხის ფოთლები. ნახატის შეფასება მასწავლებელმა შექებით უნდა და იწყოს, შემდეგ კი შეცდომებზე ისაუბროს და ბავშვს ურჩიოს შეასწოროს ნამუშევარი. ამას დიდი პედაგოგიური ღირებულება აქვს, რადგან ხშირად უხეში, კრიტიკული გამონათქვამები ბავშვის ნამუშევრის მიმართ, მას უკარგავს შემდგომი შემოქმედებითი მუშაობის ხალისს. ზოგჯერ ბავშვი უარს ამბობს ხატვასა და ძერწვაზე და პროტესტის ნიშნად აღარ ასრულებს ნამუშევრებს. მასწავლებლის მიერ წახალისება კი ზრდის ბავშვის მოტივაციას. ამიტომ სურათის ანალიზი მასწავლებელმა ყოველთვის ბავშვის შექებით უნდა დაიწყოს და შემდეგ თანდათან გადავიდეს შეცდომების განხილვაზე. რაც შეეხება პატარების ჩართვას ნამუშევრების განხილვაში, ისინი ამას ყოველთვის დიდი ხალისით ასრულებენ და მიუთითებენ შეცდომებზე, აქებენ კიდევ ერთმანეთს და სურათის ანალიზის პროცესი ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი გამოდის მათთვის. როგორც ვიცით, სურათის განხილვა შეუძლებელია ხელოვნების ენის ცოდნის გარეშე. ისინი უკვე უნდა იცნობდნენ ტერმინებს: კომპოზიცია, წონასწორობა, პროპორცია, ფორმა, ფერი, ტონი, შტრიხი და ა.შ. და ცდილობდნენ მათ გამოყენებას.

თამაშის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს და აძლიერებს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მოიცავს როგორც თამაშის ძირითად ელემენტებს, ასევე ბავშვთა სახვით აქტივობებს. შედეგად, ისინი ახლობელი, ნაცნობი და გასაგები ხდება ბავშვებისთვის, მათი გამოყენება კი სახვითი ხელოვნების მეცადინეობებზე საინტერესო და ნაყოფიერს გახდის სასწავლო პროცესს.

ლიტერატურა:

1. Выготский Л.С. (1965) Игра и ее роль в психическом развитии ребенка. Вопросы психологии. №6. с.20.
2. Погодина, С.В. (2010) Теория и методика развития детского изобразительного творчества. М. Издательский центр «Академия». с.352
3. Эльконин Д.Б. (1978) Психология игры. М.Просвещение, с .130

Abstract

"Art, and specifically fine arts, serves as a constant companion in a child's development," wrote L.S. Vygotsky. The most interesting and captivating activity for a child is drawing. It allows the child to convey the reality they have drawn in their artwork. Drawing develops the child's thinking, memory, imagination, artistic taste, sense of color and its combination, and fine motor skills. It teaches them to think and analyze. The child already notices and tries to convey the colorfulness of the outside world in their artwork. There are numerous methods aimed at mastering drawing techniques. One of the leading methods among these is the play method. Play is one form of human behavior, especially in children. The German scientist Müller believed that play is an activity, the basis of which is the acquisition of functional pleasure.

As a teaching method, play should meet the following requirements:

- a) Creation of a play scenario
- b) Involvement of each child in the game

The organization of the play method is carried out by the teacher, who must have the ability to invent and create a scenario, much like a playwright. The teacher must create roles and special dialogues around the specific lesson and topic. Sometimes, the characters and the narrative transform into such an interesting, grand fairy tale that it is possible to stage it theatrically. The theater is a magical world for every child, and how exciting it is when they themselves become the actors, the artists, creating costumes and decorations, choosing the music—what could be a more emotional and grand celebration for children than this?

The play method is used at various stages of drawing: before starting the artwork, that is, at the preparatory stage, during the process of creating the drawing, and after completing the drawing. This final stage will be a type of play where the characters, plots, and specific objects from the drawing are depicted. For example, we ask the children to bring the drawing to life and take on roles. In order for the play method to yield the desired results, it is important to consider the children's age.

Keywords: *play, Vygotsky, plot, scenario, performance.*

საქართველოს პრეზიდენტის საშინაო კომპეტენციები
2017 წლის 13 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმათა ჭრილში

ფაჩოშვილი კობა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.36>

აბსტრაქტი. წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოში კონსტიტუციაში 2017 წლის 13 ოქტომბერს განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმა, პრეზიდენტის, მინიმუმამდე დაყვანილი საშინაო კომპეტენციათა ნუსხა და ამ მიმართლებით წარმოქმნილი პრობლემური საკითხები, მათი გადაჭრის გზები და მოსალოდნელი შედეგები.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პრეზიდენტის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელ ისეთ მნიშვნელოვან კომპეტენციებზე როგორებიცაა აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მთავრობის სხდომებზე ცალკეულ საკითხთა განხილვაში მისი მონაწილეობა. რაც ზემოხსენებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად გამოირიცხა პრეზიდენტის უფლებამოსილებებიდან.

ნაშრომში დასმული საკითხების განხილვა და არგუმენტირებული დასკვნები იძლევა პასუხს კითხვაზე შესაძლებელია თუ არა საპარლამენტო მმართველობის პირობებში პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური მონაწილეობას იღებდეს, მთავრობის ფორმირების პროცესებში, მონაწილეობდეს მთავრობის სხდომებში მის მიერ დაყენებული ცალკეული საკითხების განხილვაში.

1. პრეზიდენტის საშინაო კომპეტენციები კონსტიტუციური რეფორმების ჭრილში

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.“ საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის მიღებით ქვეყანაში მორიგი კონსტიტუციური რეფორმა განხორციელდა. შედეგად კიდევ ერთხელ შეიცვალა სახელისუფლებო შტოებს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილების მანამდე დადგენილი კონსტიტუციური წესრიგი. რეფორმამ პრეზიდენტის ინსტიტუტი საბოლოოდ ჩამოაშორა აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების პროცესს. საკონსტიტუციო ცვლილებათა 56-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ახლად არჩეული პარლამენტის სრული უფლებამოსილების შექმნისთანავე მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას პარლამენტის წინაშე და განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე.“ ამავე მუხლის მეორე პუნქტით „პარლამენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან, ორი კვირის ვადაში ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოდგენილ

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ მთავრობის შემადგენლობას, ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.“ ძირითადი კანონის ახალი რედაქციით პრეზიდენტი ჩამოშორებული იქნა ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფორმირების პროცესებიდანაც, რადგან კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ვეღარ მოხვდა რეფორმამდე არსებული ძირითადი კანონის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში, უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ-სუბიექტებთან კონსულტაციების შემდეგ, საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობით უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას.“

პრეზიდენტის, საშინაო კომპეტენციათა ნუსხიდან გამოვიდა აგრეთვე მთავრობის სხდომებზე ცალკეულ საკითხთა განსახილველად დაყენების მის განხილვაში მონაწილეობის მიღების და აქედან გამომდინარე მთავრობის სხდომებში მონაწილეობის მიღების უფლებამოსილება.

2. შედარებით სამართლებრივი ანალიზი უცხოეთის ქვეყნებთან

პრეზიდენტის კომპეტენციათა მაქსიმალური შეზღუდვის არგუმენტად, საკონსტიტუციო რეფორმების ავტორები ხშირად ასახელებდნენ სახელმწიფო მმართველობის ფორმის ცვლილებას, ჯერ ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) ხოლო შემდეგ საპარლამენტო მმართველობის შემოღებას და ამ მიმართულებით იშველიებდნენ უცხოეთის სახელმწიფოთა პრაქტიკასა და გამოცდილებას. ამასთან ერთად მთავარი პოლიტიკურ-სამართლებრივი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ ფართო უფლებების მქონე პრეზიდენტს გაუჩნდებოდა მეტი პრეტენზიები და სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში უპირატესობის მოპოვების სურვილი, რაც გარკვეულ საფრთხეს შექმნიდა ქვეყანაში ავტორიტარიზმის და ხელისუფლების მიტაცების მიმართულებით.

შესაბამისად საინტერესოა განვიხილოთ, სახელმწიფო მმართველობის ფორმით საქართველოსთან მაქსიმალურად ახლოს მდგომ უცხოეთის სახელმწიფოთა პრეზიდენტების კომპეტენციათა არსენალში არის თუ არა სახელმწიფოს მეთაურის ისეთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები, როგორცაა აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირება და მთავრობის სხდომებში მონაწილეობა.

3. მთავრობის ფორმირების პროცესში პრეზიდენტის მონაწილეობა

საპარლამენტო მმართველობის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისებაა საკანონმდებლო ორგანოს მაღალი როლი აღმასრულებელი ორგანოს ფორმირებასა და საქმიანობაში, შესაბამისად ქვეყანაში ჩატარებულ თუ ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება.

ამდენად, მთავრობის, როგორც შექმნის ასევე გადადგომის საკითხიც უცხოეთის არაერთ სახელმწიფოში ახლად არჩეული პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერასთან და მის გადამწყვეტ სიტყვასთანაა დაკავშირებული. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, იმასაც, რომ როგორც საპარლამენტო, ასევე ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის ქვეყნებში, მართალია საკანონმდებლო ორგანოს აქვს გადამწყვეტი სიტყვა მთავრობის შექმნის პროცესებში, მაგრამ არც პრეზიდენტის როლია სრულად გამორიცხული. შესაძლებელია ხშირად, ფორმალურად, მაგრამ პრეზიდენტები მაინც ფლობენ კომპეტენციებს აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებასთან დაკავშირებით. არსებობს ორი ძირითადი ვარიანტი ამ მიმართულებით.

პირველი ვარიანტის მიხედვით პრემიერ-მინისტრობის, მთავრობის თავმჯდომარეობის და მინისტრობის კანდიდატებს, პარლამენტში წარდგენამდე შეარჩევს და ნიშნავს პრეზიდენტი, სახელმწიფოს მეთაური. ამის შემდეგ ხდება საკანონმდებლო ორგანოში ნდობის მისაღებად, დასამტკიცებლად წარდგენა. მეორე ვარიანტის მიხედვით კი ჯერ პარლამენტის მიერ ხდება შერჩეული პრემიერ-მინისტრის და მინისტრების დამტკიცება, ხოლო ამის შემდეგ პრეზიდენტი გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს, სადაც აისახება პარლამენტის ნება. სწორედ ამ ჭრილში განვიხილავ საპარლამენტო და შერეული (ნახევრად საპრეზიდენტო) უცხოეთის ქვეყნებში აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ რეგულაციებს.

3.1. პოლონეთი, პოლონეთი ცენტრალური ევროპის შერეული მმართველობის დემოკრატიული რესპუბლიკაა, აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების პროცესში, გადამწყვეტი სიტყვა საკანონმდებლო ორგანოს ეკუთვლის, რადგან სწორედ პარლამენტის მიერ ნდობის გაცმობხადება არგამოცხადებაზეა დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ბედი. თუმცა, პარლამენტში ნდობის გამოცხადებამდე ჯერ რესპუბლიკის პრეზიდენტი შეარჩევს და ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და შემდეგ წარუდგენს პარლამენტს ნდობის გასაცხადებლად.

პოლონეთის კონსტიტუციის 154-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, პოლონეთის აღმასრულებელი ხელისუფლების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას ჯერ დაასახელებს და თანამდებობაზე დანიშნავს პოლონეთის პრეზიდენტი, სახელმწიფოს მეთაური, ხოლო ამის შემდეგ დანიშნვიდან 14 დღის განმავლობაში სეიმს წარუდგენს მინისტრთა საბჭოს სამუშაო პროგრამას და წინადადებით მიმართავს მას, ნდობა გამოუცხადოს მინისტრთა საბჭოს. სეიმი მინისტრთა საბჭოს ნდობას უცხადებს ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით, თუ პრეზიდენტმა არ დაასახელა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა, ან სეიმმა არ გამოუცხადა ნდობა, მაშინ სეიმი თავად ირჩევს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და მის მიერ შემოთავაზებულ მინისტრთა საბჭოს წევრებს ხმების აბსოლიტური უმრავლესობით. პრეზიდენტი ნიშნავს ამ წესით არჩეული მინისტრთა საბჭოს და ადებიინებს ფიცს.

3.3 პორტუგალია, პორტუგალიის შერეული (ნახევრად საპრეზიდენტო) მმართველობის რესპუბლიკაში კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება გადანაწილებულია საკანონმდებლო ორგანოს, მთავრობას და პრეზიდენტს შორის. პრეზიდენტი წარმოადგენს პორტუგალიის რესპუბლიკას, უზრუნველყოფს ეროვნულ დამოუკიდებლობას, სახელმწიფოს ერთიანობას და დემოკრატიული ინსტიტუტების ნორმალურ ფუნქციონირებას, არის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო არის პორტუგალიის მთავრობა, რომელიც ახორციელებს და ხელმძღვანელობს საერთო სახელმწიფო პოლიტიკას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში. კონსტიტუციის 187-ე მუხლის პირელი პუნქტის თანახმად: „პორტუგალიის პრემიერ-მინისტრს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. რესპუბლიკის ანსამბლეაში წარმოდგენილ პოლიტიკური პარტიებთან კონსულტაციებისა და არჩევნების შედეგების გათვალისწინებით“. მთავრობის დანარჩენ წევრებს ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: „ნიშნავს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით“.

3.4. ბულგარეთი, ბულგარეთი საპარლამენტო მმართველობის დემოკრატიული რესპუბლიკაა, საქართველოს პრეზიდენტის მსგავსად, ბულგარეთის პრეზიდენტი

სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია. ძირითადი კანონის, კონსტიტუციის 99-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საპარლამენტო ჯგუფებთან კონსულტაციების შემდეგ პრეზიდენტი აკისრებს ყველაზე მრავალრიცხოვანი საპარლამენტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს ვალდებულებას, წარადგინოს მთავრობის შემადგენლობა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად თუ „შვიდი დღის ვადაში ვერ შეძლებს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი მთავრობის შემადგენლობის წარდგენას, პრეზიდენტი ამ ვალდებულებას აკისრებს მრავალრიცხოვნებით მეორე საპარლამენტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს. მე-3 პუნქტის თანახმად თუ ამ შემთხვევაშიც არ არის შეთავაზებული მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა პრეზიდენტი წინა პუნქტით დადგენილ ვადაში ავალეს ნებისმიერ მომდევნო საპარლამენტო ჯგუფს მიუთითოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი. მე-4 პუნქტის თანახმად კი, როდესაც დავალება წარმატებით დასრულდება. პრეზიდენტი სახალხო კრებას სთავაზობს აირჩიოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი.

3.5 ესტონეთი, ესტონეთის საპარლამენტო მმართველობის რესპუბლიკაში ქვეყნის პრეზიდენტი აქტიურადაა ჩართული აღმასრულებელი ხელისუფლების, მთავრობის ფორმირების პროცესში. ძირითადი კანონის, კონსტიტუციის 89-ე მუხლის თანახმად, „მთავრობის გადადგომის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი 14 დღის ვადაში ნიშნავს კანდიდატს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, რომელსაც ავალეს ახალი მთავრობის ფორმირებას. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი სახელმწიფო კრებაზე ვერ მიიღებს ხმათა უმრავლესობას, ან ვერ შეძლებს მთავრობის ფორმირებას, პრეზიდენტი უფლებამოსილია წარადგინოს პრემიერ-მინისტრობის ახალი კანდიდატი. თუ პრეზიდენტი არ გამოიყენებს ამ უფლებამოსილებას, ან ეროვნული ანსამბლესგან ვერ მიიღებს მთავრობის ფორმირების უფლებამოსილებას, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურის დასახელების უფლებამოსილება გადადის სახალხო კრებაზე.

პრეზიდენტის მიერ დასახელებული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ეროვნულ ანსამბლეს წარუდგენს მოხსენებას მომავალი მთავრობის ფორმირების საფუძვლების შესახებ. სახალხო კრება კამათის გარეშე, ღია კენჭისყრით, იღებს გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურისათვის მთავრობის ფორმირების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში პრეზიდენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას, რომელიც 3 დღის ვადაში ნიშნავს მთავრობას.“ ამავე მუხლის მიხედვით „რესპუბლიკის მთავრობის დანიშნულ შემადგენლობაში ცვლილებებს ახორციელებს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.“

3.6. მოლდოვა, მოლდოვას საპარლამენტო მმართველობის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტის მსგავსად, სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია. იგი აქტიურადაა ჩართული მთავრობის ფორმირების პროცესში.

ქვეყნის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოლდოვას რესპუბლიკის პრეზიდენტი წარმოადგენს კანდიდატურას პრემიერ-მინისტრობის პოსტზე.“ მე-2 პუნქტის თანახმად წარდგენიდან 15 დღის ვადაში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა უნდა მოითხოვოს, პარლამენტმა ნდობა გამოუცხადოს მთავრობის სამოქმედო პროგრამას და მთავრობის მთელ

შემადგენლობას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მთავრობის სამოქმედო პროგრამისა და მთავრობის შემადგენლობის ნდობის გამოცხადება განიხილება პარლამენტის სხდომაზე. პარლამენტი დეპუტატთა ხმათა უმრავლესობით უცხადებს ნდობას მთავრობის შემადგენლობას.

პრეზიდენტი მონაწილეობს მთავრობის შექმნის საქმეში ასევე ფინეთის რესპუბლიკაში.

4. მთავრობის სხდომებზე განსახილველ საკითხთა დაყენების უფლებამოსილება

პრეზიდენტის ზემოაღნიშნულ საშინაო უფლებამოსილებას განვიხილავ უცხოეთის, როგორც საპარლამენტო, ასევე ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის სახელმწიფოთა მაგალითებზე:

4.1. ჩეხეთი, ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებაზე მთავრობის ფორმირების პროცესებში, ნაშრომის ამ თავში უკვე ვისაუბრე, ამ შემთხვევაში დავამატებ, რომ ჩეხეთის პრეზიდენტი გარდა იმისა, რომ აქტიურად მონაწილეობს მთავრობის ფორმირებაში იგი მონაწილეობს ასევე მთავრობის სხდომებში და იქ დასმული საკითხების განხილვაში. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო მმართველობის შესაბამისად პრეზიდენტი ქვეყნის, როგორც საშინაო ასევე საგარეო მიმართულებით შეზღუდული კომპეტენციებით სარგებლობს, მთავრობა კი აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელი სახელისუფლებო შტოა, პრეზიდენტი არა მარტო მონაწილეობას იღებს მთავრობის სხდომებში, არამედ მას უფლება აქვს მთავრობიდან გამოითხოვოს მისთვის საჭირო საკითხებზე ინფორმაცია და მთავრობასთან ერთად მიიღოს მონაწილეობა მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვაში.

ჩეხეთის რესპუბლიკის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის 64-ე მუხლის თანახმად, „რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში, მთავრობისა და მისი წევრებისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია და მათთან ერთად განიხილოს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხები.“

მთავრობის სხდომებზე დასწრების და საკითხების განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილება გააჩნიათ აგრეთვე ხორვატიის, რუმინეთის და ლატვიის ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის სახელმწიფოთა პრეზიდენტებს.

4.2 ხორვატია, ხორვატია აღმოსავლეთ ევროპის ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის, დემოკრატიული რესპუბლიკაა. მთავრობა პრეზიდენტისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მიუხედავად შეზღუდული უფლებამოსილებებისა, ხორვატიის პრეზიდენტი, კონსტიტუციის 101-ე მუხლის თანახმად, „საომარი მდგომარეობის დროს ან სახელმწიფო დამოუკიდებლობის და ერთიანობის საფრთხის შემთხვევაში ან როდესაც საჯარო ხელისუფლება ვერ ახერხებს მუდმივად შეასრულოს თავისი კონსტიტუციური მოვალეობა რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მოიწვიოს მთავრობის სხდომა და გაუძღვეს მას.“

4.3 რუმინეთი, რუმინეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის დემოკრატიული რესპუბლიკაა, მთავრობა უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზებას, საჯარო ადმინისტრაციის საერთო ხელმძღვანელობას. მთავრობას, როგორც დამოუკიდებელ სახელისუფლებო ინსტიტუტს, სახელმწიფო მართვის ყველა ძირითადი ბერკეტი უკავია, როგორც საშინაო ასევე, საგარეო მიმართულებით. მიუხედავად აღნიშნულისა, ქვეყნის ძირითადი კანონით, კონსტიტუციით პრეზიდენტს

განმტკიცებული აქვს მთავრობის სხდომებზე დასწრების უფლებამოსილება. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს აგრეთვე მთავრობის სხდომებზე დასმული ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვაში.

რუმინეთის კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პრეზიდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში, სადაც განიხილება ეროვნული ინტერესების საკითხები და ეხება საგარეო პოლიტიკას, ეროვნული დაცვას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, პრემიერის მოთხოვნით აგრეთვე სხვა შემთხვევებში.“ ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად „რუმინეთის პრეზიდენტი უძღვება მთავრობის სხდომებს, რომლებშიც იგი მონაწილეობს.“

4.4 ლატვია, ლატვია ჩრდილოეთ ევროპის ნახევრად საპრეზიდენტო (შერული) მმართველობის დემოკრატიული წესწყობილების სახელმწიფოა. პრეზინტი სახელმწიფოს მეთაურის მაღალ სტატუსთან ერთად, ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავრსარდალია. ქვეყნის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლება, მინისტრთა კაბინეტი დამოუკიდებელ სახელისუფლებო შტოს წარმოადგენს, მას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. პრეზიდენტი, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია მოიწვიოს მინისტრთა კაბინეტის რიგგარეშე სხდომები და ამავედროულად თავად განსაზღვროს სხდომის დღის წესრიგი. კონსტიტუციის 46-ე მუხლის თანახმად, „რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მოიწვიოს და აწარმოოს რიგგარეშე მინისტრთა კაბინეტის სხდომები, განსაზღვროს ამ სხდომების დღის წესრიგი“

5. საკონსტიტუციო ცვლილებები და არსებული პრობლემები

საქართველოს კონსტიტუციაში გატარებული რეფორმების შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნე, პრეზიდენტი აღარ არის სახელმწიფო მმართველობის სისტემის ქვაკუთხედი, და მთავარი ხელმწიფო ინსტიტუტი, რაც საპარლამენტო მმართველობის პირობებში მისაღები მოვლენაა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ გატარებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიუხედავად, კონსტიტუციის დღეისათვის მოქმედი რედაქციით პრეზიდენტი მაინც დარჩა სახელისუფლებო შტოთა შორის ყველაზე მაღალი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის მატარებელ სახელისუფლებო ინსტიტუტად. ქვეყნის ძირითადი კანონის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის ძალით „საქართველო პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი.“ მაღალი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით კი ლოგიკურია, რომ საჭიროების შემთხვევაში პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს სხვა სახელისუფლებო განშტოებებზე „გავლენისა და ზეგავლენის უზრუნველმყოფი ინიციატივის, მონაწილეობის, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი შესაძლებლობები.“ (დემეტრაშვილი ა, 2013, გვ.15)

შესაბამისად პრეზიდენტის უფლებამოსილების მაქსიმალურად შეზღუდვა „მისი „ჩამოლაბორანტება,“ და სიმბოლურ, მხოლოდ ცერემონიალური ან წარმომადგენლობითი ფუნქციით დატვირთულ ფიგურად წარმოჩენა არ იქნება სწორი.“ (დემეტრაშვილი ა, 2013, გვ.13)

ამ მიმართულებით არსებობს რამოდენიმე პრობლემური საკითხი, რომლებიც პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, კომპეტენციათა ახლებური გადანაწილების გამო წარმოიშვა

პირველ რიგში, მინდა შევეხო აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებას და ამ პროცესებიდან სახელმწიფოს მეთაურის, პრეზიდენტის, სრულად ჩამოცილების საკითხს.

კონსტიტუციის 56-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად „პარლამენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოდგენილ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ მთავრობას, მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა, ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.“ მთავრობის ფორმირების ამგვარი კონსტიტუციური წესი, ერთის მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს საპარლამენტო მმართველობისათვის მისაღებ და დადებით მოვლენად, თუმცა პრეზიდენტის ინსტიტუტის სრული გამორიცხვა და ჩამოცილება მთავრობის ფორმირებიდან მაინც რეფორმის უარყოფით მხარედ მიმაჩნია, რადგან არ უნდა დავივიწყოთ, რომ პრეზიდენტის ფუნქციებსა და მის ადგილს სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში განსაზღვრავს მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურისა და სახელმწიფოს წარმომადგენლის მაღალი სტატუსი.

აქედან გამომდინარე კი, „პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მეთაურისათვის დამახასიათებელი ისეთი უფლებამოსილება, როგორცაა პარლამენტისათვის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურის წარდგენა და პრემიერ-მინისტრის წარდგინებით მინისტრების დანიშვნა.“ კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით კი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობის მისაღებად საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტს წარუდგენს არა ქვეყანაში უმაღლესი კონსტიტუციური სტატუსის მქონე სახელმწიფოს მეთაური, არამედ თავად ნდობა გამოუცხადებელი, პრემიერ-მინისტრობის ჯერ კიდევ კანდიდატი. მართალია ამავე მუხლში გვაქვს ასევე მე-5 პუნქტიც, რომლის თანახმადაც „მთავრობის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშნიდან ორი დღის ვადაში მინისტრებს,“ თუმცა ეს ნორმა რეალურად მხოლოდ ფორმალური ხასიათის მატარებელია, რადგან ამავე მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. პრეზიდენტი, თავისი მაღალი კონსტიტუციური სტატუსიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა იღებდეს მონაწილეობას მთავრობის ფორმირების პროცესში, მითუმეტეს, რომ უცხოეთის საპარლამენტო და ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის ქვეყნების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ამის მაგალითებს იძლევა.

ქვეყნის ძირითადი კანონიდან ამოღებულ იქნა აგრეთვე საკონსტიტუციო რეფორმამდე არსებული 78-ე მუხლის მე-6 პუნქტი „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა და მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში“ რომლის ძალითაც საქართველოს პრეზიდენტს ჩამოერთვა მთავრობის სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხების დაყენების და მათ განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლებამოსილება. იმ არგუმენტაციით, რომ თავიდან ყოფილყო აცილებული მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში პრეზიდენტის ჩარევის საშიშროება, რაც ზოგადად აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელ სახელისუფლებო შტოდ ჩამოყალიბების ჭრილში დადებითი სიახლეა, თუმცა პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტს და ქვეყნის თავდაცვითი ძალების უმაღლეს

მთავარსარდალს, „უფლება უნდა ჰქონდეს მოიწვიოს მთავრობის სხდომა ქვეყნის თავდაცვის საკითხთა განსახილველად აგრეთვე საგანგებო და ომის მდგომარეობის დროს.“ (საქართველოს საკონსტიტუციო კომისია, 2010, გვ. 46)

პრეზიდენტი მთავრობის სხდომას უნდა იწვევდეს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ განსახილველი საკითხი პრეზიდენტს ეხება, როგორც სახელმწიფოს მეთაურს და როგორც ქვეყნის მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის გარანტს. პრეზიდენტის ინსტიტუტის ამგვარი უფლებამოსილებით აღჭურვა წინააღმდეგობაში არ მოვა არც ხელისუფლების დანაწილების პრინციპებთან და არც საპარლამენტო მმართველობის ღირებულებებთან. ამასთან ერთად, საგულისხმოა ისიც, რომ უცხოეთის საპარლამენტო და ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის ქვეყნების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ამის არაერთ მაგალითს იძლევა.

დასკვნა

ამრიგად, საკვლევი საკითხის შესწავლის, შედარებითი-სამართლებრივი ანალიზის, პრობლემური საკითხების გადაჭრისა და სრულყოფილი მოწესრიგების მიზნით ქვეყნის ძირითად კანონში, საქართველოს კონსტიტუციაში უნდა გატარდეს შემდეგი სახის ცვლილებები :

კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი „პარლამენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოდგენილ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ მთავრობას.“

აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის დანარჩენი ნაწილი დარჩეს იმავე შინაარსით, როგორც მოქმედ რედაქციაშია.

კონსტიტუციის 52-ე მუხლს ჩაემატოს ერთი პუნქტი შემდეგი რედაქციით; „საქართველოს პრეზიდენტი განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც განიხილება მის კომპეტენციას მიკუთვნებული, აგრეთვე თავდაცვითი და მაღალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და ინტერესის მქონე საკითხები უფლებამოსილია დაესწროს მთავრობის სხდომას და მონაწილეობა მიიღოს დასმული საკითხების განხილვაში.“

საქართველოს კონსტიტუციაში წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება გამოიწვევს პრეზიდენტის ინსტიტუტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ძალაუფლების სამართლიან გადანაწილებას. რის შედეგადაც დაცული იქნება, როგორც საპარლამენტო მმართველობის პრინციპები, ასევე ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა.

ლიტერატურა:

1. ბაბევი, ვ., ფიში, ს., რაიჭენბეჭერი, ც., (2012), კონსტიტუციის გადასინჯვა-საქართველოს გზა ევროპისაკენ, ქართული თარგმანი, თბილისი.
2. დემეტრაშვილი, ა., (2013), მმართველობის ახალი სისტემის თავისებულებანი საქართველოში, სუპერ-საპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, სტატიების კრებული, ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
3. პაკტე, პ., მელენ-სუკრამიანი, ფ., (2012), კონსტიტუციური სამართალი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,
4. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია, (2010), საქართველოს საკონსტიტუციო კომისია, თბილისი.
5. ფიში, ს., 2012 საქართველოს კონსტიტუციური განვითარება შედარებითი განვითარების რაკურსში, გამომცემლობა „monos“ ქართული თარგმანი.

6. ჯიბლაშვილი, ზ., (2015), პრეზიდენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის არსი პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, თბილისი, #3 .

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია ს.ს.ი.პ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“
2. საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი, თბილისი, 15.10.2010 ს.ს.ი.პ საქართველოს „საკანონმდებლო მაცნე“.
3. საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, თბილისი, 13.10.2017 ს.ს.ი.პ საქართველოს „საკანონმდებლო მაცნე“

საიტები:

1. Конституция Чехии (Чехипской Республики) [http:// legalns. com/ download/ booKs/ cons/czch republic.pdf](http://legalns.com/download/books/cons/czech_republic.pdf)
2. Конституция Респуублики болгарии [https:// www. parliament. am/ librapy/ sahmanadrutyunner/ bulgaria.pdf](https://www.parliament.am/library/sahmanadrutyunner/bulgaria.pdf)
3. The Constitution (USTAV REPLIKE HRVATSKE) <https://www.google.com>
4. Копституция Польши (Респуублики Нольши) [http://mspa 7520 .ru/ konstituciya respubliki Polsha](http://mspa7520.ru/konstituciya_respubliki_Polsha)
5. Конституция (Основпой Закон) Эстонской Респуублики [http://nemzentikonyvar. Komany .hu/download /3/00/50000/orosznyomda iavitott. Pdf](http://nemzentikonyvar.komany.hu/download/3/00/50000/orosznyomda_iavitott.Pdf)
6. Конституция Респуублики Молдова [https:// www. md. undp. org/ content/ dam/ Moldova/ docs/ Publications/Constitutia%20RM%20formal%20mic%20Rus%20Tipar%2014-07-2016.pdf](https://www.md.undp.org/content/dam/Moldova/docs/Publications/Constitutia%20RM%20formal%20mic%20Rus%20Tipar%2014-07-2016.pdf)
7. Constitutia Romaniei. <https://evergreen.tsu.ge/eg/onob/resiits?guery>
8. Конституция Латвийской Респуублики [https:// web. archlve. org/ web/ 20060713101248/ http:// www. mK. gov. lv/ru./mk/darbibu-reglamentejosi dokumenti/satversme](https://web.archive.org/web/20060713101248/http://www.mk.gov.lv/ru/mk/darbibu-reglamentejosi_dokumenti/satversme)

**Domestic Competencies of the President of Georgia
In the Context of the Constitutional Reforms of October 13, 2017**

Pachoshvili Koba

Caucasus International University

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

This paper discusses the constitutional reform implemented in the Constitution of Georgia on October 13, 2017, the list of domestic competencies of the President, which were reduced to a minimum, and the problematic issues arising in this direction, ways to solve them, and expected results.

Special attention is paid to such important competencies characteristic of the institution of the President as participation in the process of forming the executive branch and his participation in the discussion of individual issues at government meetings, which were excluded from the powers of the President as a result of the aforementioned constitutional amendments.

The discussion of the issues raised in the paper and the reasoned conclusions provide an answer to the question of whether, under parliamentary rule, the President, as the head of state, can participate in the government formation processes and participate in the discussion of individual issues raised by him at the meetings of the government.

**DEFINITION OF A SUBJECT OF POLITICAL ACTIVITY IN THE CONTEXT OF
POLITICAL TRANSFORMATION**

Kvasha Oleksandr

Donbas State Engineering Academy,
(Kramatorsk–Ternopol, Ukraine)
ORCID ID 0000-0001-9908-7705

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.37>

***Abstract.** The article considers the problem of defining the subject of political activity in the context of political transformation, which is an important component of the theoretical problem of political science. An analysis of various approaches and concepts to defining the subject of political activity, the differences between them, and a conceptual approach to defining the subject of political activity based on taking into account the main factors and their interrelationships is proposed. The author argues that it is possible to approach the definition of the subject of political activity only after defining the concept of «politics» and what meaning we put into this concept. Through consideration and analysis of existing approaches to defining the subject of political activity, the authors of the article proposed their own approach, which takes into account the main factors and the interrelationships between them. The proposed approach makes it possible to understand the complexity and diversity of subjects of political activity, and also allows us to understand that the definition of the subject of political activity should be based on a comprehensive analysis and take into account a number of factors.*

***Keywords:** political subject, politics, political activity, political life, people's interests, social interests.*

Introduction. Understanding and explaining the nature of political relations, political activity, and their content constitutes the main theoretical problem of political science. One of the important aspects of this problem is the definition and understanding of the subject of political activity. In turn, the definition of the subject of political activity is inextricably linked with the concept of «politics.» In the future, we will consider and use the concepts of politics and political activity as concepts close in meaning.

There is a well-known comparison of politics with theater. Politics is a stage where a political performance full of conflicts and intrigues is played out with a multitude of actors - parties, leaders, groups. The clash between them constitutes the content of each episode of the political drama. The observers of a political performance are faced with the following questions: who is participating in it; what motives guide the participants; who is the hero and who is only a secondary participant; what are the hidden springs of the seemingly chaotic political struggle. To answer these questions, a comprehensive study is needed, one of the stages of which is to solve the problem of the subject of politics, that is, to determine the participants in the political process. In methodological terms, in our opinion, it is possible to approach the definition of the subject of politics only when we define the concept of «politics», with what meaning we put into this concept, and only from this we can determine the subject of political activity.

Analysis of recent research and publications. Most of the existing political science developments demonstrate the need for further development and improvement of methods for determining the subject of political activity. In general, recent research in the field of political

methodology shows that this is an urgent and complex problem. For example, from the point of view of the psychological aspect, the issue was considered by T. Andryushchenko, O. Dubas, N. Pribygolova, N. Kolesnikov, A. Ashurbenov, O. Lyknyk investigated the specifics of political science methodology. Tools for determining the subject of political activity were studied by V. Veretinsky, I. Balynsky, M. Borodchak.

The purpose of this work is to develop a scientific approach to defining the subject of political activity based on an analysis of existing approaches and concepts in this area.

Discussion/Results. The term «politics» refers to controversial concepts that cause discussions and disputes to this day. As a special sphere of human activity, the purpose of which is to orient social development in a direction favorable to man by defining common goals and agreed means of achieving them, politics arose more than two and a half millennia ago. However, since then, both the content of goals and the methods of achieving them have changed. The meaning of the term «politics» has also not remained unchanged. In its interpretations, certain properties of a given social phenomenon have always come to the fore, depending on the circumstances. Today, in political science, there are a large number of interpretations and definitions of politics, which are due to the multifaceted nature of the phenomenon itself and, accordingly, the complexity of its cognition. In this case, we will limit ourselves to analyzing three basic conceptual approaches to defining politics, which will allow us to look at the subject of politics from different angles. These will be functional, communicative and directive approaches.

In the functional approach, the essence of politics lies in the distribution of responsibilities and powers, subject to their coordination. Participants in political life perform strictly regulated roles, the division of which is necessary to ensure the effectiveness of politics and the preservation of the integrity of society.

The foundation of the system-functional tradition of considering politics was laid back in the era of antiquity by the ancient Greek philosopher Plato. The system-functional nature of the concept of politics presented in Plato's philosophy is due to the systemic nature of the hierarchy of being, which was depicted by the philosopher in his works «State» and «Politics» [1]. In the hierarchical structure presented in «State» as a model of an ideal socio-political system, each of the estates is inherent not only in a certain virtue, but also in a function. If we talk about the functions of rulers, then this is primarily management. Such a function is given by the wisdom of rulers as their main property and turns out to be decisive for the social order of an ideal state, at least in two respects.

First, it defines the characteristics of the state as a whole: «a state founded in accordance with nature would be entirely wise, thanks to a very small part of the population that stands at the head and governs, and its knowledge» [1, p. 190]. Political management is, thus, a system-forming function that ensures the implementation of certain plans and knowledge, the adoption of meaningful decisions and, thereby, the ordering of social reality.

